ISSN 2667-9485

მატიანე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

№20

ვანი
Вани
Vani
2021 წ.

სარჩევი

1. **ორიოდე სიტყვა ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისგან კრებულ „მატიანეს“ მე-20 ნომრის გამოცემასთან დაკავშირებით** 3

2. **ინდირა გოგოძე**
   უფალს ვთხოვ ისმინოს ჩემი ვედრება 10

3. **მურმან ლეგანიძე**
   გვიან გავიღვიძეთ 14

4. **ომარ კაპანაძე**
   ვანი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან. 1963 წელს გაუქმებული ვანის რაიონის აღდგენის შესახებ. რეალობანი და ფაქტები 15

5. **ივანე მამფორია**
   ვანის მუნიციპალიტეტის 2001 წლის ინფრასტრუქტურული პროგრამები 35

6. **კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან** 39

7. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**
   არტურ ლაისტი და საქართველო 56

8. **ლუკა დვალიშვილი**
   ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი საქართველოში 67

9. **გია კვაშილავა**
   კუნძულ კრეტაზე უძველესი ქართული სახელმწიფოს არსებობა დასტურდება 73

10. **მანანა ვაშაყმაძე**
    ვანის არქეოლოგიური მუზეუმი მრავალმხრივი ცოდნის ტაძარი 77

11. **გია კვაშილავა**
    ეკონომიკის, მათემატიკის და წერის ხელოვნების ჩასახვა-განვითარების შესახებ 83

12. **ზურაბ ცუცქირიძე**
    ზნეობრივი და ინტელექტუალური გენოციდი 92

13. **უჩა დვალიშვილი**
    ქართული ქორეოგრაფია ეროვნული სულისა და ფენომენის გამოხატულება 99

14. **ინდირა გოგოძე**
    ვანის კულტურის სახლი საუკუნის გადასახედიდან 106

15. **დარეჯან ანდრიაძე**
    ოსმალობა რუსთაველის სამშობლოში 119

16. **თეიმურაზ ადეიშვილი**
    სტალინი და საქართველო, 100 წლის სახელოვანი მეცნიერის პროფესორ სიმონ არველაძის თვალთახედვით 124

17. **გრიგოლ ტყეშელაშვილი**
    ვანის მუნიციპალიტეტის ამაღლების, გორას, ზეინდრის, დიხაშხოსა და შუამთის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე მცხოვრებთა გვარებისა და სახელების მონაცემები XX საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის 131

ორიოდე სიტყვა ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ მე–20 ნომრის გამოცემასთან დაკავშირებით

კრებულ „მატიანეს“ მე-19 ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ანგარიში ექვს წელზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ და კონკრეტულად მივუთითეთ თითოეული ნომრის მიხედვით გამოქვეყნებული შრომები, სტატიები, კვლევები. უდიდესი მადლიერების გრძნობით აღვნიშნეთ ცალკეულ ავტორთა, ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა თანადგომა და დამოკიდებულება კველვის ცენტრთან და მის კრებულ „მატიანესთან“.

ბუნებრივია, მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა თუ ვიტყვი, რომ კვლევის ცენტრის დაფუძნების იდეა ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც მუშაობა, კონკრეტული მიზნით, მომიწია ქვეყნის შესაბამის არქივებში, ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ მდიდრულ მასალებს ფლობდა და ზოგიერთ კერძო კოლექციებზე, რა დროსაც მივედი დასკვნამდე, რომ არსებობდა (და დღესაც არსებობს) დღემდე შეუსწავლელი ვანის რაიონის სოციალ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მასალები, ფაქტები და არ იქნებოდა ურიგო თუ ეს მასალები საფუძვლიანი კვლევის და შესწავლის შემდეგ მიეწოდებოდა ვანის ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას. რადგანაც ჩანდა, რომ ამ საკითხებში ღრმად წვდომა გაანალიზება მოგვცემდა შედარებით სრულყოფილ სურათს რაიონის ახალი და უახლესი ისტორიის საინტერესო პერიოდების შესახებ, რომელთაც დღემდე კალამი არ შეხებიათ. სწორედ ეს გახდა მიზეზი „კვლევის ცენტრისა“ და მისი საინფორმაციო სივრცის კრებულ „მატიანეს“ დაბადებისა.

ანტიკური ვანიდან დაწყებული დღემდე, საქართველოს მიერ განვლილი თითქმის ყველა დროების ქარცეცხლი თუ აღზევების პროცესი გამოიარა ვანმა. იდგა უძველესი კოლხური და აქედან მსოფლიო ცივილიზაციის შექმნის სათავეებთან. შეძლებისდაგვარად შეჰქონდა თავისი წვლილი სამშობლოს სახელმწიფოებრივი სიძლიერის სრულქმნაში. არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ ვიტყვით, რომ უდიდესმა მეცნიერებმა, არაერთი სპეციალური კვლევები მიუძღვნეს ანტიკურ ვანს და ფუნდამენტური შრომები შექმნეს მისი განვითარების ისტორიის შესაბამის პერიოდებზე. თავიდანვე გვინდა, რომ მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ამ მეცნიერთა მიმართ, მათი ფასდაუდებელი უანგარო ღვაწლის გამო. რომ არა მათი ენერგიული ძალისხმევა, უდიდესი სიყვარული თავისი საქმისა და მშობლიური რაიონისა, კრებულის დაარსების იდეა ჩანასახშივე შეწყვეტდა არსებობას.

სანამ „კვლევის ცენტრის“ დაფუძნების საკითხი ოფიციალური ორგანოს წინაშე დაისმებოდა, ამ იდეის ირგვლივ საკონსულტაციო საუბრები გაიმართა საქვეყნოდ ცნობილ ვანელ პროფესორებთან – ავთანდილ ნიკოლეიშვილთან, გურამ ყიფიანთან, ომარ ძაგნიძესთან, უჩა დვალიშვილთან, თეიმურაზ ადეიშვილთან, აწგარდაცვლილ თეიმურაზ სურგულაძესთან, ამირან ნიკოლეიშვილთან და თორნიკე ეფრემიძესთან. ეს იყო საგნობრივი და საქმიანი მსჯელობა მიზნის განხორციელების გზებისა და მიმართულებების კონკრეტული განსაზღვრის, შესწავლილ საკითხთა გასაჯაროების, ამ ნიადაგზე „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ დაფუძნებისა და ამ გზით შესწავლილი მასალების, სტატიების, შრომების, წერილების მკითხველამდე მიტანის, გამოცემის პერიოდულობის, კვლევების აკადემიური დონის და ა.შ. თაობაზე. ხანგრძლივი ფიქრის, შესაბამისი დონისა და ინტელექტუალური მონაცემების მქონე ადამიანებთან აზრთა შეჯერებისა და განსჯის შედეგი, რომ ვიკვლიოთ, შევისწავლოთ, გავაანალიზოთ, ის ყურადსაღები მოვლენები და ფაქტები, რომლებიც განვითარდა დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიულ სივრცეში, როგორც ძველ, ასევე ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთზე, მემატიანეს სტატუსით შემოვინახოთ ისინი, შეძლებისდაგვარად გავასა-

ჯაროოთ, გადავცეთ მომავალ თაობას, შევუქმნათ მათ შესაძლებლობა მშობლიური რაიონის ისტორიაში უფრო ღრმა წვდომისათვის, მოვიზიდოთ ამ საქმით დაინტერესებული ახალგაზრდები, ჩავრთოთ კვლევებში და გადავცეთ მათ ესტაფეტა. ასე, რომ ეს დევიზი მუდმივმოქმედია და ამ სიტყვებით დავიწყეთ კრებულ „მატიანეს“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია, რომელიც ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის დაფუძნების მიზნებსა და ამოცანებს ეხებოდა. ცხადია, ეს საქმიანობა სამუშაო პროცესში მოითხოვს მოპოვებული მასალების არაერთგანზომილებიან, მშვიდ გააზრებას, ფართო თვალსაწიერიდან გაკეთებულ საფუძვლიან შეფასებებს, ინტენსიურ ძიებას, ჯეროვან ხელშეწყობას, ბაზასაც რადგანაც „ვანი“ ვერც საუკუნეთა მიღმა და ვერც დღევანდელობაში ვერ იქნება შესწავლილი და განხილული ცალკე, სრულიად ქართულ სივრცეში განვითარებული მოვლენებისაგან დისტანცირებულად. პასუხისმგებლობა იყო საკმაოდ დიდი, რადგანაც პერიფერიულ რაიონთან შეხებაში ანალოგიური გამოცდილების პრეცედენტი არ არსებობდა, მაგრამ იმედი იყო კიდევ უფრო დიდი, რადგანაც ერთობლიობაში საქმეს ადგილობრივებთან ერთად ხელს ჰკიდებდნენ ისეთი სახელოვანი მეცნიერები, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ. მათი მონდომება, რაიონის სიყვარული და თანადგომა უმნიშვნელოვანეს მომენტად იქნა აღქმული. თუმცა, ეს მომენტი აათმაგებდა პასუხიმგებლობასაც. აუცილებლად აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ ცენტრის დაფუძნებაში უდიდესი დახმარება გაგვიწია ვანის რაიონის ყოფილმა გამგებელმა, განათლებულმა პიროვნებამ მურად ახვლედიანმა.

რაკი ძლიერი ინტელექტუალური ძალა და სურვილიც გამოიკვეთა, რომ მშობლიური რაიონი საზოგადოებრივ სარბიელზე მთელი თავისი ისტორიული წიაღსვლებით გამოგვეჩინა, საჭირო იყო მორალურ-მატერიალური მხარდაჭერა. ეს ის თანადგომაა, რომლის გარეშეც საკითხის დაძვრა ფუჭი ოცნება იქნებოდა. **საბედნიეროდ, დღემდე უწყვეტად მომდინარეობს ადგილობრივი ხელისუფლების – საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ნათლად ხედავენ ამ საქმიანობის მიზანშეწონილობას**.

ჩვენი მუნიციპალიტეტი ლამაზია არა მარტო თავისი მომხიბლავი კოლორიტით, არამედ იმ ადამიანების პლეადით, რომლებიც, ასევე ისტორიულ რეალობაში განსაკუთრებულად, მე-20 საუკუნის მთელს მონაკვეთზე, ქართველობასთან ერთად ქმნიდა ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების, ქვეყნის ინდუსტრიული სოფლისა და სამრეწველო პოტენციალის სახეს. როგორც ჩანს, ამიტომაც იგი წარსულიდან და დღევანდელობიდან მოქცეულია მკვეთრი თვალთახედვის არეში. ვფიქრობ, ალბათ, ნებისმიერი რაიონი იშვიათადაა განებივრებული, მისადმი მიძღვნილი სპეციალური კვლევებითა და გამოცემებით, ისე როგორც ვანია. ფუნდამენტური ნაშრომებია შექმნილი ანტიკურ ვანზე და მერე როგორი მეცნიერების მიერ. სასურველია, რომ ეს სამუშაო ჩვეული ინტენსივობით გრძელდებოდეს და არაერთი ახალი აღმოჩენებით ველოდებით მას. მითუმეტეს, აქამდე შესწავლილმაც შექმნა საფუძველი სულ სხვა რაკურსით დანახულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესაბამისი პერიოდი და პრაქტიკულად სხვა ასპექტში წარმოჩენილიყო საქართველოსა და ქართველი ერის ისტორია. ამ მხრივ, ჩვენ, ვანელებს ნამდვილად გვაქვს საამაყო და მადლობაც უნდა ვთქვათ ყველა იმ თაობის მეცნიერთა მისამართით, რომლებმაც შეისწავლეს და თავიანთი შრომები მიუძღვნეს, წარმოაჩინეს ვანიც და სრულიად საქართველო. რომ არაფერი ვთქვათ ამ საქმეში საზღვარგარეთის ქვეყნების ცნობილ მეცნიერ-არქეოლოგთა ჩართულობაზე და იმ ტრადიციულ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, რომლებიც აქ, ვანის გათხრების ბაზაზე იმართებოდა და წარმოადგენს ქართველი ერის ძირძველი კულტურისა და მსოფლიო ცივილიზაციაში მისი წვლილის მეცნიერულ დასაბუთებას, მის მკვეთრ პროპაგანდას, რომელიც ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძისა და მისი გუნდის მეცნიერთა მიერ. მინდა დავაზუსტო: რომ მეცნიერ მკვლევართა ის კორპუსი, რომელიც იკვლევს ანტიკურ ვანს, აქცენტებს აკეთებენ გლობალურად, შესაბამის ეპოქასა და მასში განვითარებულ პროცესებზე, ანტიკური ვანის ადგილზე მაშინდელ სამყაროსა და მის ცივილიზაციაში. იმაზე, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური-პოლიტიკური გარემო და ურთიერთობანი ედო საფუძვლად ისეთი მაღალგანვითარებული კულტურის შექმ-

ნას, რომლითაც ანტიკური ვანი გამოირჩევა და ქართულ ისტორიულ არეალში და მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სწორედ ამიტომ ვცდილობთ მოპოვებული მასალების შესწავლა-ანალიზი დაეფუძნოს სანდო, დოკუმენტურ წყაროებს. ყველა კვლევა, როგორც წესი, იყო და არის მაქსიმალურად ობიექტურ საწყისებზე აგებული და თავისუფალი ხელოვნურად შეთხზული ფანტაზიებისაგან, ზუსტად ამან გვიბიძგა ნებისმიერ მოპოვებულ მასალას მოვეკიდოთ სიფრთხილით. აქედან: „კველვის ცენტრის“ საქმიანობაში მთავარია სიმართლის ძიება, განვითარებული მოვლენების ეპოქასთან შეჯერება, პროცესთა წარმოქმნის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა და შედეგის ანალიზი. ისტორიის თითქმის ყველა პროცესი განვლო ვანმა, ამაზე მასალებიც არსებობს, ბევრიც კიდევ მოსაძიებელია, რასაც სჭირდება საფუძვლიანი და არატენდენციური შესწავლა.

„კვლევის ცენტრის“ საქმიანობა ორგანულად უკავშირდება ვანს და ვცდილობთ შესაძლებლობათა დიაპაზონში ვიკვლიოთ დღემდე შეუსწავლელი, ვანთან დაკავშირებული, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხთა წრე, რომლებიც ბოლო დრომდე ჯეროვანი ყურადღების ქვეშ არ მოქცეულა. ეს კეთდება რამდენადმე ენთუზიაზმის ხარჯზეც, თუმცა, საბედნიეროდ ამ გზაზე მარტონი არა ვართ და გვერდით გვიდგანან ცნობილი მეცნიერები და მეცენატ მეგობართა ჯგუფი, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ზრუნავენ კვლევის ცენტრის საქმიან იმიჯზე და კრებულ „მატიანეს“ პერიოდულად გამოცემაზეც. **წინამდებარე ნომრის ჩათვლით უკვე გამოცემულია 20 ნომერი, აქედან შვიდი ნომრის გამოცემა უზრუნველყო ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ყოფილმა გამგეობამ (შემდეგში მერიამ), ექვსი ნომრის ბატონმა ზაურ თათვიძემ – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა და ბიზნესმენმა, ხუთი ნომრის ბატონმა ბეჟან წაქაძემ, დღეს უკვე საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტის წევრმა, რომელიც დღიდან კვლევის ცენტრის დაფუძნებისა გვერდით გვიდგას, ორი ნომრის ახალგაზრდა ბიზნესმენმა ბატონმა ბიჭიკო პაიკიძემ და თითქმის საიუბილეო მე-20 ნომერიც მისი წილობრივი დაფინანსებით გამოიცა. ქედს ვიხრით თითოეული მათგანის კაცურ საქმეთა წინაშე და გამსჭვალული ვართ დიდი მადლიერების გრძნობით**.

ამ პიროვნებებს არა ერთი სიკეთე აქვთ გაკეთებული ვანისათვის. სწორედ რომ, მათთან მეგობრობამ და პიროვნულმა დამოკიდებულებამაც გაგვიხსნა გზა გადაგვედგა ნაბიჯები „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ საგამომცემლო საკითხის მოგვარებაში. ამ მხრივ ჩავარდნა არ გვქონია. ამიტომ ვთვლით, რომ ფასდაუდებელია მათი კეთილი საქმეები, როგორც ჩვენი მისამართით, ისე ზოგადადაც.

„კვლევის ცენტრის“ საქმიანობის მთავარ, პერსპექტიულ ღერძად მიგვაჩნდა: კვლევებში მოგვეწვია და ჩაგვერთო ახალგაზრდობა, საჯარო სკოლების მაღალი საფეხურების პერსპექტიული მოსწავლეებიც, სტუდენტებიც, გავუღვივოთ მათ ინტერესი რაიონის ისტორიის კვლევა-შესწავლისათვის, აქედან უფრო ღრმად ჩასწვდნენ და გააცნობიერონ საკუთარი ერისა და რაიონის ისტორია. ასეთი იყო, არის და იქნება საპროგრამო ხედვა „კვლევის ცენტრის“ საქმიანობის შესახებ, რომელიც ბოლო შვიდწლიან ციკლში თანდათან შეყვანილი იქნა მოქმედებაში და საქმიანობა გრძელდება დღესაც.

როგორც ითქვა, საბედნიეროდ, კვლევებსა და საკითხთა შესწავლაში მოხერხდა უმაღლესი დონისა და მონაცემების მქონე ადამიანების ჩართვა, რომელთაც ხელეწიფებათ და აქვთ გამოცდილება იკვლიონ საკითხების, პრობლემათა წყება, გაანალიზონ და როგორც მაღალი რანგის მეცნიერ-პროფესიონალებმა მისცენ მათ ობიექტური შეფასება, თითოეული მათგანი გახმაურებული შრომების, არაერთი მონოგრაფიის ავტორია და ცნობილი არიან ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც თავიანთი სამეცნიერო პოტენციალით. **კვლევებში ჩართულ მეცნიერთა და ცალკეულ მკვლევართა 70% ვანელია, რითაც ხაზგასმა კუთხურობაზე კი არ კეთდება, არამედ მათ დაინტერესებასა და ენთუზიაზმზე, გვერდით დაუდგნენ მშობლიურ რაიონს და საერთო საქმეს, ამ უაღრესად კულტურულ-საგანმანათლებლო განზომილების სამსახურის სრულყოფასა და ქმედითუნარიანობაში. ბევრი მათგანი კრებულ „მატიანეში“ გამოქვეყნებული არაერთი სტატიის, კვლევის და ა.შ. ავტორია, რისთვისაც უდიდეს მადლიერების გრძნობას გამოვხატავთ**

მათ და იმ ქართველ, ქვეყანაში ცნობილი სწავლულების მიმართ, რომლებიც დღიდან კვლევის ცენტრის დაფუძნებისა ჩვენს გვერდით დგანან და დახმარების ხელს გვიწვდიან, ხოლო როგორი რანგის პიროვნებები არიან ისენი, მკითხველი ადვილად დარწმუნდება ცალკეულ ნომერთა შინაარსობრივ ჩამონათვალში, რომელიც კრებულის წინა ნომრებში შეგიძლიათ იხილოთ.

ამჟამად, მოძიებული, შესწავლილი და გასაჯაროებულია 300-მდე სხვადასხვა მიმართულების საკითხი. აქედან 180-მდე უშუალოდ ეხება ვანის რაიონის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ ცხოვრებას, რომელთაც კალამი ამ დრომდე არ შეხებია. მივუთითეთ აგრეთვე კონკრეტულ პიროვნებებზე, ვანელ გამოჩენილ მეცნიერებზე, პროფესორებზე, აკადემიკოსებზე, საზოგადო და სამხედრო მოღვაწეებზე მათი რიცხვი დიდია, დაახლოებით 400-მდე, რომელთა სახელებითაც ამაყობდა და ამაყობს ვანი, რომელთა ღვაწლიც მნიშვნელოვანია ქვეყნისა და რაიონის წინაშე. კრებულში გაშუქებული 100-მდე საკითხი იყო ზოგადქართული, მაგრამ მას შემხებლობა გააჩნია ვანთან, როგორც ძველი, ანტიკური, ასევე სხვა მომდევნო პერიოდებიდან.

უდავოა, რომ უდიდესი საქმე გაკეთდა საგამომცემლო საკითხის მოგვარებითაც. კრებული „მატიანე“ ჩვენი კვლევის ცენტრის ორგანოა, რომლის სარედაქციო კოლეგიასაც წარმოადგენენ კვლევის ცენტრის მეცნიერ-დამფუძნებლები, სასიქადულო მამულიშვილები:

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უჩა დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალიშვილი – პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი.

სამწუხაროდ, დროს თავისი დარტყმები გააჩნია და ასეთი, რამდენიმე სამწუხარო, მოულოდნელი დარტყმა კვლევის ცენტრსაც არ ასცდა. პირველი ჩვენგან წავიდა, პროფესორი **ამირან ნიკოლეიშვილი**, კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი, ცნობილი პიროვნება, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. პროფესორი **თორნიკე ეფრემიძე** – კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი, დიდებული პიროვნება. ხოლო ახლახან დავკარგეთ, ასევე ნიჭიერი მეცნიერი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი ბატონი **თეიმურაზ სურგულაძე**. ჩვენთვის დანაკლისია აგრეთვე ქუთაისის „მბმ“ პოლიგრაფის დირექტორი, მეგობარი და დიდებული პიროვნება **მამუკა ფოფხაძე** (იგი ტრაგედიის მსხვერპლი გახდა). სარედაქციო კოლეგიის არაერთი წევრი ვანის საპატიო მოქალაქეა, რომელნიც ცდილობენ კოორდინირება გაუკეთონ კვლევების ინტენსიურობას და თანმიმდევრულად აამაღლონ კრებულის აკადემიური დონე.

ამ დროისათვის კრებული „მატიანე“, რომელსაც სამეცნიერო ჟურნალის სტატუსი აქვს მინიჭებული უსასყიდლოდ ეგზავნებათ ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიასა და ეროვნულ ბიბლიოთეკას, სხვადასხვა სამეცნიერო წრეებს, ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებსა და ცენტრალურ ბიბლიოთეკას, მუზეუმებს და ა.შ. აღინიშნა, რომ დღემდე გამოქვეყნებულია

268 ავტორის მიერ მომზადებული შრომა, სტატია, წერილი. ავტორთაგან, 67 – მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორია, 191 – სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, დაინტერესებული პირი, სერთიფიცირებული პედაგოგი, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალისა და გალაკტიონ და ტიციან ტაბიძის მუზეუმების მეცნიერ-თანამშრომლები, სახელოვანი ექიმები, მაგისტრები და ა.შ.. კრებულის არაერთ ნომერში მოცულობითი გვერდები დაეთმო თანამედროვე ვანელ პოეტებსა და მათ პოეზიას, ბევრი მათგანი დამწყებია და კვლევის ცენტრი ცდილობს ამ გზით ხელი შეუწყოს მათ შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლინებას და სრულყოფა-დაოსტატებას. შესწავლილია რაიონის 17 სოფლის ისტორია, თითეული მათგანი გასაჯაროებულია კრებულ „მატიანეში“, მოძიებულია 2000-ზე მეტი ტოპონიმი და ა.შ.

მადლიერების გრძნობა უნდა გამოვხატოთ ყველა იმ მეცნიერისა და ავტორთა მისამართით, რომლებიც დღიდან დაფუძნებისა გვერდით უდგნენ და უდგანან კვლევის ცენტრს და თავიანთი საქმიანობით პერიფერიული რაიონის პირობებში, ამ უდიდესი კულტურულ-ისტორიული განზომილების საქმის წარმართვას უწყობენ ხელს: მადლობას ვუხდით ერთეულ, აწ უკვე გარდაცვლილ მეცნიერთა ოჯახებს, რომლებთან შეთანხმებითაც განხორციელდა ჩვენთვის საინტერესო, მათი ზოგიერთი კვლევების გასაჯაროება.

ქვემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთა ასეთი კოჰორტის საქმეში ერთიანი ჩართულობით, აკადემიურობით, მათი განუზომლად დიდი დიაპაზონით, კვლევებით, კაცურ-კაცობით, ნებისმიერი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემია იამაყებდა.

უდიდესი მადლობა მათ.

1. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.
2. **ამირან ნიკოლეიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადო მოღვაწე.
3. **ალეკო ცინცაძე** – პროფესორი.
4. **ავთანდილ სილაგაძე** – პროფესორი, საზოგადო მოღვაწე.
5. **ანზორ თოთაძე** – პროფესორი, საზოგადო მოღვაწე.
6. **არჩილ ტაკიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საზოგადო მოღვაწე.
7. **ბადრი ბუხაიძე** – ისტორიკოსი, მკვლევარი, პოლკოვნიკი.
8. **გურამ ყიფიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
9. **გურამ ბელთაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.
10. **გურამ კვირკველია** – პროფესორი, არქეოლოგი, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
11. **გია კვაშილავა** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მათემატიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის მათემატიკური საზოგადოების წევრი, ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, საერთაშორისო ლინგვისტური ასოციაციის (აშშ) წევრი, მედიტერანული კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი.
12. **გურამ ლორთქიფანიძე** – აკადემიკოსი, ისტორიკოსი, არქეოლოგი.
13. **გრიგოლ ტყეშელაშვილი** – ქუთაისის ცენტრალური არქივის თანამშრომელი.
14. **დოდო ჭუმბურიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
15. **დიმიტრი ახვლედიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არქეოლოგი.

16. **დარეჯან კაჭარავა** – პროფესორი, არქეოლოგი, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ყოფილი ხელმძღვანელი.
17. **დავით შავიანიძე** – პროფესორი, ეთნოლოგი.
18. **ელენე გეგეშიძე** – პროფესორი.
19. **ვლადიმერ პაპავა** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე.
20. **ზოია ცხადაია** – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
21. **თეიმურაზ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.
22. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.
23. **თორნიკე ეფრემიძე** – პროფესორი.
24. **თამაზ ბერაძე** – პროფესორი, არქეოლოგი.
25. **ირაკლი ჯორჯაძე** – აკადემიკოსი, სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი.
26. **იაკობ მესხია** – აკადემიკოსი, თსუ ეკონომიკის კათედრის გამგე, საზოგადო მოღვაწე.
27. **კობა არაბული** – მწერალი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, პროფესორი, ეროვნული აკადემიის წევრი, მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონის“ თავმჯდომარე.
28. **ლეო ჩიქავა** – პროფესორი, აკადემიკოსი.
29. **ლუკა დვალიშვილი** – პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
30. **ლადო სულაბერიძე** (უმცროსი).
31. **მალხაზ ერქვანიძე** – ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.
32. **მერაბ კეზევაძე** – ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი, პროფესორი.
33. **მინდია სალუქვაძე** – პროფესორი.
34. **ნანა გონჯილაშვილი** – პროფესორი.
35. **ოლეგ ალავიძე** – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.
36. **ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
37. **როზა დევდარიანი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
38. **რენიკო საკანდელიძე** – პროფესორი.
39. **რამაზ ნამიჭეიშვილი** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი.
40. **რეზო ტაკიძე** – ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.
41. **სერგო ვარდოსანიძე** – ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს საპატრიარქოს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი.
42. **სიმონ არველაძე** – ფილოსოფოსი, პროფესორი.
43. **სოსო მარგიშვილი** – მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი.
44. **უჩა დვალიშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
45. **ქრისტინე მეძველია** – პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
46. **ჯანსუღ კეკელია** – პროფესორი.
47. **ზურაბ ცუცქირიძე** – პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი.

- **მაია ჭელიძე**
- **გულბაათ რცხილაძე**
- **გოგი ფაცაცია** – მეცნიერი
- **სიმონ ზაქარაია** – მეცნიერი
- **მანანა ვაშაყმაძე** – ვანის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
- **სოფო რამიშვილი** – ვანის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

რაიონის სოფლების ისტორიის შექმნაზე მუშაობდნენ:

1. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი, „სოფელ ყუმურის ისტორიული მიმოხილვა“
2. **დოდო ჩახუნაშვილი, ავთანდილ დვალიშვილი, დავით გაბუნია, ლევან დვალიშვილი** – „ვანის მუნიციპალიტეტის სულორის თემი.“
3. **ოლეგ მიქელთაძე, გიგა ქიმუცაძე** – „სოფელი გადიდი.“
4. **მერაბ კვაჩიძე** – საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი, „სოფელი ამაღლება.“
5. **თამაზ ჩიტორელიძე** – ისტორიკოსი, „სოფელი ზედა ვანი“
6. **ლუკა დვალიშვილი** – პროფესორი, „სოფელ სულორის ტოპონიმები.“
7. **ოთარ ჭოხონელიძე** – „სოფელი დიხაშხო.“
8. **მარიამ წიქარიშვილი** – „სოფლი ბზვანი“.
9. **მარინე ჟღენტი, ინდირა გოგოძე** – სოფელი შუამთა.“
10. **ბადრი ხურციძე, ტარიელ ოქროპილაშვილი, ვარლამ გიორგაძე** – „სოფელი საპრასია.“
11. **ციცინო გაბუნია, თემურ გეგიძე** – „სოფელი ტობანიერი.“
12. **ივანე ხურციძე** – სოფელი უხუთი.“
13. **ომარ კაპანაძე** – „სოფელი ძულუხი.“
14. **გურამ ლილუაშვილი, მანონი ლილუაშვილი, კობა მაღლაკელიძე** – „სოფელი ზეინდარი.“
15. **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე** – „სოფელი მთისძირი.“
16. **ინდირა გოგოძე, გიორგი ივანიაძე, აკაკი კორძაძე** – „სოფელი მუქედი.“

ვიტყვით ერთს, რომ ამდაგვარი კვლევის ცენტრი, რაიონთა შორის თავისი მოქმედებისა და საქმიანობის შინაარსობრივი დატვირთვით, ალბათ, თითებზე ჩამოსათვლელია, რაც გარკვეულად ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას. **გავიმეორებთ: მადლიერების გრძნობა უნდა გამოვხატოთ ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ყოფილ და დღევანდელ ხელმძღვანელთა, ცალკეული სამსახურების მისამართით, რომელთაც კარგად ესმოდათ და ესმით იმ საქმიანობის განზომილება, რომელსაც კვლევის ცენტრი შეეჭიდა და მათგან შესაძლებლობათა ფარგლებში შექმნილია, თითქმის ყოველგვარი პირობა, რომ კვლევის ცენტრმა შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობ**ა, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე „კვლევის ცენტრთან“ თანამშრომლობის სურვილი შემდეგში არაერთმა სწავლულმა დაადასტურა.

ასევე მადლიერებას გამოვხატავთ შპს „მბმ“ პოლიგრაფის მისამართით, რომელთანაც ძალიან გვიადვილდება, დღემდე სასიამოვნო და მისაღები თანამშრომლობა. მიუხედავად დღევანდელი რთული, დაძაბული ცხოვრების განრიგისა, კვლევის ცენტრთან, მის კრებულ „მატიანესთან“ მეცნიერთა და ცალკეულ მკვლევართა ურთიერთობა არათუ შემცირდა, არამედ საგრძნობლად გაიზარდა.

მაშ ასე, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, ვინც არ იშურვებს დახმარების ხელი გამოგვიწოდოს ამ საკმაოდ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმიანობაში, წარმატება იყოს თითოეული მათგანის საქმიანობის გზამკვლევი, წარმატება და ოჯახური ბედნიერება თითეულ მათგანს.

ომარ კაპანაძე

კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი,
ვანის საპატიო მოქალაქე

ინდირა გოგოძე – ჟურნალისტი, ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრის თანამშრომელი

უფალს ვთხოვ, ისმინოს ჩემი ვედრება...

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ეზო კარ-მიდამო... მწვანეში ჩაფლული ორსართულიანი სადა საცხოვრებელი... სახლის წინ იმერეთისთვის ჩვეული მაღალი ტალავერი – „ალადასტური“, „ჯვარისა“, „საგობე“, „საფერავი“, „ადესა“... ირგვლივ არავითარი ისეთი რამ, რაც ზედმეტ ფუფუნებად მოხვდება თვალსაწიერს... რამდენიმე ყელამდე მიწასჩარგული ქვევრი, გლეხური მარანი – ძველი, დიდი ხის საწნახლით... შორიახლოს უფროსების ბავშვობაგატარებული უძველესი საცხოვრისი _ შუაცეცხლთან ჩამოკიდებული მსხვილი ჯაჭვით, ძველებური დიდი ქვაბებით, დოქებითა და მჭადის მოსაზელი ფართო ხის ვარცლით... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ოჯახში, სადაც მე 90-იანი წლების ბოლოს რძლის სტატუსით შევედი, პატიოსნების სურნელი იგრძნობოდა... ეს ექიმების ოჯახი იყო ექიმი-თერაპევტი მურთაზ ივანიაძე და ექიმი-ინფექციონისტი მარიზა დვალიშვილი. მათი კეთილშობილების შესახებ ჩვენს რაიონში თითქმის ყველამ იცოდა და დღესაც იგივეს გაგიმეორებენ. გულიანი, გულწრფელი სიყვარულითა და სინანულით გაიხსენებენ მათ უანგაროდ გაკეთებულ უთვალავ სიკეთეს (ჩემთვის დღესაც დაუჯერებელი და შოკისმომგვრელია მათი იმიერში გადასახლება) – ისინი ხომ მათზე დაკისრებულ მოვალეობას უმწიკვლოდ ასრულებდნენ და თუ ვინმე შეიძლება ჩაითვალოს ამ ცოდვილი დედამიწის ზურგზე ჰიპოკრატეს ფიცის ზედმიწევნით შემსრულებლად, მათ რიგში უდაოდ მოიაზრება ის ორი ადამიანი, რომელთაც ჩემი მეორე დედ-მამა ერქვა(დღემდე უსასრულოდ ვმადლობ უფალს, რომ ცხოვრებამ ამ ოჯახთან და მათ შვილთან – ჩემს მეორენახევართან და ოთხ შვილთან ერთად გაირბინა როგორც წუთი-წუთისოფელმა) დიახ, აქ იყო პატიოსნების სურნელი,(მადლობა უფალს, რომ ტრადიციული ღირებულებები დღესაც შენარჩუნებული გვაქვს), რომელიც დღეს მავანთათვის სასაცილოდ ასაგდები, არათანამედროვეობის გამოძახილი და 21-ე საუკუნის ქართველთა ყოფის არაორგანულ, ცხოვრებისეულ ზედმეტხორცად იქცა... ყოველგვარი ტრადიციული და მამა-პაპური, გაუნათლებლობის, ბნელი აზროვნების სინონიმად მონათვლას ემსახურება და ლამისაა ამ ტრადიციის გამგრძელებელნი, ქვეყნის განვითარების მოწინააღმდეგე ბრბოდ გამოაცხადონ, „უცხო მოყმეთ“ თითი გვიქნიონ და წინაპრის ნაკვალევის მელაკუდას კუდით წაშლისათვის, დიდძალი ქრთამიც შემოგვთავაზონ... და რაც მთავარია, ეს ყველაფერია იმის მიზეზი, რის გამოც ეს წერილი იწერება, რის გამოც ავიღე კალამი და ვიმედოვნებ, რომ საქვეყნოდ ცნობილი ჟურნალისტის ნაზი შამანაურივით არ მომიწევს მისი სიტყვებით იმის თქმა, რომ „ჩემი სიმართლე, ჩემი მტერია“...

არახალია, რომ ოდითგან სხვადასხვა ფორმით იბრძოდა და იბრძვის კაცობრიობის სხვადასხვა ფენა, ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელი. საწერკალამი და თეთრი ფურცელი – ესაა ჩემი იარაღი, ჩემი საბრძოლო და სამშვიდობო დესპანი საზოგადოებასთან ურთიერთობისას... თეთრი ფურცელი ტყუილად არ მიხსენებია – მე ჩემმა ოჯახმა თეთრ, სუფთა ფურცელზე დამაწერინა ცხოვრება, რადგან ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც არც წარსულის და არც მომავლის არ ეშინია, მხნეა, ამაყია, ღირსეულია და ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტების მსახურია (დღემდე „ნათლისღების“ ტაძრის მგალობელი ვარ და ოჯახიც ამდენივე წელია მრევლის წევრია). სწორედ ესაა ის სულიერი ძალა, რაც გასაზრდოვებს, ძალას გმატებს, სიცოცხლეს გიფერადებს საამაყო ოჯახთან ერთად და ცდილობ სხვასაც მაგალითი მისცე, ღირსეული ცხოვრების შესახებ პროპაგანდა გასწიო, გასაჭირში თანადგომა ასწავლო და ლხინში უფლის არსებობა არ დაავიწყო(და არა პირიქით, ჯვარდაწერილი ოჯახი პირველივე აკვიატებულ წყენაზე დაანგრიო და „ბოიფრენდობის“ სამყაროს შეუერთდე)... სად არის ზნეობა, მორალი,

სინდისი, ნამუსი, სირცხვილი, პატიოსნება, კდემამოსილება, მყარი, მტკიცე სარწმუნოება, რამაც დღემდე მოგვიყვანა... სად არის დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალეს, დემეტრე თავდადებულის, მაია წყნეთელის, სამასი არაგველის და ურიცხვთა მათ ლაშქართა სამშობლო დღეს... რა მიმართულება აქვს აღებული ცხოვრების წესად, ვისი მსახურნი ვართ დღეს – უფლისა თუ სატანისა, წუთისოფლის საცდურებისა თუ მარადიულად უფალთან მყოფობისა... ორი ბატონის მსახური ვერა და ვერ იქნები – რომელია ჩვენი – ქართველების ბატონი დღეს – ქრისტე თუ ლუციფერი – ამ უკანასკნელთან თანაცხოვრება, თაყვანისცემა არ გამოვა, ნელ-ნელა ვეჩვევით ცოდვათა დაკანონებას, ე. წ. „უმცირესობათა" ვითომ „დაჩაგვრას" და მათი იდეოლოგიის გავლენას სრულიად საქართველოზე, რომელსაც 21-ე საუკუნის თავისუფლების მონაპოვრად ფუთავენ... აქვე იკვეთება ადვილად შესამჩნევი და აშკარა მარათონი იმაზე, თუ ვინ უფრო კარგად მოემსახურება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ზოგიერთ წარმომადგენელთა ამ სულისშემძვრელ ინტერესებს და ეს ყველაფერი უკვე ყველაზე სასტიკი მარაზმის სახეს იღებს. სამწუხაროდ, როგორც არაპროფესიონალმა ისტორიკოსმა მინდა შევახსენო ირგვლივ ჩვენს გადაგვარებაზე დაგეშებულ სამყაროს, რომ ყოველგვარი სხვებზე დამოკიდებულების გარეშეც, დაუხმარებლადაც უცხოვრია ჩვენს ქვეყანას საუკუნეების მანძილზე ყველასთან კეთილმეზობლური ურთიერთობით. ბევრი გვყოლია შადიმანები, ყორღანაშვილები, ბერბიჭაშვილები, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მათ მოღალატეები ერქვათ, ანუ ყველაფერს მისი სახელი ჰქონდა დარქმეული. დღეს კი, ე. წ. ნეოლიბერალურმა ტერორმა ლამის წალეკოს სამყარო. მათი დევიზია ცოდვა ნორმად მივიჩნიოთ, უმრავლესობის აზრი არად ჩავაგდოთ და რაც მთავარია „დრომოჭმული ტრადიციები" ისტორიის სანაგვეზე მოვისროლოთ...

არც მანამდე იყო და ვერც მომავლისთვის იქნება ასე...

ეროვნული თვითმყოფადობის, ქართული სულის მაღალღირებულების, მარადიულობასთან განუყრელობის, ერთგულებისა და სამშობლოს ერთიანობაზე ზრუნვის აუცილებლობა გამიძლიერა აწგარდაცვლილი უდიდესი ქართველი საესტრადო მომღერლის, თემურ წიკლაურის ნამღერმა – „ღმერთო იხსენ საქართველო, სამშობლო"... კაცი უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე მღეროდა და ტიროდა, ცრემლად იღვრებოდა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მისი განცდები იმ დროს სულის შემძვრელი იყო მძიმე რეალობით დატვირთული, რომლის მოჯადოებული წნეხიდან ქვეყანა ვერა და ვერ გამოდის.

ამის გამო უფალს ვთხოვ ისმინოს ჩემი, მრავალშვილიანი ქართველი დედის ვედრება...

– ღმერთო აღუდგინე ცნობიერება და სინდისი (თუ ჰქონდათ) იმ ადამიანებს, რომელთა ძალისხმევისა და უტვინო პოლიტიკის შედეგად მტერს საშუალება მისცეს სამშობლო, საქართველო დაენაკუწებინათ და საერთაშორისო დოკუმენტზე ხელმოწერით დაუდასტურეს, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ამასთან ეს ხელშეკრულება მე-5 პუნქტიდან მე-11-ს ჩათვლით, პოლიტიკურ ასპექტში, სუფთად ანტიქართულია, რაც მიუთითებს მაშინდელი ხელისუფლების გაუაზრებელ, მოუმწიფებელ მოქმედებაზე.

– უფალო აღუდგინე მეხსიერება და სინდისი (თუ ჰქონდათ) იმ ადამიანებს, რომლებმაც მტრის სასარგებლოდ გაამყარეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოზე ჩამოცილება, მძიმე დღეებში ქვეყანა და ხალხი მიატოვეს და თვითონ ოჯახებით წითელი ხიდის გადავლით ერთმანეთს ასწრებდნენ, გაიხიზნენ და დღეს ჭკუას გვარიგებენ.

– ღმერთო აღუდგინე სინდისი იმ ადამიანებს, რომლებიც ერს დანებითა და ჩანგლებით თბილისში ჩამოსვლებს თხოვდნენ ქვეყნის დასაცავად, თავიანთი უსუსურობის პირმოსაბანად, ხოლო მათი ერთ-ერთი გამორჩეული თანამშრომელი რუს დამპყრობ გენერალ ბორისოვს მაყალითა და მწვადებით, როგორც ლაქია, კუდში დასდევდა. აქ არ ვსაუბრობთ იმაზე, ვინ როგორ ხოხავდა მიწაზე (ყოველივე ეს ე.წ. „ლაივში" სატელევიზიო გადაცემით ვიხილეთ).

– ღმერთო აღუდგინე სინდისი და მეხსიერება იმ ხალხს, რომელთაც არ ახსოვთ (მცი-

რე „მასაა“ ასეთი) საქართველოს პატრიარქის დამსახურება ერის წინაშე და პოლიციას მის დაპატიმრებას თხოვს საჯაროდ... შეუნდე მათ ასეთი უვიცობა და მკრეხელობა.

– ღმერთო შთააგონე (არ ვამბობ ცუდი გაგებით რადგან მრავალ ოჯახს პირობები შეექმნათ ასეთი) დედების, დების, მეუღლეთა საზღვარგარეთ გამშვებ მამაკაცებს დაიბრუნონ ღირსება და მისცენ ჩვილ ბავშვებს, მოზარდებს დედის ალერსით ტკბობის საშუალება. მე დედა ვარ და კარგად მესმის რას ნიშნავს დედის მოფერება პატარასათვის, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, თუკი მას რაიმე აწუხებს და საერთოდ, როგორია ბავშვის ფსიქიკა, როდესაც იგი უდედოდ იზრდება. მას არ ცვლის არც ბებიების, არც ბაბუების, არც დეიდებისა და სხვათა ამბორი, რადგან დედის ფენომენი ზეამაღლებული და სხვაა! ეს ქალბატონები ოჯახებიდან გახიზნულები, იძულებულნი და ვალდებულნი არიან სხვათა მიხრწნილებს მიხედონ, მოუარონ, ან ეფერონ. ნუთუ ღირს ამად ის მეორადი ავტომობილი, ავეჯი, ჩასაცმელი (ხშირად ამის გამო ტოვებენ ოჯახებს) და ა.შ., რომელიც სამუშაოდ გასულთა ოჯახებში მათივე გამომუშავებული თანხებით შემოდის. უბედურება ისაა, რომ ამ სენმა უკვე განვრცობითი, ტრადიციული ხასიათი მიიღო და ჯერ კიდევ გაუცნობიერებელია როგორი იქნება ამის საბოლოო შედეგი.

მოგვხედე, ღმერთო, საით მივექანებით...

– უფალო აღუდგინე კაცობა და სინდისი იმ ადამიანებს, შინაურებს, „შემოსულებს“, რომლებიც ერის დახმარების მანტიით, ერის ძირის გამოთხრას და დაცემას ლამობენ. ქართველობას, მის ისტორიას კარგად არ იცნობენ და მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს (თუ შეცდომა ჰქვია) ჩვენ გვაბრალებენ.

– ღმერთო დაგვიფარე ამ გაუთავებელი მიტინგებისა და ურთიერთდაჭმისაგან, რომელიც 30 წელზე მეტია ქრონიკულ დაავადებად გვექცა და მიეცი საშუალება ამ ადამიანებს გააცნობიერონ დიდი ქართველი ფილოსოფოსის მამარდაშვილის სიტყვები, რომელიც ასე ჟღერს: „მიტინგი არ არის ის ადგილი – ტიპოსი, სადაც საღი აზრი იმარჯვებს, რადგანაც აქ ემოციები სჭარბობენ, ემოციებზე მიღებული გადაწყვეტილებები ფუჭია, ხოლო თუ თქვენ გამუდმებულ მიტინგურ სიტუაციაში ხართ, თქვენი გონებაც გადაგვარებულია“. ამ სიტყვებისათვის იგი თავის ქვეყანაში თითქმის ეშაფოტზე აცვეს და იძულებული გახადეს ქვეყანას გაცლოდა.

– დავიღალეთ ღმერთო!!!

– უფალო ჩვენი შემობრუნებითა და ცხოვრებით მოგვეცი საშუალება დავივიწყოთ ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვები – „ამათ რომ ერთი პირი და ერთი საქმე ჰქონოდათ (საუბარია ქართველ თავადაზნაურობაზე, იგივე თავისუფლად ვრცელდება ე.წ. ქართველ პოლიტიკოსთა დიდ უმრავლესობაზეც), ვერც მტერი აწყენდათ რაიმეს და ქვეყანაც კარგად იქნებოდა, მაგრამ ამათი საქმე მუდამ მტრობით, შუღლითა და სისხლისღვრით იწყებოდა და თავდებოდა. ეს საქმე არც მოუშლიათ არც მოიშლიან“ – სიტყვები, რომელსაც სიტუაციებიდან გამომდინარე, თითქოს უცვლელად ვიმეორებთ კრებულ „მატიანეს“ ყოველ მესამე ნომერში.

– ღმერთო გააცნობიერე ეს ხალხი, რომ სიტყვის თავისუფლება, რომელსაც თითქოს ვნატრობდით არ იქნას გამოყენებული ქართველთათვის ყველაზე შეურაცხმყოფელ, აუტანელ დედის გინების თავისუფლებად, აღვირახსნილ ცილისწამებად, ურთიერთგადასაკიდებლად და კიდევ რად, რომელიც მოქმედებაშია და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ღმერთო დაუხშე გზა ალენ დალესის გადაგვარებული ე.წ. მოძღვრების გამოყენებას ჩემს სამშობლოში.

– ღმერთო იხსენი საქართველო სოროსების, ბზეჟინსკების ნარატივით გაჟღენთილი მოძღვრებისაგან.

მოგვეცი ძალა, რომ დავძლიოთ ყოველივე ეს უმსგავსოება, ჩააგონე ქართველებს, რომ იგი მსოფლიო ცივილიზაციის შექმნის სათავეებთან იდგა, მისი ერთ-ერთი შემოქმედია და ამით უნდა ვიამაყოთ და დავიცვათ კიდევაც. ღმერთო ამოსდე ლაგამი ყველა იმას, ვისაც ერის გადაგვარებაზე მიაქვს იერიში...

– უფალო დაგვიფარე ორგული მეგობრებისა და შინაური გამყიდველებისაგან. გარეშე

მტრებთან პრობლემების გამკლავებას, ნაღდი ქართველობა, რომელთაც სამშობლოს სიყვარული ფულზე არ გაუცვლიათ, თვითონვე შეძლებს.

– ღმერთო ასწავლე ჩემს ერს და გვასწავლე ყველას ერთად მტრისა და მოყვრის მკვეთრად გარჩევა...

და ბოლოს, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ვკითხულობთ – „...მართლმადიდებლობა ყოველგვარი უკიდურესობებისგან გამიჯნული სამეუფეო გზაა. აქედან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია თავგანწირვა, მაგრამ მიუღებელია ფანატიზმი, დამახასიათებელია შემწყნარებლობა, მაგრამ მიუღებელია ფსევდოლიბერალიზმი (ყველაფრის დაშვებულობა)“... ასევე შეუცვლელად ვრცელდება ეს შეგონება ქვეყანაზეც, რადგანაც დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ -- „სამშობლოს სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი“... „ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს!“ – ეს გარჯა დღეს 30 წლიანმა მიტინგურმა სიტუაციამ შეცვალა, რასაც ამით ვღებულობთ, კარგად ჩანს. სწორედ ზემოთხსენებულ ბრძენთა მოწოდებები უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის მთავარი გზავნილი მთელი მსოფლიოსთვის, რადგან სხვაგვარად, ამ აპოკალიპტურ პერიოდში, ქართველთა ერთად დგომის, სულიერი სიძლიერის გარეშე, ბოლო ჟამის ივერიას ძალიან გაუჭირდება...

ღმერთო!

იხსენ!

საქართველო!

სამშობლო...

ამინ!

გვიან გავიღვიძეთ

გვიან გავიღვიძეთ – ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული ლაფში ნევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშვები ვართ,
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები.

გვიან გავიღვიძეთ – ჯიშკრები დაღებული!
(ტყემალზე თუ არა ხომ ვსხედით ჯადარზე.)
რის თავისუფლება?! – სამშობლო ნაგებული,
მინები დაყიდული ლეკსა და თათარზე!

დროდადრო ლამის ტვინი ავასხა ყამდე –
ეს ჩემი წყალ–ჯალა რომ მიაქვს, ვისთან მიაქვს?!
მწადს თავი გავუპო პრიმიტივს ამდენს,
ზედ გადავუარო ამდენ ხისთავიანს!

გვიან გავიღვიძეთ – ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული ლაფში ნევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშვები ვართ
სახლი პატრონობას ჩემობენ მდგმურები!

ომარ კაპანაძე – კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი, ვანის საპატიო მოქალაქე

ვანი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან

1963 წელს გაუქმებული რაიონის აღდგენა
რეალობანი, ფაქტები

ვანის რაიონის ისტორიის საკითხებზე თხრობისას ჩვენ აქამდე არ შევჩერებულვართ მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორიცაა 1930 წელს შექმნილი რაიონის გაუქმება და მისი აღდგენა. მკითხველს ამ სტატიით შესაძლებლობა ეძლევა გულდასმით გაეცნოს ამ პროცესსაც.

სოციალიზმის საზოგადოებრივი პოლიტიკური სისტემის დროინდელ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში მაღალ პოსტზე საქმიანობისას ნიკიტა ხრუშჩოვს მიუღია დავალება დედაქალაქის ზოგიერთი ქუჩებისა და სკვერების რეკრიაციული ზონის კეთილმოწყობის თაობაზე, რომელიც უდიდესი „გულისხმიერებით“ მოეკიდა საქმეს და მოსკოვის მშვენება ასწლიან ხეთა კორმები გაუნადგურებია, რომელიც რა თქმა უნდა მოახსენეს სტალინს და გულისწრომით უთქვამს – „შეუშვი ვირი ტაძარში და საკურთხეველს დაგიმტვრევსო.“

ანალოგიური სიბრძნე გამოავლინა მან როდესაც იგი ათასნაირი ხრიკების გავლით მოხვდა მსოფლიო ზეიმპერიის საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის სათავეში და 1963 წელს ადრე შექმნილი (1930 წელს) რაიონების ადმინისტრაციული სამართალსუბიექტების გამსხვილება მოახდინა, თუმცა ეს იმდენად ფორსირებულად და შეუსწავლელად (როგორც მის ვოლენტარისტულ ბუნებას შეეფერებოდა) განახორციელა, რომ რიგ თანმხლებ მოვლენებთან ერთად სწრაფად გამოჩნდა დეგრადირებითი პროცესები და ამ „ბრწყინვალე“ რეფორმამ სხვა რიგ ჩავარდნებთან პარალელურად მისი თანამდებობაზე ყოფნაც შეიწირა. ექსპერიმენტს პარალელში გაჰყვა 1930 წელს შექმნილი ვანის რაიონის ადმინისტრაციული მმართველობითი ორგანოს გაუქმებაც და იგი შეუერთეს ე.წ. მაიაკოვსკის (დღეს და ადრეც ბაღდათის) რაიონს, თითქმის ამით აღადგინეს მეფის რუსეთის დროინდელი საწყისი პერიოდის ადმინისტრაციული დაყოფა, როდესაც ვანის თემსაზოგადოებები ციხესულორიდან ზეინდრის ჩათვლით შედიოდა ქუთაისის მაზრის, ბაღდათის საბოქაულოში, ხოლო ციხესულორიდან მთისძირის ჩათვლით სამტრედიის დაქვემდებარებაში იმ განსხვავებით, რომ ვანის აგრარულ სექტორს 1963-1964 წლებში აკონტროლებდა ბაღდათის ხელმძღვანელი ორგანოები და აკონტროლებდა სოციალურ მიმართულებებსაც, ხოლო სამრეწველო სექტორს მართავდა სამტრედია.

იმ დროისათვის შედარებით მაღალ დონეც კი მოგვარებელ საკომუნიკაციო საქმიან ურთიერთობათა პირობებშიც, ამას ხალხის გაწამების მეტი არაფერი მოუტანია. რაიონის მოსახლეობამ ეს აქტი მიიღო შეურაცხყოფად, რადგან მაშინდელი „მაიაკოვსკის“ რაიონი არაფრით გამორჩეული არ იყო, პირიქით: მოსახლეობის რიცხოვნობით, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონით ინფრასტრუქტურით იგი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ვანს, მიუხედავად იმისა, რომ ვანის რაიონის ეკონომიკისათვის ამ დროისათვის დამახასიათებელია, ზიგზაგობრივი განვითარება (ამაზე ქვემოთ) ამიტომ თუ აქ სიტუაციის გაუმჯობესებაზე მიდგებოდა საუბარი და რაიონების გამსხვილებები (შეერთებები) აუცილებლობით იქნებოდა გამოწვეული, ,მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა შეერთება ეკონომიურად და სოციალურად უფრო განვითარებულზე, რადგანაც ეს გაზრდიდა შესაძლებლობებს საწარმოო ძალების და საშუალებები გადანაწილება-განვითარების თვალსაზრისითაც სასიცოცხლო პრაქტიკული ღონისძიებების განსახორციელებლად, რაც რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ პოტენციალს პერმანენტულად

მზარდს გახდიდა. რადგან ეს ასე არ მოხდა, მოხადა პირიქით, როგორც თანამედროვენი და საქმესთან ახლომდგომი პირნი გადმოგვცემენ, რაიონის ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან გაზიდული იქნა მთელი სამეურნეო ქონება. მაღალი ძაბვის ელექტრო სადენები, საგზაო ტექნიკა, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. დასაჯდომი სკამებისა და რაიონის ცენტრში არსებული პალმების, წიწვიანი და დეკორატიული მცენარეები, რომლებიც გადაიტანეს მაიაკოვსკის რაიონში. პრაქტიკა აჩვენებს რომ ადმინისტარციული ცენტრის, ადმინისტრაციული ერთეულის მოშლა ყველგან და ყოველთვის იწვევს განვითარების შეფერხებას ყველა მიმართულების მიხედვით. იგივე მოხდა ვანის რაიონშიც. დაეცა საწარმოო პოტენციალის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე. შეფერხდა სოციალურ-კულტურული ცხოვრება.

საბოლოო ჯამში ექსპერიმენტმა არ გაამართლა. მას რეგრესის მეტი ქვეყნისა და ხალხისათვის არაფერი მოუტანია და ასევე უარყოფითად იქნა იგი შეფასებული 1964 წელს ნოემბერში მაშინდელი ზესახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს (ხელმძღვანელობის) მიერ, სადაც აღინიშნა რაიონების გამსხვილებების სუბიექტურ ტენდეციებზეც, მის უსარგებლობასა და მიყენებულ ზარალზეც. ბუნებრიავია ხრუშჩოვი გაათავისუფლეს ყველა დაკავებული პოსტიდან. რაიონები კვლავ აღადგინეს მოქმედი სტატუსით. აღადგინეს ვანის რაიონიც.

1964 წლის 29 დეკემბერს გამართული საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის I კონფერენცია (რაინის აღდგენიდან პირველი, თანმიმდევრულად 1963-1964 წლების გამოკლებით XIX) იხილავს ორ პრაქტიკულ მნიშვნელობის საკითხს.

1. „1964 წლის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და ვანის რაიონული ორგანიზაციის ამოცანები.“

2. საქართველოს კომპარტიის ვანის რაიონული კომიტეტის არჩევნები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოვლინებული იყო მაშინდელი კულტურის მინისტრი (ცენტრალური კომიტეტის წევრი) პროფესორი თენგიზ ბუაჩიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა პირველ საკითხზე მოხსენებით გამოსვლა და მეორე, ორგანიზაციული საკითხის კოორდინაცია (პრაქტიკულად რაიონის პარტიული უმაღლესი ხელმძღვანელობის სტრუქტურის, მაშინდელი პოლიტიკური ორგანოს თავიდან ჩამოყალიბება). არჩეულ იქნა რაიკომის მდივნები, დამტკიცდა რაიოკომის განყოფილებათა გამგეები. პირველ მდივნად არჩეული იქნა გივი ყიფიანი, როგორც დრომ დაამტკიცა უზარმაზარი პოტენციალის მქონე პიროვნება, დაუდეგარი, მებრძოლი და შემოქმედი, რომელსაც განვლილი ჰქონდა მართვისა და კოორდინაციის მაღალი, საპასუხისმგებლო თანამდებობები. აქვე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას – ამ ადმიანის ვანში მოვლინებით ვანის რაიონს გაუმართლა.“

1965 წლის იანვარში მოწვეული იქნა ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების (მაშინდელი აღმასრულებელი ორგანო) პირველი მოწვევის მეორე სესია, სესიამ ასევე ხელახლა შექმნა რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები, დაამტკიცა მათი ხელმძღვანელები. ვანის „რაისაბჭოს“ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ხდება ოთარ გიორგაძე, ამით ძირითადში დამთავრდა რაიონის წამყვანი ხელმძღვანელი რგოლებისა და მისი მმართველი ბირთვის ფორმირება. რაიონმა იურიდიულად და ფაქტიურად დაიბრუნა სამართალ-სუბიექტის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსი და სახე.

1965 წლის 17 მარტს რაისაბჭოს სესია ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს, რითაც მთლიანი, სოციალ-ეკონომიკური მართვის, ფისკალური პოლიტიკის სადავეები გადადის ახლადფორმირებული რაიონული ხელისუფლების ხელში.

პრაქტიკულად რაიონი იდგა განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკური მონახაზების შერჩევისა და პრიორიტეტების განსაზღვრის წინაშე. აქედან გამოსაყოფია რამოდენიმე მომენტი:

1. საკადრო პოლიტიკის სფეროში რაიონის პირველი ხელმძღვანელი მოვიდა გაწმენდილ ნიადაგზე და ეს განპირობებული იყო იმით, რომ მაიაკოვსკის რაიონიდან ვანის გამოყოფის შემდეგ, რაიონის ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონი ყალიბდებოდა თავიდან, რითაც

დაშორებული იყო საკადრო რეკოგნოსცირებისა და კადრთა განთავისუფლებით გამოწვეულ პრობლემებს, რომელსაც ახლავს პოლიტიკურ-სოციალური, ასევე მორალურ-ფსიქოლოგიური მომენტებიც. ამდენად, რაიონში პრაქტიკულად არსებობდა ხელმძღვანელი გუნდის შერჩევისა და დაკომპლექტების თავისუფალი არეალი. თუმცა, ეს პროცესიც არ ქმნის სრულყოფილ გარანტიას უცდომელობის თვალსაზრისით. გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი: კადრთა წამყვანი ბირთვი ძირითადში, შეირჩა სწორად, რომელიც დაადასტურა იმ მოქმედებათა სიმძიმის მაქსიმალურად ზიდვამ, რაც შემდგომში რაიონული მასშტაბით განხორციელებულ საქმეებს ახლდა.

2. შედარებით სირთულე იყო რაიონის სახალხო მეურნეობის, სოციალ-კულტურული და კონკრეტულად რაიონის ეკონომიკის მემკვიდრეობის საკითხებში. მხედველობაში იყო მისაღები XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში რაიონის ეკონომიკის ზიგზაგობრივი განვითარების მახასიათებელი (დაახლოებით ქვეყანაშიც ასე იყო) მონოტონურება, დარგთა განლაგებაში დისონანსი და საბოლოო შედეგებში დისპროპორციები. თუმცა არაობიექტურობა იქნება იმის არ აღნიშვნაც, რომ აგრარულ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტწარმოებაში ნებისმიერ დროსაა დისპროპორციული შედეგები მოსალოდნელი, რადგან პროცესს განაპირობებს მრავალგვარი ფაქტორი და მოვლენა, მათ შორის კლიმატური ფაქტორებიც და ჩავარდნები, რაც ამ დროს ყველაზე უფრო დამახასიათებელია სუსტად განვითარებული რაიონებისათვის (მასში შემავალი სოფლებისათვის) მაგრამ აქ, ხელმძღვანელთა სერიოზულობას განსაზღვრავს ის, რომ პროცესს არ მიეცეს პერმანენტული ხასიათი და შესაძლებლობათა ფარგლებში მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული უარყოფითი ტენდენციები.

3. მემკვიდრეობით მიუღებელი უნდა ყოფილიყო აგრარული სექტორის ორიენტირება მონოკულტურაზე, ნატურ მეურნეობაზე, რაც არსად არასდროს არ იძლევა საშუალებას განვითარების მაღალ პოზიციებზე გადასასვლელად. აქედან დამატებითი ფონდების შესაქმნელად, რომელიც გამოყენებული იქნებოდა კვლავ წარმოების გაფართოებისათვის.

4. მიუღებელი უნდა ყოფილიყო დარგთა განვითრების რაიონში არსებული ბაზა. ღრმად იყო ჩასახედი და გასაანალიზებელი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გადამამუშავებელი მრეწველობის ფუნქციონირების მიმართულებები. რაიონში არსებობდა უკიდურესად ჭარბი მუშახელიც, რომელთა დასაქმება ფაქტორთა გამო უმწვავეს პრობლემად უნდა აღქმულიყო. გასაანალიზებელი და დასაძვრელი იყო საკითხთა წყება განათლების, კულტურის, მომსახურეობის სფეროში. ძირითადად მათი მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით. ამ მხრივ წლების განმავლობაში იყო დაგროვილი პრობლემათა წყება და ასე, თითქმის მთელ სოციალურ სფეროში. დეტალური ანალიზი სჭირდებოდა 1963-1964 წლებში რაიონის გაუქმებით და მისი თანამდევი პროცესებით გამოწვეულ ჩავარდნებსა და როგორც ითქვა რიგ პრობლემატურ საკითხს, რომელთა შორისაც იყო კიდევ ერთი, ბუნებრივად ჩამოყალიბებული და ჭკვიანურად წასამართი პრობლემა – ეს იყო რაიონის აღდგენით გამოწვეული დადებითი მუხტი და ემოცია, რომელმაც პრაქტიკულად დაფარა, მოიცვა, რაიონის მოსახლეობა. ეს ფაქტორი ფსიქოლოგიურ ასპექტში ნამდვილად უნდა განხილულიყო, როგორც ენერგიის ახალი წყარო, როგორც რესურსი და რომლის გამოყენებაც, მართლაც მაქსიმალური სიზუსტით შესძლო რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ.

და კიდევ ერთიც, აუცილებელი იყო გადასაწყვეტ საკითხთა დაწესრიგებისას მასებისგან მაქსიმალური ნდობის მოპოვება, რაც უპირველესად მაშინდელმა რაიონის პირველმა ხელმძღვანელმა, გივი ყიფიანმა, თავისი პრაგმატული მოქმედებით ძალიან სწრაფად შეძლო და გუნდსაც შეუქმნა ავტორიტეტი.

ამდენად, რაიონი ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დადგა ახალი, გადასაწყვეტად რთული ამოცანის წინაშე – თუ რაიონის ხელმძღვანელობა არ გააგრძელებდა კოორდინაციის იმ კურსს, რომელიც მემკვიდრეობით ერგო. ამ მოქმედების ფარგლებში მნიშვნელობას იძენდა ოპერატიულობა და მიზანსწრაფულობა, დროის ფაქტორი ხდებოდა გადამწყვეტი, რომელშიც

მოქმედებას არ უნდა მიეღო ექსპერიმენტულ-გაჭიანურებადი ხასიათი. რადგან პოზიციათა დროში გაწელვა, ნახევარზომებით, ნახევარ ღონისძიებებით და ნახევარ შედეგებით საქმის კეთება ახშობს არამარტო ენთუზიაზმს, არამედ იწვევს შეხედულებათა დეგრადაციას, აღრმავებს ნდობის დეფიციტს და ეჭქვეშ აყენებს ხელმძღვანელი რგოლის სერიოზულობას, ქმედუნარიანობას, არაფერს ვამბობ საბოლოო შედეგების თვალსაზრისით. ამის გამოც ყველა გადასაწყვეტი საკითხი მინიმალურ დროში მაქსიმალური სიზუსტით უნდა დალაგებულიყო და შეეძინა პროგრამული ხასიათი. სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა სამოქმედოდ ფინანსურ-მატერიალური ბაზის ჩამოყალიბება, რომელსაც ახლად აღდგენილი რაიონის ბიუჯეტი ბუნებრივად ვერც დაფარავდა და ამის იმედი არც უნდა ჰქონოდათ. საჭირო იყო ინიციატივები და მათი დასაბუთება რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებში, უპირველესად სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში (ეს ორგანო მაშინდელი მოწყობის მიხედვით წარმოადგენდა დაგეგმარების ტვინს და დღევანდელი გაგებით დიდ მარკეტინგულ დაწესებულებასაც), რომელიც უნდა გამხდარიყო საფუძველი სახელმწიფოებრივი დახმარების მიღებისა. ყველა მიმართულებიდან ჩანს, რომ მუშაობა ამ კუთხით სერიოზულად მიდიოდა. 1965 წელი დაახლოებით ასეთი ძიებებითა და მოქმედებით ხასიათდება. თუმცა, იმავე წლის ივნისიდან უკვე იკვეთება დასაბუთებული დირექტივებიც, რომელიც წამოვიდა პრაქტიკული მოქმედების პარალელურად. კონკრეტულად 29 ივნისს საქართველოს კპ ვანის რაიოკომის პლენუმი იხილავს საკითხს რაიონის კოლმერნეობებში (აგრარული სფეროს ძირითად რგოლებში) მრავალწლიანი კულტურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესებების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ, რომელშიც მოცემულია შეფასებები რაიონში დარგთა განლაგებების, ფონდუკუგების, ინტესიფიკაციის, მართვისას დაშვებული შეცდომების და ა. შ. თაობაზე პირდაპირაა მითითებული: – „მრავალწლიანი კულტურების განვითარების დონე რაიონში არადამაკმაყოფილებელია“. 60-იანი წლების დასაწყისის მონაცემებით ეს, მართლაც ასეა. აქ, როგორც ანალიზი აჩვენებს, მარტო დისპროპორციებსა და თანმდევ ეკონომიკურ მონაცემებზე კი არაა საუბარი, არამედ დარგთა ექსტენსიური განვითარება იქცა ბარიერად, პლენუმს ყურადღების გამახვილება მოუწია იმაზეც, რომ დარგთა სრულყოფის საკითხებში ნაჩვენები მონაცემები არ შეესაბამებოდა არსებულ ფიზიკურ მონაცემებს და ა.შ. გამართული მსჯელობა ადასტურებს ახალი სამოქმედო დირექტივის ჩამოყალიბებას და იგი პრაქტიკულად შეხებაში მოდის რაიონში დომინირებულ თითქმის ყველა დარგთან – მეხილეობასთან, მეჩაიეობასთან, მედაფნეობასთან. უპირატესი დამოკიდებულება გამოიკვეთა ვაზის კულტურისადმი: „ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ზეინდრის, დიხაშხოს, ამაღლების, საპრასიის, ბზვანის, დაბა ვანის, შუამთის, ციხესულორის, ტობანიერის ფართობებზე, რომლებიც გამოდგება ვაზის გასაშენებლად, მოვაწყოთ ქარსაფრები და შევქმნათ პირობები სამექანიზაციო სამუშაოებისათვის... აუცილებელია გვქონდეს 15-20 ჰექტარი სადედე მეურნეობა“. ეს დირექტივა მეტნაკლებად ეხებოდა რაიონში მოქმედ თითქმის ყველა, 24-საზოგადოებრივ მეურნეობასა დრომ დაადასტურა; რაიკომის პლენუმზე საკითხის ასეთი შემოტრიალება იყო პროგრამულ გათვლებზე ჩამოყალიბებული კოორდინაციის ცვლა აგრარულ სექტორში. იწყებოდა იგი ერთწლიანი კულტურებიდან, კონკრეტულად მებოსტნეობის სასაქონლო პროდუქტწარმოებაზე გადაყვანასთან ერთად, მთელი აგრარული სექტორისათვის ნატურალური წარმოებიდან ასევე სასაქონლო პროდუქტწარმოებაზე გამიზნული მიმართულების მიცემით, რასაც უნდა მოჰყოლოდა დარგთა კონცენტრაცია, ინტენსიური განვითარება და მარცვლეული კულტურების (ასევე სხვა დარგების) მოსავლიანობის უწყვეტი ზრდა. უნდა შეკრულიყო აგრარული სფეროს ახლებურად განვითარების ციკლი – ეს ერთი.

მეორე – ამ პერიოდში და შემდეგაც არსებობდა განსხვავებული მოსაზრებანი მითითებული დარგების განვითერებაზე და ეს ბუნებრივი მოვლენაა. ერთი ასეთი ჩამოყალიბებული შეხედულება, განსაკუთრებულად ვაზის კულტურის განვითრებაზე გამოაქვეყნა რაიონულმა გაზეთმა „კოლმეურნის მნათათობ“-მა 1961 წელს და შეიძლება ჩაითვალოს, რომ გამოხატავდა

რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის აზრსაც და დამოკიდებულებასაც. რადგან მოსაზრება დატოვეს უკომენტაროდ, სპეციალისტთა გამოხმაურების გარეშე აწ გარდაცვლილ ავტორს შეგნებულად არ ვუთითებ, მითუმეტეს იგი გამოცდილი და ანგარიშგასაწევი სპეციალისტი იყო და ბუნებრივია, ჰქონდა შეხედულებათა ჩამოყალიბების უფლება. როგორც ითქვა ჩანს მას ეთანხმებოდნენ.

„ – ჭალებში ვაზის გაშენება, გრუნტის წყლების სიახლოვეს, ვეგეტაციის პერიოდში ფიონური ქარების გავრცელება, სადრენაჟო სისტემის მოწყობა, ქარსაფარი ზოლის გაშენება ითხოვს დიდ დანახარჯებს“. პრაქტიკულად ეს მინიშნება ეხებოდა ყველა იმ ფართობს, რომელიც ოთხი წლის შემდეგ განაშენიანების პერსპექტივით განისაზღვრა. მოყვანილი ციტატა რეალობის ელემენტებს ნამდვილად ატარებს, მაგრამ მასშივე ჩანს ისიც, რომ 60-იანი წლების დასაწყისშიც ჭალის ფართობების ვაზის კულტურის ქვეშ ათვისება დღის წესრიგში დამდგარა და შეჩერებულა კიდეც. მოყვანილ ციტატაში ორი ფაქტორია საგულისხმო: მოქმედება კონკრეტულ ან ჩამოყალიბებულ ფსიქოლოგიურ ფაქტორთა გამო ვერ ხერხდება და საშიშია სიძნელეთა გადალახვა, ან არ არსებობს საშუალებანი მისი დაძლევისათვის.

უპირველესად მხედველობაში მისაღებია ის, რომ ვაზი არის უდიდესი უკუგების კულტურა. მას აქ ოდითგანვე აშენებდნენ ზღვის დონიდან 250-600 მეტრ სიმაღლის ზოლში, იშვიათად უფრო მაღლაც შედარებით დაფერდებულ ადგილებზე, ე.წ „მზის გულზე“, მაგრამ აქ ნაკლები რეალობაა მექანიზაციის გაშლის, დარგზე ინტესიური მიმართულების მიცემის, ამის გამოც იგი მაქსიმალურად ეყრდნობა ხელით შრომას, რაც შემაფერხებელი პირობაა დარგის მასიური განვითარებისა და აგროტექნიკური მომსახურეობის ოპტიმალურ დროში ჩატევისათვის. მითუმეტეს პროცესის ამდაგვარ ჭრილში დაყენება არ ზღუდავდა და არც ავიწროებდა ტრადიციულ ადგილებზე ვაზის ჯიშების გაშენებასაც, პირიქით. ამდენად, ვაზის, როგორც კულტურის, დამატებითი განლაგება დაბლობ ადგილებში, როგორც სექტორის გაფართოება-განვითარება განპირობდა მისი ინდუსტრიულ-მექანიზებული მომსახურების ყაიდაზე გადაყვანის თვალსაზრისითაც და ამ დროს შესაძლებლობაც გაჩნდა ამ მიმართულების სამუშაოთა განხორციელებისათვისაც და კიდევ ერთი ფაქტორი: აქამდე ვაზის აბსოლიტურად დიდი ნაწილი მოქცეული იყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთებში, ხოლო აქედან დამატებით, კოლმეურნეობათა ფართობებზე მისი განაშენიანება ეკონომიკურ უკუგებას აძლევდა შესაბამის სამეურნეო დანაყოფებს – კოლმეურნეობებს.

როგორც ხსენებული პლენუმიდან, ასევე, ამავე პერიოდის საქმიანი შეხვედრებიდან, ხელმძღვანელი რგოლის მსჯელობებიდან ჩანს, რომ აგრარულ სექტორს ეძლეოდა და იღებდა იგი სასაქონლო პროდუქტწარმოების შემდეგ ძირითად მიმართულებებს – მევენახეობა, მეხილეობა (მეხილეობასთან დაკავშირებით პოზიციები დამატებით გამოიკვეთა 1967 წელს განვითარებული სტიქიური მოვლენების შემდეგ. ამაზე ქვემოთ) მეჩაიეობა, ერთწლიანი კულტურებიდან წამყვანი მებოსტნეობა, ასევე მემარცვლეობა, რომელსაც ძირითადში უნდა ჰქონოდა ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფუნქცია და მეცხოველეობის პროდუქტწარმოება. კონტექსტში იჯდა მეაბრეშუმეობა, რომელიც ასევე შემოსავლიანი დარგია და რომლის წარმოებაც 100-105 ტონის ფარგლებში მერყეობდა იმ დროისათვის დამაკმაყოფილებულს მიახლოებული ბაზით.

ყველა ამ პროცესთა დალაგების ფონზე თვალნათლივ ჩანს, რომ რაიონის აგრარული სექტორი იყო და რჩებოდა მრავალდარგოვნად და ამ ბაზაზე ყალიბდებოდა ახალი ორიენტაციები და ახალი მოთხოვნები დამახასიათებელი სირთულეებით, მაგრამ საკითხთა გადაწყვეტის აუცილებლობით.

ყოველივე ზემოთქმულისა და შემდგომში მოქმედებათა პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან (1965 წელი – რაიონის აღდგენიდან) იწყება დაგეგმილი მოქმედება დარგთა კონცენტრაციისა და სპეციალიზაცი-

ის განსახორციელებლად, პროცესი იძენს, მიზანმიმართულ ხასიათს ვიდრე ეს იყო. რაც ასევე უნდა შეფასდეს, როგორც რაიონის აგრარული სექტორის ირგვლივ მანამდე ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ცვლად, სოფლის მეურნეობის დარგთა ინდუსტრიულ ყაიდაზე თანდათანობით გადასაყვანად. ამის პრაქტიკული განხორციელების შედეგად მივიღეთ შემდეგში რაიონის გადამამუშავებელი მრეწველობის ინტესიური გაფართოებაც, რადგან აღებული კურსის საფუძველზე თანმიმდევრულად ჩნდება ნედლეულის ადგილობრივი ბაზა მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მებოსტნეობის და ა. შ. როგორც ითქვა კონცენტრირებული, სპეციალიზებული და მასიური სექტორის სახით და რასაც პრაქტიკულად გაჰყვა დამატებითი ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობის საფუძველჩაყრა და გაფართოება... ეს იყო საკითხთა პრაგმატული და სწორი გადაწყვეტა, რომლის დინამიკა შეუჩერებლად გრძელდებოდა 1990 წლის ბოლომდე.

პრობლემათა წყება იყო გადახლართული რაიონის სოციალურ-კულტურული და განსაკუთრებით სასწავლო სააღმზრდელო მატერიალურ სფეროში. ამ პერიოდამდე, ბოლო 23 წლის მანძილზე რაიონში არ აშენებულა თითქმის არცერთი კაპიტალური ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება. მოსწავლეთა კონტიგენტის 8851- მოსწავლიდან მეორე ცვლაში მეცადინეობდა 3000- მოსწავლე, რაც ზამთრის კლიმატურ და უშუქობის (მაღალმთიანი სოფლები ჯერკიდევ არ იყო ელექტროფიცირებული) პირობებში ქმნიდა დამატებით სირთულეებს. სუსტად იყო განვითარებული სკოლამდელი აღზრდის ქსელი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ბაზა. როგორც სკოლების დიდი ნაწილი, ასევე კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ ადრეულ პროცესში (სოციალიზმის საწყის ეტაპზე) აგებულ ხის შენობებს, ასეთივე იყო მათი ინვენტარ-მოწყობილობათა აღჭურვილობა. ამიტომ რაისაბჭოს აღმასკომის სესიაზე ამ დროს განხილული საკითხი „რაიონში საყოველთაო სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარების ღონისძიებათა შესახებ," ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ საპროგრამო მიმართულებათა მაჩვენებელია, რაც რაიკომთან ერთად მოქმედების საფუძველს უქმნიდა ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ძვრების დაწყებას, მის კოორდინაციას.

საქმის კეთება ითხოვდა უზარმაზარ ენერგიას, ინიციატივას, რისკსაც და გამბედაობასაც, რადგანაც განვითარების არსებული დონე რაიონს უავტორიტეტო, უკანმდევართა, როლში მოაქცევდა. პროცესს ართულებდა უდიდესი ფაქტორი იმისაც, რომ ქვეყანამ (საბჭოთა კავშირმა) გადაიხადა მსოფლიოში არნახული ომი. 60-იანი წლების დასაწყისში იგი 15 წლის დამთავრებული იყო, რაც გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში ქმნიდა შემაფერხებელ პირობებს, რადგანაც უზომოდ დიდი იყო ომით გამოწვეული ნგრავის მასშტაბები.

1966 წლის 2 და 26 აპრილს გამართული სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირი და რაიკომის პლენუმები, რაიონის პერსპექტიული ამოცანების განხილვას მიეძღვნა და შეაჯამა 1965 წლის შედეგები, აჩვენებდა რომ რაიონის ეკონომიკური ბაზის მომზადებისა და ამოქმედების კურსი ძირითადად ემთხვევა გამიზნულ პარამეტრებს, რომ ძვრები შესამჩნევია, რესურსები და რეზერვები ჩართულია მოქმედებაში, რაც უნდა შეფასდეს როგორც შემოტრიალება (გარდატეხა) რაიონის სახალხო მეურნეობაში. ხსენებულ პლენუმზე დაკონკრეტდა რა მონაცემები, მან იმავდროულად წინა პლანზე დასვა ის მიმართულებები, რომლებმაც უნდა სრულყოს აღებული კურსი, ამიტომ მცირე ამონაწერს მოვიყვან უცვლელად: – „შევქმნათ წინამძღვრები კულტურული მემკვიდრეობისათვის, ჭარბტენიანი სავარგულების გამოშრობისათვის... 1965 წელს 502 ჰექტარზე მოეწყო დამშრობი ქსელი, 1966 წელს 5 თვეში დამშრობი ქსელის გაფართოების მიზნით შესრულებულია ბზვანსა და ამაღლებაში 20 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო.... ჩვენს პირობებში, მაქსიმალური ღონისძიებანი განხორციელდა მდინარეების ადიდებისას მიწების წალეკვის წინააღმდეგ სამუშაოთა შესასრულებლად – ზეინდარში რიონის მარცხენა ნაპირზე მოეწყო ორკილომეტრიანი ზვინული, ჭყვიშში შესრულდა 1470 კუბური მეტრი მიწის სამუშაო. აქვე, მდინარისაგან გადარეცხვის საშიშროების თავიდან ასაცილე-

ბლად შესრულდა 42100 კუბმეტრი მიწის სამუშაო.[1] გადაგვაქვს ყურადღება მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლების შექმნა-გაფართოებაზე (სამწუხაროდ ყოველივე ეს 90-იანი წლებიდან მასიურად განადგურდა). უახლოეს დროში უნდა გადავდგათ ნაბიჯი უნაყოფო მიწების მოსავლიანობის გადიდებისათვის და იქ ერთწლიანი კულტურების თესვისათვის... უნდა აიკრძალოს ტყე კაფის აღება, დავიცვათ ტყე და ამით გამოვრიცხოთ ეროზიის განვითარება".

მარტო ამ მოკლე ამონაწერითაც ჩანს იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომელიც საფუძვლად ედებოდა კულტურული მიწათმოქმედების განვითარებასა და ბაზის გაფართოებას. ეხლა რაც შეეხება დარგთა განლაგებისა და აგრარული სექტორის სასაქონლო პროდუქტწარმოებაზე გადაყვანისათვის ფუნდამეტის მომზადებას.

რაიონის პირველი ხელმძღვანელი ანგარიშს აბარებს საზოგადოებას, მშრომელებს, რაიკომის პარტიულ კონფერენციაზე მიღებულ სადირექტივო დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. იმდროინდელი საქმიანი კონკრეტულად ხელმძღვანელი მუშაკებისათვის ეს არ წარმოადგენდა შეხვედრების უჩვეულო ფორმატს. იგი იყო ხალხთან ურთიერთობის ურთიერთანგარიშგების, მასების აზრის მოსმენის და გაზიარების, პრობლემატიკის ახლო გაცნობიერების მეთოდი. რაიონის ხელმძღვანელის გამოსვლაში აღნიშნულია: „1965-1966 წლებში რაიონის საზოგადოებრივ სექტორში გაშენდა 670 ჰექტარი ვენახი, გაცილებით მეტი ვიდრე გასული 30 წლის მანძილზე. არსებობს წინაპირობა, ვაზის გაშენებისა დამთავრდეს 1966 წელს, თუმცა ვაზის გაშენება ჯერ კიდევ მიმდინარეობს სხვა რაიონებიდან შემოტანილი (შესყიდული) ნერგით, რაც ზრდის თვითღირებულებას. ეს იძულებითი პრაქტიკა უნდა დაიძლიოს, საჭიროა ამ მიმართულებით ადგილობრივი, მყარი ბაზის შექმნა". ამიტომ ხაზგასმა კეთდება იმაზე, რომ უკვე ვაზის სანერგე მეურნეობები თავმოყრილი იქნა ამაღლების, ზეინდრისა და გორას კოლმეურნეობებში (ცნობისათვის: რაიონის ერთიანი, მრავალმიმართულებიანი, კონცენტრირებული სანერგე მეურნეობა შეიქმნა ცოტა მოგვიანებით) და ამ ბაზიდან 500-ათასი ნერგის მაგივრად მიღებულია 3-ჯერ მეტი, 1.5 მთლიანი ცალი. 1967 წლისათვის იგეგმება ამ მონაცემების გაზრდა 2 მილიონამდე, რითაც უნდა გადაწყდეს რაიონის მევენახეობის, როგორც დარგის საკუთარი ნერგით უზრუნველყოფა."

„1965 წლის დასაწყისში რაიონის კოლმეურნეობები 500 ჰექტარ ხილის ბაღს ფლობდნენ (რაიონში ამ დროსაც მიმდინარეობს კოლმეურნეობათა გამსხვილებები 1965 წლის დასაწყისის 24-დან დარჩენილია 21) იმავე წლის გაზაფხულზე გაშენებული იქნა 208; 1966 წელს 311-ჰექტარი ხილის ბაღი, პერსპექტივაშია ხილის ბაღების ფართობის აყვანა 1800 ჰექტრამდე.

1967 წელს 1966-თან შედარებით რაინმა აწარმოა 342 ტონით მეტი ბოსტნეული. იგი 150 ჰექტრის ნაცვლად ითესება 275 ჰექტარზე, სავარაუდოდ მოსავალი 1700-1800 ტონაა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი იყო სახელმწიფო მოთხოვნა აბრეშუმის პარკზე, ბოლო 15 წლის მანძილზე (1950-1964 წლები) ნაცვლად გადიდებისა რაიონში შეამცირეს თუთის პლანტაციები, რითაც საფრთხე შეექმნა ამ სფეროში პროდუქტწარმოების სტაბილურ ზრდას(თუმცა, შემდგომ პერიოდშიც მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოში თუთის გავრცელებულმა დაავადებებმა, რის გამოც რაიონში თავიდან შეიქმნა საჭირო მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის ფეხზე წამოყენება), ამიტომ 1966 წელს სოფელ შუამთაში მოეწყო თუთის სანერგე მეურნეობა 130-ათასი ძირის წარმადობით, ხოლო სოფელ ტობანიერში თუთის სათესი სკოლა 2-ჰექტარზე, რომლიდანაც მიღებული უნდა ყოფილიყო 1.5 მილიონი ძირი ნერგი. ამდენად, რაიონში აგრარული სექტორისათვის, რომელიც ამ პერიოდისათვის წარმოადგენდა ადგილობრივი ეკონომიკის ხერხემალს, თანმიმდევრულად იქმნება პრიმატი პრო-

---

1. ცნობისათვის: 1930-იანი წლების მონაკვეთზე დღევანდელი ვანის „საყანჩიას" ტერიტორია წარმოადგენდა დაჭაობებულ ადგილს (ე.წ. მალარიის ბუდეს) მაშინდელმა კომკავშირის რაიონულმა ორგანიზაციამ, ახალგაზრდებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ქავთარია და მანუელ მესხი ბარებითა და თოხებით გადაჭრეს სამ კილომეტრიანი არხი და ტერიტორია განტვირთეს ჭაობიანი ადგილებისაგან, რითაც აღკვეთეს მალარიის ბედია არსებობა და ტერიტორია გახადეს ვარგისი სამეურნეო საქმიანობისათვის.

გრესირებისათვის. პარალელურად მტკიცდება მისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-ტრაქტორთა პარკი, უკვე აერთიანებს 150-ზე მეტ ტექნიკურ საშუალებას რაიონისათვის ახლადაგებული სერვისით ე.წ. „საქსოფლტექნიკის“ სრულყოფილი საწარმოთი. ძირფესვიანად იცვლება მეცხოველეობის, როგორც დარგის ბაზაც კაპიტალური შენობებით, მწყემსთა სადგომებით ე. წ. დასასვენებელი ოთახებით – „წითელი კუთხეებით“. დარგი ელექტროფიცირებული ხდება მთლიანად 1967 წელისათვის. ყურადღების გადატანამ და შიძლება ითქვას მომთხოვნელობის გამკაცრებამ მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სისტემაში მოიყვანა მათი მდგომარეობა სეზონურ, ალპურ საძოვრებზე. ამ მხრივ რაიკომმა დააწესა სპეციალური დეკადები. აღნიშნულ ადგილებში კოლმეურნეობები დაავალდებულა და საბოლოოდ გააკონტროლა კიდევაც, მაქსიმალურად მიეხედათ ალპურ საძოვრებზე მწყემსთა მდგომარეობისათვის, ხოლო სამედიცინო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი, სავაჭრო ქსელი შეატრიალა იქითკენ, რომ მეტი გულისხმიერება გამოეჩინათ ამ ადამიანებისადმი, რომლებიც მაღალ მთაში ეწეოდნენ მძიმე შრომას, პარალელურად რაიონის მეცხოველეობის სექტორში უწყვეტად მიმდინარეობდა ჯიშთა განახლება, რასაც უნდა უზრუნველელყო რაიონის პირობებისათვის მაინც დარგში მაღალმწარმოებლობა. ამავე პერიოდისათვის მშენებლობაშია საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ახალი შენობა 6-ათასი პროდუქტიულ ფრთა-ფრინველზე.

რაიონში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება იყო გადასატანი, რაიონის მაღალმთიან სოფლებზე, მათი სოციალური და კულტურული მოწესრიგების საკითხებზე, რომლის უნდა ითქვას, დროისა და განვითარების მიმდინარეობასთან შედარებით ჩამორჩენილობა ზრდიდა მიგრაციის (ძირითადად ახალგაზრდული ნაწილის) კოეფიციენტს. ამდენად პირველი შეტევა აქ უნდა განხორციელებულიყო საკომუნიკაციო სექტორის უზრუნველსაყოფად. სამიმოსვლო გზებს განეკუთვნა უზარმაზარი დატვირთვა, რადგან მითითებული ზონა სატრანსპორტო მომსახურეობის თვალსაზრისით თითქმის ყურადღებიდან იყო გამორჩენილი და რომლის შედეგიც იყო, ალბათ, უმკაცრესი რეაქცია პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროსი, რომელზედაც რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს თითქმის ყველა დონის ხელმძღვანელი დახსნეს თანამდებობიდან. დასჯას ვერ გადაურჩნენ რიგი სოფლების ხელმძღვანელებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამიმოსვლო გზებთან, როგორც საკომუნიკაციო საშუალებებთან, რაიონს წარსულიდანაც არ გააჩნდა მყარი საფუძველი მემკვიდრეობის თვალსაზრისით. წყაროები ადასტურებენ, რომ 30-40-აინ წლების საწყისებში რაიონის ცენტრში გავლა შეუძლებელი იყო. 1958 წლამდე არ არსებობდა არცერთი კილომეტრი ასფალტირებული გზა, ამიტომ იოლი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა მდგომარეობა რაიონის პერიფერიულ ნაწილში, მითუმეტეს, როგორც ითქვა, პრობლემა არც 60-იანი წლების დასაწყისისათვის იყო მოწესრიგებული. რაიკომმა და რაიონული საბჭოს აღმასკომმაც გაამკაცრა მომთხოვნელობა სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობებისადმი, რომლითაც პრაქტიკულად აიძულეს ისინი ადგილობრივი სახსრებითა და ძალებით, რაიონიდან დახმარებასთან ერთად, შედარებით მოკლე დროში „პირველ დონეზე“ მოეწესრიგებინათ ეს საკითხი. განხორციელდა სამუშაოები, ხიდებოგირების მშენებლობის საქმეში, საჭირო ადგილებში ჩაიდგა 470 ცალი დიდი გამტარიანობის რკინაბეტონის მილები, რაიონმა ბიუჯეტიდან გაიღო თანხები. პრობლემის „პირველ დონეზე“ დაწესრიგებას მოჰყვა, მაღალმთიან სოფლებში სამარშუტო ავტოტრანსპორტის დანიშვნა, რომელიც ასევე ატარებდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ დატვირთვას, რადგან ამით სოფლის მაცხოვრებელი (გლეხი) თავის მიერ შექმნილი ჭარბი პროდუქციით, თავისუფლად დაუკავშირდა რაიონისა და ძირითადში სამტრედია-ქუთაისის ბაზრებს, რითაც მათ გაუჩნდათ დამატებითი შემოსავლის წყარო.

რაიონის სოციალურ-კულტურული ცხოვრების გზაზე შემოტრიალების ფაზად უნდა ჩაით-

ვალოს მაღალმთიანი სოფლების ელექტროფიცირება. მართალია იგი ცენტრალიზებულად, სახელმწიფო პროგრამით, მიმდინარეობდა, მაგრამ მნიშვნელოვნად ბევრი რამ დამოკიდებული იყო რაიონზე, სოფლებიდან დახმარების კოორდინაციაზე, რომელიც ასევე ჯეროვანი ენთუზიაზმის ქვეშ მიმდინარეობდა და ხელშემწყობ ფაქტორად იქცა სამუშაოების დროულად დამთავრებისათვის. დაიწყო იგი 1966 წელს და 1967 წლის ბოლოსთვის რაიონი თითქმის მთლიანად იქნა ელექტროფიცირებული, რითაც პრაქტიკულად მოეხსნა სოციალურ-კულტურული პრობლემების ერთი, უძირითადესი საკითხი.

საინტერესო სურათს იძლევა სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობათა პროცესები, მისი დიაპაზონი. ნაწილობრივ ამ საკითხს შევეხეთ და ალბათ კიდევ მოგვიწევს შეხება პერიოდების მიხედვით სხვადასხვა კონტექსტში, მაგრამ აქ მოქმედების ამ სივრცეში, მნიშვნელობას იძენს საკითხთა მომზადების, დასმისა და გადაჭრის ოპერატიულობა. ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე. 1965-1967 წლების შუალედში, აშენდა შუაგორას საშუალო, ციხესულორისა და მუქედის 8-წლიანი სკოლების შენობები. მშენებლობაშია ქ. ვანის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის, სალხინოს სკოლის II კორპუსის, ამაღლების საშუალო, ფერეთას სკოლები. კაპიტალური მიშენებები უტარდებათ მიქელეფონის, ზედაგორას და ძულუხის 8-წლიან სკოლებს. აღნიშნული სამუშაოების მოცულობაზე იხარჯება 400-ათასი მანეთი. იმაზე მეტი რაც რაიონის ამ სფეროზე დაიხარჯა ბოლო 10-წლის მანძილზე 1966-წლამდე (მითითებული ფულის კურსი საკმაოდ მყარი და დღევანდელისაგან განსხვავებით დიდად მსყიდველობით უნარიანი იყო). მიმდინარეობს სოფლებში მცირეკომპლექტიანი საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის შენობათა გამოთავისუფლება, რაიონის ცენტრში იგება ახალი კაპიტალური საბავშვო ბაღი, სოფლების ნაწილში იწყება „კლუბ-კანტორების“ მშენებლობა, რომელიც ქმნიდა არა მარტო სოფლის ხელმძღვანელი ორგანიზაციებისათვის ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშემწყობ პირობებს, არამედ ძირითადად კულტდაწესებულებათა ობიექტების ახალ სრულყოფილ განლაგებას. ამ მუშაობამ შემდგომში, განსაკუთრებით XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ფართო გასაქანი მისცა საგანმანათლებლო, კულტურულ სფეროში გრანდიოზულ მშენებლობათა განხორციელებას (ამაზე ქვემოთ) და რადგან სამშენებლო პროცესს ვეხებით საჭიროდ ვთვლი დავუმატოთ: ამ პერიოდისათვის რაიონის ცენტრში შენდება 40 ადგილიანი სასტუმრო, კაფე-რესტორანი, ბანკი, აფთიაქი, 24 ბინიანი (სხვათა შორის რაიონის სინამდვილეში პირველი ფართო მასშტაბიანი) საერთო საცხოვრებელი, რკინა ბეტონის ხიდი მდინარე სულორზე, საკოლმეურნეო ბაზარი, კინოთეატრი, მთავრდება სარაიონო კულტურის სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და აღჭურვა აუცილებელი ატრიბუტიკით, საფუძველი ეყრება სამშობიარო სახლს. ძირითადში მოიხაზა კურორტ სულორის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მთავარი მიმართულებანი, რითაც დაიწყო კურორტის მატერიალური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული ბაზის თავიდან ჩამოყალიბება და ა.შ.

ვფიქრობ, ისეთი პატარა რაიონისათვის, როგორიც ვანია, მოკლე დროში (1965-1966 წ.წ.) სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ასეთი ძირეული ცვლა ცოტას არ ნიშნავდა.

1966 წლის 8 ოქტომბერს რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა, რაიონსა და რაიონს გარეთ მოღვაწე მამულიშვილებთან. როგორც ჩანს იგი დაამთხვიეს „სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღეს,“ რომელზედაც რაიკომის პირველმა მდივანმა გივი ყიფიანმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო არა მარტო გაწეული საქმიანობის შედეგები, არამედ პრაქტიკულად ამ შეხვედრაზე ჩამოაყალიბა და წარადგინა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემდგომი, სრულყოფილი პროგრამა, საკმაოდ გრძელვადიანი მიმართულებით, რომელიც მეტ-ნაკლები კორექტირებებით, რაიონის სასარგებლოდ, ხორციელდებოდა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე.

9 ოქტომბერს რაიონის ცენტრში იხსნება მნიშვნელოვანი სპორტულ-კულტურული ნაგებობა – ცენტრალური სტადიონი, რომელზედაც განსაკუთრებულ ხაზგასმას იმისთვის ვაკეთებ,

რომ იგი (ისე როგორც არაერთი სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტი) შენდებოდა ენთუზიაზმის ქვეშ. დაბისა და სოფლების თითქმის ყველა ძალის მონაწილეობით. განსაკუთრებით სოფლებისა და ახალგაზრდობის მიერ ე.წ. „შაბათობის“ წესით და ამავე წესით უზრუნველყვეს რაიონის მასშტაბით 40-მდე მარტივი ტიპის სპორტული და გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა. რაიონის ცენტრალურ სტადიონთან დაკავშირებით ეს წვლილი გაცილებით დიდია, რადგან საქმისაგან მოუწყვეტლივ, დაბის შემოსასვლელში ამოშრობილ იქნა 15 ჰექტარზე მეტი ჭაობი და მის ადგილზე გაშენდა 5000-ადგილიანი სტადიონი, როგორც მაშინ უწოდეს კომბინატი, რადგან მის ირგვლივ ჩაფიქრებული იყო სპორტული კომპლექსის შექმნა. თუმცა ეს კომპლექსი საბოლოოდ აშენდა XX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში, როცა ხსენებულ სტადიონს ჩაუტარდა ძირეული რეკონსტრუქცია და მის ირგვლივ განლაგდა შესაბამისი სპორტული ბაზები ტექნიკური აღჭურვილობით, ღია და დახურული ტრენაჟორებით, დიდი სპორტული დარბაზით.

1965-1966 წლის შედეგებმა აჩვენა, რომ აღებული კურსი იყო სწორი. თუმცა, არსებული რესურსებისა და რეზერვების მარაგი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არსებობდა იმ სხვაობით, რომ მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა მოქმედებაში მათი მაქსიმალურად ჩართვა. გამომდინარე აქედან რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი დაჩქარებულიყო კოლმეურნეობათა ეკონომიკური ბაზის განმტკიცება შინაგანი რეზერვების სრული და რაციონალური გამოყენების გზით (ასევე წამყვან დარგებშიც), რისი ანალიზიც დარგების მიხედვით დაევალათ სპეციალურად შექმნილ კომისიებს, რომელთა მიერ შესწავლილი მასალები შემდგომში საფუძვლად დაედო პარტიის ვანის რაიკომის ბიუროსა და აღმასკომის სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც ასევე სამოქმედო პროგრამის სახით ჩამოყალიბდა. 1967 წლის 23 იანვარს რაიონული აქტივის კრება კვლავ შეეხო ზემოაღნიშნულ საკითხს და რაიონში განვითარებად სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, რადგანაც რაიონის საბიუჯეტო მოწყობის საქმეში 1965-1966 წლებში გადადგმული ნაბიჯები იძლეოდა მეტი გაქანების შესაძლებლობას. ეს ჩანს იქიდანაც, რომ 1967 წლისათვის ბიუჯეტი ორივე ნაწილში დაიგეგმა 3 მილიონამდე მანეთით, ბუნებრივია ეს არ იყო რესპუბლიკისაგან სრულად დისტანცირებული მონაცემები და იგი კვლავ დოტაციურ სახეს ატარებდა. მაგრამ ეს ბუნებრივი მოვლენაა იმ რაიონებისთვის, რომლებიც ეს-ესაა ფეხზე დგებიან და იწყებენ საკუთარი ეკონომიკისა და უდეფიციტო ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აქედან მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბიუჯეტის მთელი მოცულობის 86-პროცენტი უკვე მიმართული იქნა რაიონის მასშტაბით განსახორციელებელი სოციალურ-კულტურული ღონისძიებების უზრუნველყოფაზე და ბიუჯეტის მოცემული ჭერი კონკრეტულად ადგილობრივ შემოსავლებს წარმოადგენდა.

მე არ ვუჭერ მხარს იმ გადაჭარბებულ აჟიოტაჟებს, რაც ანალოგიური ღონისძიებების განხორციელებას თან სდევდა, მაგრამ არც მისი ნონსესამდე დაყვანა მიმაჩნია სწორად, იგი გარკვეულ წილად უწყობდა ხელს საზოგადოებრივი ძალების მობილიზებას, დამატებითი პასუხისმგებლობის გაჩენას, ხოლო ამ შედეგების მისაღწევად გამოიყოფოდა დამატებითი საშუალებანი, რესურსები, ფინანსები, როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკის ჭარბი შემოსავლებიდან და ყოველივე ამის ქმედუნარიანობა კონტროლდებოდა. ეს რეალობაა და როგორადაც არ უნდა შეაფასონ იგი დღეს, საქმეში ჩაუხედავმა იდეოლოგებმა“ ფაქტი ფაქტად რჩება და კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც ჭარბად შუქდებოდა მაშინდელი რაიონული საინფორმაციო საშუალებებით და ვთვლი რომ საჭიროებაც იყო.

დავიწყოთ იმით, რომ რაიონის გაუქმებასთან ერთად გააუქმეს ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანო „კოლმეურნის მნათობი“ 1963-1964-1965 წლებში ვანს ემსახურებოდა სარაიონთაშორისო გაზეთები „დროშა“ და „წინსვლა“. რაიონის აღდგენიდან ერთი წლის შემდეგ კვლავ აღდგენილი იქნა რაიონული ბეჭდვითი ორგანო ოღონდ ახალი სახელით „განთიადი:“ (1988 წელს მას ეწოდა„საჩინო“) ცოტა მოგვიანებით შეიქმნა და რაიონი ჩართული იქნა ადგილო-

ბრივ რადიოგადაცემათა ქსელში. საჭირო არაა საუბარი ამ ორ ფაქტობრივ საკითხზე, რადგან თავისთავადაა ცხადი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ბეჭდვით და რადიო ორგანოებს ინფორმაციის გავრცელების, მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე 1965-1967 წლების სამწლიანი ციკლი მიჩნეული უნდა იქნას რაიონის სოციალ- ეკონომიკურ, კულტურულ სფეროში გარდატეხის საწყის პროცესად, რადგან ჩამოყალიბდა არა მარტო შეხედულებანი და მიმართულებანი, არამედ შემზადდა შემდგომი მოქმედების, საქმეთა გაფართოების ბაზა, რასაც მოჰყვა სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ძვრები. დასტურად მომყავს მოკლე დინამიკა:

მხოლოდ 1967 წლისათვის (წინა ორ წელს ნაწილობრივ ზემოთაც შევეხე) რაიონში აშენდა ან მშენებლობის პროცესებში იყო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დანიშნულების 80-მდე ობიექტი. ამავე წელს აგრარული ხაზით გაშენდა 180 ჰექტარი ხეხილის ბაღი (70-ის ნაცვლად) და ხილის ბაღები უკვე საზოგადოებრივ სექტორში აღწევს 1100 ჰექტარს, ორჯერ მეტს ვიდრე 1965 წელს. ვენახის პლანტაციებს დაემატა 100 ჰექტარი (60-ით მეტი გეგმიურზე) 45 ჰა ჩაი. ათვისებულია რამდენიმე ჰექტარი „ჯაგნარი“ და ნახევრად ნაყოფიერი მიწები, მიმდინარეობს მარტივი ტიპის სარწყავი სისტემის მოწყობა, ჭარბტენიანი ნიადაგების ამოშრობა, ფართოვდება ქარსაფარი ზოლი. აგრარულ სექტორში დამატებით რეზერვად შედის ახალი დარგი – სატბორე მეთევზეობა, რომელიც ეწყობა ქვედა ვანის, ციხესულორისა და სალხინოს კოლმეურნეობების ნაკლებად ნაყოფიერი მიწების ბაზაზე, 30-ჰექტარზე მეტი ფართობით. ყოველივე ამან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში განხორციელებულ ღონისძიებებთან ერთად შექმნა პირობა ბაზის უწყვეტი განმტკიცებისათვის და 1967 წელს აგრარული სექტორი ბოლო წლების მანძილზე პირველად იღებს მილიონ მანეთამდე მეტ მოგებას. 1965-1967 წლებში საზოგადოებრივ მეურნეობათა შემოსავალი იზრდება ორჯერ, შრომის ნაყოფიერება 4%-ით, პროდუქტწარმოება ყოველ 100 ჰექტარზე 17770 მანეთამდე (9616 მანეთით მეტი 1963 წელთან შედარებით) რაიონის სამრეწველო ორგანიზაციები (ამ დროისათვის ჯერ კიდევ არც თუ დიდი ბაზის მქონე) მაქსიმალურად გადიან დაგეგმილ პარამეტრებზე. რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი 6-ჯერ ზრდის წარმოების მოცულობას, ღვინის ქარხნებმა ამავე პერიოდში განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად მოგება გაზარდეს 808-ათასი მანეთით. ყურძნის დამზადება აღწევს 7000 ტონას (თუმცა მასში ჭარბობს მოსახლეობის წილი), მარტო ცეკავშირის ვანის საწარმოო კომბინატი აძლევს რაიონის ბიუჯეტს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს. რაიონის მოსახლეობამ 1967 წელსვე სამომხმარებლო კოოპერაციის სახით მიიღო 15-მდე სხვადასხვა სახის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების, ასევე საყოფაცხოვრებო მომსახურეობის 10 ახალ ობიექტი. დამატებით მშენებლობაშია სოფლების 4 კლუბ-კანტორა, 4 საშუალო და ერთი 8 წლიანი სკოლა, რაიონის ცენტრში მთავრდება „მშვიდობის გორას“ განაშენიანება, რაიონის ცენტრის 4 ქუჩა 5 გრძივ კილომეტრზე მთლიანად იქნა რეკონსტრურირებული და გაფართოებული. ამდენივე კილომეტრზე მოეწყო გაზონები, დაიდგა 200-ზე მეტი ძლიერი განათების ლამპიონი, მსგავსის დამონტაჟება მიმდინარეობს დაბის მიმდინარე სოფლებში. დაბაშივე მოეწყო სამი სკვერი, აქვე 1.5 კილომეტრზე ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, მიმდინარეობს სანაპირო ქუჩის მშენებლობა, დაბაშივე ათვისებულია რამდენიმე ჰექტარი დახრამული და დაჭაობებული ადგილი (ამ ადგილზე 1980-იან წლებში აგებული იქნა საერთო საცხოვრებელთა კორპუსები – მიკრო ქალაქი) ქალაქის ცენტრში იგება სკვერი გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა პერსონაჟებზე (ძირითადად ქანდაკებებში), ხოლო ცოტა გვიან (1968 წ.) 200 მეტრიანი დეკორატიული კედელი (პირველი განლაგებული იყო მედკულტ-სახლის ეზოში, მეორე ცენტრალური სტადიონის წინ) დაწყებულია და ინტენსიურად მიმდინარეობს სასოფლო გზების გაფართოების სამუშაოები. 1968 წლის დასაწყისისათვის რაიონში არის 500 ავტომანქანა, მათ შორის 246 მსუბუქი, რაც ადასტურებს მოსახლეობის ფინანსურ-მატერიალურ მომძლავრებას. საგზაო სამმართველო და დანარჩენი ორგანიზაციები

უკვე ფლობენ სათანადო ტექნიკას გზების შეუფერხებლად წესრიგში მოყვანისათვის, ამაზე იღებდა აქცენტებს 1968 წლის დასაწყისშივე ჩატარებული სასოფლო ყრილობებიც. პროგრამული მიმართულებების მიხედვით 1965-1968 წლებში რაიონში უნდა მოწყობილიყო 9-კმ შავ საფარიანი გზა. მოეწყო იგი 15 კმ-ზე, პარალელურად საგზაო სამუშაოები მიმდინარეობდა ვანი-სამტრედია, ვანი-ბაღდათის (მაიაკოვსკის) მიმართულებით. ამავე პერიოდს ემთხვევა კურორტ სულორის მთლიანი სახეცვლაც. აქ არსებული ქოხმახების აღებამ, დასასვენებელი სახლების, პავილიონების, ხეივნების, ფანჩატურებისა და პარკის გაშენებამ მთლიანად შეცვალა არა მართო კურორტის ხედი, არამედ ინფრასტრუქტურა, რამაც შესაძლებელი გახადა აქ ერთდროულად მიეღოთ და მომსახურება გაეწიათ 300-ზე მეტ დამსვენებლისათვის (თუმცა კურორტის ძირითადი სახე ჩამოყალიბდა XX საუკუნის 70-80-იან წლებში) ეს იყო უზარმაზარი ნახტომი რაიონის საკურორტო მეურნეობის მოწესრიგებისა და მასშტაბური სახის მიცემის საქმეში.

ასეთი პერმანენტული და ფართოპროფილიანი ზესვლა, პრობლემათა გადაწყვეტის, მშენებლობათა გაშლის, სახალხო მეურნეობის დარგთა მოწესრიგებისა და სრულყოფის, სოციალურ პრობლემათა მოგვარების თვალსაზრისით რაიონის ისტორიას ამ პერიოდამდე არ ახსოვს.

1967 წელი რაიონის ისტორიაში დასამახსოვრებელია მძლავრი კლიმატური მოვლენებითაც, როცა ნოემბერ-დეკემბერში კოკისპირულ წვიმებს, თოვლს და სტიქიას მოყვა მეწყერული მოვლენების განვითარება. რაიონის მასიურ დასახლებულ ზოლში (საშუალო მაღალმთიანეთში) და იგი შეეხო 11-ზე მეტ დასახლებულ პუნქტს. მეწყერების ძირითად მიზეზად დასახელდა მთიან ზონაში ტყეების გაკაფვა და ამის გამო ეროზიის გაძლიერება. სხვადასხვა ხარისხის დაზიანება განიცადა 1200-მდე კომლმა, ხოლო 860-ი უშუალოდ დაექვემდებარა გამოსახლებას, რადგან მათი ადგილებზე დატოვება კატასტროფულად ზრდიდა რისკფაქტორებს. ამიტომ ხსენებულ კომლთა განსახლებასთან დაკავშირებით, სპეციალისტთა დასკვნების საფუძველზე, პირველ ეტაპზე შერჩეული იქნა ბარის ზონის კოლმეურნეობათა ტერიტორიებზე 250 ჰექტარი ვარგისი ფართობი.

სტიქიური უბედურებების დაძლევიდან გამომდინარე საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 3 იანვარს, სპეციალური ერთობლივი დადგენილებით, რაიონში დაზარალებულთა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გამოიყო 300-ათასი მანეთის გრძელვადიანი კრედიტი. დამატებით, ერთდროული დახმარებისათვის 100-ათასი მანეთი, 3000-კუბმეტრი ხე-ტყე, 300 000 ცალი შიფერი (სახურავი) 1000 ტონა ცემენტი, 2 მილიონი ცალი აგური და ა.შ. რაიონმაც შესაძლებლობათა ფარგლებში დაზარალებულთა დახმარებისათვის მოახერხა თანხების გაცემა, მოყვანილი ციფრები აჩვენებს, რომ ადგილებზე ზარალი იყო დიდი. საერთო რისკფაქტორად მიჩნეული იქნა 2400 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი, ამიტომაც ხსენებული დადგენილებით მეწყერ საშიშ ტერიტორიებზე და განსაკუთრებით 15 გრადუსზე მეტი დაქანების ფართობებზე აიკრძალა ერთწლიანი კულტურების თესვა, რომ არაფერი ითქვას იმაზე განსახლების პროცესებმა საფუძვლიანად შეარყია შესაბამისი დასახლებული პუნქტების, სოფლების დემოგრაფიული მაჩვენებელი, ხოლო ადამიანები იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ მამა-პაპური საცხოვრებელი ადგილები.

პრაქტიკულად ვანი ისედაც მცირემიწიანი რაიონი დამატებით კარგავდა 2400 ჰა-ზე მეტ სავარგულს, რომლის კომპენსირებაც იოლი არ იქნებოდა. ამ ნიადაგზე შესაბამისად მცირდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტწარმოებაც, რაც მნიშვნელოვნად დაარტყამდა რაიონის ეკონომიკას, ამის გამოც საქართველოს კპ ვანის რაიკომის პლენუმი სამთავრობო რეკომენდაციებთან ერთად იხილავდა შექმნილი მდგომარეობიდან თავდაღწევის გზებსა და მიმართულებებს, რომელზედაც კეთდება დასკვნა, რომ შემდგომში კვლავ არ გაგრძელდეს დაზიანებულ ტერიტორიებზე მეწყერული მოვლენები და იგი საბოლოოდ არ იქცეს პროდუქტწარმოებისათვის გამოუყენებელ მიწად, კომპენსირების თვალსაზრისითაც აუცილებელია ამ ფართობე-

ბზე მრავალწლიანი კულტურების გაშენება. პირველ რიგში კურკოვანი და თესლოვანი ხილის, ხოლო ხილისა და მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის უვარგისი ფართობები უნდა დაფარულიყო მრავალწლიანი ბალახებითა და ამ გზით მოხდეს მისი საძოვრებად გამოყენება. იკვეთება გზები თხილის, როგორც ეროზია დამცავი და პერსპექტიული კულტურის გაშენებისათვის და საზოგადოებრივ მეურნეობებს ეძლევათ დავალება საწყის ეტაპზე ამ კულტურის 100 ჰა-ზე გაშენებისათვის, ხოლო დანარჩენი დამეწყრილი ტერიტორიების 600 ჰა-ზე მოკლე დროში ხილის გაშენებისათვის. ამ მხრივ იწყება ნიადაგების მომზადება უხუთის, ძულუხის, ფერეთას, ამაღლების, კიროვის (დღევანდელი სალომინაო), ტობანიერისა და ა.შ. ტერიტორიებზე. ცოტა მოგვიანებით ამავე სოფლების დამრეცი და ვარგისი ნიადაგების ბაზაზე ხდება ჩაის პლანტაციების გაფართოებაც. იწყება ტყის აღდგენითი სამუშაოები, პარალელურად მიმდინარეობდა საქმიანობის გადაწყობა ბარის ზონებში მარცვლეული კულტურების ინტენსიური წარმოების მიმართულებით. ამ გზით უნდა მომხდარიყო მარცვლეულ კულტურებში სტიქიის შედეგად წარმოქმნილი დისპროპორციის კომპენსირება და მართლაც 1968 წელს ამ ფაქტორებზე დაყრდნობით 2500 სამარცვლე ჰექტარიდან მიღებული იქნა 6000 ტონა მარცვალი, იმდენი რამდენიც 1967 წელს 4500 ჰექტრიდან. ამავე პერიოდს ემთხვევა რაიონის სავარგულების ნიადაგობრივი შესწავლაც მისი ტიპობრივი მდგომარეობის განსაზღვრა, რაც მასიური სახით რაიონში პირველად განხორციელდა და რის საფუძველზეც საზოგადოებრივი მეურნეობები 1968 წლიდან იღებენ შესაბამის დამუშავებულ კარტოგრამებს, რითაც უნდა შეცვლილიყო მიწასთან დამოკიდებულება მეცნიერულ გაანგარიშებებზე დაყრდნობით.

ზემოთ ვახსენეთ და აქ მოკლედ მახვილდება ყურადღება მასზე, რომ 1967 წელს განვითარებულმა კლიმატურმა მოვლენებმა შეატრიალა რაიონში მთიანი ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დარგთა განლაგება და რამდენადმე იგი გახდა კონცენტრირებული და მონო კულტურულიც ზემოთ მითითებული კულტურების სასარგებლოდ და არა ისე, როგორც დღეს ზოგიერთ საქმეში ჩაუხედავი წერს და ლაყბობს, რომ ხსენებულ ზონაში ინტენსიურ მეხილეობაზე, მოგვიანებით ჩაის კულტურის გაფართოებაზე ორიენტაციის აღებამ თითქოს ხელი შეუშალა ძირითად საკვებ პროდუქტების წარმოებას და ა.შ. ჩვენ მივუთითეთ საკვებ პროდუქტების კომპენსირების სასარგებლოდ განხორციელებულ ღონისძიებებზე, ხოლო დარგთა ახლებური განლაგება იყო იძულებითი მომენტიც და სწორად გათვლილი და გადადგმული ნაბიჯიც, რომ დამეწყრილი რისკფაქტორიანი ნიადაგები ველურ ზონად არ ქცეულიყო და იგი კვლავ ჩამდგარიყო პროდუქტმწარმოებელ სავარგულთა შორის, კიდევ ერთი დადებითი მომენტიც: ამ კულტურათა განაშენიანება ხილისა და ჩაის კულტურების ქვეშ მოქცევა და აქედან მიღებული დამატებითი მოსავალი გახდა შემდეგში ადგილობრივ ბაზაზე სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა მაქსიმალური გაფართოების საფუძველი დასაქმების ადგილებისა და საბიუჯეტო შემონატანების ახალი წყარო.

1968 წლის 19 იანვარს რაიონულ 21-ე კონფერენციაზე შეჯამდა განვლილი სამი წლის შედეგები, აქვე ყალიბდება ახალი გადასაწყვეტი ამოცანები რაიონის ცხოვრების ყველა მიმართულების მიხედვით, როგორც ვნახეთ შედეგები იყო მნიშვნელოვნად შთამბეჭდავი და პრაგმატულ ნიადაგზე აღმოცენებული. ეკონომიკური დინამიკის მყარ შეტრიალებას ადასტურებს 1968 წლის საბიუჯეტო გათვლებიც, რომელიც ორივე ნაწილში (საშემოსავლო-საგასავლო) იგეგმება 3 მილიონი მანეთით და ამ მოცულობაში არ შედის 1968 წელს რაიონში განხორციელებული კაპიტალდაბანდებები, მათ შორის წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებისათვის. ჩანს, რადგან რესპუბლიკის ხელისუფლება დარწმუნდა იმაში, რომ რაიონში ეკონომიკურ და აღმშენებლობით საქმიანობას შეექმნა შეუქცევადი საფუძველი, გააძლიერა რაიონზე ფინანსური დახმარება, რაც აღმშენებლობის მნიშვნელოვან დამატებით წყაროდ უნდა იქნას მიჩნეული.

საინტერესოა, რომ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილიან 2 მილიონ 450 ათასი მანეთი გათვალ-

ისწინებულია რაიონის სოციალ-კულტურილი ღონისძიებების სრულყოფაზე. ეს 141 ათასით აღემატება 1967 წლის მონაცემებს, მაშინდელი ფულის კურსით კი ეს სოლიდური თანხაა. ამავე პერიოდისათვის უკვე განათლებაზე მიემართება 1 მლიონ 735 ათასი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე 695 ათასი საგზაოსა და საბინაო კომუნალურ კეთილმოწყობაზე 116 ათასი მანეთი. თანხები გამოყოფილია რემონტებისა დ ინვენტარისთვის და ა.შ. პრაქტიკულად ხორციელდება სახელფასო დაწესრიგებებიც, რადგან 1967 წლიდან ხელფასები ემატებათ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთ და ძირითადად მცირე ხელფასიანებს. რაიონში აქტიურად მიმდინარეობდა მზადება მნიშვნელოვანი პროგრამების განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლას და ამ მიმართულებით ბაზების ჯეროვნად მომზადებას, რომელიც უნდა დასრულებულიყო 1970 წლისათვის.

სამწუხაროდ ისე, როგორც ბევრი რამ დღევანდელი ობივატელის თვალთახედვიდან ეს პროცესებიც არასწორადაა გაგებული, არ შეიძლება ყველაფრის დევალვირება. მე პირადად მიმაჩნია, რომ უფასო საყოველთაო საშუალო განათლებაც (უმაღლესიც) და უფასო სამედიცინო მომსახურებაც არაერთ სხვა ფაქტორთან ერთად იყო ეპოქალური მონაპოვარი. დარწმუნებული ვარ ამას დრო ამტკიცებს და დაამტკიცებს მომავალშიც.

ამ პერიოდის საბიუჯეტო მოწყობის მაჩვენებლები მიუთითებს რაიონისათვის ერთ მნიშვნელოვან ფაქტზეც – ესაა საშემოსავლო წყაროს ზრდა, რის საფუძველზეც სახელმწიფო დოტაცია (ფულადი სახსრების გამოყოფა ამ შემთხვევაში ბიუჯეტში წარმოქმნილი ვაკუუმის შესავსებად ანუ დღევანდელი ტრანსფერი) შემცირდა 1967 წელს ერთი მილიონ 134 ათასიდან 783 ათასამდე ანუ 352 ათასი მანეთით, რითაც რაიონი უკვე ახდენს დისტანცირებას ცენტრალური ბიუჯეტიდან და თანმიმდევრულად ზრდის და ეყრდნობა საკუთარ შესაძლებლობებს. ამაში განსაზღვრული როლი გამოკვეთილია შემონატანებზე ცეკავშირის ვანის საწარმოო კომბინატიდან, რომლისთვისაც უკვე მშენებლობაშია ახალი ბაზა 500-მდე მუშაზე, ვაჭრობის სისტემიდან, საკონსერვო ქარხნიდან, რომელმაც სასაქონლო პროდუქტწარმოება გაზარდა 2 მილიონ 200 ათას პირობით ქილამდე (80-იანი წლების ბოლოს ეს მონაცემები აღწევს 13,5 მილიონ პირობით ქილას) ადგილმრეწველობაზე, რომელიც უშვებს უკვე 800 ათას მანეთამდე ღირებულების პროდუქციას და მიმდინარეობს მისი საწარმოო ბაზების გაფართოება 400-მდე მუშაზე საერთო დასაქმების ორიენტაციით (ეს სამუშაოები მთავრდება 1969 წლის ბოლოსათვის).

1968 წლისათვის რაიონის აგრარულ სექტორში მოქმედებაში ჩაერთო დამატებითი რეზერვებიც, კონკრეტულად ვაზის კულტურაში, რადგან აქ 1965 წელს გაშენებული 450 ჰექტორი ვაზის პლანტაციიდან ნაწილი უკვე შევიდა მსხმოიარობაში. საერთოდ დარგთა განლაგების, გადაწყობის კონცენტრაციისა და სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანამ (განსაკუთრებულად მებოსტნეობაში) ინტენსიური ფაქტორების ამოქმედებამ მოიტანა უკვე პირველი შედეგები. 1964 წელთან შედარებით 1967 წელს ყურძნის წარმოება გაიზარდა 78 პროცენტით, ჩაის 100; ხილის 257; რძის 27; ხორცის 69 პროცენტით, გადიდდა საერთო პროდუქციის წარმოება, მისმა ღირებულებამ სახელმწიფო შესყიდვის ფასებით 1964 წლის მაჩვენებელს 62 პროცენტით გადააჭარბა, შრომის ნაყოფიერება ერთ შრომისუნარიან კაცზე იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 65 პროცენტით. ზარალიან მეურნეობათა რიცხვი, რომელიც მიუხედავად ექსტრემალური ზომების გატარებისა 1967 წლის დასაწყისისათვის ადრე არსებული 21-დან 10-ს აღწევდა. 1968 წლის ბოლოსათვის დავიდა სამამდე. შრომის ანაზღაურების სახით კოლმეურნეობებზე დამატებით გაცემულია 620-ათას მანეთზე მეტი ვიდრე 1964 წელს. პრაქტიკულად რაიონი გადაჭარბებით ასრულებს სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმებს, რის გამოც 1967 წლის შედეგების მიხედვით იგი ხდება საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე და დიპლომანტი.

მიუხედავად ყველაფრისა, აგრარულ სექტორში და ისიც მრავალპროფილიანში, ძნელია ყველა მიმართულების თანაბარკონდიციამდე დაჭერა, რაც მრავალი ფაქტორით განპირობდება. ცნობისათვის შეიძლება ითქვას, რომ რაიონის სინამდვილეში, მიუხედავად პროდუქტწარმოების გაზრდისა, მაინც რჩებოდა არარენტაბელურ დარგად მეცხოველეობა და მეტნაკლები ამპლიტუდით ასეთად რჩებოდა თითქმის 1990 წლის ბოლომდეც. რომელშიც საერთო პირუტყვის სულადობა 8000 სულს აჭარბებდა. თუმცა 1991–1994 წლებში ცნობილი მოვლენებისა და არცთუ დიდი პასუხისმგებლობის შედეგად ეს დარგი ისე განადგურდა რომ მისგან ნასახიც აღარ დარჩა. მითუმეტეს განადგურდა თავისი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

ამდენად, ძვრები რაიონის სახალხო მეურნეობაში, მასების დასაქმების საკითხის პირველ სტადიაზე გადაწყვეტა, საწარმოებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომის ანაზღაურებათა მომატება და კერძო საკუთრების დამატებითი ინტენსიფიცირება იძლეოდა შესაძლებლობებს რაიონის აღმშენებლობითი სამუშაოების გაფართოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ცვლისათვის, კერძო ბინათმშენებლობისა და კომუნიკაციათა გაფართოებისათვის და ასეც მოხდა.

რაიონის ადგილობრივი შესაძლებლობებით 1968 წლის მანძილზე; დამეწყრილ 11 სოფელში მთლიანად აღდგენილ იქნა ცენტრთან დამაკავშირებელი და საუბნო გზები, რაც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვდა. პარალელურად დაბაში იწყება მშენებლობათა ახალი ციკლი მათ შორის ფართოპროფილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, ავტო-პროფილაქტორიუმის, აბანოს, რაიკომისა და აღმასკომის ადმინისტრაციული სახლის (დღესა აქ მერიაა განლაგებული) მილიციის, სანეპიდსადგურის, მეთესლეობის ლაბორატორიის, ავტოსადგურის, სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციული სახლის, დოსააფის, მექანიზირებული პურის საცხობის, საცურაო აუზის, ხილბოსტნეულის დამზადების პუნქტის, კოლმშენის და როგორც აღინიშნა დასრულების სტადიაში შევიდა ცეკავშირის ვანის კომბინატის ახალი შენობა. 1969 წლამდე დაბა ვანში არსებობდა მხოლოდ ერთი, ოთხოთახიანი საერთო საცხოვრებელი. 1969 წლის დასაწყისისათვის საერთო საცხოვრებელი ბინის ფართი აღწევს 1500 კვადრატულ მეტრს. მწყობრში დგება ,,მშვიდობის გორა," როგორც ეგზოტიკური დასასვენებელი ადგილი (ხელოვნური განაშენიანების საფუძველზე), მთავრდება ვანის ხელოვნური ზღვის შექმნის სამუშაოები. 1969 წლისათვის ძირითადში დასრულდა მდინარე სულორისა და ჭიშურას ნაპირდამცავი რკინაბეტონის კედლების მშენებლობა რითაც დაბას აშორდა წყალდიდობისას დატბორვის საფრთხე და ამ მხრივ შესრულდა მთლიანობაში 55 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოც. დაბაშივე აშენდა ან რეკონსტრუირებული იქნა ინდივიდუალური ბინები დღეს თავისუფლების ქუჩის გასწვრივ, პრაქტიკულად თავიდან აღმოცენდა „რუსთაველის" და „სანაპიროს", რეკონსტრუქციას დაექვემდებარა კიკვიძის, ჯორჯიაშვილის, სტალინის, კეკელიძის და ჩახუნაშვილის სახელობის ქუჩები. მთავრდება ბეტონირებული წყალგამტარები დაბის ცენტრში და საერთოდ კომუნალური კეთილმოწყობისა და ქუჩების სრულქმნაზე დაიხარჯა 500 ათასი მანეთი (მაშინდელი მტკიცე კურსით). საფუძველჩაყრილია და მიმდინარეობს დაბის მაცხოვრებელთა წყალმომარაგების სამუშაოები, რისთვისაც აშენდა 800 კუბმეტრი მოცულობის წყალსაცავი, რის საშუალებითაც პირველ ეტაპზე სასმელი წყლით უზრუნველყოფილი ხდება დაბის 600-ზე მეტი ოჯახი.

ბუნებრივია, განხორციელებული სამუშაოები იმდენად ფართო მასშტაბიანია, რომ დეტალური აღწერა შორს წაგვიყვანს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ შესრულებულ სამუშაოთა ციკლი ეტევა მოკლე დროში. ორ-ორნახევარ წელიწადში (1967 წლის II ნახევარსა და 1969 წლის I ნახევარი). რაიონი იწყებს მცირეკომპლექტიანი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, მშენებლობას სოფლებშიც. ხოლო რაიონის 10 სოფელში თითქმის ერთდროულად შედის ექსპლოატაციაში ახალი სავაჭრო ობიექტებიც. სოფლებში ურთიერთმიყოლებით წყდება უბნებისა და დასახლებული ადგილების წყალმომარაგებითი სამუშაოები, რომლის სრულყოფაზე მნიშ-

ვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივმა მოსახლეობამ და მათმა კერძო დანახარჯებმა.

ხაზგასასმელია ამ პერიოდისათვის კერძო ბინათმშენებლობის (ინდივიდუალური ბინათმშენებლობა) პროცესების მანამდე არნახული დონე და ტემპი, განსაკუთრებულად რაიონის სოფლებში. 1965–1968 წლებში, მარტო რაიონის პატარა სოფელ მუქედში აშენდა 50-ზე მეტი კერძო საცხოვრებელი სახლი და საერთოდ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით XX-საუკუნის 60-იანი წლების მანძილზე რაიონში აღინიშნა ინდ-ბინათმშენებლობის მანამდე არნახული პროცესები, რამაც პრაქტიკულად 65-70 პროცენტის ფარგლებში შეცვალა კერძო პირთა საბინაო პირობები და ძირითადში ჩამოაყალიბა რაიონის დღევანდელი განაშენიანების სახე. ამ საკითხთა გადაჭრაში უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ ფაქტორად უნდა იქნას მიჩნეული ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და რემონტებისათვის სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების (სესხების სახით) გამოყოფაც. ჩამოყალიბდა სისტემა ავეჯისა და აუცილებელ საოჯახო საგნებზე ღირებულებათა გადახდის განვადების სახით. ამან მნიშვნელოვნად მასიური სახე მიიღო, რაც ინდივიდს საშუალებას აძლევდა თანამიმდევრულად, უმტკივნეულოდ დაეფარა აღებული სესხიც და გატანილი ავეჯისა და ა.შ. ღირებულებანი, მაგრამ უპირველესი როლი ამ პერიოდში მაინც განეკუთვნება იმას, რომ ოჯახები მომაგრდნენ ეკონომიკურად, რაც პერმანენტულად გრძელდებოდა 90-იანი წლების დასაწყისამდე და რაიონის მოსახლეობას (ისე როგორც ქვეყნისას) გაუჩნდათ ჯეროვანი საშუალებანი საკუთარ მატერიალურ და სოციალურ პრობლემათა გადასაწყვეტად.

და ისევ სტატისტიკისათვის: ვანის რაიონულ ცენტრსა და სოფლებში 1965-1968 წლებში კეთილმოწყობის, კომუნიკაციათა გაშლის და სხვა სამუშაოთა ჩათვლით გაკეთდა იმდენი რაც არ გაკეთებულა 1921 წლიდან (საქართველოს გასაბჭოებიდან) და რაიონის შექმნიდან 1930 წლიდან 1965 წლამდე, ესაა რეალობა!

ამავე კონტექსტში გაცნობიერებას საჭიროებს ზოგიერთი კონკრეტული დეტალიც სოციალური პოზიციიდან, რომლებიც მოიცავს განათლების, კულტურისა და მედიცინის სფეროს, რადგანაც პროცესები აშკარად მიუთითებენ რადიკალურ შემოტრიალებასა და ცვლაზე, თუმცა საკითხზე მოკლე მინიშნებები გაკეთდა ზემოთაც რაიონში ამ მხრივ უზარმაზარი სამუშაოებია შესრულებული, რადგან დაუფარავად უნდა ითქვას იმაზეც, რომ ადრეული ვანის თემი, როგორც ქუთაისის მაზრაში შემავალი ნაწილი, სასწავლო, კულტურული და სამედიცინო ტრადიციებით, გნებავთ მემკვიდრეობით, მნიშვნელოვნად ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა, ამიტომ ამ სფეროთა ადრეული განვითარების დონეც შეიძლება არაჯეროვნად იქნას მიჩნეული. აქ საუბარი არ მიდის იმაზე, რომ ვანის თემს და შემდეგში ახლადაღმოცენებულ რაიონს, გარკვეულ პერიოდამდე, არ ჰყავდა განათლებული ადამიანები, საუბარია იმაზე რომ, ადგილობრივი ბაზა და არც ეკონომიკა არ არსებობდა ამისათვის და ეს დადასტურებულია. ძირითადი სწავლებისა და განათლების ადგილები წარმოდგენილი იყო სამრევლო, რამდენიმე ბავშვიანი, 10 ერთწლიანი და ერთი 2 წლიანი სამრევლო სკოლებით, რომლებიც არსებულ ეკლესიებთან ფუნქციონირებდნენ. საქართველოს გასაბჭოებიდან, ძირითადში XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, იწყება რაიონში სასწავლო ქსელის გაშლა, ჯერ დაწყებითი, შემდეგ 7 წლიანი სკოლებითა და რამდენიმე საშუალო სკოლით (ეს უკანასკნელი უფრო მოგვიანებით), ხოლო ადგილებზე პედაგოგიური კადრების დეფიციტის გასასწორებლად 40-იანი წლების დასაწყისიდან იხსნება და გარკვეული დროის მანძილზე ფუნქციონირებდა ვანის პედაგოგიური ტექნიკუმი, შემდეგ ეს სფერო უწყვეტად ივსება და ხდება სრულყოფილი ჯეროვანი მომზადების კადრებით, რამაც მატერიალური ბაზის მომძლავრებასთან ერთად და განსაკუთრებულად 60-იანი წლების II ნახევრიდან ხელი შეუწყო ჯერ 8-წლიან, შემდეგ საყოველთაო საშუალო განათლების პროცესის განხორციელებაზე უმტკივნეულო გადასვლისათვის საყრდენების მომზადებას. მითუმეტეს, საყოველთაო საშუალო განათლებაზე მოსწავლეთა გადაყვანას ითვალისწინებდა მაშინდელი ხელისუფლების სპეციალური დირექტივა, ამიტომაც ამ მიზნით რაიონში XX საუკუნის 60-

იანი წლებიდან განხორციელებული საქმიანობა საჭიროებს ჯეროვან შეფასებასა და დაფასებასაც. 1965-1969 წლებში რაიონში დამთავრდა 11 ახალი, კაპიტალური, 8 წლიანი და საშუალო სკოლის მშენებლობა, დამატებით სამშენებლო პროცესში ჩაშვებული იქნა – 5, კაპიტალურად შეკეთდა 28 სასკოლო შენობა, როგორც ითქვა მიშენდა ან დაშენდა 38 საკლასო ოთახი. ამ დროისათვის რაიონში ფუნქციონირებდა 15 საშუალო, 17 რვაწლიანი, 7 დაწყებითი სკოლა. ექსპლუატაციაში გაეშვა რამდენიმე საბავშვო ბაღი, რომლის ქსელიც ფართოდ გაშალეს სოფლებშიც. ამ მხრივ გაკეთდა იმდენი რამდენიც რაიონში არ გაკეთებულა ბოლო 20-ზე მეტი წლის მანძილზე. მოცემული დროისათვის მოსწავლეთა კონტიგენტი აღწევს 9 ათასს (დღეს 2,4 ათასი) 1965-1968 წლებში სასკოლო ინვენტარი შეიცვალა 4500 მოსწავლეზე, ათეულ ათასობით მანეთი გაიხარჯა სასკოლო თვალსაჩინოებათა შეძენაზე. იმის გამო, რომ სოფლის სკოლები და განსაკუთრებულად მაღალმთიან ზონებში, ადგილობრივი კადრების ნაკლებობას განიცდიდნენ, რაიონში იწყება არა ადგილობრივ მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესება. მათთვის სამუშაო ადგილების მიხედვით, მასწავლებელთა სახლების მშენებლობით (მისული კადრების ადგილზე დამაგრებისა და პრობლემების მოხსნის მიზნით).

1969 წელს რაიონში იხსნება ბავშვთა სახვითი ხელოვნების სკოლაც, (ინტერნატი). ეს იყო არამარტო სიახლე, არამედ მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი რაიონში მცხოვრებ, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდთა გამოსავლინებლად, დასაკვალიანებლად და გზის მისაცემად. შეიძლება მიჩნეული იქნას, რომ ამით, ასევე ამავე პერიოდში საფუძველჩაყრილი გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმით კულტურის ახალი კერების გახსნა-ამოქმედებითა და „ახვლედიანების გორაზე“ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ღირებულებებით, მთელ რიგ ფაქტორებთან ურთიერთობებში, უნდა შეკრულიყო და შეიკრა კიდევაც წრედი, რომელსაც უნდა სრულეყო და ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი რაიონის მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ხსენებულ „ინტერნატს“ რომლისთვისაც მატერიალური ბაზა მზადდებოდა ე.წ. „მშვიდობის გორასთან“ საწყის ეტაპზე სათავეში უდგნენ ქ.ნ. სუზი და ბ.ნ დიმიტრი ყიფშიძეები. ეს უკანასკნელი ცნობილი პიროვნება იყო ქართულ მხატვრობაში (მოქანდაკე) და გარკვეული როლიც მიუძღვის ქართული ჭედური ხელოვნების აღორძინების საქმეში.

სასწავლებელი რაიონის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. წარმოჩინდა ნიჭიერ მოსწავლეთა პლეადა, თავიანთი მაშინდელი კავშირის მასშტაბით, გახმაურებული ნამუშევრებით, რომლებიც არაერთხელ აღნიშნულა დიპლომებითა და მედლებით. ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული რაიონის შემოქმედებით ცხოვრებაში და რაიონმაც მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა მათ დაბის ცენტრში ნამუშევართა დემონსტრირებაში (ორას მეტრიანი დეკორატიული კედელი ცენტრალურ სტადიონთან, გალაკტიონ ტაბიძის სკვერი, შრომის ამსახველი ქანდაკებები რაიონის აღმოსავლეთ შემოსასვლელში, მედეა და ა.შ. ნაწილი მათგანი შემორჩენილია დღესაც.

1971 წლის მაისში სკოლა გადაკეთდა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად, გაფართოვდა პროფილი და იგი დაფუძნდა, როგორც სამხატვრო (სახელოვნებო) და სააღმშენებლო მიმართულების სასწავლებელი. მისი ანალოგი რესპუბლიკაში იყო ერთი თბილისის – ი. თოიძის სახელობის – 11 სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო ამ ორს, მაშინდელი „კავშირის“ მასშტაბით ანალოგი არ ჰყავდა.

როგორც ითქვა სასწავლებელი აღმოცენდა საკმაოდ დიდი ავტორიტეტის ბაზაზე, რაც მისმა საფუძველჩამყრელებმა შექმნეს და ეხლა მთავარი იყო რიგ სიძნელეების გადალახვასთან ერთად დონე ყოფილიყო შენარჩუნებული.

თუ ვიმსჯელებთ მიღწეულით, იმითაც, რომ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვებიდან მოკლე პერიოდში 17-მა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და სამხატვრო ტექნიკუმში, ხოლო ათეულობით ჩაირიცხა ქვეყნის სხ-

ვადასხვა ინსტიტუტების საინჟინრო ფაკულტეტებზე და ა.შ. საქმიანობა გამოვიდა და ეს განაპირობა მოცემულ ეტაპზე კარგად შეკრულმა ახალგაზრდულმა ხელმძღვანელმა ბირთვმა, ძლიერი და მიზანსწრაფულ, ასევე ახალგაზრდულ კოლექტივზე დაყრდნობით, რომელმაც თავის თავზე აიღო არაერთ განზომილებიანი, ურთულესი ამოცანის გადალახვა დაწყებული სუფთა სასწავლო პროცესებიდან, ქ. გაგრასა და რიგ სხვა რაიონებში განხორციელებული საწარმოო პრაქტიკით, მძლავრი მატერიალური ბაზის შექმნით და იმითაც, რომ ვანის №68 სამხატვრო, საშუალო-პროფესიულ სასწავლებელს გაუხსნეს ფილიალი თერჯოლის რაიონში.

სასწავლებლის საქმიანობაზე მოსკოველი რეჟისორის კისელოვის მიერ გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი ფილმი. იგი არაერთი შემოქმედებითი დათვალიერების ლაურეატია, მათ შორის მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისაც (ბოლოს ამას დაემატა 80-იანი წლების შუახანებში აღსაზრდელების საქართველოს ჩემპიონობა სპორტის არაერთ სახეობაში და მხატვრულ თვითშემოქმედებითი კოლექტივის ლაურეატობაც. ამდენად გულდასაწყვეტია, რომ სასწავლებელი სარბიელიდან გაქრა, მისი კორპუსები, საერთო ბინები, სახელოსნოები სხვა დანიშნულებით იქნა გამოყენებული. სასწავლებელს პროპაგანდა ეწეოდა არამარტო რესპუბლიკურ და რაიონულ პრესაში, არამედ „საკავშირო“ დონეზეც. განსაკუთრებით ამ საქმეში ჩართული იყო მოსკოვში გამომავალი ჟურნალები „ოგონიოკი“ და „სმენა“. ამ პროპაგანდის შედეგი იყო ის, რომ სასწავლებელში სწავლობდნენ ახალგაზრდები ბელორუსიიდან, მოლდოვადან, არაერთი წერილი იყო ბალტიისპირეთისა და რუსეთის რეგიონებიდან რუსული ჯგუფების გახსნის თაობაზე, რომელიც კონკრეტულ ფაქტორთა გამო ვერ განხორციელდა.

შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას: დღესაც და მაშინაც კულტსაგანმანათლებლო სისტემის საქმიანობისა და შინაარსობრივი დატვირთვის ირგვლივ არარადიკალური, მაგრამ აქა-იქ განსხვავებული შეხედულებანია. უდავოა, რომ ამ ქსელმა, რომლის შექმნაც ძირითად მასშტაბებში საქართველოში ქვეყნის რაიონებსა და რაიონშიც სოციალისტურ პერიოდს მოჰყვა, უზარმაზარი როლი შეასრულა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის, წიგნის, პროფესიული, მხატვრული, პოლიტიკური, ისტორიული, საბავშვო ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში. იგი ემსახურებოდა ცოდნის გაცემისა და გაღრმავების კეთილშობილურ საქმეს. წარმოადგენდა ცენტრსა და სოფლებში კულტურული ცხოვრების საწყის კერებს, იძლეოდა ახალგაზრდობაში თვითშემოქმედებითი უნარის გამოვლინების თავისუფალი დროის კოორდინაციისა და მართვის, გართობის საშუალებებს და ა.შ. ამდენად ხსენებული დაწესებულებები არ წარმოადგენდნენ უმიზნო დანამატებს, ასე იყო იგი რაიონშიც. სხვა საკითხია სად, როგორ მიჰყავდათ მუშაობა, მაგრამ იდეა საქმიანობისა გამართლებული იყო.

თუ საუბარი წავა ამდაგვარ დაწესებულებათა საქმიანობის შინაარსობრივ, რამდენადმე, დევალვაციაზე, რაც 70-80-იანი წლებიდან ტელევიზიისა და სხვა საინფორმაციო საშუალებათა განვითარებას მოჰყვა, სწორია. გაჩნდა უმდიდრესი კერძო ოჯახური ბიბლიოთეკები, შესაძლებელი შეიქმნა პროფესიულ-მხატვრული და თეატრალური კოლექტივების ტელევიზიის საშუალებით ოჯახებში შემოსვლა და ადგილებზეც ნახვა, პროფესიული და კომპეტენტური ინფორმაციების მოსმენა, მაგრამ ალბათ საჭირო იქნებოდა ამ ქსელის (განსაკუთრებით პერიფერიებში) საქმიანობის მეთოდიკის შეცვლა, (მატერიალური ბაზის სრულყოფა), რადგან მას 90-იანი წლებიდან რაიონშიც და სხვაგანაც მზრუნველი ხელი არ მიჰკარებია და ამას მოჰყვა გადაწყვეტილება ე.წ. ოპტიმიზაციის შესახებ, რის გამოც მათი უმრავლესობა გააუქმეს).

უკვე 1968 წლისათვის რაიონში ფუნქციონირებდა 21 დამოუკიდებელი ბიბლიოთეკა, 160 ათასიანი წიგნადი ფონდით (1990 წლისათვის 260 ათასზე მეტი) 28 საკლუბო დაწესებულება, დანიშნულების მიხედვით მნიშვნელოვანი ერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (გაიხსნა 1951 წელს), რომლის სრულყოფა-გაფართოებაზე 1967 წელს, ხოლო 1980-იანი წლების საწყის ეტაპზე იხარჯება სოლიდური თანხები და ფლობს 4300-ზე მეტ ექსპონატსა და დაცულ მასალას (დღეს ეს დაწესებულება პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს, გაურკვეველია ექსპონატების

ბედიც). რაიონის ორივე დონის ხელმძღვანელობამ ერთობლივად დასახეს ამოცანა ყოველ 300-500 კაციან დასახლებაში გახსნილი ყოფილიყო შესაფერისი სახის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება. რაიონის რამდენიმე სოფელში (ზეინდარი, მთისძირი, ბზვანი, დიხაშხო, კიროვი (სალომინაო). კაპიტალური კლუბ-კანტორების ექსპლოატაციაში გაშვებამ ბაზა მნიშვნელოვნად გააფართოვა. 1966 წლიდან დაწყებული რაიონში ყოველწლიურად ექსპლოატაციაში შედიოდა 4-5 ახალი, აღნიშნული სახის დაწესებულება. დაწყებულია სარაიონო კულტურის სახლზე საწრეო მუშაობებისათვის დამატებითი ოთახების მიშენება, კომპლექტდება იგი საჭირო ინვენტარით. ყოველივე ეს ქმნიდა საფუძველს რაიონში მხატვრული თვითშემოქმედებითი ღონისძიებანი განხორციელებულიყო შედარებით მაღალი დონით, ინტენსიურად და საინტერესოდ. ამავე პერიოდში რაიონული სიმღერისა და ცეკვის ანსაბლი ხდება რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი. რაიონის ბიბლიოთეკები ყოველწლიურად ივსებოდა 10-15 ათასი მანეთის წიგნადი ფონდით. (თუ ჩავთვლით იმასაც, რომ ამ პერიოდისათვის წიგნი ხელმისაწვდომად იაფი ღირდა) გამოყოფილი თანხა საკმაოდ შთამბეჭდავია. რაიონის მუსიკალური სკოლისათვის, რომელიც 1960 წელს გაიხსნა, შენდება ახალი კორპუსი, მოსწავლეთა კონტინგენტი აქ 18-დან 130-მდე გაიზარდა, სასწავლებელი დაკომპლექტდა მუსიკოსთა პროფესიონალი კადრებით.

კულტურული მომსახურების საკითხებიდან გამომდინარე რაიონის სოფლების ელექტროფიცირებამ შესაძლებელი გახადა სოფლებისა და დასახლებული პუნქტების კინომომსახურების უწყვეტობა, მითუმეტეს ამ დროისათვის კინოჩვენების ბაზაც ძირითადში მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. მიუხედავად იმისა, რომ რაიონის კინოფიკაციის სამსახური წარმოადგენდა სამეურნეო ერთეულს და ანგარიშვალდებული იყო რაიონის ბიუჯეტთან, გარკვეულ პერიოდში სრულყოფისა და მომძლავრებისათვის დოტაციის სახით რაიონიდან, მისი ბიუჯეტიდან იღებდა სათანადო ფინანსურ შევსებებსაც.

სოფელ ჭყვიშში, გალაკტიონ ტაბიძის, ამ განუზომლად დიდი პოეტის სახლმუზეუმის საფუძვლის ჩაყრა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიაში მიჩნეული უნდა იქნას საგანგებო მოვლენად.

გალაკტიონის სახლმუზეუმის შემოქმედებითი საქმიანობა, განსაკუთრებით მისი გახსნიდან XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე, შეიძლება მიჩნეული იქნას განსაზოგადებლად. ამიტომ აღიარებული უნდა იქნას, რომ რაიონის მაშინდელი ხელისუფალნი, როცა ამ საკითხზე ფიქრობდნენ, უდავოდ სჭვრეტდნენ ამ დაწესებულების, საგანმანათლებლო, კულტურულ და ესთეტიკურ დატვირთვას, განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან დამოკიდებულებაში და არა მარტო რაიონული მასშტაბით.

1966 წელს რაიკომის ბიუროს სპეციალური დადგენილებით იქმნება „გალაკტიონ ტაბიძის სახლმუზეუმის საორგანიზაციო კომიტეტი“ ცხრა წევრის შემადგენლობით. იმავე წელს 1 ივლისიდან რაიონის ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იქნა მუზეუმისათვის საშტატო ერთეულები. გამოყოფილი იქნა ფართობი ეზოსათვის 8000 კვადრატული მეტრის მოცულობით. პარალელურად წარიმართა მუზეუმის თემატური გეგმის დამუშავება, რომელშიც აქტიურად ჩაება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი და ვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დირექტორი სოლომონ ყუბანეიშვილი. დაიწყო პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების შეგროვება. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმმა, ამ სამუშაო ჯგუფს გადასცა 102 დასახელების პოეტისეული ნივთი, ინვენტარი, პოეტის საკუთარი ბიბლიოთეკა 1400 ცალი წიგნით, პოეტისეული ჟურნალ-გაზეთები, ტანსაცმელი, ფოტოსურათები. არ შეიძლება ამ მხრივ პოეტის სახლმუზეუმის პირველი დირექტორის გიორგი ახობაძის ღვაწლის არ შეფასებაც, რომელიც წლების მანძილზე თავდადებით წარმართავდა მუზეუმის შემოქმედებით საქმიანობას, მასალების მოპოვების, დამუშავებისა და პუბლიცირების, მასებამდე მიტანის საქმეს.

1968 წლისათვის დამთავრდა სახლმუზეუმის საექსპოზიციო პავილიონის, როგორც მაშინ

უწოდებდნენ, პროექტირება, რომელიც უფასოდ შექმნა და რაიონს გადასცა ქუთაისელმა არქიტექტორმა გივი თოდაძემ. დასრულდა მისი სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებიც. პრაქტიკულად მომზადდა პირობა სამუშაოთა დაწყებისათვის.

რაიონის ცხოვრებაში განუზომლად მნიშვნელოვანი (და საერთოდ საქართველოს ისტორიისათვის) მოვლენა იყო ვანის არქეოლოგიური გათხრების ინტენსიური სახის მიცემა ე.წ. „ახვლედიანების გორაზე", რომელიც ფუნდამენტალურ სახეს იძენს 1966 წლიდან. ცნობები ამ ადგილის „ისტორიული სიმდიდრის" შესახებ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისისათვის იყო ცნობილი, თუმცა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები აქამდეც მეტ-ნაკლები ინტერვალებით მიმდინარეობდა. პერმანენტული სახე და მზარდი დაინტერესება კვლევებმა მიიღო მას შემდეგ, როცა ვანი-ციხესულორის შემაერთებელი გზის გაჭრისას შემთხვევით აღმოჩენილი იქნა (ბულდოზერი წამოედო) ძველი ქალაქის კარიბჭე და ქვაფენილი. ამ საკითხზე საკმაოდ მდიდარი და პროფესიულად დასაბუთებული ლიტერატურა არსებობს, ფაქტს ვაფიქსირებ იმ მოტივით, რომ საბედნიეროდ ეს მომენტიც დაემთხვა რაიონის აღდგენას და აქ მეცნიერული საქმიანობის გაშლა აშკარად ექცევა რაიონული ხელმძღვანელობის შეუნელებელი ყურადღების ქვეშ. სათანადო დახმარებითა და ხელშეწყობით. 1965-1970 წლებში მოხდა ისე, რომ რაიონში განხორციელებულ დიდ ძვრებს მოჰყვა გათხრებზე დასაქმებულ მეცნიერებისათვის, ადგილზე, სათანადო სამუშაო ბაზის შექმნაც და დღის წესრიგში დგება საკითხი ადგილზევე არქეოლოგიური მუზეუმის გახსნისა, რომელიც 80-იანი წლების პირველ ნახევარში განხორციელდა, თუმცა როგორც ითქვა სამუშაო პირობები ამ პერიოდამდეც მნიშვნელოვნად მოგვარდა.

გარკვეულ ადგილზე შევეხეთ რაიონის აღდგენიდან განხორციელებულ სამუშაოებს ფიზკულტურისა და სპორტის მიმართულებით, ამ დანიშნულების ბაზების მშენებლობისა და პერსპექტივების საკითხებსაც. პრაქტიკულად შედეგი ამ საქმიანობისა გახდა რაიონის სპორტული გუნდების გააქტიურება და რესპუბლიკურ ასპარეზზე გასვლა. დიდი როლი ითამაშა რაიონის ცენტრში სპორტული სკოლის გახსნამ მისი რამდენიმე სექციითა და შესაბამისი მონაცემების მქონე ახალგაზრდობის ინტენსიურ წრთვნაზე გადაყვანამ.

60-იანი წლების დასასრულს რაიონის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების საფუძველზე, ხელმძღვანელობამ დაგეგმა მნიშვნელოვანი წამოწყება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და სწრაფადვე დაიწყო მისი განხორციელებას. ესაა ღონისძიება გადიდის გორაზე, ზღვის დონიდან 750 მეტრზე, ეგზოტიკურ და მანამდე აუთვისებელ ადგილზე, პიონერული ქალაქის გაშენება. თავდაპირველად იგი ჩაფიქრებული იყო რაიონის მოსწავლეთა დასვენების ბანაკად, გაფართოების შედეგად, როგორც მოსწავლეთა კომპლექსური დასასვენებელი ადგილი, საჭირო კომუნიკაციითა და ინფრასტრუქტურით. 1968 წელს რაიონის საგზაო განყოფილება რაიონის ხელისუფლების სადირექტივო დავალებით იწყებს სოფ. სალხინო-ზნეობის გავლით ამ მიმართულებაზე გზის მშენებლობას, რაც არა მარტო „პიონერულ" ქალაქამდე მისასვლელი გზის ფუნქციას შეასრულებდა, არამედ ითვალისწინებდა ორი, მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის დამაკავშირებელი კეთილმოწყობილი გზასაც.

უნდა ითქვას ხსენებულ მშენებლობაზე, ვანელი კაცის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, მედიცინის რესპუბლიკური პროფკავშირების ხელმძღვანელის ვახტანგ გოგოძის წვლილისა და ვანისადმი მის უზომო სიყვარულზე. პირველი დაფინანსება მოსწავლეთა ბანაკის მშენებლობისა განხორციელდა მისი უწყების მიერ და მისგანვე მსგავსი დახმარება ამ მართლაც შესანიშნავ ადგილს არ მოჰკლებია 1991 წლამდე.

1969 წლის ივლისში გადიდის გორაზე გაჭრილი იქნა ფუნდამენტი 3 – სართულიანი, 120 ადგილიანი დასასვენებელი კორპუსისა და დამხმარე მშენებლობებისათვის.

გაგრძელება იქნება

ივანე მამფორია – ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი

ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ინფრასტრუქტურული პროგრამები

მოკლე ინფორმაცია

ადამიანებისათვის რომლებიც ვანის რაიონის განვითარების ისტორიას თვალს ადევნებდნენ მათთვის ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან, რაც გაუქმებული რაიონის აღდგენა მოხდა, განვითარება უწყვეტ ხაზად მიმდინარეობდა მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე. ამ დროში საბოლოოდ ჩამოყალიბდა რაიონისა და ქალაქის სახე მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, დასაქმების ობიექტებით, მოქმედი 320 ორგანიზაციით, მათ შორის ცხრა სამრეწველო მძლავრი საწარმოთი, კულტურულ-სამედიცინო ქსელით ინტელიგენციის მძლავრი შემადგენლობით, ტექნიკური ინტელიგენციით, რომელიც რაიონში ამოქმედებულ სამრეწველო ორგანიზაციებს სრულ ციკლად გაჰყვა და შრომის და დასაქმების მაქსიმალური კოეფიციენტით. ქალაქი ვანი წარმოადგენდა სუფთა და მომხიბლავ ცენტრს, იგი ყველა თავისი ღირსშესანიშნაობებით საჩვენებელ ადგილად იქცა.

სამწუხაროდ XX-საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად ნგრევის პროცესები არც ვანს ასცდა თავისი მნიშვნელოვნად უარყოფითი შედეგებით. საბედნიეროდ დღევანდელი ვანის მუნიციპალიტეტი თანმიმდევრობით იძენს ცხოვრების რიტმს და ასევე თანმიმდევრობით მიემართება გაკეთილშობილებისაკენ, ადამიანთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებისაკენ. ამის საილუსტრაციოდ კრებულ „მატიანეს“ ბოლო ნომრებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ანალიზი მიღწევების შესახებ და არც პრობლემები დაგვიფარავს. გადაუჭარბებულად რომ ვთქვათ, ძვრები მნიშვნელოვანია, რომელთა დაკონკრეტება შემხვედრ მომენტთა გამო კვლავ მოგვიწევს, ყურადღებას გავამახვილებთ იმ სიახლეებზეც რაც ქვეყნის პროგრესირების ირაკლი ღარიბაშვილის და მისი გუნდის ინიციატივას ეხება და ცნობილია „განახლებული რეგიონების“ პროექტის სახელით.

ბოლო წლების განმავლობაში, ვანის მუნიციპალიტეტის უმთავრეს პრიორიტეტს ინფრასტუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს. შესაბამისად ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, მთავარი წილი ინფრასტრუქტურული პროგრამების დაფინანსება უჭირავს და გადაუჭარბებლად უნდა ითქვას ბოლო 6-7 წლებში ამ მიმართულებით გაკეთდა იმდენი რამ, რაც არ გაკეთებულა 1991-2012 წლებში მთლინად, თითქმის 20 წლის მანძილზე.

ანალოგიურად, 2021 წლის მთავარი პრიორიტეტიც ინფრასრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებია. ვანის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი 14950,3 ათასი ლარითაა განსაზღვრული, საიდანაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე 7343,0 ათასი ლარი, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 49,1% მიიმართა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მთავარ წყაროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი წარმოადგენს. მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. მიმდინარე წელს ფონდიდან დაფინასებული პროექტების ღრებულება 5083,7 ათას ლარს შეადგენს და იგი 11 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცის პროექტი ითვალისწინებდა სოლ-

ომონ მეორის, ტაბიძისა და დიასამიძის ქუჩებზე ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოებს, რომელიც იანვრის თვეში დასრულდა პროექტის ღირებულებამ 354,9 ათასი ლარი შეადგინა.

ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია პროექტი ითვალისწინებდა ლიფნარის, კოპიტნარის, მამასახლისები-ცინცაძეების, მაღლაკელიძეები-ცირეკიძეების შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოებს. დაიგო 3,0 კმ-მდე სიგრძის ასფალტის გზა, პროექტის ღირებულებამ 740,0 ათასი ლარი შეადგინა.

სალხინო ზენობნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია პროექტი მიმდინარე წლის იანვრის თვეში დასრულდა. ღირებულებამ 519,8 ათასი ლარი შეადგინა.

დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასაუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაციაზე 604,9 ათასი ლარი მიიმართა. რეაბილიტირებული იქნა 3,0 კმ-მდე სიგრძის გზა. პროექტი ივლისის თვეში დასრულდა.

ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასაუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია განხორციელდა აბანოს, საბავშვო ბაღის, კორძაძეების, თვალავაძეების უბნებში. პროექტზე 431,4 ათასი ლარი მიიმართა, რეაბილიტირებული იქნა 2 კმ საავტომობილო გზა. სამუშაოები ივლისის თვეში დასრულდა.

ქალაქ ვანში ბაგრატის, თამარ მეფისა და ბაგრატის ქუჩების რეაბილიტაციაზე 319,7 ათასი ლარი მიიმართა. რეაბილიტირდა 1,6 კმ საავტომობილო გზა.

ტობანიერში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის გარდამავალი პროექტი გულისხმობს მეფარიშვილების, ჯულაყიძეების, მაჭუტაძეების, კუშუბოურისა და კაცაძეების საუბნო გზებზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობას, სიგრძით 3,5 კმ-მდე. ჯამური ღირებულება 688,0 ათას ლარ შეადგენს, მათ შორის მიმდინარე წელს 600,5 ათასი ლარის სამუშაო შესრულდება. სამუშაოები უკვე დაწყებულია და მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს.

ზეინდარში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის გარდამავალი პროექტი გულისხმობს მაღლაკელიძეების, ჭლიძეების, და ცინცაძეების საუბნო გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობას, სიგრძით 1,9 კმ-მდე. ჯამური ღირებულება 342,6 ათას ლარ შეადგენს, მათ შორის მიმდინარე წელს 300,5 ათასი ლარის სამუშაო შესრულდება. სამუშაოები უკვე დაწყებულია და მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს.

სალომინაოში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის გარდამავალი პროექტი გულისხმობს სანიკიანების საუბნო გზებზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობას, სიგრძით 2,6 კმ-მდე. ჯამური ღირებულება 586,6 ათას ლარ შეადგენს, მათ შორის მიმდინარე წელს 508,7 ათასი ლარის სამუშაო შესრულდება. სამუშაოები უკვე დაწყებულია და მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს.

ქალაქ ვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის გარდამავალი პროექტი გულისხმობს ტაბიძისა და წმინდა ნინოს საუბნო გზებზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობას, სიგრძით 2,1 კმ-მდე. ჯამური ღირებულება 427,7 ათას ლარ შეადგენს, მათ შორის მიმდინარე წელს 350,6 ათასი ლარის სამუშაო შესრულდება. სამუშაოები უკვე დაწყებულია და მიმდინარე წლის ოქტომბრის უნდა დასრულდეს.

ბზვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის გარდამავალი პროექტი გულისხმობს შიდა საუბნო გზებზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობას, სიგრძით 0,9 კმ-მდე. ჯამური ღირებულება 408,8 ათას ლარ შეადგენს, მათ შორის მიმდინარე წელს 347,7 ათასი ლარის სამუშაო შესრულდება. სამუშაოები უკვე დაწყებულია და მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს.

მიმდინარე წელს დასრულდა ზედავანი-ტყელვანის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, 70,0 ათასი ლარის ღირებულებით.

მიმდინარეობს სამუშაოები ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩაზე მერიის წინ მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს მოსაფალტებაზე, პროექტის ღირებულებაა 57,4 ათასი ლარი. სამუშაოები ოქტომბრის თვეში დასრულდება.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს 380,0 ათასი ლარი გამოეყო. ტრანსფერის ფარგლებში ორი ინფრატსრუქტურული პროექტი განხორციელდება. ქალაქ ვანში წერეთლის ქუჩაზე და ზედავანის თემში მდინარე ჭიშურაზე არსებული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. ტენდერის საფუძველზე გამარჯვებული ორგანიზაცია გამოვლენილია და ხელშეკრულება გაფორმებულია. სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება.

სოფლის განვითარების ხელშეწყობა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, დაგეგმილია 100-მდე სხვადასხვა სახის, ძირითადად გზების მიმდინარე შკეთების, სახიდე გადასასვლელების, გარე განათების, სპორტული მოედნების და წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები. სამუშაოების უდიდესი ნაწილი დაწყებულია, ნაწილზე კი ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცესი. 2021 წლის ასიგნება 599,0 ათას ლარს შეადგენს.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა

სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე ხორციელდება საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ღონისძიებები. მიმდინერ წელს დაგეგმილია ზედა გორას, ზედა ვანის, საპრასიისა და ქვედა გორას სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაციის პროექტები. ტენდერში გამარჯვებული გამოვლენილია, ხელშეკრულება გაფორმებულია და მიმდინარეობს სამუშაო პროცესი. პროგრამის ასიგნება 58,0 ათას ლარს შეადგენს.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, 2020 წლიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით მოქმედებს და ახალი საბიუჯეტო პროგრამა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა. კახეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში სხვადასხვა სექტორში ინვესტიციების განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, წარმოება, ადამიანური კაპიტალისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების ხარისხი. პროგრამის მიზანია 4 საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მათი დაბალანსებული, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივებისა და მრავალდონიანი მმართველობის საშუალებით.

2020 წელს ვანის მუნიციპალიტეტმა უკვე ისარგებლა აღნიშნული პროგრამის მხარდაჭერით და დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის გზის რეაბილიტაციის პროექტი შეასრულა, რაზეც 222,2 ათასი ლარი მიიმართა და 1,1 კმ გზა იქნა რეაბილიტირებული.

მიმდინარე წლის პროგნოზი უფრო ამბიციურია და პროგრამის ფარგლებში 12 პროექტზეა აპლიკაცია გაგზავნილი. სავარაუდო დაფინანსების ჯამური ღირებულება 4400,0 ათას ლარს შეადგენს. მათ შორიასაა ქალაქ ვანში ყოფილი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე ახალგაზრდული ცენტრისა და სკვერის მოწყობის, ქალაქ ვანში სკვერების და გივი ყიფიანი პარკის რეაბილიტაციის პროექტები.

გარდა ამისა, აპლიკაცია გაგზავნილია ასევე ცხრა საგზაო ინფრასტუქტურის პროექტზე, სავარაუდო ღირებულება 2400,0 ათას ლარს, ხოლო სავარაუდო სიგრძე 10-კმს შეადგენს.

განახლებული რეგიონები

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის №185 დადგენილებით დამტკიცებული იქნა სახელმწიფო პროგრამა – „განახლებული რეგიონები“.

ხელსაყრელი და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნის, ტურისტულად მიმზიდველი და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო პროგრამა – „განახლებული რეგიონები“ ითვალისწინებს საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომელიც, მათ შორის, შესაძლებელია მოიცავდეს ურბანული განახლების დოკუმენტების შემუშავებასაც. პროგრამის საორიენტაციო ღირებულება განსაზღვრულია 500,0 მლნ ლარით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდმა უკვე გამოაცხადა ტენდერები Design-Build მეთოდით, სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე.

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობს ვანის მუნიციპალიტეტიც. თერჯოლის, ქუთაისის და ვანის ლოკაციების ინფრასტრუქტურული სამუშაოების ტენდერში (NAT210008606) გამარჯვებული კომპანია არის შპს დაგი, რომელთანაც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ NGOG/ET/CW/436, 16/06/2021. სამივე ლოკაციის რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება შეადგენს 20 მლნ ლარს. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 31 დეკემბერი.

ვანის მუნიციპალიტეტში ცენტრალური ქუჩების, თამარ მეფისა და თავისუფლების ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია და მუშაობაც დაწყებულია: ქალაქის აღმოსავლეთ შემოსასვლელიდან (მედეას ძეგლი) მდინარე ჭიშურაზე არსებულ ხიდამდე რეაბილიტირებული იქნება და ერთიან იერსახეს მიიღებს ყველა შენობა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ცენტრალურ და ბაზრის მიმდებარე მოედანს. მოეწყობა ფეხით სავალი ბილიკები. განახლდება გამწვანების ზოლი. აღნიშნულ ქუჩებზე შეიცვლება ღობეები, ჭიშკრები. მოეწყობა ქუჩის განათებები. განახლდება ცენტრალურ მოადანთან მდებარე სკვერები. ყოველივე ამის სრულყოფა მოხდება უახლოეს დღეებში.

კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან

მიმდინარე 2021 წლის თებერვალში გასრულდა 100 წელი, რაც ქართველობამ 1918 წლის მაისში გამოცხადებული დამოუკიდებლობა დაკარგა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება განახორციელა საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ დ ამით მან დიდებული საქმეც გააკეთა, თუმცა არამარტო გარე ძალების ზეწოლის, არამედ საკუთარი შეცდომების გამოც ბოლომდე მისი დაცვა ვერ შეძლო.

მიუხედავად ყველაფრისა გავლებულ კვალს ქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა და ცოცხლობს დღესაც.

ამჟამად, ჩვენ მკითხველს განმეორებით ვთავაზობთ მენშევიკური ხელისუფლების დროინდელი, ორი მოქმედი გენერლის, ბატონების გიორგი კვინიტაძისა და გიორგი მაზნიაშვილის მოგონებებიდან ამონარიდ მასალას. პირველი გამოვაქვეყნეთ კრებულ „მატიანეს“ 2018 წლის №12, ხოლო მეორე 2019 წლის №17 ნომერში. ვთვლით, რომ ამ შრომების სანდოობის ხარისხი უმაღლესია, როგორც სამხედრო პირებისა, რომელთა უმრავლესობაც გამოირჩევა საკითხთა ობიექტური შეფასებითა და გადმოცემით, სამხედროებისათვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და ლოგიკის სიღრმისეულობით, მიუკერძოებლობით და ფაქტებით საუბრით.

გენერალ გიორგი კვინიტაძის, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის შრომები, თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის, ვერმახტის გენერლის შალვა მაღლაკელიძის,[1] მენშევიკური ხელისუფლების ნაფიცი ექსპერტის პროფესორ ზურაბ ავალიშვილის და გრიგოლ ლორთქიფანიძის შრომებთან ერთად, რომლებიც იმ დროს იყვნენ არა უბრალო გარე მაყურებლები, არამედ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობისა და რანგის წარმომადგენლები იძლევა მყარ, ობიექტურ ისტორიულ მასალასა და შეფასებებს 1918-1921 წლებში განვითარებულ მოვლენებზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს არა მარტო მითითებული პერიოდის შემსწავლელთათვის, არამედ აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულ პირთათვისაც შესწავლილი და გასათვალისწინებელია იგი დღვანდელ სიტუაციაშიც.

ნებისმიერი ხელისუფლების არსებობას აზრი, შინაარსი და ფასი აქვს მაშინ, თუ მას შეუძლია მტკიცე ნებით, პროგრამირებულად მართოს მასზე მინდობილი ქვეყანა და საზოგადოება, რომლის სიკეთეც ხალხმა უნდა იგრძნოს, დაძლიოს ქვეყნის შინაგანი წინააღმდეგობანიც და გარე ძალების ზეწოლაც. დანარჩენი მტკიცებით ფორმით საუბარები იმაზე, რომ მას ეს ასე არ სურდა, რომ იგი იძულებული გახდა, რომ მასზე ზეწოლა მოახდინეს, რომ იგი შეცდა და ა. შ. ფუჭი საუბრებია. შეცდომის დაშვების უფლება აქვს ყველას, მაგრამ ხელისუფლებას არა, რადგანაც მათი ნებისმიერი შეცდომა ტრაგიკული ფორმით უბრუნდება ქვეყანას და საზოგადოებას.

„ერთი მართალია – საქართველო იძულებული შეიქმნა იმ წამში და იმ ფორმით გამოეცხადებინა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა... თუმცა დრო და ფორმა არ ცვლის თვით მოვლენის არსებობას. მაგრამ იმის გამო, რომ ეს იყო იძულება, სპონტანური და ა. შ. და ა. შ. **საქართველოს სოციალ-დემოკრატია არ აღმოჩნდა მზად დამოუკიდებლობათა პროცესში სიტუაციათა მართვისა. ფიქრობდა ერთს, განახორციელა მეორე – სხვა ფორმით და მიმართულებით“**. ეს სიტყვები ეკუთვნის ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძეს,[2] ვანელ კაცს მენშევიკური ხელისუფლების ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერს, რომელსაც უზარმაზარი პოსტი ეჭირა იმ დროს. ეს აღიარება იმაზეც მიუთითებს, რომ ამ ადამიანის სინდისი სუფთაა და ჩამოშორებულია ყოველგვარ მკრეხელობას.

ჩვენ არ ვცდილობთ ვისაუბროთ 1918-1921 წლების ხელისუფლების მოღვაწეობის თაობაზე.

---

1. ვანელი კაცი სოფელ დიხაშხოდან.

2. გრიგოლ ლორთქიფანიძე – „ფიქრების საქართველოზე“. (გვ. 139).

ამ საკითხზე ნაირნაირი ვერსიები, მოსაზრებები, შეხედულებანი, უფრო მეტად ტენდენციურიც და არა ტენდენციურიც არსებობს, განსაკუთრებით თანამედროვე ისტორიოგრაფიაში და განსაკუთრებით მასმედიაში, თუმცა მიგვაჩინა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადება თავისთავად იყო უმნიშვნელოვანესი, უდიდესი აქტი, რომლის განზომილებაც ასევე უდიდესია.

აქ არ შემოგვაქვს მასალები არც საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიიდან, თუმცა ამ პერიოდის ისტორიოგრაფიაც ეფუძნებოდა საკითხთა და მაღალი რანგის პროფესიონალ ისტორიკოსთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა, ფილოსოფოსთა სიღრმისეულ კვლევებს და ერთეულ გამონაკლისთა გარდა ეჭვის შეტანა მასში შეუძლებელია, ერთი სიტყვით იგნორირებაა შეუძლებელი, ფაქტები არ იძლევა ამის საშუალებას.

ომარ კაპანაძე

გენერალი გიორგი კვინიტაძე
საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917–1921წ.წ.

წინასიტყვაობა

ჩემი მოგონებები მოგითხრობთ საქართველოში მომხდარ მოვლენებზე 1917 წლის რევოლუციის დღიდან იმ დღემდე, როცა ნოე ჟორდანიას მთავრობამ 1921 წლის 16 მარტს დამპყრობელთან ზავს მოაწერა ხელი სამტრედიაში.

ამ დროის განვალობაში არაერთხელ დამნიშნეს ქართული ჯარის მეთაურად.

ვინაიდან ეს მოვლენები ტენდენციურად და არასწორადაა აღწერილი როგორც უცხოურ, ისე ქართულ პრესაში, თავი მოვალედ მივიჩნიე, პარიზში ჩასულს, 1922 წელს, დამეწერა ეს მოგონებები.

ვინც ყურადღებით წაიკითხავს მოგონებებს, თვალწინ წარმოუდგება ჩვენს ხელისუფალთა მოღვაწეობა. ალბათ მათ კეთილი ზრახვები ამოძრავებდათ, მაგრამ მხოლოდ მეოცნებენი იყვნენ და ჭაბუკური გატაცებით ბაძავდნენ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციას, ისიც მხოლოდ გარეგნულად.

ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ, რის შედეგადაც იოლად ჩაიგდეს ხელთ ნამდვილი ძალაუფლება მუშებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოში – ჯერ ამიერკავკასიაში, მერე ამიერკავკასიის რესპუბლიკასა და ბოლოს, საქართველოში.

1918 წლის გაზაფხულზე, გერმანელების მიერ რუსი ბოლშევიკებისთვის თავსმოხვეული ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებისას ჩვენი ხელისუფალნიც მიიწვიეს ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ მათ გამგზავრებაზე უარი განაცხადეს იმ საბაბით, ამიერკავკასია რუსეთის განუყოფელი ნაწილიაო. არადა, თითქოს სწორედ ამ საბაბით უნდა მიეღოთ მიწვევა, თუ საქართველოს ინტერესებზე საუბარი სურდათ.

საბაბი მცდარი იყო, ვინაიდან უკრაინა და პოლონეთი უკვე გამოყოფილიყო რუსეთისაგან, აქ ძალას იკრებდა სამოქალაქო ომი, რომელიც მხოლოდ 1920 წელს დასრულდა ბოლშევიკების გამარჯვებით.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით ამიერკავკასიამ დაკარგა ყარსი, არდაგანი და ბათუმი, ისინი თურქეთს გადაეცა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკას სურდა ამ ოლქების შენარჩუნება და მოლაპარაკება წამოიწყო თურქებთან – ჯერ ტრაპიზონში, შემდეგ ბათუმში.

1918 წლის 24 მაისს თურქებმა ჩვენს მთავრობას ულტიმატუმი წაუყენეს და დაემუქრნენ, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებს თუ არ აღიარებთ, საბრძოლო მოქმედებას დავიწყებთო.

ამ ულტიმატუმის შედეგად ჩვენი მთავრობა იძულებული გახდა მოლაპარაკების გას-

აგრძელებლად, ახალი ფაქტორის შესაქმნელად 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოეცხადებინა (იხ. ავალიშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, გვ.57).

თურქებთან შემდგომი მოლაპრაკებისას ჩვენი მთავრობა იძულებული გახდა დაედო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით თურქებს ახალციხე და ახალქალაქი დავუთმეთ. 1918 წლის 4 ივნისს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა, გ. გვაზამ, გ. რცხილაძემ, გენერალმა – ი. ოდიშელიძემ (თურქეთთან სამეგობრო და სამშვიდობო ხელშეკრულება).

1917 წლიდან, რევოლუციის დღიდან, ჩვენი მთავრობა სომხეთის წარმომადგენლებს პირდებოდა იმ ოლქების გადაცემას, სადაც მოსახლეობის უმეტესობა სომხები იყვნენ, ე.ი. ბორჩალოსა და ახალქალაქს.

ამ პირობის შესრულებაზე ჩვენმა მთავრობამ უარი რომ თქვა, სომხები თავს დაგვესხნენ და ხელისუფალნი იძულებული გახდნენ ომი დაეწყოთ. თავდასხმის მოგერიებაც მოვახერხეთ და სომხურ ჯარს შევუტიეთ კიდეც, როცა ჩაერივნენ უცხოელები (ორი კაპიტანი) და მოითხოვეს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა.

სომხებმა 1918 წლის 8 დეკემბერს შემოგვიტიეს. ამჯერად უცხოელები არ ჩარეულან და არ შეუჩერებიათ სომხები, როცა ისინი თავს დაგვესხნენ. მაგრამ თვის ბოლოს, როცა არამარტო მოვ“იგერიეთ სომხები, არამედ შეტევაზეც გადავედით, ჩაერივნენ და შეაჩერეს საომარი მოქმედებები. რასაკვირველია, საჭირო იყო საომარი მოქმედებების გაგრძელება.

საინტერესოა ამ ომის შედეგი. მთავრობამ, ჩვენი წარმატების მიუხედავად, ჩვენი ბორჩალოს ოლქი სადავო ზოლად აღიარა.

ეს ოლქი ოდითგან საქართველოს ეკუთვნოდა; ამ ოლქის მიწები ეკუთვნოდა (ოდა) ქართველ მემამულეებს – ორბელიანებს, ბარათაშვილებს, მელიქიშვილებს, საგინაშვილებს, მაღალაშვილებს და სხვებს.

სომხები ამ ოლქში უმრავლესობას შეადგენდნენ, რადგან ისინი თურქეთიდან იყვნენ ლტოლვილები. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქეთიდან ლტოლვილი სომხები რუსთა ხელისუფლებამ ჩამოასახლა არა მარტო ამ ოლქში, არამედ ქართლსა და კახეთშიც. 1853-1855 წლების ყირიმის ომის შემდეგ 90 000 სომეხი ლტოლვილი ჩამოგვისახლეს.[1]

რაკი სომხეთი ყალიბდებოდა, თავისუფლად შეიძლებოდა მათთვის შეგვეთავაზებინა, რომ სომხები ამ ოლქიდან საკუთარ ქვეყანაში გადაესახლებინათ; ქართველთა კუთვნილი მიწა არ უნდა გაგვეცა და სადავო არ უნდა გაგვეხადა.

საერთოდ, ჩვენი მთავრობა ძალიან თავქარიანად ექცეოდა ძველთაძველ ქართულ მიწას. ზაქათალა აზერბაიჯანს გადასცეს; არდაგანი – ძველი ქართული მიწა, რომელიც 1919 წელს ახალციხე ახალქალაქის აჯანყების შემდეგ დავუბრუნეთ საქართველოს – სომხებს; არდაგანი გახლდათ მაჰმადიანი ქართველებითა და რუსებით დასახლებული ოლქი და სომხებს არავითარი უფლება არ გააჩნდათ ამ მიწაზე. იქ სულ რამდენიმე სომხური ფარდული ედგათ.

მკითხველი თვალნათლივ დაინახავს, რომ ჩვენი მთავრობა სახელმწიფო ინტერესებს არად დაგიდევდათ და ისე არიგებდა ჩვენს ოლქებს, როგორც არიგებს თავის ქონებას კაცი, რომელმაც მოულოდნელად უზარმაზარი მემკვიდრეობა მიიღო და ყველას უნაწილებს, ვინც მარჯვედ სთხოვს საჩუქარს.

1920 წელს მოვახერხეთ ბოლშევიკების პირველი თავდასხმის მოგერიება, შეტევაზე გადავედით და უკვე აღსტაფამდე ვიყავით მისულები, როცა მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ომი შეწყვიტა და ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას შეუდგა.

---

1. ცნობისათვის: XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშიც სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულის ჩამდგმელი და განმახორციელებელი იყო ივ.ხატისოვი, რომელიც 1865 წლიდან 1875 წლამდე ამიერკავკასიის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს გავლენიან პირად ითვლებოდა, ხოლო 1885-1893 წლებში სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა, რომლის დახმარებითაც ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში, ბორჩალოში, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპირო რაიონებში (რედ. შენიშვნა).

ეს გახლდათ ერთადერთი, გამორჩეულად ხელსაყრელი შემთხვევა, რომ გაგვეთავისუფლებინა აზერბაიჯანი და სომხეთი მათი დამპყრობლებისაგან – ბოლშევიკებისაგან, შეგვეძლო, მთელი ამიერკავკასია და იქნებ დაღესტანიც გაგვეწმინდა, 1920 წელი იდგა, პოლონეთი რუსეთს ეომებოდა და ვრანგელი ყირიმიდან გამოვიდა.

გამაოგნებელი და გაუგებარია ჩვენი მთავრობის საქციელი. როგორ შეიძლება, სახელმწიფოს მართავდე და ასეთი შეცდომები მოგდიოდეს? თუმცა, ვინ იცის, ვითომ შეცდომები იყო?

საშინაო პოლიტიკაში მმართველთა მთავრი საზრუნავი გახლდათ: ხალხში სოციალიზმის დანერგვა, არარსებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ზომების მიღება და ეგრეთ წოდებული რევოლუციის მონაპოვარის დაცვა.

მკითხველი აქაც დაინახავს სასაცილო ღონისძიებებს, როგორიც იყო, მაგალითად, „მუშათა სასახლე“ თბილისის მთავარ ქუჩაზე; ამ ღონისძიებაზე არც ერთი მუშა არ მოსულა. ან პურის ფასი მუშებისთვის – გირვანქა ხუთ მანეთად, როცა ობივატელი ასორმოცდაათ მანეთს იხდიდა.

რასაკვირველია, არ შეიძლება მხარი არ დაუჭირო სოციალიზმის ზოგიერთ დებულებას. როგორიცაა, მაგალითად, მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, მაგრამ ეს გონივრული ღონისძიებები უფროა, ვიდრე სპეციალურად სოციალისტური ხასიათის ცვლილებები. არ შეიძლება სოციალიზმი დასწამო ჰენრიხ IV -ს, ან ყველა მემამულეს, ვინც თავისი გლეხების ყოფის გაუმჯობესებაზე ზრუნავს.

არარსებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად მოღვაწეობამ შეაქმნევინა მმართველებს ანომალური შეიარაღებული ორგანიზაცია: გვარდია – ჯერ წითელი, მერე სახალხო.

საქართველოში აზრადაც არავის მოსვლია რევოლუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ეროვნული ქართული ერთეულის შექმნა ყოველი ქართველის სანუკვარი ნატვრის აღსრულება იყო. გრძნობა, რომლის გამოც თავადაზნაურობამ (ბანკმა) თავისი ქონება ეროვნულ საკრებულოს გადასცა, მმართველებმა ვერ გაიგეს, რადგან მეტისმეტად იყვნენ გამსჭვალულნი მატერიალისტური მოძღვრებით. თვითონ **ნ. ჟორდანიაც ამბობს მოგონებების წიგნში „ჩემი წარსული“, რომ აქ არასოდეს არ მდგარა ეროვნული საკითხი**.

კონტრრევოლუციისა და რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვის შიშმა იქამდე მიიყვანა მთავრობა, რომ გვარდიის შემადგენლობა, მიღებული კანონის საწინააღმდეგოდ, 24 ბატალიონამდე გაზარდეს, რაც საზიანო იყო სამხედრო ორგანიზაციისათვის.

აქ ერთი-ორი სიტყვა უნდა დავამატო ზოგიერთი რესპუბლიკური ჩვეულების მიბაძვაზეც. მაშინ, როცა მეზობელ ამიერკვაკასიურ სახელმწიფოებში სამხედრო ორგანიზაციას მეთაურებდნენ: აზერბაიჯანში გენერლები – მეხმანდუროვი და შიხლისნსკი, სომხეთში – გენერალი ნაზარბეგოვი, **ჩვენი მთავრობა სამხედრო მინისტრად ნიშნავდა ხან სახალხო მასწავლებლებს, ხან საერო მოღვაწეს, ხან ექიმს, ოღონდ მეთაური სოციალ-დემოკრატი ყოფილიყო. ერთ-ერთი მათგანის თანაშემწე გახლდით; ერთხელ, ბატალიონის გასტუმრებისას, მეთაურს ვუთხარი, ორი ქვემეხი წაიღემეთქი და სამხედრო მინისტრმა მკითხა: „ბატონო გიორგი, ორი ქვემეხი რამდენი ზარბაზანია?“ – ეგეც თქვენი ჯარის „აღმშენებელი“ და „მეთაური“**.

გვარდიის, როგორც სამხედრო ორგანიზაციის შექმნა იყო უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი კატასტროფისა. ბრძოლის ველზე გვარდია ან უარს ამბობდა ომზე, ან იქაურობას ტოვებდა, მაშინაც კი, თუ ბრძოლას ვიგებდით. ასე მოხდა 1918 წელს – სომხურქართული ომის დროს, 1919 წლის ახალციხის ლაშქრობაში, 1920 წელს, პირველ ომში, ბოლშევიკების წინააღმდეგ – ხაშურის ბრძოლაში, როცა ჩვენი წარმატებული შეტევის მიუხედავად, გვარდია თვითნებურად აიყარა ბრძოლის ველიდან და სურამის ქედის გადაღმა, წიფას მიაშურა.

გვარდია პრივილეგირებული ორგანიზაციიდან სწრაფად გადაიქცა პრეტორიანულ ორგანიზაციად, რომელიც ქვეყანას ზიანს აყენებდა. აი, რა მოსდევს საკუთარი გატაცებების ბრმად აღსრულებას.

ახლაც კი, 1961 წელს, 40-წლიანი ემიგრაციის შემდეგ, სოციალ-დემოკრატია კვლავაც ტრაბ-

ახობს, დამფუძნებელ კრებაზე 90% შევადგინეთ და ხალხი ჩვენ გვიჭერდა მხარსო. ვითომ ასეა?

1914 წელს რუსეთის მთავრობამ 155.000 ქართველი გაიწვია ჯარში. სად იყო ეს 155.000 ქართველი 1921 წელს, როცა რუსებს ვეომებოდით?

დამფუძნებელ კრებაში სოციალისტთა 90%-ის მიუხედავად, ხალხი უკვე აღარ მოჰყვებოდა ჩვენს ხელისუფალთ, რადგან მიხვდა, რომ მათ მმართველობას ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა.

მთელ ქვეყანაში ეწყობოდა გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ – სამეგრელოში, დუშეთში, ოსეთში, ხევში, ახალციხეში, აჭარაში. ამ გამოსვლებს სამხედრო ძალით აშოშმინებდნენ და მთავრობა მათ ბოლშევიკურ გამოსვლებს არქმევდა. არადა, საეჭვოა, რომ მოსახლეობას სცოდნოდა საერთოდ ბოლშევიზმის ან მენშევიზმის რაობა და მათ შორის განსხვავება.

ხალხმა გაიგო ამ მთავრობის ამბავი და გაეცალა, ვინაიდან 1920 წლის 7 მაისს ჩვენს ყოფილ და მომავალ დამპყრობთან, საქართველოში რუსიფიკაციის დამნერგავთან სამეგობრო ხელშეკრულების დადებას შეუძლებელია მოსახლეობისთვის თვალი არ აეხილა.

მიწის რეფორმა არ აკმაყოფილებდა გლეხებს, ეკონომიკურად და ფინანსურად კი უფსკრულისკენ მივექანებოდით.

მთავრობას არც ერთ ფენაში აღარ შემორჩა არც ავტორიტეტი და არც, რასაკვირველია, პოპულარობა. ჩვენს ხელისუფალთ არ სურდათ არმიის შექმნა, რაც საკმაოდ იოლი იყო – საქართველოში გვყავდა ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი ოფიცრობა, რომელსაც რუსთა ჯარში ჰქონდა გავლილი სამხედრო სამსახური. მმართველები – „მშვიდობის ადეპტები“ – სამი წლის განმავლობაში ეწეოდნენ ომს შინ და გარეთ. ვებრძოდით ოსებს, ახალციხის მოსახლეობას, აჭარლებს, აგრეთვე სომხებს, დენიკინელებს, თურქებს, ორჯერ – რუსებს. ყოველთვის მოულოდნელად გვესხმოდნენ თავს და მხოლოდ ბრწყინვალე, სამშობლოსთვის უანგაროდ თავდადებული ოფიცრობა და მოსახლეობის პატრიოტიზმი გვშველოდა. მკითხველი დაინახავს, თუ როგორ „დაუფასეს“ ღვაწლი მმართველებმა ჩვენს ოფიცრობას. რაც შეეხება მოსახლეობას, **1921 წლის 16 მარტს ბოლშევიკებთან ხელშეკრულების დადებით ნ. ჟორდანიამ ხალხს უღალატა და ბოლშევიკებისა და მათი საშინელი ოპერაციების ხელში ჩააგდო. ასეთია საქართველოში მენშევიკთა მმართველობის პირქუში ფურცელი**.

გარკვეულმა სიძნელეებმა შესაძლებლობა არ მომცა, დროულად გამომეცა ჩემი მოგონებები. ტროცკი თავის მემუარებში გულახდილად ამბობს, რევოლუციის მოსახდენად უნდა იცრუოო. საქართველოში მომხდარი მოვლენების აღწერისას მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი და ეს იქნება უკანასკნელი სამსახური ჩემი ხალხისადმი, რომელმაც თავად იწვნია მენშევიკი რევოლუციონერები.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი

„მოგონებები“[1]

1920 წლის დასაწყისში დაიწყო ომი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებზე, რომელიც დამთავრდა ფოილოს ზავით, ამ ომში მიწვეული არ ვიყავი უბრალო ჯარისკაცის თანამდებობაზეც კი, თუმცა გამოვცხადდი შტაბში და ვითხოვე გამოვეყენებინეთ რამეში.

1920 წლის მეორე ნახევარში გავრცელდა ხმები, რომ ომი ბოლშევიკებთან აუცილებელიაო. უკვე ენკენისთვეში სამხედრო მინისტრის კანცელარიამ შეადგინა ვრცელი მოხსენება, რო-

---

1. როგორც ითქვა, ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ქართველი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის მოგონებებიდან მეხუთე თავის ოდნავ შემოკლებულ ვარიანტს და აქვე აღვნიშნავთ, რომ გენერალი მაზნიაშვილი მიეკუთვნება ქართველ გენერალთა იმ პლეადას, რომელიც სახელოვნად ხელმძღვანელობდა პირველი მსოფლიო ომის გარკვეულ პერიოდში რუსეთის იმპერიის მსხვილ სამხედრო შენაერთს, ხოლო შემდეგში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაშინდელ ქართველ ხელისუფალთა მიერ მიტოვებულ და ოსმალთა ჯარებისაგან დაკავებულ ბათუმის განთავისუფლების საქმეში.

მელიც წარედგინა მთავრობის თავმჯდომარეს. ეს მოხსენება ამბობდა, რომ ბაქოში დგება ცალკე მე-11 არმია, რომელსაც სათავეში უდგას გეკერი[1] და ამ არმიის მიზანი და დანიშნულება არის საქართველოსკენ წამოსვლა.

მე-11 არმია რომ დგებოდა ბაქოში, ამას აცნობებდა აზერბაიჯანის მთავრობასთან დანიშნული ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამხედრო მინისტრის ამხანაგის მოხსენებისა და ბაქოში ჩვენი წარმომადგენლის განცხადების შემდეგ მთავრობას უნდა მიეღო საჭირო ზომები თავდასაცავად და უნდა ებრძანებინა სათანადო ორგანოებისათვის, მზად ყოფილიყვნენ ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მთავრობამ არ მიიღო არავითარი ზომები, არ მოამზადა ხალხი მოსალოდნელი შემთხვევებისათვის. ერთი სიტყვით, სამხედრო სამინისტრომ და მისმა ორგანოებმა არ მიიღეს არავითარი ზომები ჩვენი საზღვრების დასაცავად. ხარჯთაღრიცხვით ამ საქმისთვის საჭირო იყო 300 ათასი ოქროს მანეთი, ეს გეგმა ხარჯთაღრიცხვით და ჩემი განმარტებით მოხსენებით წარვუდგინე სამხედრო მინისტრს, მთავარსარდლის – გენერალ ოდიშელიძის ხელით, და ვთხოვე საჩქაროდ მიეცათ საჭირო თანხა საინჟინრო უწყებისათვის, მაგრამ მთავრობამ ფულის გაღებაზე უარი განაცხადა.

ხიფათი კი თანდათან აშკარავდებოდა.

ავიაციის საქმეც მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. მთავრობამ, მართალია, შეიძინა იტალიაში რამდენიმე აეროპლანი, მაგრამ ავიაციის უფროსის მოხსენებიდან ჩანს, რომ მას არ ჰქონდა ამ აეროპლანებისათვის საკმაოდ ბენზინი და შიშობდა, რომ თუ ხიფათი თავს დაგვატყდებოდა, მას **არ ეყოფოდა ბენზინი და ზეთი**. ავიაციის უფროსმა რამდენჯერმე მიმართა თითქმის ყველას, ვინც კი მთავრობაში იყო და დაჟინებით მიუთითებდა ბენზინისა და ზეთის მარაგის საჭიროებაზე, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ამგვარად, არც ავიაცია იყო მზად სამხედრო მოქმედებისათვის.

დამფუძნებელ კრებასთან არსებობდა სამხედრო კომისია, რომლის ფუნქციებში შედიოდა სამხედრო სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტების გადასინჯვა, რომლებიც დამფუძნებელ კრებას უნდა დაემტკიცებინა.

დეკემბერში, თუ იანვრის დასაწყისში, კარგად არ მახსოვს, ამ კომისიამ მოიწვია სხდომა. სხდომა გახსნა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ლორთქიფანიძემ[2], რომელიც სამხედრო კომისიის თავმჯდომარეც იყო, მან წარუდგინა კრებას სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოთხოვნილება, რათა დათხოვნილ იყოს უვადო შვებულებაში ყველა ჯარისკაცი, რომელმაც იმსახურა ჯარში ორი წელიწადი და მეტი. გვარდია თავის მოთხოვნილებას

ასაბუთებდა მით, რომ ადგილებიდან ე. ი. რაიონებიდან შემოდის დაჟინებითი თხოვნები – დათხოვნილ იყვნენ ყველანი, ვინც კი ზემოაღნიშნული ვადა შეასრულაო.

გენერალმა ოდიშელიძემ და მის შემდეგ გენერალმა გედევანიშვილმა მოახსენეს კრებას, რომ თუ ზემოაღნიშნულ ვადების ჯარისკაცნი დათხოვნილ იქნებიან, ჯარი დარჩება უუნტერუოფიცროდ, რაც ძალიან დასწევს ჯარის ბრძოლის უნარს და რადგანაც ომი მოსალოდნელი იყო, ამიტომ სამხედრო მინისტრის ორივე ამხანაგმა უარყვეს გვარდიის წინადადება.

გვარდიის წარმომადგენელნი თავის აზრს მტკიცედ ადგნენ და ერთმა მათგანმა ისიც კი განაცხადა, რომ ამგვარ დემობილიზაციას თვითონაც მოახდენდნენ გვარდიაში, ისე რომ **კომისიას არც კი შეეკითხებოდნენ, მაგრამ ეშინიათ, რომ ამან არ გამოიწვიოს უკმაყოფილება ჯარების ნაწილებში** და ამიტომ მოითხოვენ ეს კანონი გატარებულ იქნას ერთად, გვარდიაშიც და ჯარშიც.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო ნ. რამიშვილმა და როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ორი წლის ნამსახური ჯარისკაცნი **თუ დაუყოვნებლივ არ იქნენ გაშვებულნი უვადო შვებულებაში, როგორც გვარდიაში ისე ჯარში, მას აქვს ცნობები, რომ ჯარებში გაჩნდება**

---

1. ჰეკერი – თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული პიროვნება, რომელიც სარდლობდა საგანგებოდ ბაქოში შეკრებილ მე-11 არმიას.

2. გრიგოლ ლორთქიფანიძე – ვანელი კაცი, სოფელ დიხაშხოდან (რედ).

მღელვარება და მაშინ ის შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხისმგებლობას აღარ კისრულობს.

ამ განცხადების შემდეგ ოდიშელიძემ და გედევანიშვილმა ერთხელ კიდევ სცადეს საქმის გამობრუნება, მათ განაცხადეს, რომ პირველს როგორც მთავარსარდალს და მეორეს, როგორც დაზვერვის უფროსს, არა აქვთ არავითარი ცნობები, **ჯარებში რაიმე უკმაყოფილება სუფევდეს**, მაგრამ ნ. რამიშვილის რიხიანმა განცხადებამ სასწორი თავისკენ გადახარა და ამგვარად გამოცხადდა ცნობილი ბრძანება **ძველი, გამოცდილი, მცოდნე ჯარისკაცთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.**

მაგრამ არც ეს აკმარა. 1921 წლის იანვრის დასაწყისში ბაქოდან ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი გაბო ხუნდაძე, რომელმაც მთავრობას მოხსენება წარუდგინა და დაადასტურა, რომ ბაქოში დამთავრდა მე-11 არმიის შედგენა, რომლის მიზანია საქართველოს მიმართ ოპერაციების დაწყება, მაგრამ არც ამ განცხადებამ იქონია გავლენა მთავრობაზე.

როდესაც დამფუძნებელ კრებაში ირჩეოდა საკითხი სამხედრო საჭიროებისათვის დამატებითი კრედიტების შესახებ, კრების რამდენიმე წევრი შეეკითხა მთავრობას, რამდენი ჯარის გამოყვანა შეგვიძლია, თუ ვინიცობაა ომი მოგვიხდაო?

ამ შეკითხვაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა კრებას რიხით უპასუხა: რა მომენტშიც კი მოითხოვს საჭიროება, მე მზადა მყავს 60 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარიო.

თუმცა, ამ დროს სამხედრო მინისტრად ირიცხებოდა ჭიჭინაძე, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ფაქტიურად ნ. რამიშვილი იყო.

დამფუძნებელი კრების წევრებმა, ცენტრმა და მემარჯვენეებმა მიიღეს რა მინისტრისაგან ასეთი დამამშვიდებელი ცნობები, დაამტკიცეს სამხედრო კრედიტები.

ამავე ხანას ეკუთვნის კომისიის გაგზავნა საზღვარგარეთ სამხედრო იარაღის შესაძენად.

არ ვიცი, იყიდეს ეს იარაღი თუ რომელიმე სახელმწიფომ აჩუქა იგი. ვიცი მხოლოდ, რომ, როდესაც ეს იარაღი გადმოტვირთეს ბათუმში, მიმღებ კომისიამ შეადგინა ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ საზღვარგარეთიდან მოსული 9 ათასი თოფიდან, სახმარად გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ 183 თოფი.

აი, ზოგიერთი ცნობა, რომელიც წინ მიუძღოდა მენშევიკებისა და ბოლშევიკების შეტაკებას 1921 წლის 12 თებერვალს.

12 თებერვალს, ღამის 1 საათზე დამიბარეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში, იმ დროს იქ იყვნენ მთავარი შტაბის ყველა წევრნი, ვინც კი ფრონტზე არ იყო, და სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები.

იქ დამსწრეთაგან გავიგე, რომ იმ ღამეს სადახლოს რაიონში დაბანაკებულ ჩვენ ჯარებს თავს დაესხა მტერი. ეს ცნობა მიეღოთ წითელ ხიდთან დაბანაკებულ სახალხო გვარდიის ჯარების საველე შტაბიდან.

რამდენიმე წუთი არ გასულა, რომ მოვიდა დეპეშა მე-3 დივიზიის უფროსისაგან, გენერალ გედევანიშვილისგან, დაახლოებით შემდეგი შინაარსის: „სომხების ურდოები ღამით დაეცნენ მე-5 და მე-7 ლეგიონს. ჯარისკაცთა ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ნაწილი დახოცეს და დანარჩენები გამოიქცნენ“. ეს იყო პირველი დეპეშა, რომელიც გვაცნობდა სომხების მიერ სამხედრო მოქმედების დაწყებას.

დაზვერვის საქმე ჩვენში იმდენად ცუდად იყო დაყენებული, რომ მთავარსარდალმა გულწრფელად დაიჯერა, რომ მართლა მხოლოდ სომხების ურდოები დაგვესხა თავს.

ჩვენს მარჯვენა ფრთაზე მტრის თავდასხმას შედეგად ის მოჰყვა, რომ სადახლოს რაიონი მტრის ხელში გადავიდა და ტფილისისაკენ გზა გაეხსნა, ხოლო ჩვენს ჯარს დააკლდა ორი ლეგიონი, რომელთა ნარჩენებმა თავი მოიყარეს ტფილისში რამდენიმე დღის შემდეგ.

13 თებერვალს მტრის მოძრაობა დაიწყო ჩვენს შუაგულ ადგილშიც – წითელ ხიდთან.

რა საკითხები წყდებოდა მთავრობის საგანგებო სხდომაზე არ ვიცი, მაგრამ მთავარსარდალი უკან შტაბში რომ დაბრუნდა, გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

ეს მობილიზაცია, რასაკვირველია, ვერ განხორციელდა, რადგან ბოლშევიკებმა ისარგებლეს მდგომარეობით და იერიში მიიტანეს მთელ ფრონტზე.

კახეთის რუქას თუ გადავხედავთ სამხედრო საქმის ყოვლად უცოდინარი ადამიანისათვისაც კი ცხადი იქნება, რომ საქართველოს არმიის უფროსმა მხედრებმა ამ ფრონტს არ მიაქციეს ყურადღება და ამით მტერს მიეცა საშუალება გაენადგურებინა იქ დაბანაკებული ჩვენი ჯარის პატარა მზვერავი რაზმები, შემდეგ ჩაეგო ხელში მთელი კახეთი და უვნებლად მოეღწია ტფილისის მიდამოებამდე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ყველა ეს მოხდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მე-6 ქვეითი ლეგიონი იძულებული გახდა დაეხია თიანეთისაკენ და შემდეგში მტერს ტყვედ ჩაუვარდა ხელში.

14 თებერვალს მთავრობის დადგენილებით, რომელიც გამოწვეული იყო დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ერთი ჯგუფის ზეგავლენით, მთავარსარდალი ოდიშელიძე თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა, მის ადგილას დაინიშნა გენერალი კვინიტაძე. ეს იყო დიდი გამოუსწორებელი შეცდომა მთავრობის.

ქართველ ყველა გენერლებში ოდიშელიძე თვალსაჩინოდ ირჩეოდა უმაღლეს სარდლობაში, მას ჰქონდა დიდი მხედრული და ადმინისტრაციული სტაჟი.

ევროპის უდიდესი ომის[1] დროს გენერალმა ოდიშელიძემ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ჯარების მთავარი შტაბისა.

ომის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ მას პირველი არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ომის მეორე პერიოდში ოდიშელიძე ინიშნება მე-15 კორპუსის უფროსად და შემდეგ მოკლე ხნის განმავლობაში კავკასიის არმიის უფროსად. აი, ასეთ კაცს მთავრობა ცვლის გაჩაღებული ომის დროს და ნიშნავს ისეთ პირს, რომელიც სამხედრო სტაჟით მეტად ჩამორჩება ოდიშელიძეს.

უახლოესი ამბების განვითარებამ დაუმტკიცა მთავრობას მისი შეცდომა.

ახალი მთავარსარდლის დანიშვნის მეორე დღესვე გამოცხადდა საერთო მობილიზაცია მთელს საქართველოში და რადგანაც გამოირკვა, რომ ჩვენი გვარდიის ნაწილები წითელ ხიდთან მტერს ვერ გაუძლებდნენ, ახალმა მთავარსარდალმა გადაწყვიტა მოეხსნა წითელი ხიდიდან და უკან დაეწია ყველა სამხედრო ნაწილები და შედგომოდა ტფილისის დაცვას.

თუმცა, 1920 წლის 6 ოქტომბრიდან არსებობდა ტფილისის გამაგრებული რაიონის უფროსის თანამდებობა, რომელ თანამდებობას მთავრობის განკარგულებით მე ვასრულებდი და თანახმად ჯარების მმართველობის დებულებისა ქალაქის დაცვა მე უნდა დამკისრებოდა, მთავარსარდალმა უკუ აგდო ეს კანონი და 15 თებერვალს დამნიშნა მებრძოლ რაიონის უფროსად ორხევის სადგურიდან ტაბახმელამდე.

15 თებერვალს მე დავბანაკდი სოღანლუღთან სადარაჯო ლეგიონის ორი ასეულით, რომელთაც ტყვიის მფრქვეველი არ ჰქონდათ.

მთავარსარდალმა გამგზავნა ტფილისის მიდამოების დასაცავად, ტაბახმელა-ორხევის ხაზზე და დამპირდა, რომ გამოგზავნიდა ჩემს განკარგულებაში პირველ რიგში ყველა იმ ნაწილებს, რომლებიც იმ დღეებში უნდა მოსულიყვნენ ტფილისში დასავლეთიდან.

მართლაც, იმავე დღეს საღამოზე გორიდან და ხაშურიდან ჩამოვიდა ტფილისში გვარდიის ორი ათასეული, რომლებიც გამოიგზავნა ჩემს განკარგულებაში.

16 თებერვალს დილაზე ჩემს განკარგულებაში იყო უკვე მე-9 ქვეითი ლეგიონი, სადარაჯო ლეგიონი, სახალხო გვარდიის 2 ათასეული და 5 ბატარეა, ჯავშნიანი საავტომობილო გუნდით და ჯავშნიანი მატარებელი.

არმიის შტაბი ტფილისში იმყოფებოდა. მისი მოქმედებებიდან უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: ომის დაწყების პირველი დღეებიდან ტფილისის დაცლამდე, მებრძოლ რაიონებს მოწინააღმდეგის შესახებ შტაბი არავითარ ცნობებს არ აწვდიდა.

ვგონებ, რომ არმიის შტაბს, რომელსაც უნდა ჰქონდეს დამზვერავი აპარატი[2], უნდა ჰქონდეს ცნობები მოწინააღმდეგის ძალებისა, მათი მოძრაობის შესახებ და სხვა, ამ ცნობებს უნდა აწვ-

---

1. იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი 1914-1918 წლები (რედ).

2. ამ შემთხვევაში საუბარია მოწინააღმდეგის, მათი ძალების სრულყოფილ დაზვერვა-შესწავლაზე ე. ი. სამხედრო სადაზვერვო სამსახურზე (რედ.).

დიდეს მებრძოლი რაიონების უფროსებს. ეს ასე ხდება ჩვეულებრივ, მაგრამ არმიის შტაბს ან არ ჰქონდა ყველა ეს ცნობები, ან თავს არ იტკივებდა გადაეცა ისინი პოზიციებზე.

18 თებერვალს კი, საღამოს 10 საათზე მტრის საკმაოდ დიდმა კოლონამ შემოუარა იაღლუჯის მაღლობებს მტკვრის მარჯვენა ნაპირით და წამოვიდა ჩვენკენ იერიშით.

მტრის ჯარების უფროსებს, ცხადია, მიზნად ჰქონდათ დასახული ღამით დასცემოდნენ ჩემს პოზიციებს, ჩაეგდოთ ხელში სოღანლუღის ხიდი, სადგური და გზატკეცილი, რომელიც მიდის ტფილისისაკენ და ამ გზით შეჭრილიყვნენ ტფილისში.

ტფილისში იმ ღამეს შეუწყვეტელი პანიკა იყო. არავინ იცოდა რა ხდებოდა ფრონტზე. ტელეფონების ყველა მავთული დაწყვეტილი იყო და ხელთ არავინა მყავდა, რომ იგი აღმედგინა.

არმიის შტაბს კი სიცოცხლის ნიშნები არ ეტყობოდა. მთელი ღამის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ პოზიციებზე გააფთრებული ბრძოლა იყო, მიუხედავად ზარბაზნების, ტყვიის მფრქვევლებისა და თოფების საშინელი სროლისა, რაც კარგად ისმოდა ტფილისში, **არმიის შტაბიდან ერთი კაციც არ მოვიდა და არ იკითხა, რა ხდებოდა პოზიციებზე**.

ჩვენი მხრიდან კავშირის გაბმა შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენსა და ხაშურის გვარდიის შუა

მტერი იდგა, მთელი ღამე დავდიოდი და ვფიქრობდი, რას ნიშნავს ეს? დავიჯერო თოფ გაუსროლად მტერს ტყვედ ჩაუვარდნენ?

მხოლოდ მეორე დღეს გამოირკვა, რომ ხაშურელებმა, როგორც კი გაიგონეს თოფის ხმა გორის გვარდიის ლიუნეტთან, რომელიც მათ მარცხნივ იყო, **მიანებეს თავი მშვენივრად მოწყობილსა და სრულიად ახალს ლიუნეტს და სამარცხვინოდ გაიქცნენ ტფილისისაკენ**.

მარცხენა ფრთიდან მატყობინებდნენ, რომ მათ მხარეზე მტერი არ მოჩანს. იერიშით წამოსული კოლონები მტრის ჯარის უფროსებს, როგორც ეტყობა, სრულიად დაავიწყდათ. მათი რეზერვები არსად ჩანდა, არტილერია დახმარებას სრულიად არ უწევდა და იერიშით მოსულმა ჯარებმა მოაღწიეს ძალიან ახლო ჩვენს სიმაგრეებთან და გაწვნენ სრულიად გაშლილ ადგილზე. რადგან იერიშები მოგერიებულნი იქნა, გათენებისას სადარაჯო ლეგიონი თავის მხრივ გადავიდა იერიშზე, გორის გვარდიელებმა დაინახეს რა ლეგიონის იერიშზე გადასვლა, მიბაძეს მის მაგალითს, ამოცვივდნენ თხრილებიდან და ეძგერნენ მტერს. მტერმა ბრძოლა არ მიიღო და ნაწილი ტყვედ ჩაგვივარდა, ხოლო მომეტებულმა ნაწილმა დაიხია იალღუჯის სიმაღლისაკენ.

ტყვეები, რიცხვით 1 600 კაცი, გავგზავნე არმიის შტაბში. მოწინააღმდეგის ჯარებს თოფის ტყვია ვეღარ სწვდებოდა და ვისროდით მხოლოდ ზარბაზნებს. **რეზერვში არ მყავდა დასვენებული არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დადევნებოდა**.

19 თებერვალს გაიხსნა ახალი მებრძოლი რაიონი ტაბახმელიდან დაწყებული კიკეთამდე. მებრძოლ რაზმს შეადგენდნენ სამხედრო სკოლის იუნკერები, უნტერ-ოფიცრების სასწავლო ათასეული, მე-12 ქვეითი ლეგიონი და სამხედრო გვარდიის რამდენიმე ათასეული.

ჩვენი გამარჯვების შემდეგ მტერმა მიანება თავი ამ მებრძოლ რაიონს და აღარ შევუწუხებივართ, სანამ ჩვენ ასე სამარცხვინოდ არ მივატოვეთ ტფილისი.

21 თებერვლიდან მტერი მთელი თავისი ძალებით ეძგერა გენ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილის რაიონს, რომელმაც არათუ მოიგერია მტრის რამდენჯერმე განმეორებული იერიშები, იუნკრებისა და უნტერ-ოფიცრების საშუალებით, არამედ თვითონაც გადავიდა იერიშზე და გადარეკა მტერი დაბლობებში.

ჯარების მობილიზაცია გვიანდებოდა, რადგან მისი გატარება სიძნელით წარმოებდა: ამის მიზეზი ალბათ ბევრი რამ იყო. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მდგომარეობდა იმაში, რომ მობილიზაციით მოკრებილი ჯარისკაცნი ადგილობრივ მაზრებში ვერ იღებდნენ ტანსაცმელს, იარაღს და მოკაზმულობას.

მალე გამოირკვა, **რომ საინტენდანტო საწყობებშიც არ იყო საკმაო ტანსაცმელი და მოკაზმულობა, რაც უმთავრესია, თოფებიც**.

ცხენოსანი ჯარის ახალი ნაწილების შედგენა მოიფიქრეს მხოლოდ 25 თებერვალს. კავალერიის უფროსად დანიშნული პოლკოვნიკი დავით ჭავჭავაძე იძულებული იყო ოფიცრებით წასულიყო დასავლეთ საქართველოში ცხენოსანი ლაშქრის შესადგენად, 25 თებერვალს დილის 5 საათზე.

ეს, სწორედ, იმ დროს იყო, როდესაც ჩვენი ჯარი ტფილისიდან მცხეთაში იხევდა. ქუთაისში და შემდეგ სამტრედიაში გამოცხადდა უნაგირების რეკვიზიცია კავალერიისთვის.

არ შეიძლება, რასაკვირველია, მთელი ბრალი დავდოთ არმიის შტაბს, რადგან მომარაგების სამინისტრომ და მთავარმა საინტენდანტომ, რომელიც ამ სამინისტროს ემორჩილებოდა, ვერ მოიფიქრეს სამი წლის განმავლობაში სისწორით ეანგარიშათ და გამოერკვიათ რა დარჩა კიდევ ყოფილი კავკასიის არმიის უზარმაზარ საწყობებში.

თუმცა, მთავარ საინდენდანტოში იყვნენ ძველი, გამოცდილი ოფიცრები და მოხელენი, რომლებიც ოდესღაც მშვენივრად უვლიდნენ ამაზე უფრო დიდ ქონებას და კარგად იცოდნენ, სად რა იყო, მაგრამ იმ დროს სპეცებს[1] უნდობლად უყურებდა მთავრობა, ყველა ისისნი გადააქციეს უბრალო გადამწერლებლად და საპასუხისმგებლო ადგილებზე ნიშნავდნენ გამოუცდელ, უვიც, საეჭვო ზნეობის პირებს, რომელთაც პარტიული ბილეთის მეტი ბევრი არაფერი გააჩნდათ.

შემდეგში, როცა მე სათავეში ჩავუდექი ქართულ წითელ ჯარს, სავსებით დავრწმუნდი, რომ, როგორც მომარაგების მინისტრმა ერაძემ, ისე მთავარ საინდენდანტოს უფროსმა კალისტრატე გოგუამ, **არ იცოდნენ რა ქონება ჰქონდათ, სად ჰქონდათ, და მთავრობას და არმიის შტაბს ტყუილ ცნობებს აწვდიდნენ.**

უკვე 1921 წლის მაისში ჩვენს საწყობებში დარჩენილი ტანსაცმელით მე შევძელი შემოსვა თავიდან ფეხებამდე 17 000 კაცისაგან შემდგარი ქართული წითელი არმიისა.

ეს არ კმარა: საქართველოს საბჭოთა მთავრობა, დღიდან ტფილისში შემოსვლისა, ორი კვირის განმავლობაში კვებავდა უფასოდ მთელი ქალაქის მცხოვრებლებს სამინისტროს საწყობებიდან, მაშინ, როდესაც დ. ჭავჭავაძე რეკვიზიციის სახით კრებდა დანჯღრეულ უნაგირებს ქუთაისში და სამტრედიაში, ნავთლულის საწყობებში იყო თურმე რამდენიმე ათასი კავალერიის ახალი უნაგირი და ცხენების სხვა მრავალი მოწყობილობა.

როდესაც გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგემ თავისი მარჯვენა ფრთით მთელი კახეთი ხელში ჩაიგდო, და ამით შექმნა საფრთხე ტფილისისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, მთავარსარდლის განკარგულებით შედგა 21 თებერვალს მესამე მებრძოლი რაიონი – სადგურ ორხევიდან დაწყებული სადგურ ვაზიანამდე.

ეს რაიონი დაიკავა სახალხო გვარდიის ათასეულმა გენერალ ჯიჯიხიას უფროსობით, ხოლო 24 თებერვალს მთავარსარდალი იძულებული გახდა შეედგინა კიდევ მეოთხე მებრძოლი რაიონი პოლკოვნიკ გედევანიშვილის უფროსობით, რომელსაც უნდა დაეცვა ტფილისის შესავალი გზები სოფელ ლილოდან დაწყებული კუს ტბამდე.

გენერალ ჯიჯიხიას რაიონში მოწინააღმდეგე ამოძრავდა შუადღის 3 საათზე, ხოლო ვაზიანთან, სადგურიდან კარგად მოშორებულ მანძილზე გამოჩნდა რამდენიმე „ტანკი“.

გვარდიელების ზოგიერთმა ათასეულმა „ტანკები“ რომ დაინახეს შეშინდნენ, მიანებეს თავი თხრილებს და გამოიქცნენ, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მებრძოლი რაიონი კვლავ იქნა აღდგენილი.

რა ხდებოდა ამ დროს ტფილისში და განსაკუთრებით, მთავარ შტაბში, სრულიად არა ვიცოდით რა, და როგორც შემდეგში მითხრეს, ანდრონიკაშვილმა და ჯიჯიხიამ არც იმათ იცოდნენ არაფერი.

ფრონტის მდგომარეობა კი 14 თებერვალს ასეთი იყო: მოწინააღმდეგის იერიშები ყველა რაიონში მოგერიებულნი იქნენ და დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი დღის ბრძოლით დაქანცული მოწინააღმდეგე ღამის იერიშებს არ მოახდენდა, ხოლო დილით, რადგანაც მოწინააღმდეგე იდგა მთის გაშლილ ფერდობზე და ხევებში ჩვენი კარგად მოწყობილი პოზიციების პირდაპირ, იძულებული გახდებოდა ან იარაღი დაეყარა, ან და თუ ვინიცობაა უკან დაიხევდა, ან მთლად გაწყდებოდა, ლეგიონების უფროსებთან ტელეფონებით ლაპარაკის დროს ეს ჩემი აზრი თანდათან მტკიცდებოდა.

ღამის 11 საათსა და 23 წუთზე მოულოდნელად მიმიხმეს პირდაპირ მავთულთან და გადმომცეს

---

1. სპეციალისტებს, გამოცდილ მცოდნე კადრებს (რედ.).

მთავარსარდლის ბრძანება, ტფილისიდან მცხეთაში უკან დახევის შესახებ.

ამ ბრძანებამ ძალიან გამაკვირვა და გამაოცა. 12 საათამდე დარჩენილი იყო რამდენიმე წუთი. რამდენიმე წუთის შემდეგ გუდა-ნაბადი უნდა აგვეკრა და გავქცეულიყავით ტფილისიდან.

ყველაზე მეტად მე ერთი გარემოება მაოცებდა: **ტფილისის დაცვა ისეთი დიდი საკითხია, რომ მისი გადაწყვეტა ასე დაჩქარებით, ასე დაუფიქრებლად ვერაფრით ვერ ამეხსნა**.

იმ კრებაზე, რომელზედაც ეს გადამწყვეტი დადგენილება მიიღეს – **არამც თუ არ მიგვიწვიეს ჩვენ, ფრონტის უფროსები, რომლებიც ფრონტს თვალით დავყურებდით, რომლებმაც კარგად ვიცოდით მოწინააღმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულიერი განწყობილება, არც კი შეგვეკითხნენ, ჩვენი აზრის მოსმენა არც კი ინებეს**.

მცხეთაში მთავარმა შტაბმა არ უჩვენა დივიზიებს ადგილები, რის გამოც ჯარის ნაწილები ისე დაბანაკდნენ ვინც, როგორც მოახერხა, მცხეთის სადგურსა და მონასტრის შუა.

თავდაცვის არავითარი ზომები არ იყო მიღებული. მცხეთის პოზიციებზე დარჩენა შეუძლებელი იყო არმიის მცირე რიცხოვნობის გამო.

მოწინააღმდეგეს რომ მეტი ენერგია და გაბედულება ჰქონოდა, 24 თებერვალს საღამოს საქართველოს მთელ არმიას ტყვედ ჩაიგდებდა, მაგრამ მისი უმოქმედობის გამო, 16 თებერვალს ჩვენ შევძელით მცხეთის ქვაბიდან გასვლა.

მცხეთიდან გორამდე უკან დახეული ჯარები თანდათან იშლებოდა. გზადაგზა ჯარისკაცები, ჯერ თითო-თითოდ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად, თავს ანებებდნენ თავის ნაწილებს და თოფებითა და ტყვიისმფრქვეველებით მიდიოდნენ თავთავიანთ სოფლებში.

ქალაქ გორთან მთავარსარდალმა გადაწყვიტა შეეჩერებინა მოწინააღმდეგის წინსვლა და ამისთვის გაგზავნა სოფელ ხიდისთავისაკენ მეორე დივიზია, გენერალ სუმბათაშვილის უფროსობით.

ამაზე დაიხარჯა სრულიად უმიზნოდ ორი დღე, რის განმავლობაში მოწინააღმდეგეს მიეცა საშუალება მოეკრიბა თავისი ძალები. მთავარსარდალი იძულებული გახდა გაეცა უკან დახევის ბრძანება სადგურ ხაშურისაკენ, რადგან ქალაქ გორის დასაცავად საჭირო იყო 10-ჯერ იმაზე მეტი ძალა, რაც მთავარსარდალს ხელთ ჰყავდა.

ჩემი პირადი შეხედულებით მთავარსარდალმა დაუშვა დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა იმით, რომ გორში გაჩერდა.

თუ საჭირო ოყო ტფილისის დაცლა უბრძოლველად, რასაც მე პირადად დღესაც არ ვეთანხმები, მაშინ მთავრობას უნდა მოეხდინა სახელმწიფო დაწესებულებათა ევაკუაცია., ხოლო მთავარი ძალები უნდა გადაეყვანა რკინიგზით სურამის უღელტეხილამდე და არიერგარდული ბრძოლებით შეეჩერებინა მოწინააღმდეგე, რითაც შეძლებას მისცემდა ჯარებს გაემაგრებინათ უღელტეხილი და ამგვარად შესაძლებელი იქნებოდა პატარა ძალებით ერთ ადგილას გაჩერება, სანამ წამოეშველებოდა დასავლეთ საქართველოში მობილიზაციით მოკრებილი ჯარები და **ის „რეალური ძალა“ საზღვარგარეთიდან, რომელსაც ნ. რამიშვილი დაჰპირდა მთავარსარდალს გორის სადგურზე.**

ნ. რამიშვილი დასეირნობდა გორის სადგურის ბაქანზე და ყველას გვამშვიდებდა: გამაგრდით, რეალური დახმარება საზღვარგარეთიდან ამ დღეებში მოვა და ჩვენ გვჯეროდა მისი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი, რომელსაც ჯარისკაცები უწოდებდნენ „საქართველოს ბოროტ გენიას“ ხშირად ატყუებდა ყველას, ვისთვისაც კი სამშობლოს ღირსება ძვირფასი იყო.

მივიღე ბრძანება მთავარსარდლისა, რომელიც გადმომცა შტაბის უფროსმა, რადგანაც სახალხო გვარდიამ არ შეასრულა დაკისრებული ამოცანა[1] საერთო იერიში უქმდება და ჩემმა ჯარმა უნდა დაიხიოს სურამის უღელტეხილის პოზიციებზე.

1.საინტერესოა გვარდიაზე ქართველი გენერლისა და ნ. ჟორდანიას ხელისუფლების მთავარსარდლის გ. კვინიტაძის შეხედულება ... „გვარდიის, როგორც სამხედრო ორგანიზაციის შექმნა იყო უმთავრესი თუ არა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, ბრძოლის ველზე გვარდია ან უარს ამბობდა ომზე, ან იქაურობას ტოვებდა, მაშინაც კი, თუ ბრძოლას ვიგებდით (გვ.13).

სხვათა შორის მე ყველგან ლაპარაკი მაქვს დივიზიებზე, მაგრამ არცერთი დივიზია არ **იყო სრული, მაგ. 1-ლი დივიზია შედგებოდა 1-ელი და მე-4 ლეგიონისაგან; მე-2 და მე-3 ლეგიონები დივიზიის უფროსით იყვნენ სოხუმის ფრონტზე. მე-2 დივიზია შედგებოდა მე-7 და მე-8 ლეგიონისაგან; მე-5 ლეგიონი მოისპო ჯერ კიდევ 12 თებერვალს, ხოლო მე-6 ლეგიონი მტერს ტყვედ ჩაუვარდა 25 თებერვალს, ხოლო მე-6 მდინარე არაგვის ნაპირას. მე-3 დივიზია შედგებოდა მე-9 და მე12 ლეგიონისაგან, მე-10 და მე-11 ლეგიონები დაბრკოლდნენ ქალაქ ახალციხეში, რადგან თავის დროზე ვერ მიიღეს ტანსაცმელი და იარაღი. ამგვარად, 2 მარტს ჩემს განკარგულებაში იყო სულ 8 ქვეითი და 1 სადარაჯო ლეგიონები.**

იმავე დღეს ბორჯომის ხეობიდან მოვიდა ჩემს განკარგულებაში მე-11 ქვეითი ლეგიონი, რომელსაც შეადგენდა 1 500 თოფიანი და 8 ტყვია მფრქვეველი.

თუმცა, ჩემდამი მონდობილ ჯარებს ტფილისიდან უკან დახევის დღიდან მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლიათ, მაგრამ ჯარისკაცთა რიცხვი ლეგიონებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემცირდა იმიტომ, რომ ჯარისკაცები გზადაგზა გარბოდნენ თავიანთ სახლებში. ლეგიონებში ითვლებოდა თითოში 150-500 თოფიანი. ამრიგად, ჩემს ფრონტზე ითვლებოდა 2 მარტს არა უმეტეს 2 500 თოფიანი ჯარისკაცი.

ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ სურამის უღელტეხილის პოზიციებზე ჩვენ დიდხანს შევჩერდებოდით, რომ იქ შევავსებდით ჯარებს და იქ მივიღებდით იმ „რეალურ ძალას“, რომელსაც ნ. რამიშვილი გვპირდებოდა, ჯერ კიდევ გორში. მთელ არმიას ილაჯი გაუწყდა და აღარ სჯეროდა დახმარებისა საზღვარგარეთიდან და ამასთან სულიერად ეცემოდა.

ჯარის ნაწილების უფროსები წამდაუწუმ მთხოვდნენ ჯარისკაცებს. მათ არ ჰყოფნიდათ ხალხი მორიგე ნაწილების შესაცვლელად. არმიის შტაბი კი სდუმდა ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, დაპირებებით გვკვებავდა.

რა ხდებოდა ამ დროს მთავარსარდლისა და მთავრობის ბანაკში ჩვენ სრულებით არ ვიცოდით. ჩემი შტაბი თავის დროზე უგზავნიდა მირიგ მოხსენებებს მთავარ შტაბს, ხოლო მთავარსარდლის შტაბმა არ ჩათვალა საჭიროდ ეცნობებინა ჩემთვის, როგორც ფრონტის უფროსისთვის, ისეთი დიდი ამბები, როგორიც არის მაგალითად, ჟლობას საკავალერიო დივიზიის გოდერძის უღელტეხილით უკან მოვლა და აგრეთვე, ბათუმში და ბათუმის ოლქში ოსმალოთა ჯარის შემოსვლა.

თითქოს ყველა ეს საჭირო არ იყო და არ იყვნენ ღირსნი სცოდნოდათ საჯავახოს პოზიციებზე მდგომ ქართულ ჯარებს.

საქართველოს მთავრობა კი, ჯერაც ვერ გამორკვეულიყო ქიაზიმ-ბეის ტკბილი ზღაპრების ბურუსიდან. ქიაზიმ-ბეი, როგორც მოგეხსენებათ, იყო ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც არწმუნებდა ჩვენს მთავრობას, რომ ოსმალეთის ერთადერთი სურვილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და ალბათ, ამიტომ დაუთმო ოსმალეთს საქართველოს მთავრობამ ჯერ ახალციხის მაზრის ნაწილი და მთელი არდაგანისა და ართვინის ოლქები, ხოლო შემდეგ, როდესაც დაიწყო სამხედრო მოქმედება ბოლშევიკებთან, ქიაზიმ-ბეის და მის ტელეგრაფის მოხელეს მისცეს უფლება, ხელშეუშლელად მთელი დღე-ღამის განმავლობაში ესარგებლათ მთავარი შტაბის აპარატის ოთახით, ისე რომ ქიაზიმ-ბეიმ იცოდა ჩვენი მოქმედების საიდუმლოებანი გაცილებით უკეთესად, ვიდრე ჩვენ ვიცოდით.

ჩვენს მთავრობასა და მთავარსარდალს თვალები აეხილათ მხოლოდ 17 მარტს და მხოლოდ მაშინ დაინახეს ქიაზიმ-ბეის ოინები, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ახლა ყველა თავის შველაზე ფიქრობდა.

ყოველი მათგანი ცდილობდა მალე ჩაესხა გემში თავისი ოჯახი, შემდეგ შიგ თვითონაც კარგად მოწყობილიყო და **უამრავი სიმდიდრით, რომელიც შეადგენდა ქართველი ხალხის კუთვნილებას, მიეშურებიან საზღვარგარეთისაკენ.**

საგულისხმო ის არის, რომ მთავრობის წევრები თავისი ბატონობის ხანაში ყველა მიტინგებზე და კრებებზე, ხალხს მუდამ არწმუნებდნენ, რომ ისინი რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად და ამ რევოლუციიდან გამომდინარე ლოზუნგების განსახორციელებლად მუდამ ხალხთან იქნებიან,

ხალხთან ერთად დაიხოცებიან და არასდროს მათ თავს არ დაანებებენ, მაგრამ არამც თუ თავი დაანებეს თავიანთ ჯარსაც კი არ შეატყობინეს თავისი წასვლა, მაგ. ლაშქარს, რომელიც იდგა საჯავახოს პოზიციებზე და რომელიც შედგებოდა ათი ათასი მებრძოლისაგან.

ეს ათი ათასი მებრძოლი მენშევიკურ ხელისუფლებას ხომ ბრმად იცავდა?

ამ ათი ათას მებრძოლს, მთავრობის წევრნი ხომ ეფიცებოდნენ ან გავიმარჯვებთ, ან თქვენთან ერთად დავიხოცებითო. და ნუ თუ არ იყვნენ ისინი ღირსნი გაეგებინებიათ მათთვის თავისი წასვლა?

რა მოხდა ბათუმში? რა შიშმა მოიცვა ისინი? მათ ხომ იმ ხანებში ჰყავდათ ისეთი ძლიერი ლაშქარი, რომელიც სამი წლის განმავლობაში არასოდეს არ ჰყოლიათ? გარდა იმ 10 000 ჯარისკაცისა, რომლებიც საჯავახოს ფრონტზე იდგა, ბათუმში კიდევ იყო 3 000 მებრძოლი.

რატომ არ გაიგზავნა რაზმი მტრის დასახვედრად ხულოში და აჭარის წყალზე? რად შეუშინდნენ ერთ მუჭა ოსმალებს და ნება რათ მისცეს გადაელახათ ჩვენი საზღვრები?

აი კითხვები, რომელნიც თავში გვიტრიალებდა ყველას, მთავრობის გაქცევის მეორე დღეს. გული სიმწრით გვეკუმშებოდა. ვხედავდით, რომ მოტყუებულნი დავრჩით ჩვენ.

ყველაზე მეტად ერთი კითხვა გვაწუხებდა: თუ მთავრობის წევრნი მართალნი იყვნენ, რატომ არ უნდა დარჩენილიყვნენ ჩვენთან და რატომ არ უნდა გაეზიარებინათ ჩვენთან ერთად დამარცხებულთა ბედი?!

მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარი ტყავის გადარჩენის სურვილმა დასძლია მთავრობის წევრთა ყველა კეთილშობილი გრძნობანი.

17 მარტს, შუადღისას ქუთაისიდან მოვიდა ჩემთან პოლკოვნიკი გურგენიძე და გადმომცა ბარათი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, გრიგოლ ლორთქიფანიძისა, რომელიც დარჩა ქუთაისში ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად.

ლორთქიფანიძე მაცნობდა, რომ ჩვენს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის დაიდო დროებითი ზავი და წინადადება მეძლეოდა მომეგროვებინა საჯავახოს ხიდთან ცარიელი მატარებლები საბჭოთა ჯარების ბათუმში გადასაყვანად.

შემდეგში ინსტრუქციები მე უნდა მიმეღო მთავარსარდლისა და მთავრობისაგან.

საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. ბოლოს ვიღაცა მოვიდა და მითხრა, რომ მე მეძახიან ბათუმის სადგურთან ტელეფონით.

ვიფიქრე, ალბათ, ნავთსადგურში ყველა გზები დაჭერილია მთავრობის მატარებლებით და სადგურის უფროსს უნდა ეს გარემოება მაცნობოს მეთქი, ამიტომ გავეშურე ტელეფონისაკენ. შევეკითხე: ვინ მელაპარაკება? პასუხი: **თქვენ გელაპარაკებათ სადგურიდან თენგიზ ჟღენტი, ბათუმის რევკომის წევრი**.

მე საშინლად გავკვირდი. ვუპასუხე, რომ არამც თუ არ ვიცნობ იმას, ვინც მელაპარაკება, ისიც კი არ ვიცი, რა სიტყვაა რევკომი, რომ მე მსურს ველაპარაკო ჩემი მთავრობის ერთ-ერთ წევრს, ან მთავარსარდალს.

ამაზე მივიღე პასუხი: გენერალო, მე უნდა აგიხსნათ შემდეგი, რომ თქვენი მთავრობა გაიქცა ბათუმიდან გემებით, ხოლო სანამ გაიქცეოდნენ, ციხიდან გაგვათავისუფლეს ჩვენ ე. ი. ბოლშევიკები და წინადადება მოგვცეს შევადგინოთ დროებითი მთავრობა. აი, სწორედ, ამ დროებით მთავრობას ეწოდება რევკომი, ე. ი. რევოლუციური კომიტეტი.

მე კვლავ გაკვირვებული ვიდექი და ვუთხარი: მე თქვენი არ მჯერა! გთხოვთ დაუყოვნებლივ შემაერთოთ მთავარსარდალთან. მანვე მომიგო: **„მთავარსარდალი გაიქცა მთავრობასთან ერთად, თუ ესეც არ გჯერათ, ჰკითხეთ თქვენს გენერლებს, რომლებიც ამ წუთში აქ, ჩემთან არიან“**. მე ვუთხარი: მოიხმეთ ტელეფონთან გენერალი ვარდენ წულუკიძე, თ. ჟღენტმა მიპასუხა, რომ ტელეფონი გადასცა ვარდენ წულუკიძეს.

– ვარდენ შენა ხარ?

– მე ვარ.

– მართალია, რომ მთავრობა და მთავარსარდალი ბათუმიდან წავიდნენ?

– მართალია.

– რა განკარგულება მოახდინეს წასვლის დროს და მთავარსარდალმა ვინ დატოვა თავის მაგივრად?

– არავითარი განკარგულება მთავრობას არ მოუხდენია და მთავარსარდალს თავის მაგივრად არავინ დაუტოვებია. ყველა ჩვენ, ვინც არ მოვისურვეთ მთავრობასთან ერთად წასვლა, აქა ვართ სადგურზე და გთხოვთ საჩქაროდ მოხვიდე.

გენერალ ვარდენ წულუკიძესთან ლაპარაკის შემდეგ კიდევ ველაპარაკე ორ-სამ გენერალს და რადგანაც ყველანი ხმაზე ვიცანი და დავრწმუნდი, რომ გულწრფელად ლაპარაკობდნენ, მივმართე ისევ თ ჟღენტს და ვუთხარი, რომ მე გადავწყვიტე მივიდე მასთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ორთქლმავალი წამართვეს და ამიტომ არ შემიძლია მისვლა. თ. ჟღენტმა მიპასუხა, რომ სათანადო განკარგულებას გასცემს და მთხოვა არ დავიგვიანო, რადგან ყველანი მელიან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე უკვე სადგურში ვიყავი, სადგურში შემხვდა თ. ჟღენტი და წამიყვანა ოთახში, სადაც თავმოყრილნი იყვნენ რევკომის თითქმის ყველა წევრი და ოცამდე ჩვენი გენერალი და ოფიცერი.

რევკომის თავმჯდომარე ს. ქავთარაძე სადგურში არ იყო. რევკომის იქ დამსწრე წევრთა შორის მე გავეცანი თ. ჟღენტს, კარპე მოდებაძეს, ურუშაძეს და დადიანს.

თ. ჟღენტმა ჩემს თანამოსამსახურეთა თანდასწრებით გამიმეორა, რაც ტელეფონით მითხრა და დაუმატა, რომ გაქცეული მთავრობის ნებართვით რამდენიმე დღის წინათ ბათუმში შემოვიდნენ ოსმალების ჯარები და ქიაზიმ-ბეიმ უკვე გამოაცხადა თავისი თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და სროლა, რომელიც მოისმის ქალაქში, არის შედეგი ქართველებსა და ოსმალებს შორის მომხდარი შეტაკებისა.

რევკომს უკვე ჰქონდა ბჭობა ბათუმიდან ოსმალების განდევნის შესახებ იქ დამსწრე გენერლებთან და დაედგინათ ეს საქმე დაეკისრებინათ ჩემთვის ე. ი. მეკისრა ქართული ჯარების სარდლობა. მე ვიფიქრე: ცხადი იყო ოსმალები თუ გამაგრდებოდნენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ვეღარ შესძლებდა.

მე ვიცოდი, რომ ოსმალეთს კავშირი ჰქონოდა რუსეთთან და რუსეთი ვერ ჩაებმებოდა საქართველოსა და ოსმალეთ შორის ატეხილ ომში.

ყველა ამ ფიქრებმა ელვასავით გაირბინეს თავში, მე გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა საბჭოთა ჯარების მოსვლამდე ოსმალები ბათუმის ოლქიდან უნდა გაგვედევნა.

მე მივმართე თ. ჟღენტს და ამხანაგებს მოკლე სიტყვით, სხვათა შორის ვთქვი, რომ ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში, ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს და თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერლებიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე, უწინდელი სამსახურისათვის არ იქნება დასჯილი, მე მზადა ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგები სამხედრო მოქმედებას ოსმალების წინააღმდეგ. ამასთან გამოვთქვი იმედი, რომ ყველა იქ დამსწრე ჩემი თანამოსამსახურენი იზიარებენ ჩემს აზრს.

ყველა იქ დამსწრე ოფიცრებმა დაადასტურეს ჩემი აზრი.თენგიზ ჟღენტმა რევკომის სახელით მიპასუხა, რომ არც ერთი ჯარისკაცი მენშევიკებთან სამსახურისათვის არავითარ სასჯელს არ მიიღებს და რომ ამის შესახებ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკვე გამოსცა მანიფესტი. დასასრულ მოგვმართა ყველას შემდეგი სიტყვებით: „ამხანაგებო, ჩვენ, ბოლშევიკები დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს საქართველო და მისი არმია, ვიდრე მენშევიკებს“. ამ სიტყვების შემდეგ თ. ჟღენტს ვთხოვე წერილობით აღენიშნა ჩემი დანიშვნა და ამასთან გადმოეცა ჩემს განკარგულებაში ტელეგრაფისა და ტელეფონის ყველა საშუალებანი.

ყველა ეს ამბავი დაუყოვნებლივ ვაცნობე ტელეგრაფით საჯავახოს ფრონტის შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ ძაგანიას, ვუბრძანე ლანჩხუთიდან გამოეწვია ფრონტის ხაზიდან გენ-

ერალი სუმბათაშვილი ჩემს მოადგილედ და გავეცი განკარგულება გაეგზავნათ ცარიელი მატარებელი საჯავახოს ხიდთან საბჭოთა ჯარების ბათუმში წამოსაყვანად.

შემდეგ მოველაპარაკე გენერალ ვ. წულუკიძეს და ართმელაძეს და ციხის რაიონი გავყავი ორ მებრძოლ უბნად: ნაწილი ქალაქისა, ბარცხანა და კახაბრის ფორტები დავუქვემდებარე გენერალ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი, სტეფანოვკა და ანარიის ფორტები – გენერალ ართმელაძეს.

გათენებისას, 4 საათზე მე და თ. ჟღენტი წავედით ავტომობილით რევკომის თავმჯდომარე ს. ქავთარაძესთან, რათა მოგვეხსენებინა ჩვენი გადაწყვეტილება და რაც შეეხება ჩვენ მიერ მიღებულ ზომებს, ვთხოვეთ მოეწერა ხელი ბრძანებაზე, რომლითაც მე ვირიცხებოდი საქართველოს წითელი ჯარის სარდლად და ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად.

შემდეგ გავემგზავრე ციხის შტაბში, სადაც ხელდახელ შევადგინე რაზმის შტაბი. დილის 6 საათზე ქალაქის ყველა ქუჩაზე უკვე გაკრული იყო ბრძანება ჩემი დანიშვნის შესახებ, ქიაზიმბეის გავუგზავნე ულტიმატუმი მოთხოვნილება, ერთი საათის განმავლობაში გაეყვანა თავისი ჯარები ბათუმის ოლქიდან და დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა წინა დღით დაჭერილი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, რადიოს სადგური, ბარცხანის ფორტი და ქალაქის მილიციის შენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დავემუქრე, შევუდგებოდი სამხედრო მოქმედებას.

ამ ულტიმატუმზე ქიაზიმ-ბეიმ არავითარი პასუხი არ გამცა. ერთი საათი რომ გავიდა გავეცი ბრძანება, დაეწყოთ სამხედრო მოქმედება ბარცხანის ფორტის რაიონში და ქალაქის იმ ადგილებში, სადაც აგებულია ყაზარმები.

რევკომის წევრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩვენსა და ოსმალებს შორის შეტაკება არ მომხდარიყო და განუწყვეტლივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქიაზიმ-ბეისთან, მაგრამ ქიაზიმ-ბეი ერთის მხრივ არწმუნებდა დელეგატებს რომ ის მზადაა მშვიდობიანი გზით მოაგვაროს შექმნილი მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრივ ოსმალეთის ჯარების უფროსებისაგან დეპეშით მოითხოვდა მაშველ ჯარებს. იმ დეპეშებს ჩვენები იჭერდნენ და ადგენდნენ შტაბში.

18 მარტს შუადღის 4 საათამდე არ შეწყვეტილა თოფისა და ტყვიისმფრქვეველების სროლა ბარცხანასა და კახაბრის რაიონებში. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს პოზიციები ნავთსადგურიდან საბარგო სადგურამდე და მათი ცდა იყო აეძულებინათ ოსმალები დაეყარათ იარაღი.

ასე მიდიოდა საქმე, მაგრამ ამ დროს ჩაქვის მხრიდან გამოჩნდა ჯარისკაცთა მატარებელი. ოსმალებმა იფიქრეს, ესენი ჩვენთან საბრძოლველად გამოწვეული ქართველი ჯარები იქნებაო, გამოვიდნენ ფორტიდან, გააჩერეს მატარებელი და შეუდგნენ მათ განიარაღებას, სინამდვილეში კი, ის იყო საბჭოთა ჯარების პირველი ეშელონი, რომელიც მოდიოდა საჯავახოს სადგურიდან. ამ მომენტით ისარგებლეს ჯარებმა და ფორტს მიუახლოვდნენ, სადგურის პაკგაუზის უკან იდგა ცხენოსანი რაზმი, თავზეხელაღებული მამაცი პოლკოვნიკის ფრიდონ წულუკიძის უფროსობით. წულუკიძე თავისი რაზმით გამოვიდა პაკგაუზებიდან, გარს შემოერტყა ფორტს და გაღებული ალაყაფის კარებიდან შეიჭრა თვით ფორტში. ოსმალებმა გააღეს ალაყაფის კარები თავისი ჯარების გამოსაშვებად, რომლებიც გამოვიდნენ ჯარისკაცებით დატვირთული მატარებლის ხელში ჩასაგდებად, ხოლო დაკეტვა მისი დაავიწყდათ.

ნახევარი საათის შემდეგ ბარცხანის მთელი გარნიზონი განადგურებული იქნა, ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი, რიცხვით 218 ასკერი დაატყვევეს და ჩემ შტაბში გამოგზავნეს.

მატარებელი ბოლოს და ბოლოს განთავისუფლებული იქნა განიარაღებისაგან და ეშელონის მთელი ქონება უკან იქნა დაბრუნებული.

მოსული ეშელონის დასახვედრად წავიდა თ. ჟღენტი ჩემი შტაბის განკარგულებით იმ ადგილას, სადაც გადმოსხეს ეშელონი, გაიგზავნა ქართული სამხედრო ორკესტრი, რევკომის თავმჯდომარე ს. ქავთარაძე მიესალმა ეშელონს და მიულოცა ბათუმში მოსვლა, რის შემდეგაც ჯარები დაბინავდნენ ქალთა გიმნაზიის შენობაში.

ბარცხანის ფორტის აღების შემდეგ ქართული ცხენოსანი ჯარის ქალაქში დატოვება აღარ შეიძლებოდა, რადგან ცხენების საკვები გამოგველია. ქალაქში კი არ მოიძებნებოდა ცხენების საკვები, ამიტომ ჩემი განკარგულებით ცხენოსანი ჯარი იმავე საღამოს ბარცხანიდან წავიდა

ქობულეთში და იქ დაბანაკდა.

ღამემ მშვიდობიანად გაიარა. საღამოს 9 საათზე მე ვიყავი გენერალ ვარდენ წულუკიძის შტაბში სადგურზე, სადაც ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მოიყვანეს ერთი ცხენოსანი კაზაკი.

ჩემ შეკითხვაზე ვინ არის და საიდან მოვიდა, კაზაკმა მიპასუხა, რომ ის ეძებს ქართული ჯარების უფროსს და როდესაც გაიგო ეს უფროსი მე ვიყავი, დაუმატა, რომ ის არის გამოგზავნილი დივიზიის უფროსის, ამხანაგ ჟლობასაგან აჭარის წყალიდან ჩემთან კავშირის გასაბმელად, რადგან დივიზიის უფროსმა უკვე იცის რომ ქართველებსა და საბჭოებს შორის უკვე არის შეთანხმებაო.

წერილობითი საბუთები არ ჰქონდა.

ვკითხე, საიდან მოხვდნენ ისინი აჭარის წყალზე, კაზაკმა მიპასუხა, რომ ისისნი მოდიან ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით და მოვიდნენ დღეს აჭარის წყალზე.

ჩვენი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ბარცხანის ფორტთან გავიმარჯვეთ, მაინც მეტად სერიოზული იყო.

ოსმალებს მთელი დღის განმავლობაში იერიში-იერიშზე მოჰქონდათ კახაბრის ფორტზე.

კახაბრის დაჭერით ოსმალები ხდებოდნენ ბათუმის ფაქტიურ ბატონად. საჭირო იყო იმავე ღამეს გამეგზავნა კახაბერში მაშველი რაზმი. თავისუფალი ჯარის ნაწილები არ გვყავდა. მე და გენ. წულუკიძემ ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ გამოგვეყენებია ამ საქმისათვის ამხ. ჟლობას დივიზია. ჩვენი გეგმა მდგომარეობდა შემდეგში: ამხ. ჟლობას დივიზიას თუ დავაბინავებდით სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე თავისუფლდებოდა ამ ფორტების გარნიზონები და მე საშუალება მეძლეოდა ეს გარნიზონები გამეგზავნა დასახმარებლად კახაბრის ფორტზე. ამიტომ ჩვენ მივეცით კაზაკს მორიგე ავტომობილი, გავაყოლეთ ერთი ოფიცერი და გავგზავნე ამხ. ჟლობასთან. ოფიცერს დავავალეთ გადაეცა ამხ. ჟლობასთვის, რომ ქართული ჯარების უფროსები თხოვენ მას დაუყოვნებლივ მოვიდეს სადგურზე.

ორი საათის შემდეგ ჟლობა თავისი შტაბის უფროსით მოვიდა ჩემთან და ჩვენ ერთად წავედით რევკომის თავმჯდომარესთან. ამხ. ჟლობამ მოახსენა ს. ქავთარაძეს, თუ როგორ შეასრულა მან დაკისრებული ამოცანა და სთხოვა საშუალება მიეცა მისთვის, გაეგზავნა დეპეშა არმიის უფროსისათვის, ხოლო მისთვის მიეცა სადგომები დივიზიის დასაბინავებლად. მოხსენება რომ გათავდა, მე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასურველია ამხ. ჟლობას რაზმი ჯერჯერობით არ შემოვიყვანოთ ქალაქში და დავაბინავოთ იგი სტეფანოვკასა და ანარიის ფორტებზე და ამით მომცენ მე საშუალება გამოვიყენო ამ ფორტების გარნიზონი.

ამხ. ჟლობამ თქვა, რომ სანამ არ მიიღებს არმიის უფროსისაგან ინსტრუქციებს, ოსმალების წინააღმდეგ არაფერს არ მოიმოქმედებს, მაგრამ თანახმაა დროებით დაბინავდეს ხსენებულ ფორტებზე.

ამხ. ჟლობამ გადმომცა დეპეშა არმიის უფროსის სახელზე და მთხოვა საჩქაროდ გამეგზავნა ტფილისში, თვითონ კი თავისი შტაბის უფროსის თანხლებით წავიდა აჭარის წყალზე თავისი ცხენოსანი რაზმის ჩამოსაყვანად.

სხვათა შორის, ჟლობას დეპეშაში არმიის უფროსისადმი იყო ნათქვამი, რომ აჭარის წყლიდან დაწყებული ბათუმამდე მთელ გზაზე ერთმანეთს მისდევდნენ დაჭრილი ასკერები, რომლებიც ყველას ეუბნებოდნენ, რომ ქართველებს მოუვიდათ ფრანგებისა და ინგლისელების მაშველი ჯარები, რომ უცხოელების კრეისერები ყუმბარებს უშენენ ფორტებს და ამიტომ ოსმალები ძალიან დაზარალდნენო და სხვა.

19 მარტს დილიდანვე ოსმალებმა მოიტანეს გაძლიერებული იერიშები კახაბრის ფორტზე, მაგრამ ჩვენი არტილერია მამაცი მაიორის პ. ქარუმიძის უფროსობით ისე ბრწყინვალედ მოქმედებდა, რომ ოსმალები ვერაფერს ვერ გააწყობდნენ. სხვათა შორის, ამ არტილერიას ოსმალებთან ბრძოლაში დიდი ზარალი მოუვიდა. პ. ქარუმიძე მატყობინებდა, რომ ყველა მსროლელი და მემინენი მოუკლეს და დაუჭრეს, ხოლო ზარბაზნებიდან სროლა ეხლა ოფიცრებს უხდებათ. საქმე ცუდად იყო. არტილერიის ნაწილები ქალაქში არ იყო, საჭირო იყო ზარბაზნებიდან სროლისათვის ცოტა ოდნავ მაინც მცოდნე ჯარისკაცნი. ქალაქის მილიციის უფროსის

დახმარებით ქალაქის მცხოვრებლებს შორის მოვაგროვე 20-მდე მოხალისე, რომლებიც ოდესღაც არტილერიაში მსახურობდნენ და გავგზავნე ქარუმიძის განკარგულებაში.

სტეფანოვკასა და ანარიის გარნიზონებს გზადაგზა მოუხდათ მრავალი დაბრკოლების გადალახვა და ოსმალებთან ხანმოკლე ბრძოლა, ბოლოს შეუერთდნენ კახაბრის ფორტის გარნიზონს. ამ დღეს ოსმალებს მოუვიდათ დიდი ზარალი, კახაბრის ახლო ღელეები სავსე იყო მოკლული ასკერების გვამებით. ქიაზიმ-ბეის მდივანი ხშირად დარბოდა რევკომის თავმჯდომარის კანცელარიაში სხვადასხვაგვარი თხოვნებით, და ამისაგან გავიგეთ, რომ იმ დღეს ოსმალებმა დაჰკარგეს ორი თვალსაჩინო შტაბ-ოფიცერი. ბათუმის მიდამოები მტრისაგან უკვე მთლად გაწმენდილი იყო, ახლა საჭირო იყო მხოლოდ განიარაღება მტრის პატარა რაზმებისა, რომლებიც ჩასაფრებულნი იყვნენ ქალაქის მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში.

ეს ოპერაცია უნდა მომეხდინა 20 მარტს, მაგრამ დილის 9 საათზე ჩემთან გამოცხადდა ქიაზიმ-ბეის მდივანი და მისი სახელით გადმომცა, რომ ქიაზიმ-ბეიმ გადაწყვიტა დაცალოს ქალაქი და გადავიდეს თავის საზღვრებზე ჭოროხის იქით. ამასთან ერთად მდივანმა მთხოვა დამეთმო მათთვის ერთი დღის საგზალი პური, რადგან გარნიზონს სამი დღეა არაფერი უჭამია.

ეს ამბავი, რომ მათ საჭმელი არ ჰქონდათ, მე წინდაწინვე ვიცოდი. რევკომის თავმჯდომარესთან ერთად გადავწყვიტეთ მიგვეცა საშუალება ოსმალებისათვის დაეცალათ ქალაქი.

ქიაზიმ-ბეის თხოვნა მაშინვე დავაკმაყოფილე, გავუგზავნე საკმაო პური და ქალაქში დაბანაკებულ გარნიზონს ვუბრძანე, რომ მიეღოთ ზომები ოსმალების მიმავალ ჯარების დასაცავად, სანამ ისინი გასცდებოდნენ ფრონტის ხაზს. ამის შემდეგ გავემართე რევკომის თავმჯდომარესთან და მოვახსენე: 20 მარტს 12 საათიდან ბათუმში და მის ოლქში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი ა

მოგესალმებით, ბატონო ომარ, მოგიკითხავთ უღრმესი პატივისცემით და გისურვებთ მორიგ წარმატებებს თქვენს დიდ და მრავალფეროვან საქმიანობაში. დაპირებისამებრ, თქვენს კრებულში გამოსაქვეყნებლად გიგზავნით სტატიას. გთხოვთ მიღება დამიდასტუროთ.

პატივისცემით ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – პროფესორი, აკადემიკოსი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

არტურ ლაისტი და საქართველო

წერილი მეორე

ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და ჩვენი ყოფა-ცხოვრების ღრმად და საფუძვლიანად ცოდნამ არტურ ლაისტს შესაძლებლობა მისცა იმისა, აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ერთ-ერთ პირველს რომ გაეაზრებინა ახლებური თვალთახედვით და ევროპულ რეალობასთან მიმართებით მოეხდინა მათი სპეციფიკური მხარეების წარმოჩენა. ამ მიმართულებით გამოთქმულ მისეულ მოსაზრებებსა და შეფასებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ ამას ქართული ყოფის საფუძვლიანად მცოდნე ის პიროვნება აკეთებდა, რომელიც საქართველოში ხანგრძლივი დროით ცხოვრების შედეგად უკვე თავადაც იყო ქცეული ამ სამყაროს ნაწილად.

არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ღვაწლზე საუბარი მინდა რუსთველოლოგიაში მის მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენით დავიწყო. ამ თვალსაზრისით არა მარტო ის ფაქტი იქცა იქცა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, რომ გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანითა და ამ თარგმანის ცალკე წიგნად გამოცემით მან ევროპულ სამყაროს ერთ-ერთმა პირველმა გააცნო შოთა რუსთველის პოემა, არამედ იმ ნაშრომებითაც, რომლებიც რუსთველის პოემასთან დაკავშირებულ საკითხთა მისეული თვალთახედვით გასაანალიზებლად დაწერა და გამოაქვეყნა უცხოურ პრესასა და თავის წიგნებში.

გარდა იმისა, რომ ამ ნაშრომებით გერმანელი ავტორი მართებულად აანალიზებდა „ვეფხისტყაოსნის“ არაერთ პრობლემურ საკითხს, მისი ამ ნაშრომების მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ რუსთველის პოემა და მისი ავტორის პოეტურ-მსოფლმხედველობრივი ღვაწლი არტურ ლაისტს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში აქვს გაანალიზებული, რითაც მყარ არგუმნეტებზე დაყრდნობით წარმოაჩენს მის პრიორიტეტულ როლს არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

მაგალითად: „რუსთველის მოვლინება ძველ ქართულ ცხოვრებაში უმაღლეს კულტურის უმწვერვალეს წერტილად მოჩანს. ეს ფილოსოფოსი, მორალისტი და ენაწყლიანი მგოსანი განასახიერებს ქართველ ერის კეთილ სულს... მისი შემოქმედება იყო და არის მდიდარი საუნჯე სულისა და გულისათვის“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1927 წ. გვ. 115).

წერილში „კულტურული მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნისა“ რუსთველის პოემის მარადიული სიცოცხლის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ა. ლაისტი პირველ ყოვლისა იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ ეს ნაწარმოები „საქართველოს ცხოვრების უკვდავი ძეგლი“ იყო, „სარკე რუსთველის დროინდელი ქართველების მსოფლმხედველობისა და ზნეობისა, როგორც კულტურულ მისწრაფებათა შთაგონების წყარო“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 81). ა. ლაისტის მტკიცებით, რუსთველმა სწორედ ამით „გაუსწრო თავის დროს და თავის ერს საუკუნეთა განმავლობაში მოევლინა, როგორც ქართული კულტურის ზნეობრივი და გონებრივი ძალა.“

არტურ ლაისტის რუსთველოლოგიურ მოსაზრებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ გერმანელმა ქართველოლოგმა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასება ერთ-ერთმა პირველმა ცადა ევროპული ლიტერატურის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ მას ამ მიმართულებით სპეციალური მეცნიერული კვლევა არ უწარმოებია და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მეტწილად ფრაგმენტულია და კონკრეტულ არგუმენტებს ნაკლებად ემყარება, ლაისტისეულ შეფასებებს, როგორც რუსთველური იდეების კომენტირების მცდელობას მსოფლიო ლიტერატურის ფართოდ ცნობილ ავტორთა შემოქმედებასთან მიმართებით, განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ იგი სწორედ ამ კუთხით ცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასებას.

მაგალითად: „შოთა რუსთაველმა დიდი შემოქმედებითი სული შთაბერა საუკუნეთა მთელ წყებას და ქართველების მოწინავე შვილებს სამუდამოდ გაუკაფა გზა ახალი და ახალი ჰორიზონტებისაკენ. „ვეფხისტყაოსანი“ მორალური, კულტურული და სულიერი იდეალებით გაცილებით მაღლა დგას მისი დროის აღმოსავლეთის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებზე. მისი ღირსება მარტო ის კი არ არის, რომ თანამედროვეებს მთელი სიღრმით ასახავს, არამედ ისიც, რომ შეუნელებლად მოუწოდებს განსრულების მაღალი მიზნისაკენ. ამ მხრივ რუსთაველის უკვდავ პოემას ბევრი მსგავსება აქვს მისი თანამედროვე გერმანელი პოეტის ვოლფრამ ფონ-ეშენბახის „პარციფილთან.“ მხოლოდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი შოთა რუსთაველი შეუდარებლად უფრო თავისუფალ შემოქმედად გვევლინება, ვიდრე ეშენბახი, რომელსაც თავი ვერ დაუღწევია რელიგიური დოგმებისა და საეკლესიო სწავლა-მოძღვრებათა ხლართისაგან“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 91).

მართალია, რუსთველის პოეტური ღვაწლის ამგვარ შეფასებებში დღევანდელი მკითხველისთვის ახალი და უჩვეულო არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მხატვრულ ნააზრევს ასეთ შეფასებას უცხოელი ავტორი იმ დროს აძლევდა, როცა საქართველოს გარეთ მისი პოემის სახელიც კი არ ჰქონდა ბევრ ვინმეს გაგონილი.

რუსთაველი გამონაკლისი არ ყოფილა და ქართული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლების შემოქმედებითი ღვაწლის წარმოსახვა ევროპულ რეალობასთან მიმართებით არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. მოვლენათა ამ მიმართულებით განსჯა-შეფასების მისეულ ტენდენციას ამ შემთხვევაში მყარ საფუძველს უპირველეს ყოვლისა ის გარემოება უქმნიდა, რომ გერმანელი ავტორი ევროპული ლიტერატურისა და ისტორიის საფუძვლიანად მცოდნე პიროვნებას წარმოადგენდა, რაც მას მძლავრ საფუძველს უქმნიდა ამგვარი პარალელების გასავლებად.

მაგალითად: არტურ ლაისტის ხაზგასმით, ცნობილი მეფე-პოეტები: თეიმურაზ I, არჩილი და თეიმურაზ II, რომელთაც „არც თუ მცირე მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის ისტორიაში და რომელთაც მაშინდელი ევროპა არ იცნობდა, იყვნენ პირველნი ბაგრატიონთა გვარის მწერალთა, სწავლულთა და მგოსანთა წრიდან. ევროპა ცოტას იცნობს ასეთ მეფეთა და დიდებულთ, და საქართველოსთვის ეს, რა თქმა უნდა, საქები ღირსებაა, როცა ევროპელი მონარქები იშვიათად თუ აიღებდნენ ხელში წიგნს“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1927 წ. გვ. 123).

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ნაშრომების განსაკუთრებულ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ მათმა ავტორმა მეტ-ნაკლები სიღრმითა და ძირითადად დღესაც მისაღები სახით დაანახა ევროპელ მკითხველს ქართული მწერლობის ფაქტობრივად ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედებითი ღვაწლი.

ამ მიმართულებით გადადგმულ მის პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა გერმანულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია „დავიწყებული ლიტერატურა,“ რომლის ავტორმაც ევროპელ მკითხველს ერთ-ერთმა პირველმა მიაპყრობინა ყურადღება მისთვის სრულიად უცნობი ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის. არტურ ლაისტის მოღვაწეობის 40 წლისთავის

აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში ვალერიან გუნიამ პირველ ყოვლისა სწორედ ამ მოვლენას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ხსენებულ პუბლიკაციას ასეთი შეფასება მისცა: „დავიწყებული მწერლობის თვით სათაურიც კი ლაისტის წერილისა მეტად პოეტური და ნაღვლიანია. „დავიწყებული ლიტერატურა“ არტურ ლაისტის მეოხებით დავიწყების წყვდიადიდან თანდათან შუქზე გამოდიოდა და იგი ინტერესს იწვევს ყველა განათლებულ ხალხში“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1922 წ. გვ. 16).

არტურ ლაისტის ინფორმაციით, ეს წერილი მას იმ მასალებზე დაყრდნობით დაუწერია, რომლებიც იმხანად თბილისში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის – „კავკაზის“ მაშინდელ რედაქტორს დავით ერისთავს გაუგზავნია მისთვის. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „1884 წელს მე ამ მასალების მიხედვით ჩემი პირველი წიგნი შევადგინე – „დავიწყებული ლიტერატურა,“ რომელიც დაიბეჭდა ლეიპციგის ჟურნალში (ამ წინადადებაში ავტორს ორი უზუსტობა აქვს დაშვებული - პირველი, ის, რომ ხსენებული ნაშრომი სინამდვილეში 1882 წელს დაიბეჭდა და არა 1884 წელს; და მეორე, „დავიწყებული ლიტერატურა“ საჟურნალო სტატია იყო და არა წიგნი - ა. ნ.). ამ წერილით გერმანელებმა ქართული მწერლობის არსებობა პირველად გაიგეს... თითქმის ორი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა ჩემი მიწერ-მოწერა თავ. დავით ერისთავთან. ამავე დროს თავ. ილია ჭავჭავაძისაგანაც მივიღე რამოდენიმე წერილი. თავ. ილია ჭავჭავაძე ახალისებდა საქმის განგრძობას. მანვე „ოთარაანთ ქვრივისა“ და ლექსების რუსული თარგმანიც გამომიგზავნა. ამასთან, რაფიელ ერისთავის ლექსებიც მივიღე. ამ მიწერ-მოწერამ და ქართველების გაცნობამ სურვილი აღმიძრა თვითონ წამოვსულიყავი საქართველოში“ („ივერია,“ 1906 წ. №25).

ხსენებული სტატიის ქართული თარგმანი 1883 წლის 9 თებერვალს გაზეთ „დროებაშიც“ დაიბეჭდა ასეთი წინათქმით: „ბ. ლეისტი ისეთის თანაგრძნობით სწერს ჩვენზე და ჩვენს მწერლობაზე და საზოგადოდ ეს სტატია იმდენად საინტერესოა, რომ იმედია, ჩვენი მკითხველი არ დაგვემდურება იმის გადმობეჭდვისათვის.“

როგორც უკვე აღინიშნა, არტურ ლაისტის აღნიშნული წერილი ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) პუბლიკაცია იყო, რომლის ავტორი გერმანულენოვან მკითხველს ბევრ პოზიტიურ და მნიშვნელოვან ცნობას აწვდიდა ევროპული (და არა მარტო ევროპული) ლიტერატურული საზოგადოებისათვის ფაქტობრივად სრულიად უცნობ ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით.

კერძოდ, პუბლიკაციის დასაწყისში ავტორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, კავკასიის ქედის სამხრეთით მცხოვრები მცირერიცხოვანი ქართველი ერის წარსულს მსოფლიოში „მხოლოდ ცოტანი თუ იცნობდნენ“ და მის „აწინდელს განათლების წადილს ყურს თითქმის არავინ უგდებდა.“ ეს მაშინ, როცა ისტორიული მნიშვნელობა ამ ერთ მილიონზედ ნაკლების ერისა არ ჩამოუვარდებოდა სხვა მცირე აზიაში მცხოვრებ ერთა მნიშვნელობას.“

გერმანულენოვანი მკითხველისათვის ამ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ა. ლაისტი ცდილობს, კონკრეტულად წარმოაჩინოს როგორც ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უმთავრესი ეტაპები, ისე მისი თვალსაჩინო წარმომადგენლების შემოქმედებითი წვლილი ისტორიული განვითარების ამ პროცესში.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ პუბლიკაციის ავტორი ქართველ მოღვაწეთა ღვაწლის წარმოჩენის შედეგად იმ საქმიანობაზეც ამახვილებს ყურადღებას, რითაც ისინი ევროპულ მწერლობასთან და საგანმანათლებლო სფეროსთან ქართული სამყაროს კიდევ უფრო მეტად დასაახლოებლადაც იღვწოდნენ აქტიურად. მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით ერთგან: „მაშინდელს საქართველოს ჰყავდა აგრეთვე მრავალი მოღვაწე მეცნიერებიც, რომლებიც ბერძნულ კლასიკურ თხზულებებსა თარგმნიდნენ.“ მისი სახელდებით, ესენი იყვნენ: არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე შავთელი და სხვები.

არტურ ლაისტის ხსენებული პუბლიკაციისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის გარემოებაც, რომ გერმანულენოვანი მკითხველი ამ ნაშრომის მიხედვით არა მარტო ქართველ მწერალთა მიერ შექმნილი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ იღებს კონკრეტულ იფორმაციას, არამედ საქართველოს ისტორიის საკვანძო ეტაპებსაც ეცნობა

გარკვეულწილად. ამ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქართული მწერლობის განვითარების მრავალსაუკუნოვან პროცესს არტურ ლაისტი პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ისტორიის დიდმნიშვნელოვან მოვლენებთან მიმართებით აანალიზებს.

ა. ლაისტის ხსენებული პუბლიკაციის შეფასების დროს აქვე იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება, რომ ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიული გზის გაანალიზების დროს გერმანელი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ქართველ მწერალთა დიდმნიშვნელოვან როლს მშობელი ხალხის ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში. კერძოდ, აი, რას წერს თავად ის ამასთან დაკავშირებით: „საკმაოდ მდიდარია ქართველების პოეზია, მეტადრე ლირიკა, რომელსაც თუმცა აღმოსავლური კილო ეტყობა, მაინც გრძნობიერის მელოდიით გამოთქვამს საქართველოს ხალხის აწინდელს მდგომარეობას... უმთავრეს საგანს ამ ლექსებისას შეადგენს ჩივილი დაკარგულ დიდებაზედ და იმედს უკეთესის მომავლისას.“

როგორც ითქვა, ხსენებული პუბლიკაციიდან დაწყებული, გერმანულ ენაზე ქართული ლიტერატურის თარგმნა და ანალიზი არტურ ლაისტის ქართველოლოგიური კვლევათა ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა. ასე რომ, ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთაგან არ დარჩენილა ავტორი, რომელსაც ჩვენი მწერლობის განვითარებაში პოზიტიური წვლილი შეეტანოს და იგი არტურ ლაისტის თვალთახედვისა და შეფასების მიღმა დარჩენილიყოს.

იგი ყოველი მათგანის მხატვრულ მემკვიდრეობას საკმაოდ კარგად იყო გაცნობილი და სწორედ ამ საფუძველზე აძლევდა მათ შემოქმედებას მისეულ შეფასებებს. მაგალითად: „ბესიკი მგოსანი, მომღერალი და მუსიკოსია ერთსა და იმავე დროს. მისი ლექსები ყველაზე უსახიერეს, გრძნობებით გაჟღენთილ, მდიდრულსა და გულის ამატოკებელ ლირიკას წარმოადგენს. მისი ნიჭით მომადლებული პოეტი და სახალხო მგოსანი არა მარტო ქართველებს, არამედ ამ საუკუნის არც სომხებს, არც თურქებს და თვით სპარსელებსაც არა ჰყოლიათ... ბესიკი ხალხის სიყვარულისა და ჭმუნვის, მისი ფილოსოფიის ჭეშმარიტი გამომხატველი იყო“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ.126).

არტურ ლაისტის ადრინდელი ქართველოლოგიური ღვაწლის წარმოჩენის დროს ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ 1884 წელს ჟურნალ „ივერიის“ მაის-ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ მის წერილს – „ქართული ლიტერატურა,“ რომელშიც საკმაოდ ვრცლადაა განხილული ჩვენი მწერლობის განვითარების გზა დასაბამიდან პუბლიკაციის ავტორის დრომდე. კერძოდ, გერმანელი ავტორი ჩვენი ლიტერატურის განვითარების უმთავრეს პერიოდებსა და მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლების შემოქმედებით ღვაწლს პროფესიულ დონეზე აანალიზებს და წარმოაჩენს როგორც შესაბამისი პერიოდის ისტორიულ მოვლენებთან, ისე მაშინდელ საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტის ხსენებულ პუბლიკაციაში გამოთქმული არაერთი დებულება საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებათა კომპილაციას წარმოადგენს, ცალკეულ შემთხვევებში კი ავტორის მსჯელობა მოვლენათა არასწორის ინტერპრეტირების შედეგია, ხსენებული პუბლიკაცია თუნდაც იმიტომაც უნდა მივიჩნიოთ საგულისხმო პუბლიკაციად, რომ გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული ამ ნაშრომით გერმანელი ავტორი ევროპელ მკითხველს ერთ-ერთი პირველი აწვდიდა საკმაოდ ვრცელ და ინფორმაციულად მეტად ტევად ცნობებს მისთვის სრულიად უცნობ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ღვაწლის მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოებაც, რომ მისი თვალსაწიერი ქრონოლოგიური მასშტაბებით არ ყოფილა შემოსაზღვრული და იგი მთელი ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის შემფასებლის როლშიც ხშირად გვევლინებოდა. საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის საფუძვლიანმა ცოდნამ მას იმის შეუზღუდველი შესაძლებლობა მისცა, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის შემქმნელი თითქმის ყველა მწერლის შემოქმედებითი ღვაწლი რომ შეეფასებინა და წარმოეჩინა შესაბამისი პერიოდების ევროპულ მწერლობასთან მიმართებით.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უაღრესად შრომატ-

ევადი ამ საქმის რეალურად განხორციელების გზაზე არტურ ლაისტმა არა მარტო ის სირთულეები დაძლია წარმატებით, რაც მკითხველს ენობრივი თვალსაზრისით ეღობება წინ ადრინდელ საუკუნეებში შექმნილი ქართული ლიტერატურული ტექსტების კითხვისა და გააზრების დროს, არამედ ამ ტექსტების ფიზიკურად მოძიების მხრივაც.

მკაფიოდ გამოკვეთილი კიდევ ერთი თავისებურება, რითაც ქართველ მწერალთა შემოქმედების არტურ ლაისტისეული ანალიზია აღბეჭდილი, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მათგანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას იგი უპირველეს ყოვლისა შესაბამისი პერიოდის ისტორიულ რეალობასთან მიმართებით განიხილავს. მაგალითად: „ტრაღიკულია შაირობა უიღბლო დავით გურამიშვილისაც. არცერთ იმ დროინდელს ქართველს არ შეუგრძვნია და არ აუსახავს მთელი უკუღმართობა ცხოვრებისა და სამშობლო ერის ტრაღიკული ბედი, როგორც ეს ჰქნა დ. გურამიშვილმა. უბედურმა ბედმა მოსწყვიტა იგი სამშობლოს და ლეკეთს გადაჰხვეწა, შემდეგ კი - რუსეთს, სადაც უცხო მხარეში სამშობლოის სიყვარული არ გაჰქრობია, არამედ, პირიქით, ნათლად აულაპლაპდა... მისთანანი არ უნდა ყოფილიყვნენ მაშინ მეტად მრავალრიცხოვანნი, რადგან იესე ოსეშვილის ანდერძსა და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვხედავთ, რომ უმეტესობა მაშინდელთა მხოლოდ თავდავიწყებასა და სიამეს ეძიებდა. ორივე წიგნს შეგვიძლია ვუწოდოთ ქართულ ცხოვრების მე-XVIII საუკუნის მე-II ნახევრის სარკე. თუ „კალმასობის“ სურათები ნამდვილ ცხოვრებას გადმოგვცემენ, მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველთა ცხოვრება ყოფილა ჭამა-სმა, ლაყბობა და საერთოდ მეგობრებთან დროის გატარება, ვიდრე მუშაობა“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1927 წ. გვ. 131).

ქართველ მწერალთა შემოქმედების საფუძვლიანმა ანალიზმა არტურ ლაისტს შეუზღუდველი შესაძლებლობა მისცა იმისა, სიღრმისეულად შეეცნო და მისეული თვალთახედვით შეეფასებინა მათი მხატვრული მემკვიდრეობა. და ამ შემთხვევაში ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მისეულ მოსაზრებათა დიდი ნაწილი დღესაც უკორექტუროდაა მისაღები და გასაზიარებელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ღვაწლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი ქართული ლიტერატურის, საერთოდ, მთელი ჩვენი კულტურის განვითარების ისტორიულ პროცესს გლობალურ მოვლენათა კონტექსტში იაზრებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით მის მიერ გამოკვეთილი ვექტორები ძირითადად სწორია, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს მისი შემდგომი დროის ქართველოლოგიურ მეცნიერებაში ამ მიმართულებით წარმართული კვლევები.

არტურ ლაისტის აღნიშნული თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ეს ამ მოვლენასთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული შემდეგი დასკვნითი დებულებებითაც ნათლად დასტურდება: „სპარსული ცეცხლ-თაყვანისმცემლობის გავლენისაგან ქართველი ერი სირიულ და ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურის ნაკადიან ქრისტიანობაში გადავიდა... ბერძნული კულტურა მაშინ უკეთილშობილესი იყო მთელ მსოფლიოში და დარწმუნებული ვარ, რომ ბერძნული გავლენა ქართველთა კულტურულ გრძნობაზე ხანგრძლივი იყო. აგრეთვე არაბულმა გავლენამაც აიყვანა ქართული კულტურა გარკვეულ სიმაღლეზე და თვით სპარსელებმაც მოიტანეს ზოგი რამ სარგებლობა. ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველნი ამგვარად გაეცვნენ მრავალ კულტურას და ხან თუ მტერთა თავდასხმით შეიწროებულნი ხშირად ჰკარგავდნენ მშვიდ ცხოვრებას, ძველ კულტურის შინაგან შთანასახს მაინც ინახავდნენ მე-XIX საუკუნემდე.

მე-XIX საუკუნეში შემოიჭრა რუსული გავლენა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში - დასავლეთ-ევროპულიც და ქართულ ცხოვრებას მიეცა ახალი მიმდინარეობა“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1927 წ. გვ. 153).

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლისა და სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე არტურ ლაისტი სავსებით მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ყველა დროისა და ეპოქის ქართველ მწერალთა შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმომჩენ უმთავრეს ჟანრს უპირველეს ყოვლისა პოეზია წარმოადგენდა. ამ დებულებას იგი არა მარტო

ზოგად შეფასებათა საფუძველზე გამოთქვამდა, არამედ იმასაც აქტიურად ცდილობდა, თავისი ეს შეხედულება ქართული პოეზიის დიდოსტატთა შემოქმედების კონკრეტული ანალიზითაც რომ გაემყარებინა.

მაგალითად: „მე-XIX საუკუნეში მხოლოდ პოეზია იყო, რომელიც ყურადსაღებ სიმაღლემდე ავიდა და ევროპაში პირველად განაღვიძა ინტერესი ქართველთადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი და ვაჟა-ფშაველა ქართული დიდების დამფუძნებელნი არიან ევროპაში და კვლავაც იქნებიან საქართველოს დიდების განმასხივოსნებელნი“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1927 წ. გვ. 154).

არტურ ლაისტმა ერთ-ერთმა პირველმა (თუ ერთადერთმა პირველმა არა) მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტს, რომ თემატური სიმდიდრისა და წარმოსახვითი სივრცის მრავალსახოვნების მიუხედავად, ზღვის თემა ფაქტობრივად მთლიანად იყო დარჩენილი ქართველ მწერალთა ინტერესის მიღმა. გერმანელი ქართველოლოგის აზრით, ეს მოვლენა იმ გარემოებამაც განაპირობა არსებითად, რომ გარესამყაროსთან, პირველ ყოვლისა კი ევროპასთან, ფიზიკურად დამაკავშირებელ ამ სტიქიონს ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიულად უმნიშვნელო როლი ჰქონდა შესრულებული.

არტურ ლაისტი ძნელად ასახსნელი სწორედ ამ მოვლენის შედეგად დამკვიდრებული რეალობის შედეგად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქართული მწერლობის მთელი ისტორიის განმავლობაში ზღვასთან დაკავშირებული თემატიკა არა თუ ფართოდ, არამედ საერთოდაც კი არ გამოვლენილა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

ამ თვალსაზრისით რამდენადმე გამონაკლის მოვლენად იგი მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდა; თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ ბუნების ამ სტიქიონს რუსთველი მხოლოდ „გულგრილად, აღუფრთოვანებლად იხსენიებს.“ კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით: „ქართველებისათვის ზღვა წარსულშიაც რაღაც შორეული და უცნობი იყო. არც „ქართლის ცხოვრებაში“ და აღარც ქრონიკებში სადმე სჩანს, რომ ქართველებს ზღვისთვის ეზრუნოთ. ზღვა კი დიდს მანძილზედ უვლის ლაზისტანს, გურიასა, სამეგრელოს და აფხაზეთის სანაპიროებს და ამასთანავე საქართველოს ევროპასთან აკავშირებს.

რა თქმა უნდა, ბიზანტიასთან და საერთოდ დასავლეთთან წარსულშიაც ჰქონდა საქართველოს კავშირი და შემდეგაცა ჰქონია, მაგრამ ეს ურთიერთობა არ იყო პირდაპირი და უმეშვეობითი, არამედ შუამავლებად იყვნენ ბერძენნი და გენუელნი... იგინი მეზღვაურნი არასოდეს ყოფილან, ხმელეთს არ განშორებიან.

„ვეფხისტყაოსანში რუსთაველი რამდენსამე ალაგას იხსენიებს ზღვას, მაგრამ გულგრილად, აღუფრთოვანებლად. მას არ ეტყობა სურვილი ზღვის დიადი სურათი დაგვიხატოს“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1923 წ. გვ. 100).

ზღვის თემით რუსთველის დაუინტერესებლობას ა. ლაისტი იმით ხსნის, რომ „გრძნობა ბუნებისა, რომელიც უსათუოდ აქვს თანამედროვე განვითარებულს ადამიანს, შოთას დროს ჯერ კიდევ არ იყო გაცხოველებული.“ სწორედ ამ მოვლენის ლოგიკურ შედეგად მიიჩნევდა იგი იმ ფაქტს, რომ ზღვის თემა საერთოდ არ მოიპოვება ძველ ქართულ პოეზიაში. თუმცა, აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, გერმანელი მწერალი იქვე იმ გარემოებასაც მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას, რომ მდგომარეობა ამ თვალსაზრისით არც შემდგომ საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში შეცვლილა და მათი წინამორბედების მსგავსად, ამ მიმართულებით მათაც შეინარჩუნეს ზღვის თემისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება: არტურ ლაისტის ამ წერილს, რომელიც 1922 წელს ჯერ პრესაში, 1923 წელს კი მის წიგნშიც გამოქვეყნდა, 1948 წელს სპეციალური ჩანაწერით გამოეხმაურა გალაკტიონ ტაბიძე. თავის ამ ჩანაწერში გალაკტიონმა მოკლედ გაიხსენა გერმანელი მწერლის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული უმთავრესი მოსაზრებანი და მის თვალსაზრისს ასეთი შეფასება მისცა: „მართალი არის თუ არა არტურ ლაისტის შეხედულება, ეს მკვლევარების საქმეა. ერთი რამ კი უდავოა, ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთაველის შემდეგ არ სჩანდა.

ეს მოძრაობა დაიწყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ“ (გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბ. 1975 გვ. 143).

ამ მოვლენის ხაზგასმით აღნიშვნა გალაკტიონმა იმიტომაც მიიჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფაქტად, რომ ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული მიმართულებით არსებული ხარვეზის შევსების საქმეში პირველი და გამორჩეულად მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმ დროისათვის პირველ ყოვლისა სწორედ მას ჰქონდა გადადგმული. იგი არა მარტო ზოგადად აღნიშნავდა ამ ფაქტს, არამედ მისი შემოქმედებიდან კონკრეტულადაც ასახელებდა იმ ნაწარმოებებს, რომელთა მეშვეობითაც ქართულ მწერლობაში რეალურად ამკვიდრებდა ზღვასთან დაკავშირებულ თემატიკას.

არტურ ლაისტის მხატვრულ-დოკუმენტური შემოქმედების ერთ, მნიშვნელოვან, ნაწილს მემუარული ჟანრის ტექსტები წარმოადგენს, რომლებშიც ბელეტრიზებული ფორმითაა მოთხრობილი შესაბამისი პერიოდის ცნობილ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან გერმანელი ქართველოლოგის პირადი ურთიერთობათა ამსახველი ეპიზოდები. აქედან გამომდინარე, ავტორისეული მონათხრობის შედეგად კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექმნება ქართველ მამულიშვილთა როლზე ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა არტურ ლაისტის მემუარების ციკლი „მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე.“ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პირველად და მეორედ სტუმრობის დროსაც და ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დამკვიდრების შემდგომაც არტურ ლაისტი ბევრ აქაურ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან იყო მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული, ყველაზე მეტი სიახლოვე მას პირველ ყოვლისა სწორედ ილიასთან ჰქონდა.

გულითად მეგობრულ სიახლოვეში გადაზრდილი ამ ურთიერთობის შედეგად დაგროვებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით დაწერილ თავის მემუარებში არტურ ლაისტმა ბევრი ახალი და უაღრესად მნისვნელოვანი ცნობა მოგვაწოდა ილიას როგორც პირად ცხოვრებასთან, ისე მის აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. უდიდესი სიყვარულით შექმნილ ამ მონათხრობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტიც, დიდი მამულიშვილის მრავალმხრივი ღვაწლის განმადიდებელი და ბელეტრიზებული ფორმით წარმომჩენი ეს მოგონებები იმ დროს იწერებოდა, როცა ქართველ სოციალ-დემოკრატებს გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული ამ დიდი მამულიშვილის წინააღმდეგ და მას „გლეხობის სისხლით გულგაპოხიერებულ მებატონედ,“ რეაქციონერ პიროვნებად და ხალხის მტრად აცხადებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტს უშუალოდ ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოგონებებში კონკრეტულად არაფერი აქვს ნათქვამი, შეიძლება აქვე ისიც ითქვას, რომ თავისი ამ მონათხრობით ხსენებულ მოგონებათა ავტორი არაპირდაპირი ფორმით ამგვარი პოზიციის მქონე პირების რეაქციულ თვალთახედვასთანაც აღმოჩნდა შინაგანად დაპირისპირებული.

ა. ლაისტის ხაზგასმით, 1884 წლიდან – საქართველოში პირველად მისი ჩამოსვლის დღიდანვე – ის და ილია იმდენად დამეგობრდნენ, რომ ამ დროიდან მოყოლებული, საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, რამაც გერმანელ მწერალს შესაძლებლობა მისცა, პირადად გაცნობოდა „ყველა მაშინდელ ჩვენს ლიტერატორს და ბევრ სხვასაც.“ ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველ პიროვნებებთან დაახლოებას არტურ ლაისტი მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად პირველ ყოვლისა იმიტომაც მიიჩნევდა, რომ ამ გზით მას კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობა ეძლეოდა იმ მიზნის განსახორციელებლად, რისთვისაც იგი ჩვენს ქვეყანას ჯერ სტუმრად ეწვია, შემდეგ კი მისი მუდმივი ბინადარიც გახდა.

აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორივენი

გულმოდგინეთ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქართულ ენაში მაინცადამაინც გაწაფული არ გახლდით, ამიტომ ილია სიტყვა-სიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს... ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 4).

ილიასთან დაკავშირებულ მოგონებებში არტურ ლაისტი არა მარტო მასთან პიროვნული ურთიერთობის წარმომჩენ ეპიზოდებს მიაპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, არამედ იმ მრავალმხრივ საქმიანობასაც, რომელსაც დიდი მწერალი ეწეოდა როგორც შემოქმედებითი მიმართულებით, ისე სარედაქციო-საგამომცემლო, საბანკო და საზოგადოებრივად აქტუალური სხვა საქმეების მოსაგვარებლად. ლაისტის მოგონებებში ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილიას ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების წარმოჩენას ქართული მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეების ცნობილ წარმომადგენლებთან და მეზობელ გლეხებთან.

ამ თვალსაზრისით რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა იმ უმნიშვნელოვანესი როლის ლაისტისეულ შეფასებაზე, რომელსაც ილია, როგორც გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი, ასრულებდა. კერძოდ, ქართველი მწერლის გერმანელი მეგობარი ილიას ცხოვრებიდან არაერთ ისეთ ეპიზოდს იხსენებს, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექმნება მის აქტიურ ზრუნვაზე იმხანად მოღვაწე ნიჭიერ მწერალთა შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმოსაჩენად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა არტურ ლაისტის მოგონებათა ის ეპიზოდები, სადაც ვაჟა-ფშაველასთან ილიას ურთიერთობის შესახებაა საუბარი.

კერძოდ, მისი გადმოცემით, „ილია ვაჟა-ფშაველას ძლიერ მაღლა აყენებდა, მასში ხედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილდოებულს. ოთხმოციანი წლების დასასრულს ხშირად ბეჭდავდა „ივერიაში“ ვაჟა-ფშაველას ლექსებს და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხმამაღლა წამიკითხავდა, ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე.

ხშირად, როცა მის სამუშაო ოთახში შევსულვარ, ილია შემდეგი სიტყვებით მომეგებებოდა: კარგი საჩუქარი მაქვს თქვენთვისო, და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ ლექსს“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 42).

ილიასთან დაკავშირებული მოგონებების მოთხრობის დროს არტურ ლაისტმა მეტად მნიშვნელოვან ერთ საკითხსაც მიაქცია ყურადღება – ევროპული კულტურის პრიორიტეტული როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი მწერლობის განვითარების პროცესში. როგორც ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული წერილებიდან ცნობილია, ქართული ლიტერატურის განვითარების გზას იგი პირველ ყოვლისა სწორედ ამ კონტექსტში აანალიზებდა და ამ მიმართულებას ჩვენი მწერლობისთვის ყველაზე დიდი წარმატების მომტან მოვლენად მიიჩნევდა.

ილიას აზრით, ქართული ლიტერატურის ევროპეიზაციის პროცესს მკვიდრი საფუძველი ე. წ. აღორძინების ხანაში მოღვაწე ჩვენი დიდი მწერლების, პირველ ყოვლისა კი დავით გურამიშვილის, შემოქმედებაში ჩაეყარა და თვისებრივად ახალ დონეზე ავიდა ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში. ეს იყო აშკარა უკურეაქცია იმ ზეგავლენისა, რომელიც წინამორბედი და ხსენებული პერიოდის ქართველ მწერალთა არც თუ მცირე ნაწილის შემოქმედებაში ვლინდებოდა აღმოსავლური, პირველ ყოვლისა კი სპარსული პოეზიის ზეგავლენის შედეგად.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ არტურ ლაისტის მოგონებებში აღნიშნულ საკითხსაც აქვს ყურადღება მიქცეული. კერძოდ, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „ილიას არ მოსწონდა სპარსული პოეზია, ამბობდა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მან ცუდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე...

ამიტომ არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ. პირიქით, მას სურდა ქართული მწერლობა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაეთავისუფლებინა და გაეევროპულებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 44).

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა „მესამე დასელებმა," რომლებიც 1900-იან წლებში დიდი მასშტაბების მომცველ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა, აქტიური ბრძოლა გააჩაღეს ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური იდეების წინააღმდეგ და ამ მიზნის მისაღწევად მისი პიროვნების დისკრედიტაციასაც მიმართეს მიზანმიმართულად.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტის მემუარებში ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგნად არ ქცეულა, გერმანელი ავტორი ამასთან დაკავშირებითაც გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მართალია, ილია პრინციპულად არ იზიარებდა ხსენებულ პერიოდში „საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდების იმ ნაწილის აზრს, რომელიც „ივერიის" ოპოზიციას შეადგენდა," მაგრამ იგი „ასპარეზზე მათი გამოსვლის გამო მაინც კმაყოფილი იყო. მას ახარებდა პროგრესის ყოველგვარი ახალი გამოვლენა, თუმცა არ მოსწონდა ზოგიერთი ახალი მწერლის უკიდურესობა" (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 17).

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერები და მათი მხარდამჭერნი აქტიურად უყენებდნენ დიდ მწერალს, გლეხებისადმი მისი თითქოსდა არაჰუმანური მოპყრობა იყო. მათი შეფასებით, ილია გულქვა მებატონესა და „გლეხების სისხლით გულგაპოხიერებული მებატონეს" წარმოადგენდა და იმაზე საუბარი, თითქოს იგი ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნება იყო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მოსაზრებად უნდა მიგვეჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტი თავის მოგონებებში ამ საკითხს პირდაპირი ფორმით არ შეხებია, მეზობელ გლეხებთან ილიას მეგობრული ურთიერთობების წარმომჩენ ეპიზოდთა მოთხრობით მან კიდევ ერთხელ დაგვანახა თვალნათლივ, რომ სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა და გლეხებთან ილიას რეალურად სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან:

„ილია დიდი მეგობარი იყო გლეხობისა, რომელთადმი უანგარო, გადაჭარბებული სიყვარული მას ხშირად ხდიდა გლეხის მიკერძოებულ მეგობრად. ილია თავგამოდებით იცავდა გლეხკაცის ღირსებას. მე თვითონ ვიყავი მოწმე ილიას უზომო აღშფოთებისა, როცა მან ერთხელ შემთხვევით დაინახა, როგორ გაარტყა სტაროსელსკების მოურავმა რომელიღაც მეცხვარეს.. ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე საათი ვერ დამშვიდდა ილია... საგურამოს და სხვა მეზობელი სოფლების გლეხებში ილიას ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ხშირად ეწვეოდნენ მას და ილია მთელი საათობით ესაუბრებოდა, მასპინძლობას არ აკლებდა" (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 31).

ილიასთან დაკავშირებულ მოგონებათა მოთხრობის დროს არტურ ლაისტი იმ დეპრესიულ სულიერ განწყობილებასაც არაერთგზის მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას, რომელიც საკმაოდ ხშირად ეუფლებოდა ამქვეყნიური ყოფის სასრულ მიჯნას მიახლოებულ ხანდაზმულ მწერალს. მაგალითად: ილიას თურმე ძალიან უყვარდა იმხანად ფართოდ პოპულარული ის სიმღერა, რომელშიც საყვარელ ადამიანთან გამოთხოვების სევდა ამ სიტყვებით იყო გამოხატული: „სული მიწუხს, გულიც მასთან ღონდება, თვალს ავახელ – ცრემლები არ მშორდება."

ამ სიმღერის სევდიანი მელოდია და შინაარსი არტურ ლაისტმა მოხერხებულად დაუკავშირა დიდი მწერლის იმდროინდელ სულიერ დეპრესიას და ხსენებული მოგონება შემდეგი სიტყვებით შეაჯამა: „ამ სიმღერის ნაღვლიანი კილო ისე გაუჯდებოდა გულში ილიას, რომ რამდენჯერმე უნდა გაემეორებინა ზედიზედ. როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა, ან იჯდა, ან ჩაფიქრებული იდგა. ამ დროს სახეზე რაღაც იდუმალი მწუხარება ეხატებოდა. მიხვდებოდით, ილია მოხუცებულობას გულისტკივილით გრძნობდა. ენანებოდა, რომ მისი საამქვეყნო სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა."

ერთ დღეს, ამ მელოდიის მოსმენის შემდეგ, „ილიამ უცებ მითხრა: ჩვენ ორივეს გვიყვარს ეს მშვენიერი ჰანგი, ორივეს ძვალ-რბილში გაგვიჯდა და ამიტომ შეიძლება ეს ჰანგი გახდეს შენთვის საუკეთესო საშუალებად ჩემს მოსაგონებლად. ჩემი სიკვდილის შემდეგ ხშირად იმ-

ღერეთ ეს ჰანგი და მაშინ უეჭველად მოიგონებთ თქვენს მეგობარს... ილიას მოსაგონებლად, რასაკვირველია, ეს ჰანგი ჩემთვის არ არის საჭირო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე დაბალი ხმით ვმღერი და ამასთან ერთად ვიგონებ ილიას მწუხარე სიტყვებსაც“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 54).

დამოწმებული ეპიზოდი გამონაკლისი არ არის და წარმავლობის გრძნობით გულდამძიმებული მწერლის სულიერ დეპრესიას არტურ ლაისტი მისეული მონათხრობის სხვა ქვეთავებშიც წარმოაჩენს ღრმად ემოციური სახით. მაგალითად: „სხვასთან ყოფნისას და ლაპარაკისას წინანდელი ხალისი აღარ ჰქონდა. ხანდახან საღამოობით აივანზე დიდხანს იჯდა გაჩუმებული... მასთან ჩემი უკანასკნელად ყოფნისას მთელი ექვსი დღის განმავლობაში ვეღარ ვნახე ღიმილი მის სახეზე. – ცოტა გავისეირნოთ, – ვუთხარი ერთ საღამოს. – მოციონი ძალიან სასარგებლოა-მეთქი.

– რაღა უნდა იყოს სასარგებლო, როცა ორიოდე წლის სიცოცხლეღა დამრჩენია, – მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 59).

ილია ჭავჭავაძისა და არტურ ლაისტის ძმური ურთიერთობის ნათელ გამოვლინებად იქცა ის ფაქტიც, რომ სიონის ტაძრიდან მწერლის გამოსვენების პატივი ქართველმა ხალხმა მის გერმანელ მეგობარსაც არგუნა წილად.

გარდა ილია ჭავჭავაძისა, არტურ ლაისტი ქართველ მწერალთა სხვა წარმომადგენლებთანაც იყო ახლო მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეგობრობა უფრო ნაკლები მასშტაბების მომცველი იყო, ლაისტი მათაც ხშირად სტუმრობდა და სწორედ მათთან ერთად იღებდა აქტიურ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართველ მწერლებთან ასეთი სიახლოვე გერმანელ ქართველოლოგს კიდევ უფრო მეტ იმპულსს აძლევდა მათი შემოქმედების უფრო საფუძვლიანად გასაცნობად და გერმანულ ენაზე სათარგმნელად.

გერმანელი ქართველოლოგის მოღვაწეობის ამ მხარეზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა აკაკი წერეთელთან მის ურთიერთობაზეც მინდა ვთქვა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არტურ ლაისტი აკაკის შემოქმედებას ჯერ კიდევ საქართველოში სტუმრობამდეც იყო გაცნობილი და მისთვის წერილიც ჰქონდა გამოგზავნილი. საქართველოში სტუმრობისა და შემდგომში მისი აქ დამკვიდრების შემდეგ კი მათი ურთიერთობა მეგობრულ სიახლოვეში გადაიზარდა.

აკაკისთან მისმა ამგვარმა სიახლოვემ და პოეტის შემოქმედების საფუძვლიანად გაცნობამ არტურ ლაისტს მეტი შესაძლებლობა მისცა, სათანადოდ შეეფასებინა მისი, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ აკაკის ღვაწლს გერმანელი ქართველოლოგი გარკვეულწილად ილიას მოღვაწეობასთან მიმართებითაც აძლევს სათანადო შეფასებას და ხაზგასმით აღნიშნავს: „პირველივე დღეს მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი – ილია და აკაკი – საქართველოს მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას განასახიერებდა“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 64).

არტურ ლაისტის აზრით, აკაკი, „როგორც ჭეშმარიტი ლირიკოსი, ილიაზე მაღლა დგას... ის მომღერალია, ილია კი იდეური პოეტი... ილიაში მუდამ ჭარბობს აზრი, გრძნობა კი უფრო მკრთალად გამოსჭვივის“ (ლაისტი, 1963: 65). რაც შეეხება აკაკის, ლაისტის შეფასებით, „ის გახლდათ ჭეშმარიტი მგოსანი, მდიდარი ფანტაზიის პატრონი, ენაწყლიანობითა და გრძნობით აღსავსე, მხატვარი და ჭკუამახვილი მჭევრმეტყველი“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 67).

აკაკის შემოქმედებაში გამოვლენილ ლირიკულ ნაკადს არტურ ლაისტი იმდენად დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებს, რომ „მისი დრამებიცა და ეპიკური თხზულებებიც ლირიკული ხასიათისაა. აკაკის ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკური ობიექტურობის ბორკილებს და ამიტომ მისი პოემები და დრამები, ბაირონის თხზულებებივით, სავსეა ლირიზმით“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 67).

აკაკის შესახებ საუბრის დროს არტურ ლაისტი იმ დიდ და საყოველთაო სიყვარულსაც

აღნიშნავს ხაზგასმით, რითაც იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იყო გარემოსილი. მისი ინფორმაციით, ამ სიყვარულის უშუალოდ თვითმხილველი თავად ისიც გამხდარა არაერთგზის. მაგალითად: „სეირნობის დროს აკაკის ყველა დიდი პატივისცემით ესალმებოდა... იგი თავის სამშობლოს დიდი მგოსანი იყო, ისეთი დიდებული და ბრწყინვალე, რომ მისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა ახალი ცხოვრების გამომაფხიზლებელი. ბუნებამ მასში თავი მოუყარა გონების ყოველგვარ ღირსებას“.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არტურ ლაისტის ლიტერატურულ ნააზრევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ქართველ მწერალთა შემოქმედებას იგი ევროპული ლიტერატურის კონტექსტში აფასებს, რითაც ცდილობს ევროპელ მკითხველს მთელი თავისი სიდიადით დაანახოს მისთვის იმხანად სრულიად უცნობ მწერალთა უმნიშვნელოვანესი წვლილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ა. ლაისტის ლიტერატურული ნააზრევის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას მისი უმცროსი თანამედროვის – ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მისეული შეფასებებიც ნათლად ადასტურებს. კერძოდ, არტურ ლაისტის მტკიცებით, „ვაჟა-ფშაველა არამც თუ იშვიათი, არამედ უმაგალითო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში... მისი მომაჯადოებელი სიმღერების მსგავსი არაფერი მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 71). მან „არა მხოლოდ ახალი ქვეყანა გადაშალა, არამედ ახალი პოეზიაც შექმნა. იგი სდგას ილიას და აკაკის გვერდით, მაგრამ მათ სრულებით არა ჰგავს და უფრო მეტი ბუნებრივი პოეტური შემოქმედებითი უნარი აქვს. ვაჟა-ფშაველა უძლიერესი მოვლენაა ქართულ კულტურაში, რადგან თავის მცირე ცოდნით ყველაფერს თავისსავე არსითგან ჰქმნიდა და თავის უდიდეს ძალით მაშინვე უმაღლეს საფეხურამდე აღამაღლებდა. ეს მგოსანი განსახიერებული გენიოსია ქართული ხელოვნების სულისა. მის თხზულებებში ყველაფერი ქართულია და მხოლოდ ქართული. იგი არ არის უცხო მგოსანთა მოწაფე და არც მიმბაძველი, არამედ დამოუკიდებელი შემოქმედია. მან არ იცის მეთოდები, არ იცის ეგრედწოდებული იზმები, ეს კოჭლ მგოსანთა ყავარჯენი, მან არ იცის მართლწერა, არც „მიმართულებანი,“ არც რეცეპტები: იგი ვაჟა-ფშაველაა და სხვა არავინ“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ არტურ ლაისტის მიერ ესოდენ ცხადად და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გამოთქმულ ამ მოსაზრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ გერმანელი ქართველოლოგი მას გასული საუკუნის დასაწყისში გამოთქვამდა, იმ დროს, როცა ლიტერატურული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს პოეტის შემოქმედებითი მიღწევებისადმი რამდენადმე განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა.

ლუკა დვალიშვილი – პროფესორი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი საქართველოში

მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და კულტურის კვლევა ყველა ერისთვის მნიშვნელოვანი და საშური საქმეა. უდავო ფაქტია, რომ დოკუმენტური სიზუსტით, შეულამაზებლად დანახული და გათავისებული წარსული იმის უდავო გარანტია, რომ მაქსიმალური სიზუსტით განვსაზღვროთ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების თანამედროვე და სამომავლო პერსპექტივები. ზემოთქმული ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე მცირერიცხოვანი ერებისათვის, რომლებსაც ყველა დროში ბევრი მტერი და ავისმოსურნე ჰყავდათ და ჰყავთ.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, უდიდესი მნიშვნელობის სამხედრო და საქარავნო გზების გადაკვეთაზე მდებარე, უნიკალური კლიმატისა და ლანდშაფტის მქონე, არცთუ მცირერიცხოვანი წიაღისეული სიმდიდრეების მქონე საქართველო ყოველთვის იზიდავდა მეზობელი თუ შორეული ქვეყნების ყურადღებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ბობოქარი პერიოდის, პირველი მსოფლიო ომისდროინდელი საქართველოს შიგა საზოგადოებრივი, კულტურულ-სოციალური და პოლიტიკური ვითარება, ურთიერთობები ახლო მეზობელ თუ გეოგრაფიულად საკმაოდ დაშორებულ სახელმწიფოებთან.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში გერმანიასა და საქართველოს განსაკუთრებით მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. ბუნებრივია, გერმანიასა და საქართველოს ამ ურთიეთობების დროს თავისი კონკრეტული მიზნები ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერი ეს ჰარმონიულად იყო დაბალანსებული ქვეყნების სუვერენულ უფლებებთან და კულტურათა ტრადიციების პატივისცემასთან.

პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ქართულ-გერმანული ურთიერთობების შესახებ ბევრი საინტერესო წერილობით დოკუმენტური მასალა და პირველწყარო არსებობს, მაგრამ, ვფიქრობ, მათ შორისაც გამორჩეულია გერმანელი გენერლის ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის მოგონებები – „ჩემი მისია კავკასიაში.“ გერმანული სამხედრო უწყების ეს ახალგაზრდა და ნიჭიერი წარმომადგენელი გერმანიის სახელმწიფოს სამხედრო-დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობდა საქართველოში 1918 წელს. (საქართველოში, კერძოდ ფოთში, ჩამოვიდა 1918 წლის 23 ივნისს, ხოლო საქართველოდან, ბათუმიდან, გაემგზავრა 1919 წლის 8 თებერვალს ლ.დ.) კრესენშტაინის მემუარების ტექსტის დედანი ქალაქ მიუნხენის სამხედრო არქივში მოიძია, ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია არქეოლოგიის დეპარტამენტის აწ გარდაცვლილმა პროფესორმა ნოდარ მუშკუდიანმა.

1918 წელს გერმანიიდან მოვლინებული გენერალ კრესენშტაინის სამხედრო-დიპლომატიური მისია ფრიად წარმომადგენლობითი იყო. მის შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა დარგის (სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკური, სარკინიგზო და საზღვავო) სპეციალისტები. გერმანულ მისიაში ჩართული იყვნენ სხვა ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლებიც: (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი) და სხვ.

გენერალი კრესენშტაინი შემთხვევით არ შეურჩევიათ გერმანული მისიის ხელმძღვანელად. იგი პირველ მსოფლიო ომში იყო გერმანიის მოკავშირე თურქეთის სახელმწიფოს მერვე თურქული არმიის სარდალი. 1917 წელს იგი პალესტინაში იბრძოდა ინგლისელების წინააღმდეგ. მცირე აზია, კავკასიისა და მისი მიმდებარე რეგიონები მისთვის კარგად ნაცნობი იყო.

მთარგმნელი, ნიჭიერი ისტორიკოსი ნოდარ მუშკუდიანი, საგულისხმოდ და სამართლიანად შენიშნავს: „კრესი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს (იგულისხმება საქართველო ლ. დ.) უყურებს უცხო კაცის პოზიციიდან, ვინც ქართველ ხალხს თავისი სახელმწიფოს მშენებლობის

საქმეში დახმარების დიდი სურვილით უდგას გვერდით, და ბევრ ისეთ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ქართული ყოფისა და მენტალიტეტისათვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო მაშინ, არამედ მნიშვნელოვანია დღესაც[1].

როგორც სტატიის დასაწყისში მივუთითეთ, კრესენშტაინის ეს სანდო და საინტერესო მოგონება თავისი ობიექტურობით, ქართული სახელმწიფოსა და ქართველობის კეთილმოსურნე, გულშემატკივრული პოზიციის გამო საყურადღებოა დღესაც და, შესაბამისად, საგულისხმოა სამომავლოდაც. სპეციალურ ლიტერატურაში და განსაკუთრებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორად არის შეფასებული პირველი მსოფლიო ომის მიწურულში კაიზერული გერმანიის სახელმწიფოს განსაკუთრებული დამსახურება საქართველოსთვის თურქეთიდან მომდინარე პოლიტიკურ-დაპყრობითი საფრთხის აცილებაში, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში. „რუსეთის ბატონობისგან გათავისუფლებული საქართველო ოსმალეთის მიერ ოკუპაციის საფრთხისაგან კაიზერულმა გერმანიამ გადაარჩინა. გერმანიამ იმთავითვე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ერთგვარი დახმარება გაუწია რესპუბლიკის შინასტაბილიზაციის დამყარებასა და საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებაში... ჩვენს ქვეყანაში გერმანიის მთავრობა თავშეკავებულად მოქმედებდა. პატივს სცემდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს. რესპუბლიკის მთავრობას, ოპოზიციურ პარტიებს არ აძლევდა უკმაყოფილების, ანტიგერმანული განწყობილების საფუძველს.“[2] გერმანიის დელეგაციის მხარდაჭერითა და უშუალო წაქეზებით ამიერკავკასიის მთავრობის თავჯდომარე, აკაკი ჩხენკელი, საიდუმლოდ აცნობებდა ნოე ჟორდანიას, რომ თურქეთთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და, გერმანული მხარის დიდი თანადგომის იმედით საჭირო იყო და შესაძლებელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება[3]. გენერალი კრესენშტაინი არ მოერიდა გერმანიის მოკავშირის თურქეთის განაწყენებას. ახალგაზრდა გენერალმა სწორად აუღო ალღო შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და იშვიათი პოლიტიკურ-დიპლომატიური მანევრით ჩააცხრო თურქეთის რევანშისტული მისწრაფებები. თურქეთის სარდლობას სურდა მიტაცებული „სამი სანჯაყისთვის“ **ბათუმი, ყარსი და არდაგანი მიემატებინა ?ახალციხე, ახალქალაქისა და ოზურგეთის მხარეები**. ამ კონკრეტული საკითხის შესახებ ისტორიკოსებს განსხვავებული მიდგომა გააჩნიათ. შესაბამისად გენერალ კრესენშტაინის მოგონებები „ჩემი მისია კავკასიაში“ არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი და საიმედო პირველწყარო ნიჭიერი და ობიექტური პირის მიერ შექმნილი, რომელიც საინტერესოდ და ახლებური კუთხით წარმოაჩენს პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ბევრ, ჯერ კიდევ ბურუსით მოსილ საკითხებს. მოგონებები, მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორი სამხედრო პირია, არ გახლავთ ტელეგრამულ-დეპეშურ სტილით შექმნილი პატაკების კრებული, რომელიც ტრადიციულად, სამხედრო საჭიროებიდან გამომდინარე, მაქსიმალურ ლაკონურობასა და ინფორმაციულობას უნდა ემყარებოდეს. გერმანული მისიის ხელმძღვანელი თავის მემუარებში ამჟღავნებს დახვეწილ ლიტერატურულ გემოვნებას. ტექსტის ცალკეული ეპიზოდები შემკულია ზომიერი ექსპრესიითა და ლიტერატურული ვარაყით. ყოველივე ეს, ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს, კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. მაგ. ქუთაისში სტუმრობას იგი ლაკონურად, მაგრამ შთამბეჭდავად ასე წარმოაჩენს: „...პატარა და არქაულ ქალაქს რიონზე ძალზე ლამაზი მდებარეობა უჭირავს და წლის კარგ დროს სანახაობრივი თვალსაზრისით უაღრესად მომხიბვლელი უნდა იყოს. ქუთაისში მოსახლეობაც და ხელისუფლებაც ზრდილობიანად და სტუმართმოყვრულად დაგვხდა... ან კიდევ ...„გაზაფხულის შესანიშნავი ამინდი იყო. მივემგზავრებოდით ბუნების სიმშვენიერის მხრივ უაღრესად მომხიბვლელი ადგილების გავლით, რომელთა მცენარეული საფარი თითქმის ტროპიკულს ჰგავდა.“[4]

1. ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი - „ჩემი მისია კავკასიაში.“ (გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო პროფ. ნოდარ მუშკუდიანმა. გამომც. „მოწამეთა,“ ქუთაისი. 2002 წ.).გვ. 6.
2. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში. ტ. 4. თბილისი. 2012 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემის გამოცემა. ავტორთა ჯგუფი. გვ. 253.
3. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში. გვ. 181.
4. ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი - „ჩემი მისია კავკასიაში.“ (გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო პროფ. ნოდარ მუშკუდიანმა. გამომც. „მოწამეთა,“ ქუთაისი. 2002 წ.).გვ. 128.

კრესენშტაინის მემუარები საინტერეოა იმითაც, რომ იგი გარკვეული გაგებით ტიპიურ რომანის ნიშნებსაც შეიცავს. მიუხედავად ტექსტის მცირე მოცულობისა ავტორი ახერხებს საქართველოში არსებულ სამხედრო პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად წარმოაჩინოს ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ერების ზუსტი ყოფითნატურალური და მენტალური პორტრეტი. თვით სოციალურად საკმაოდ ჭრელი ქართული მოსახლეობის უაღრესად საინტერესო მრავალგანზომილებიანი პოლიტიკურ, სოციალურ-ფსიქოლოგიური მოზაიკური სურათი დიდი სიფაქიზით, საქმისცოდნითაა დანახული და წარმოჩენილი. კრესენშტაინი სავსებით სამართლიანად ამყობს თავისი მისიის წარმატებული საქმიანობით და შენიშნავს: „გერმანიისთვის დიდ და პოზიტიურ წარმატებად მაინც ის ფაქტი უნდა ჩაგვეთვალა, რომ კავკასიის ხალხებთან და განსაკუთრებით ქართველებთან, ჩვენდამი გერმანელებისადმი მეგობრობის, ნდობის და სიმპათიის ძალიან მნიშვნელოვანი კაპიტალი შევიძინეთ.“[5]

გენერალი კრესენშტაინი მიუხედავად საქართველოსა და ქართველებისადმი გამოხატული მეგობრობისა და დახმარების სურვილისა უპირველეს ყოვლისა თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი იყო. იგი სამშობლოს სამომავლო კეთილდღეობაზე და ძლიერებაზე დაუცხრომლად ზრუნავდა. მას სურდა გერმანიას თავისი გავლენის სფეროები გაეფართოვებინა თვით შუა აზიის ქვეყნებამდე. შორსმჭვრეტელი გენერალი ამიტომაც თავისი ქვეყნის მთავრობას სთავაზობდა ქართულ მისიაში ჩაერთოთ და მისთვის გაეყოლებინათ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცრებისგან შემდგარი მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი. იგი ფიქრობდა ამ ძალებით მოეგვარებინა კასპიის ზღვაზე გემთმიმოსვლის საქმე. ასევე გენერალი შესაძლებლად მიიჩნევდა გერმანული მცირე წყალქვეშა ნავის ტრანსპორტირებას შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში[6].

წინდახედული გენერლის მისიაში, გარდა სამხედრო პირებისა შედიოდნენ საკმაოდ ცნობილი გეოგრაფი დოქტორი ერიხ ცუგმაიერი, ასევე დოქტორი დირი, რომელიც მიუნხენის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მრავალი წელი ასისტენტად მუშაობდა. მან იცოდა ქართული ენა და „კავკასიის მთიელ ხალხთა მრავალი დიალექტი.“ კრესენშტაინი განსაკუთრებით აღფრთოვანებულია თავისი მისიის ექიმით, დოქტორ ნიდმაიერით. „მან გერმანელ ხალხს ძალზედ სასარგებლო პროპაგანდა გაუწია, როგორც თბილისში მის მიერ ორგანიზებული პოლიკლინიკის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არ არსებობს, განსაკუთრებით აღმოსავლეთში – პროპაგანდის უფრო ქმედითი სახე, ვიდრე საექიმო დახმარება.“[7]

დოქტორმა ნიდერმაიერმა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ადგილობრივ მცხოვრებლებში. მისმა გულისხმიერებამ, უშურველობამ და გულითადმა საქმიანობამ ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს ძალიან არგო.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას რომ შუა საუკუნეების ევროპული კათოლიკური მისიების წარმატებული საქმიანობაც საქართველოსა და კავკასიაში მეტწილად განპირობებული იყო ამ მხარეებში განათლებისა და საექიმო ცოდნის დანერგვით.

კრესენშტაინის მოგონებებში მთელი სისრულით წარმოჩინდა ქართველი ერის სანუკვარი სურვილის ასრულება. საქართველოში 117 წლიანი რუსული ოკუპაციის დასრულება, ქვეყნის დამუკიდებლობის გამოცხადება და შესაბამისად ნატრული თავისუფლების მოპოვებაში გერმანიის სახელმწიფოს უდიდესი როლი და დამსახურება. ბოლშევიკური რუსეთის ლენინურმა მთავრობამ, 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით თურქეთი მოიმადლიერა და მას უბოძა ძირძველი ქართული მიწები და მისი მიმდებარე რეგიონები. კავკასიაში არსებული ანარქიული მდგომარეობით ისარგებლა თურქეთის მთავრობამ და ზავის პირობებით ბოძებულ მიტაცებულ ტერიტორიებს არ დასჯერდა და საქართველოს სხვა მიწების დასაკუთრება მოინდომა, რაც ნაწილობრივ განახორციელა კიდეც. რომ არა გენერალ კრესენშტაინის მახვილგონივრული, დიპლომატიური და ზოგჯერ რისკიანი მოქმედება ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველო კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში ჩავარდებოდა.

5. იქვე, გვ.136.
6. იქვე, გვ. 59.
7. იქვე, გვ. 61.

მთარგმნელი ნოდარ მუშკუდიანი კრესენშტაინის მოგონებებზე თანდართულ კომენტარებში მახვილგონივრულად შენიშნავს: „გერმანული პოლიტიკა თითქმის დაუძლეველი დილემის წინაშე დადგა: ერთი მხრივ, მოკავშირესთვის კავკასიაში თავისუფალი მოქმედების საშუალება მიცემა, მეორე მხრივ, სრული გაგება და თანაგრძნობა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი.“[8] როგორც ისტორიის მსვლელობამ საქართველოს საბედნიეროდ აჩვენა, მოლაპარაკების ბოლო რაუნდში გერმანია არ მოერიდა თავის მოკავშირე თურქეთთან დაპირისპირებას და კავკასიაში, შესაბამისად საქართველოში, მის მოქმედებას გარკვეული „რეგლამენტი“ დაუწესა. ერთგვარი „პოლიტიკური ალიკაპი“ ამოსდო მის მილიტარისტულ ზრახვებს. კრესენშტაინი დაუცხრომლად იღწვოდა თავისი მისიის წარმატებით განხორციელებისთვის. საქართველოში წამოსვლამდეც იგი ბერლინში რამდენჯერმე ეწვია ფინანსთა მინისტრს გრაფ როდენს, ასევე რაიხსბანკის პრეზიდენტს ჰაფენშტაინს თხოვნით[9], რათა საქართველოს რესპუბლიკისთვის სესხი გამოეყოთ. ამავე საკითხებზე იგი დაუკავშირდა გერმანული ინდუსტრიის სხვადასხვა წარმომადგენლებს. კრესენშტაინი მოუღალავად, დაუცხრომლად ცდილობს გერმანიის მთავრობას, რომელსაც იმ პერიოდში თვითონაც ძლიერ უჭირდა, გამოაძებნინოს ფინანსურ-დიპლომატიურ-პოლიტიკური რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს გარკვეული პერსპექტიული რეფორმები ჩაატაროს.

კრესენშტაინი მემუარებში განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს რაინული მძიმე მრეწველობის წარმომადგენლის დოქტორ კინდის საქმიანობას. „მის მოხერხებულებას უნდა ვუმადლოდეთ ეკონომიკურ ხელშეკრულებებზე ხელმოწერას, რომლებიც ერთიანად სასარგებლო იქნებოდნენ გერმანიასა და საქართველოსთვის, რომ მათი განხორციელება ომის სავალალო შედეგით შეუძლებელი არ გამხდარიყო.“[10] შეიძლება ითქვას, რომ კრესენშტაინის მიერ ინიცირებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის გეგმები უაღრესად ურთიერთხელსაყრელი იყო ორივე მხარისთვის. მართლაც, 1918 წლის 12 ივლისს, საქართველოს მთავრობის მიერ წარგზავნილმა დელეგაციამ ბერლინში ხელი მოაწერა სამ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა ქართულ-გერმანული სააქციო საზოგადოებები: 1. საქართველოს მარგანეცის მომპოვებელი გაერთიანება. 2. ჭიათურის სარკინიგზო საზოგადოება – „მარგანეცის გზა.“ 3. ფოთის პორტის საექსპლუატაციო საზოგადოება.

მიუხედავად იმისა, რომ კრესენშტაინის მისია საქართველოში მხოლოდ რამდენიმე თვე გაგრძელდა, ქართულ-გერმანული პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან გაღრმავდა და მნიშვნელოვანი მასშტაბები შეიძინა, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტები: 1918 წლის ზაფხულში გაიხსნა ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა. საქართველოში მცხოვრებმა გერმანელებმა თბილისში დააფუძნეს გერმანული რეალური გიმნაზია. 1918 წლის ივნისში დაფუძნდა ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება. ... „თბილისში ყველაზე ავტორიტეტული გერმანელი ბატონი არტურ ლაისტი „კაუკაზიშე პოსტის“აუცილებელ რეორგანიზაციის საქმეში დახმარებას მთხოვდა.“[11] საქართველოსა და გერმანიას შუა საქონლის გამცვლელი კომისია და სხვ.

მიუხედავად იმდროინდელ მსოფლიოში არსებული არასტაბილური ყოფისა და საომარი მდგომარეობისა ქართულ-გერმანული სავაჭრო ურთიერთობები საკმაოდ ინტენსიურად განვითარდა. საქონელბრუნვის გაზრდის გამო ჩაფიქრებული იყო უახლოეს პერიოდში დაფუძნებულიყო გერმანულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი. ქართულ-გერმანული პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა სწორად და მართებულად შეაფასა ამიერკავკასიაში გამომავალმა ერთადერთმა გერმანულენოვანმა გაზეთმა – „კაუკაზიშე პოსტ.“ (11. 09. 1918წ. №53). მრავალმხრივ საინტერესო წერილში: „საქართველოს დიდი სამეურნეო მომავალი.“

8. იქვე, გვ. 16.
9. იქვე, გვ. 60.
10. იქვე, გვ. 64.
11. იქვე, გვ. 110.

აღნიშნული გაზეთის რედაქტორის კითხვებს პასუხობდა გერმანიის მხარის წარმომადგენელი – თიალო ფონ ვესტერნჰაგენი. რესპონდენტის თქმით, გერმანელები საქართველოში იმიტომ კი არ მოსულან რომ მისი რესურსები გაზიდონ და შემდეგ ქვეყანა ბედის ანაბარა მიატოვონ, არამედ სურთ რომ საფუძველი ჩაუყარონ ორმხრივ ინტერესებზე დაფუძნებულ თანამშრომლობასა და რეგიონში მშვიდობის დამყარებას.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე კრესენშტაინი წარმოჩინდა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო-სამეურნეო საქმეების უნარიანი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ნიჭიერმა დიპლომატმა და წინდახედულმა სამხედრომ „პროტოკოლით" გათვალისწინებული გადაუდებელი პირველადი დავალება წარმატებით შეასრულა. „მას რეგიონში მყოფი გერმანელი სამხედრო ტყვეების (25 ათასი კაცი ლ. დ). ვარგისი კოტიგენტისგან თავისი ნაწილების შევსება და ქართული არმიის გერმანული ნიმუშის მიხედვით ჩამოყალიბება ევალებოდა. თავისი ქვეყნის ღირსეული ჯარისკაცი და ქართველებისადმი სიმპათიით გამსჭვალული კრესენშტაინი გულწრფელად წუხს, რომ დავალების მეორე ნაწილი ისე კარგად ვერ შეასრულა, როგორც მას სურდა. ამის მიზეზად მას მიაჩნია საქართველოს მთავრობის შიგნით და ოპოზიციურ პარტიების ცალკეულ წარმომადგენელთა შორის დაუსრულებელი კინკლაობა და „პოლიტიკური ბუტიაობა." „დამახასიათებელი ფაქტია სისუსტისა! რომ მთავრობა ვერ ბედავს ქართული დროშის აღმართვას სამთავრობო შენობაზე და იძულებულია წითელი რევოლუციური დროშა გამოფინოს."[12]

კრესენსტაინის მოგონება უაღრესად სანდო და საიმედო დოკუმენტია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის გაგებისთვის. დღესაც რუსეთისა თუ მისგან წაქეზებული ზოგიერთი სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია აკვიატებით მიიჩნევს, რომ საქართველო თითქოს ყოველთვის ჩაგრავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. ვნახოთ რას წერს ამ საკითხზე პირუთვნელი და ობიექტური გერმანელი გენერალი, რომელიც ცდილობს თავის ქვეყნის უმაღლეს სამხედრო უწყებას მიაწოდოს უზუსტესი ინფორმაცია საქართველოსა და საერთოდ კავკასიის რეგიონის შესახებ. მაგ. აფხაზების შესახებ იგი წერს: „აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეზე იდგა. მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომლებსაც თბილისის სოციალისტური მთავრობის მიერ მათი სამფლობელოს კონფისკაციის ეშინოდათ, მიმართეს თურქებს დახმარებისთვის."[13] მისი ფიქრით, თბილისის „პალას-ჰოტელი," სადაც მხოლოდ გერმანელი ოფიცრები ცხოვრობდნენ, სავარაუდოდ სომხებმა ვერაგულად დაწვეს. ასევე სომხებმა ისარგებლეს 28 დეკემბერს თბილისიდან გერმანული შენაერთების გასვლით და მშვიდობიან ქვეყანას თავს მუხანათურად დაეხსნენ. თუმცა შესაბამისი პასუხიც მიიღეს ქართული ჯარის ნაწილებისგან, რაც დიდად ახარებს გერმანელ სამხედროს[14].

როგორც სამხედრო პირი და თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი კრესენშტაინი გერმანიის მთავრობის დავალებას ერთგულად ასრულებდა. თუმცა როგორც ღისეული პიროვნება, როგორც განსწავლელი ადამიანი თავისი მოგონების ბევრ ადგილას გამოხატავს სიმპათიასა და პატივისცემას დიდი პოლიტიკური და კულტურული ტრადიციების მქონე, იმდროისათვის უაღრესად შეჭირვებული საქართველოს მიმართ. „ქართველები კავკასიურ რასას მიეკუთვნებიან და მრავალმხრივ გამორჩეულები არიან დიდი ფიზიკური სილამაზით... ბევრია კარგი შეხედულების მამამკაცი, რომელთა უპირატეს გარეგნობას კიდევ უფრო წარმოაჩენს არაჩვეულებრივად მოხდენილი კოხტა ნაციონალური ტანსაცმელი."[15] ჭეშმარიტების მოყვარე, საქმიანი და პუნქტუალური გენერალი აქვე სამართლიანად მიუთითებს ზოგიერთი ჩვენი ერონული ტრადიციის გაუკუღმართებული ფორმით განვითარებაზე ქართულ საზოგადოებაში. „რამდე-

12. იქვე, გვ. 69.
13. იქვე, გვ. 88.
14. იქვე, გვ. 125.
15. იქვე, გვ. 74.

ნადაც კავკასიელები და განსაკუთრებით რაინდული სულიკვეთების ქართველები თავაზიანები და სტუმართმოყვარენი არიან, იმდენად არაჩვეულებრივად მომქანცველია სამუშაოდ განწყობილი კაცისთვის მათი ქეიფები და ხალისიანი საღამოები.“[16]

კრესენშტაინი, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, როგოც სამხედრო პირი, ცდილობს მაქსიმალურად სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს გერმანელთა სამხედრო შტაბს, რათა მათ ამ ცნობების საფუძველზე ჩვეული გერმანული ოპერატიულობით იმოქმედონ კავკასიის რეგიონში.

გერმანელთა სამხედრო მისის მეთაურის, გენერალ კრესენშტაინის საგულისხმო დაკვირვება და შეფასება ყოველთვის და ყველა დროში მნიშვნელოვანი არის და იქნება ქართული სახელმწიფოსთვის, კავკასიისა და საქართველოს პრობლემებით დაინტერესებულ ყველა ადამიანისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი – „ჩემი მისია კავკასიაში.“ (გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო პროფ. ნოდარ მუშკუდიანმა. გამომც. „მოწამეთა,“ ქუთაისი. 2002 წ.
2. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეებში). ტ. 4. თბილისი. 2012 წ.
3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემის გამოცემა. ავტორთა ჯგუფი.
4. ლაშა ბაქრაძე – გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ). გამომც. „პეგასი“ თბილისი. 2009 წ.
5. ინტერნეტ მასალები.

16. იქვე, გვ. 103.

გია კვაშილავა – მათემატიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (საქართველო) აკადემიკოსი, ევროპის მათემატიკური საზოგადოების წევრი, ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, საერთაშორისო ლინგვისტიკური ასოციაციის (აშშ) წევრი, მედიტერანული კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

კრებული „მატიანე“ თითქმის დაარსების დღიდან თანამშრომლობს ბატონ გია კვაშილავასთან. მისი არაერთი წერილი გამოქვეყნებულა ჩვენს ფურცლებზე და როგორც მოსალოდნელი იყო დღემდე ინტერესის მაღალ შკალას ინარჩუნებს. ამ-ჯერადაც ვაგრძელებთ ურთიერთთანამშრომლობას და გაგაცნობთ მისი კვლევები-სა და ახალი აღმოჩენების შესახებ, რაც იმედია უფრო გაამდიდრებს მკითხველის ინტელექტუალურ შესაძლებლობას.

კუნძულ კრეტაზე უძველესი ქართული სახელმწიფოს არსებობა დადასტურდა!

„კრეტის უძველესი დამწერლობა ნამდვილად არის ქართული ანბანის ფესვები. ეს ძირი გაიშიფრა!“

ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლა არასოდეს ყოფილა იოლი და, ალბათ, არც მომავალში იქნება.კვლავ არაერთი იმპერია გამოჩნდება ჰორიზონტზე, რომელიც მცირე-რიცხოვანი ერის გაქრობას მოინდომებს, თუმცა რადგან ქართველებმა სახელმწიფოებრიობის გა-დარჩენაც და იდენტობის შენარჩუნებაც აქამდე შევძელით, მომავალშიც შევძლებთ. ეს იმ ისტო-რიულმა როლმაც განაპირობა, რომელსაც კაცობრიობის წინაშე ვასრულებდით და კვლავ უნდა შევასრულოთ. ცნობილმა მეცნიერმა, ლინგვისტმა და მკვლევარმა გია კვაშილავამ არაერთი სა-მეცნიერო შრომა მიუძღვნა უძველესი მოდგმის ამ საკაცობრიო ღვაწლს. მისი ბოლო კვლევები კუნძულ კრეტაზე დაახლოებით 4000 წლის წინანდელი ქართველური (მინოსური) ცივილიზაციის დადასტურებას ეხება. ამ ცივილიზაციამ უდიდესი როლი შეასრულა ევროპა-აზიის ქვეყნების ურთიერთობაში. მის სათავეში, შესაძლოა, კოლხეთის მითური მეფის, აიეტის და, პასიფაე ვივარ-აუდოთ. სწორედ ის იყო კრეტის მეფის, სამართლიანობით ცნობილი მინოსის ცოლი.

ბოლო, შთამბეჭდავი კვალი კი კაცობრიობის ისტორიაში ქართველმა ქალმა გარდაცვალების შემდეგ დატოვა. სწორედ ამ უცნობი ქართველი ქალის თავის ქალის პროპორციით მოხიბვლის გამო უწოდა გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ბლუმენბახმა მთელ თეთრკანიან რასას „კავკაზუ-სი“. ამ ორ, ერთმანეთისგან ხანგრძლივი დროით დაშორებულ თემას სწორედ საქართველო აერ-თიანებს. ორივეს შესწავლას, რომელშიც ქართველი ქალის გონიერება და სილამაზე თავის როლს ასრულებდა, გია კვაშილავამ წლები მიუძღვნა.

აღსანიშნავია, რომ სულ უფრო იკვეთება კაცობრიობის წინაშე უძველესი ქართველური ცივილიზაციის როლი. ეს მსოფლიოში გაბნეული იმ ისტორიული წყაროების დამსახურებაა, რომელთა შესწავლის შესაძლებლობაც ბოლო დროს მოგვეცა. უამრავი ქვეყნის ისტორიკოსი თუ ფილოსოფოსი წერს ქართველების შესახებ იმას, რაზეც აქამდე არაფერი ვიცოდით. ამას ემატება დნმ-კვლევები წინარე ქართველური ტომების მიგრაციის შესახებ, რისი ამსახველი რუკაც ბოლო წლებში ინგლისელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს. ამ რუკაზე 61000-25000 წლის

წინანდელი კაცობრიობა სწორედ საქართველოს დღევანდელი ტერიტორიიდან მიემართება ევროპა-აზია-ამერიკისაკენ. ჩვენი ტერიტორიიდან მიგრაციის სამი ხაზი ევროპისკენ, ორი აზიისაკენ მიემართება, უკიდურესი აზიიდან კი ჩრდილოეთ ამერიკასა და სამხრეთ ამერიკაში გადადის. ეს ფაქტები, რომლებიც დღეს ბევრ ქართველს დაუჯერებლად ეჩვენება და ცოტა არ იყოს, ცინიკურადაც უყურებს, ჩვენზე ადრე აღიარეს უცხოელმა მეცნიერებმა, ჩვენთვის კი მათი შესწავლა იმიტომ არის აუცილებელი, რომ რეალური, ფაქტობრივი წარსულის გამოკვლევით გავითავისებთ საკუთარ როლს დღევანდელ მსოფლიოში, რაც არ ვიცით და რაშიც ხელწამოსაკრავი არ უნდა ვიყოთ.

რაც შეეხება კრეტას, აქ 2008 წლიდან მოყოლებული, ოთხი ექსპედიცია ჩავატარეთ, მაგრამ კრეტაზე ქართველური ცივილიზაციის დადასტურებისთვის არა მხოლოდ კრეტის არქეოლოგია გამოვიყენეთ, არამედ მისი უძველესი წარწერები და დავადასტურეთ, რომ სწორედ აქ არის ის უძველესი ქართული დამწერლობა, რომელიც ჩვენს მშვენიერ ქართულ ანბანს დაახლოებით 4000 წლით უსწრებდა.

– ხომ არ მომესმა? ანუ უკვე ნაპოვნია, რასაც ვეძებდით? ქართული ანბანის უძველესი ძირი?!

არ მოგესმათ! კრეტის ხაზოვანი (უძველესი ქართველური) დამწერლობა ნამდვილად არის თანამედროვე ქართული ანბანის ფესვები, რის შესახებ მოხსენება წარვადგინე მსოფლიოს უამრავ სიმპოზიუმსა და კონფერენციაზე. ნაშრომები დაიბეჭდა ლონდონის, ოქსფორდის, კემბრიჯის, ათენის, ვილნიუსის, ბერლინის და ა.შ. სამეცნიერო ჟურნალებში... კრეტაზე ქართველური სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ ამ გზით როდი დავადასტურეთ. ჩვენ გამოვიყენეთ ევროპა-აზიის ძირითადი ქვეყნების – ამერიკის, ჩინეთის, რუსეთის მუზეუმებში დაცული ასლები. დღეს ამ თემაზე უკვე 100-მდე მეცნიერული ნაშრომია წარდგენილი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო კონფერენციებზე...



– ქართველური ცივილიზაცია კრეტაზე!..

– მართლაც ასეა და ამ სახელმწიფოს არსებობას ამტკიცებს ყველაფერი – თუნდაც კრეტის მუზეუმებში დაცული ქვევრები, რომელთაგან დაახლოებით 4000 წლის წინანდელ 1000-ლიტრიან ჭურს აქვს უძველესი ქართული წარწერა: „ვინ 32, დიდი კასე ა სამუნე ასე ათაინია არეპირინა ტიტიკუ“, რაც დღევანდელი ქართულით ასე იშიფრება: „ღვინოს, 32 დიდ ჭურჭელ სასმელს, ახლა ათენა მიწისას (იგულისხმება ქალღმერთი ათენა, რომელმაც ადამიანებს მიწაზე შრომა ასწავლა...) შეჰპირდა ტიტიკუ“.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ტიტიკუ“ დღევანდელი ქართულით სახელი „ტიტიკოა“?

– რასაკვირველია, შეგიძლიათ, თუმცა მე უფრო კრეტის ქართველური ცივილიზაციის



შექმნილი, დაახლოებით 3500 წლის ფრესკები მაოცებს, რომლებიც კრეტის უძლიერესმა მიწისძვრამ დაფარა ქრისტემდე 1500 წელს და მანვე გადაარჩინა გაქრობას. დღეს ეს ფრესკები აღდგენილია და მათზე გამოსახული თუნდაც ქალბატონები ისე ჰგვანან თანამედროვე ქართველ ქალბატონებს, რომ ხშირად წარმოსახვით ერთმანეთს ქუჩაშიც კი ვადარებ და უდიდეს მსგავსებას ვპოულობ, რაც ემოციურად ჩემზე ძალიან მოქმედებს.

– მითების თანახმად, სწორედ კრეტის მეფის, მინოსის, მეუღლე იყო კოლხეთის მეფე აიეტის და, მედეას მამიდა პასიფაე...

– დიახ, მითების თანახმად. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა კრეტის შესწავლა დაიწყეს, პასიფაეს და მინოსის კვალი რეალურად დადასტურდა, კერძოდ, როდესაც ლეგენდარულმა არქეოლოგმა არტურ ევანსმა კრეტას პირველი არქეოლოგიური ბარი დაჰკრა, ის სწორედ მინოსისა და პასიფაეს სამართლიანობის ტახტს მოხვდა, რომლის ასლი ახლა ჰააგის სასამართლოში ინახება. მეფე მინოსი, მითების თანახმად, სწორედ სამართლიანობის სიმბოლო იყო. რაც შეეხება პასიფაეს, ქალის როლი კრეტაზე ძალიან დიდი იყო. ისინი ყველაზე მნიშვნელოვან რელიგიურ რიტუალებს ასრულებდნენ, შესაბამისად, სამართლიანობის ტახტზე პასიფაეც უნდა დაბრძანებულიყო. მე მქონდა პატივი, ამ ტახტის ასლზე დავმჯდარიყავი და ეს უჩვეულო სიმსუბუქის განცდა იყო. კრეტაზე აღმოჩენილი სამართლიანობის ტახტი, ჩემი აზრით, სწორედ ქალის უნდა იყოს და არა – კაცის.

– ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პასიფაე იყო პირველი ქართველი ქალი, რომელიც კაცობრიობას სამართლიანობის ტახტით შემორჩა... აქვე აუცილებლად უნდა გკითხოთ იმ უცნობ ქართველ ქალზეც, რომლის თავის ქალის ფორმის გამოც მეცნიერებმა მთელ ევროპულ რასას „კავკაზუსი“ უწოდეს...

– დიახ, ასეა. მის ვინაობასაც მართლაც წლების განმავლობაში ვიკვლევდი და საბოლოოდ გეტინგენის მუზეუმში ამ ბედკრული ულამაზესი ქალის თავის ქალის ნახვითა და შეხებით დავასრულე. ამ მომენტმა ისე შემძრა, ახლაც არ მავიწყდება. ამ ისტორიას მას შემდეგ ვსწავლობდი, რაც სტუდენტობაში წავიკითხე გერმანელი ფილოსოფოსის, ჰეგელის ფრაზა: „კაცობრიობის განვითარება კავკასიიდან იწყება“. აი, ამ ფრაზით მივადექი გერმანელი ანთროპოლოგის, ბლუმენბახისა და იმ ქართველი ქალის თავის ქალას, რომლის გამოც ამ მეცნიერმა ყველა თეთრკანიანს „კავკაზუსი“ უწოდა. ერთხელ პროფესორმა რამინ რამიშვილმა მითხრა, შესაძლოა, ამ ისტორიას სულ ტყუილად იკვლევ, რადგან თავის ქალა სულაც აღარ არსებობს და გერმანიის დაბომბვის დროს განადგურდაო, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ აღმოჩნდა.

„კავკასიურ რასას [თავის ქალის დახრის] კუთხე სავსებით ან თითქმის მართი აქვს. განსაკუთრებით ითქმის ეს იტალიური, ქართული და ჩერქეზული ფიზიონომიის შესახებ“ (Hegel, 1845, 67).



ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალის დახრის კუთხე

ამ ქალის ისტორია წარმოშობით გერმანელი რუსეთში მცხოვრები მეცნიერების ნაშრომებში აღმოვა-

ჩინე. გაირკვა, რომ რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომის დროს, როდესაც რუსეთმა თურქეთს ყირიმის სახანო წაართვა და ყველა ქრისტიანი ტყვე გაათავისუფლა, ტყვედ გატაცებული ეს ულამაზესი ქართველი ქალი იქაურ ჰარამხანაში იპოვეს, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოდან გატაცებული, რადგან მალარია აღმოაჩნდა გადატანილი... ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ რუსმა უმაღლესმა სარდლობამ არ დატოვა და მოსკოვში წაიყვანა, სადაც უკვე დაავადებული 8 თვეში გარდაიცვალა. ეს ქართველი ქალი დიდგვაროვანი იყო და ეს იმითაც ჩანს, რომ მისი დაავადების დასადგენად უმაღლესი რანგის ექიმი, რუსეთში დაბადებული გერმანელი იოჰან ჰილტებრანდტი მიიწვიეს. სწორედ მან დაადასტურა, რომ ეს მშვენიერი არსება ქალური დაავადებით გარდაიცვალა, ექიმმა კი გარდაცვლილის თავის ქალა გამოითხოვა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ქალა სამედიცინო კვლევებისთვის გამოეყენებინა. წერდა კიდეც, ქალას რუდუნებით ვინახავ სამეცნიერო სამუშაოებისთვისო. შემდეგ ის სანქტ-პეტერბურგში დაუკავშირდა ასევე ცნობილ გერმანელ ექიმს, ბარონ გეორგ თომას ფონ აშს, რომელმაც თავის ქალა თავის პროფესორ იოჰან ბლუმენბახს გაუგზავნა გერმანიაში. ბლუმენბახი ისე გააოცა ქართველი ქალის თავის პროპორციულობამ, რომ როგორც გეტინგენის უნივერსიტეტში გვითხრეს, ღამით სანთლით შეჰყურებდა, რათა მისი სილამაზე ცოცხლად წარმოედგინაო. წერდა კიდეც აღფრთოვანებული, – სამხრეთ კავკასიაში მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხალხი, ქართველები ცხოვრობენო. თეთრკანიან რასასაც სწორედ ამ ქალის პროპორციულობის გამო დაარქვა „კავკაზუსი“. ეს სახელი ყველა თეთრკანიანის აღმნიშვნელად იქცა და ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით – ამერიკაში, დღესაც ასეა. მაგალითად, ბარაქ ობამას დედას, რომელიც თეთრკანიანი იყო, რასის აღსანიშნავად დოკუმენტაციაში სწორედ „კავკაზუსი“ უწერია. დოქტორმა მიხაილ შულცმა, რომელმაც თავის ქალა გეტინგენის უნივერსიტეტში წარმოგვიდგინა, მითხრა, პირველი ქართველი ხარ, რომელმაც ეს ქალა 230 წლის შემდეგ ახლოს ნახა, უფლება გაქვს, ხელითაც შეეხო, მაგრამ საუბრისთვის მხოლოდ ხუთი წუთი მაქვსო. ძალიან ემოციურად მახსოვს ის დღე და ისიც, რომ შემდეგ პატივცემულმა დოქტორმა საუბრისთვის 5 წუთი კი არა, 2 საათი დამითმო. საქმე ის გახლავთ, რომ მე მათემატიკოსი ვარ და მაშინვე გამახსენდა თეთრი, კავკასიური რასის სახის კუთხის 90%-იანი დახრილობის ამბავი, რომელიც ბლუმენბახმა და სხვა ანთროპოლოგებმა გაზომეს. ეს კუთხე სახეზე გავლებული ორი ხაზით განისაზღვრება, ხაზები, პირობითად, გამოდის, ერთი – ყურის გარეგანი არხიდან ცხვირის ძგიდემდე, მეორე კი – შუბლის შუა ნაწილიდან ასევე ცხვირის ძგიდემდე და შეერთების ადგილას ქმნის 90%-იან კუთხეს. თუმცა ამ ამბის ხსენება მე-20 საუკუნის გერმანიაში იმ უმძიმესი მოვლენის გამო იყო აკრძალული, რომელსაც ფაშიზმი ერქვა. ადოლფ ჰიტლერი ადამიანებს სწორედ ამ კუთხით განასხვავებდა და ხვრეტდა.



ამის მსგავსად უამრავი უსახელო მოვლენა თუ პიროვნება შეიძლება აღმოჩნდეს ქართველური ცივილიზაციის ისტორიაში, რომელთა შესწავლა უნდა შევძლოთ დოკუმენტაციებითა და ფაქტებით. ეს დღევანდელ მსოფლიოში ჩვენი როლის გათავისებასა და შენარჩუნებაში შეგვიწყობს ხელს.

მოამზადა ეთერ ერაძემ

მასალა გადმოღებულია გაზეთიდან „კვირის პალიტრა“, 2021 წლის 18-24 იანვარი, №3 (1382), გვ. 10-11.

მანანა ვაშაყმაძე – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი

მუზეუმი მრავალმხრივი ცოდნის ტაძარი

თანამედროვე სამყაროს მეგაპოლისებში ადამიანები რიგში საათობით დგანან იმისათვის, რომ მოხვდნენ მუზეუმებში დიდ გამოფენებზე: ეს იქნება პოკასო, დალი, ან ტუტანხამონის საგანძური, ჩინური კულტურა თუ სხვა. ადამიანთა მასების უმეტესი ნაწილი ამ რიგში რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტ სივრცის სარეკლამო რგოლების დამსახურებით მოხვდნენ. რაც შეეხება ინფორმაციას და მისი დამუშავების ტექნოლოგიებს, იმდენად უჩვეულოდ სწრაფად ვითარდება ეს სფერო, განსაკუთრებით უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, რომ ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელია მისი შესაძლებლობების სიმაღლეები.

ვანის განახლებულ არქეოლოგიურ მუზეუმში ამ ტექნოლოგიებს ფართო გამოყენება და ფუნქცია დაეკისრა, როგორც საგამოფენო სივრცეებში, ისე საბაზო და მეცნიერული მონაცემების თავმოსაყრელად.

ცხადია, მუზეუმი (მუზეუმები) ვერ შემოიფარგლება მხოლოდ კოლექციების პასიური შეკრებით და მათი კვლევის ვიწრო სპეციალიზაციით. მუზეუმებმა უნდა მიიღონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილებები, მათ არა მარტო უნდა დანერგონ ახალ-ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები, არამედ უნდა გახდნენ ის დაწესებულებები, რომლებიც არ უფრთხიან რთულ პრობლემებთან შეჯახებას, რასაც იწვევს მსოფლიოს გლობალური პრობლემები, მაგ: რასიზმი, პანდემია, უმუშევრობა, ურბანიზაცია და ა.შ. ამ ნიადაგზე აღმოცენებული მძაფრი შეჯახებები.

საგამოფენო ექსპოზიციის შექმნისას, რომლებიც მსგავს პრობლემებთან მჭიდრო კავშირშია, საუკეთესო ვარიანტია ისტორიული ფესვების მიმართ მეტი მგრძნობელობის გამოჩენა და იმავდროულად თანამედროვეობასთან კავშირიც ხაზგასმული უნდა იყოს, მუზეუმი უნდა ეხმიანებოდეს თანამედროვე სულს და მხოლოდ წარსულის მოგონებებით არ შემოიფარგლოს.

ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში საუკეთესო გათვლებით გაკეთდა როგორც საგამოფენო დარბაზები, ასევე შეიქმნა რამდენიმე საზოგადოებრივი სივრცეც. მუზეუმი დაკავებულია არა მარტო საკუთარი კოლექციების შევსებით, არამედ დიდი ყურადღება ეთმობა კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას, მასებთან კავშირის უწყვეტობას.

მართალია, ექსპონატები მთავარი საშუალებაა სამუზეუმო სივრცეში დამთვალიერებელთა მოსაზიდად, მაგრამ ისეთი უსაზღვრო სფერო, როგორიც კულტურაა, უმჯობესია ნაწილ-ნაწილ შევისწავლოთ. კულტურის უკიდეგანო სივრცეებმა, მრავალფეროვნებამ, ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანები დააფრთხოს კიდეც, მაგრამ მუზეუმის შემოსაზღვრულ სივრცეებში შეუძლებელია უფრო თავდაჯერებულად არ იგრძნო თავი.

თითოეული პედაგოგი, რომელიც ნოვატორია და შემოქმედი, სურს საუკეთესო შედეგებზე გასვლა, შესაბამისად, ყოველდღიურ ძიებაშია... ცდილობს ახალ-ახალი გზები და ხერხები გამონახოს, რათა უფრო ეფექტურად და პროდუქტიულად, ხალისიანად წარმართოს სასწავლო პროცესი. მისწრაფება იმისკენ, რომ რაც შეიძლება უკეთესად გამოიყენო სამუზეუმო ექსპონატები სწავლებისას მასწავლებელთათვის უმნიშვნელოვანეს საყრდენად უნდა იქცეს. ითანამშრომლო მუზეუმებთან მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს იმისათვის, რათა გახდე მონაწილე ცოდნის შენახვის, გამდიდრების და გავრცელებისა ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, მეცნიერება, კულტურა, კომუნიკაცია.

ამიტომ ეს სივრცე განიხილება, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემხრობა დისციპლინათშორის მიდგომას და ხელს უწყობს დამთვალიერებელთა მიერ „ყველაფრის“ გაგებას, რაც შექმნა მსოფლიო მოსახლეობამ და იქმნება დღესაც თანამედროვეობაში. ამიტომაც საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართულია მუზეუმის თანამშრომელთა

და განათლების სისტემასთან მჭიდრო ურთიერთკავშირისკენ, იმ მიზნით, რომ ამ სფეროს ადამიანებმა შეძლონ და სრულად გამოიყენონ მუზეუმის უნიკალური შესაძლებლობები.

სკოლასა და მუზეუმს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი, სასწავლო პროცესის სამუზეუმო სივრცეებში გადატანის და ინტეგრირების მეთოდები, ჩემი აზრით ყველა მასწავლებლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური რესურსია პედაგოგთა საქმიანობაში. უმაღლესი პროფესიონალიზმისკენ სავალ რთულ გზაზე კი, საუკეთესო დამხმარე.

რატომ მივანიჭე მუზეუმს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია და როლი სწავლასა და სწავლების საქმეში?

რაში შეიძლება დაეხმაროს მუზეუმი მასწავლებელსა და მოსწავლეს?

პირველ რიგში ამ საკითხით დაინტერესებისკენ ჩემმა პროფესიულმა და სამსახურებრივმა გამოცდილებამ მიბიძგა. მრავალი წელია ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ- ნაკრძალში ვმუშაობ გიდად. ამავე დროს ვმუშაობ სკოლაში, ვარ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სერთიფიცირებული პედაგოგი. მუზეუმში მუშაობის პერიოდში საქართველოს რეგიონების უამრავ მასწავლებელსა და მოსწავლესთან მიწევდა ურთიერთობა, თანამშრომლობა. სწორედ ამ ხშირი და საინტერესო კომუნიკაციათა შედეგად, ზემოთ დასმული კითხვების პასუხების კონტურებიც თანდათან გამოიკვეთა, უფრო მეტიც, სრულიად ხელშესახები გახდა.

„მუზეუმი არ არის ფუფუნებისა და ამაოების საგანთა უსარგებლო თავმოყრა-შეკრება. მუზეუმი უნდა იქცეს და გახდეს უდიდესი მნიშვნელობის სკოლადაც, სადაც აღმზრდელები წაიყვანენ აღსაზრდელებს, მამები- შვილებს. ახალგაზრდები გენიოსთა ნამუშევრების ხილვისას უკეთ შეიგრძნობენ, თუ მეცნიერების, ან ხელოვნების რომელ სახეს ირჩევს მათი ბუნება“ – ეს სიტყვები ცნობილი ფრანგი მხატვრის ჟაკ-ლუი დავიდის გამოსვლიდანაა საფრანგეთის ეროვნული კონვენტის სხდომაზე. (ჟ. ლ. დავიდი 1748-1825).

ახლა თვით სიტყვა მუზეუმის შესახებ:

სიტყვა „მუზეუმი“, წარმოდგება ძველი ბერძნული სიტყვიდან. ძველი ბერძნები ასე ეძახდნენ მუზების – ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ღვთაებების ტაძარს. ეს პოეტური სახელწოდება მართლაც ძალიან ზუსტია, – მუზეუმი ხომ რეალობაში ხელოვნებისა და ამავე დროს ცოდნის ტაძარიცაა, რომლის მეშვეობითაც წინაპართა ცხოვრებას, მათ ნააზრევსა და ნახელავს ვეცნობით.

პირველი მუზეუმი ეგვიპტის ალექსანდრიაში აღმოცენდა ძვ. წ.III საუკუნეში და მისი დამაარსებელი მეფე პტოლემაოს I იყო. საუბარია მუზების კულტისადმი, იმავდროულად შემეცნებისა და კვლევებისადმი მიძღვნილ შენობა-ნაგებობათა კომპლექსზე, რომელსაც ხშირად სტუმრობდა სწავლული საზოგადოება, სწორედ მუზათა მსახურებას რომ უძღვნიდა თავის სიცოცხლეს.

რომაულ ეპოქაში მუზეუმი პრივილეგირებულ ინსტიტუციად მხოლოდ კულტთან დაკავშირებულ ნაწილში რჩებოდა: უფრო მეტად კი, ადამიანთა ძალზე ვიწრო წრის ესთეტიკური და ფილოსოფიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა, ან რომელიმე გამოჩენილი პიროვნების თვით განდიდებას ისახავდა მიზნად.

თანამედროვე ეპოქაში ტრანსმისია (გადაცემა) და მეხსიერება გლობალიზებული კრიტერიუმებია: ისინი არათუ მხოლოდ ვერ იქნება მცირეთათვის განკუთვნილი ფუფუნება, არამედ მეტიც: საგანმანათლებლო, დამატებით, თანმდევ მნიშვნელობას იძენს კაცობრიობის ცნობიერების ასამაღლებლად და მათი მოსარგებლე ხდება ყველა. ასე, რომ პრივილეგირებული ადგილიდან, მუზეუმი გარდაიქმნება მუდმივ, არაკომერციულ უწყებად, რომელიც საზოგადოების და მისი განვითარების სამსახურშია.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა სახის მუზეუმები: მხარეთმცოდნეობის, არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, იარაღის, ავტომობილების, ხალიჩების, მუსიკალური საკრავების, ცვილის ფიგურების, თეატრალური თოჯინების და მრავალი სხვა.

მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასების ხელოვნების საგნის (არა მარტო ხელოვნების)

სასწავლო პროგრამებში უამრავი მასალაა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ჩვენს მუზეუმთან. („ანტიკური სამყარო და საქართველო," „ძველი ქართული საცხოვრისი," „კოლხური ოქრომჭედლობა," „ქანდაკება," „არქიტექტურა," „შენების ხელოვნება" და სხვა) გაკვეთილების მსვლელობისას, მოსწავლეებთან კერძო საუბრებში თანდათან გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემებიც: ბავშვებს თითქმის არ ჰქონიათ შეხება არქეოლოგიურ გათხრებთან, არ უნახავთ ვანის უნიკალური აღმოჩენების შედეგად მუზეუმში გამოფენილი კოლხური, თუ უცხოური არტეფაქტები, წარმოდგენა არა აქვთ რესტავრაციის, ექსპონატთა შენახვა-ევაკუაციის, ახლი გამოფენის მოწყობის პროცესებზე. არასათანადოდ იცნობდნენ რამდენი პროფესიის ადამიანი მუშაობს მუზეუმებში და როგორ კვლევებს ატარებენ მეცნიერები.

მეშვიდე კლასელების სასწავლო პროგრამაში რამდენიმე თავი დათმობილი აქვს ქანდაკების თემატიკას, ხელოვნების ამ დარგის განვითარებისა და ახალი მიმართულებების ძიების საკითხებს. მოსწავლეებს საკითხის საინტერესო კუთხით შესწავლა-გაცნობის მიზნით შევთავაზე, ემუშავათ პროექტზე: „ქანდაკება და მისი სახეები", ამავე დროს მივეცი გარკვეული მიმართულებებიც.

ბავშვები აღნიშნული პროექტით საოცრად დაინტერესდნენ და დიდი ენთუზიაზმითაც ჩაერთვნენ მუშაობაში. პროექტის მიზანი იყო ზოგადად ქანდაკების დამზადების, სახეობების, მათი შექმნისა და განთავსების მნიშვნელობაზე ცოდნის შეძენა, ასევე ინტერესის გაჩენა მოქანდაკეობისადმი. პროექტზე მუშაობისას, რათა მათთვის კიდევ მეტად გამეღრმავებინა ცნობისმოყვარეობა, პატარა ხრიკს მივმართე: პირველი, რაც უნდა გაეკეთებინათ, ვანის არქეოლოგიური მუზეუმის კოლექციებში დაცული უნიკალური მონაპოვრის, ე. წ. „აპოლონის" ბრინჯაოს ქანდაკების შესახებ უნდა მოეძიათ მასალა.

ინტრიგა კი იმაში მდგომარეობდა რომ მოვყევი, თუ როგორ გავხდი ამ უნიკალური ქანდაკების აღმოჩენის მოწმე, ვუამბე სამუშაო პროცესის მსვლელობისას ექსპედიციაში მომხდარი კურიოზული ისტორიები, გავიხსენე როგორ მოხდა მისი გადმოტანა, გაწმენდა... როგორ შეარქვეს ზედმეტ სახელი „ვასიკო". მოკლედ ყველაფერი ის რასაც ვერცერთ წიგნში, ან საინფორმაციო სტატიაში ვერ ამოიკითხავდნენ.

ათასი კითხვა დამაყარეს. ხრიკმა კი ძალიან გაამართლა.

პროექტზე მუშაობისას ნათლად გამოიკვეთა, თუ როგორ ითვისებენ მასალას, როდესაც ინფორმაციას გარდა წიგნებისა, „სხვა გზებითაც" ღებულობენ. ჩემს მოსწავლეებს ჰქონდათ ამის საუკეთესო შანსი ჩემი და ჩემი მუზეუმის სახით, ამიტომ ცხადია ეს შანსი ხელიდან არ უნდა გამეშვა.

ბავშვები ასევე დააინტერესა ქანდაკების დამზადების, მათი სახეობების და შექმნის ისტორიებმა. გაუჩნდათ იდეები, ვერსიები: გარდა ხელოვნების ნიმუშებით ტკბობისა, კიდევ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შედევრების გაცნობას მათი და ზოგადად, საზოგადოების ცხოვრებაში.

ცხადია, ბევრი ყოფილა მუზეუმებში, დაუთვალიერებიათ იქ გამოფენილი ექსპონატები, მოუსმენიათ გიდების ლექციებისთვის... ზოგჯერ ასეთი საუბრები ერთი, ორი საათიც კი გრძელდება, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ბოლომდე მაინც ვერ მიიღო სასურველი ინფორმაცია. თანაც, ყველამ იცის ამით არ ამოიწურება მუზეუმის დანიშნულება. აქ კიდევ უმრავი რამაა, რომელიც დამთვალიერებელმა ჩვეულებრივ ვერც კი შეამჩნიოს. არადა, ამ საკითხებით დაინტერესება, შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია.

თანამედროვე ეპოქაში და განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, მრავალი საზოგადოებრივი მოძრაობა და ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისკენ – „შეიცვალოს სწავლების ხასიათი".

სწავლება წარმოადგენს ცოდნის გადაცემის, მიმდინარე, ან წარსულის მოვლენების გაცნობიერების პროცესს, ამაში ივარაუდება ისიც, რომ დაგროვილი და გადამუშავებული ინფორმაცია მომავალში გამოყენებადია, ხოლო მუზეუმის ძირითადი ამოცანა განათლების და მომავალთან კომუნიკაციის მიზნით წარსული ძეგლების შენახვაა. განათლების მიზანიც ამ

მრავალფეროვნების გაშლა და წარმოჩენაა. ამ მიმართულების საგანმანათლებლო საქმიანობა გვეხმარება კოლექციები სრულად გამოვიყენოთ. მუზეუმები არ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის გავრცელებით, არამედ აყალიბებს შეხედულებებს, სიახლეებს, ფასეულობებს და ა. შ. ამასთან, მუზეუმებში დაცული ექსპონატები საჭიროებენ კვლევებს, დაცვას, საჭიროა მათი ასაკის ნამდვილობის დადგენა. ამ ნივთებით ხდება კავშირების დადგენა ქვეყნის ისტორიასთან, პოლიტიკური, კულტურული, სავაჭრო, თუ ეკონომიკური სიღრმეების კვლევა. ასევე განუზომელია უძველესი ექსპონატების ზეგავლენა ადამიანების ესთეტიკური და ინტელექტუალური დონის ამაღლების საქმეში.

ვფიქრობ ჩვენი – ვანის მუზეუმის როლი, სამუზეუმო სივრცეებში სწავლება მისი ინტეგრაციის საკითხი სკოლასთან და შესაბამისად ხელოვნების, ისტორიის და ქართული ენის გაკვეთილებთან, ძალზედ მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება ყალიბდება საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის პროცესში, სკოლის გარეთ ცოდნის გაფართოება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეითვისონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში ჩართულობისას, როგორც დამატებითი საფუძველი მათი თეორიული ცოდნისა, რაც მიღებული აქვთ წიგნებიდან, ან სკოლაში გაკვეთილებზე.

მანამდე კი უნდა დავადგინოთ: მოსწავლეებისთვის საყვარელი და საინტერესო საკითხები, რა პრიორიტეტული მიმართულებები უნდა დავისახოთ სამუზეუმო სივრცეებში, განვსაზღვროთ მოლოდინები, თუ რამდენად ეფექტურია სწავლება საექსპოზიციო დარბაზებში „ცოცხალი“ ნიმუშების გვერდით, რამდენად შთამბეჭდავია არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობა და რაშია ამ პროცესის კრეატიულობა სწავლებისას. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მათთვის სრულიად უცხო და ნაკლებად ცნობილი პროფესიების პოპულარიზაცია (რესტავრატორი, ქიმიკოსი, არქიტექტორი, არქეოლოგი), შევიმუშავოთ მეტი განსხვავებული, და არა მოსაწყენი ინფორმაცია და ბოლოს დავეხმაროთ მათ სილამაზის აღქმა-დანახვა, გემოვნების დახვეწა-ამაღლების უნარების გაღრმავებაში.

ყველა დამეთანხმება, რომ ალტერნატივა არა აქვს მოზარდების დაინტერესებას საკუთარი ქვეყნის ისტორიით, კულტურით, ხელოვნებით. ეს ყველაფერი კი, კავშირშია სამუზეუმო ნივთების დაცვა-შენახვით დაწყებულ ზრუნვასთან და წარსულის სიდიადით გამოწვეულ, იდენტურობის გრძნობის გაძლიერებასთან.

დღეისათვის თანამედროვე მოსწავლე-ახალგაზრდობას (მათ ნაწილს მაინც) სხვა, მათთვის მისაღებ, განსხვავებულ გარემოში ურჩევნიათ თავისუფალი დროის დახარჯვა, სადაც ნაკლებია ინფორმირებულობა სამუზეუმო სივრცეების მრავალი რაკურსით დანახვა-გამოყენების შესაძლებლობანი.

როცა მოსწავლეებს არ აქვთ არავითარი ინტერესი რომელიმე საგნისადმი, შეუძლებელია რაიმეგვარი ცოდნის გადაცემა, თუ ესეც მკაცრად გაწერილი სისტემითაა ორგანიზებული. სწორედ ამიტომ მოუწევთ (და აუცილებელიცაა) მუზეუმების და სხვა კულტურული დაწესებულებების მონახულება.

საქართველოში სიძველეთა დაცვის ტრადიცია უხსოვარი დროიდან არსებობდა. ადრე ისტორიული და მხატვრული ფასეულობები, ძირითადად ეკლესია-მონასტრებში იყრიდა თავს, მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში სარიტუალო ნივთებს სწირავდა და ისინი განძსაცავის ფუნქციასაც ასრულებდა. სწორედ ეკლესია-მონასტრები გვევლინება ისტორიული მნიშვნელობის და ბუნების იშვიათი ნიმუშების საჭურჭლეებად. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ოქრომჭედლობისა და ხელნაწერი წიგნების უძვირფასესი კოლექციები. საბედნიეროდ სიძველეები ინახებოდა წარჩინებულ ოჯახებშიც.

მე-19 საუკუნიდან საქართველოში იქმნება კერძო კოლექციები, ხოლო თბილისის სურათების გალერეა 1920 წელს არსდება. მალევე, 1934 წელს გაიხსნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, რომლის საგამოფენო დარბაზებშიც წარმოდგენილია როგორც ქართული, ისე უცხოური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

ეროვნული მუზეუმის, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-

ნაკრძალი კი 1985 წელს დაარსდა. ახალი სიცოცხლე – განახლებულ საექსპოზიციო სივრცეებით და უამრავი ახალი ექსპონატებით კი, 2020 წელს შეიძინა. აქ წარმოდგენილია უნიკალური ოქროს, ვერცხლის ნაკეთობანი, სატაძრო ინვენტარი, რომელიც წარმოადგენს ბრინჯაოს პლასტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს, ულამაზესი ბრინჯაოს ქანდაკებები, საბრძოლო და საკულტო იარაღი, ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა, მინისა და ქვის მძივ-სამკაული, ნუმიზმატიკის საუკეთესო ნიმუშები. მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა ერთ-ერთი უმდიდრესი და მეტად საინტერესო მუზეუმი მთელ რეგიონში, თავისუფლად შეიძლება ითქვას მთელს მსოფლიოშიც, აქვეა ანტიკური ნაქალაქარიც.

სამწუხაროდ მუზეუმის ფუნქციონირება მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, რამდენიმე წლით შეზღუდული იყო, შემდეგ გლობალური პრობლემის (კოვიდ-19) შედეგად კვლავ შეიზღუდა ვიზიტორთა მიღება, შესაბამისად ნაკლებია ინფორმაციულობა.

ასევე პრობლემას წარმოადგენს სამუზეუმო სივრცეების მრავალმხრივი გამოყენების შესახებ მწირი ინფორმაცია და ჩართულობა ურთიერთ კომუნიკაციაში, ახალგაზრდა თაობის გადართვა უფრო ხმაურიან, სანახაობრივ, კულტურულ ღონისძიებებში. ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სახლიდან გაუსვლელად მუზეუმების „მონახულება“ მარტივი, თუმცა ნამდვილად ნაკლებ ეფექტური მეთოდია.

„ყოველი შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი ვალდებულება დააწვა ამიერთაგან ჩვენს მუზეუმს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური, ნივთიერი და გონებრივი კულტურის ისტორიის საფუძვლიანი, გაღრმავებული შესწავლისთვის ფართო საზოგადოებასა და მეტადრე მოსწავლე თაობასაც, ისეთი მუზეუმები სჭირდება, სადაც ყოველ მსურველს წაკითხული ისტორიის ხორცშესხმულად გასათვალისწინებელი იმდროინდელი ნივთიერი ნაშთების ნახვა შეეძლება. მან უნდა ასახოს წარსული და თანამედროვე კულტურა“. წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, როდესაც ეხებოდა მუზეუმების დანიშნულებას.

მოსწავლე ახალ მასალას სწავლობს კითხვით, მოსმენით, დაკვირვებით, მსჯელობით და კეთებით. სწავლის პროცესი ახალი ინფორმაციის ათვისებას, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შეძენას გულისხმობს. მეცნიერთა კვლევები ცხადყოფს, რომ ახალ ინფორმაციას ადამიანი განსხვავებულად შეიმეცნებს: წაკითხულიდან – 10%, მოსმენილის – 20%, ნანახის – 30%. ხედავს ვიზუალურ მასალას (ფილმს, სტენდს, თვალსაჩინოებას, ექსპონატს) და ამავე დროს ისმენს ახსნა-განმარტებას 50%, თუ თვითონ საუბრობს ან მსჯელობს მასზე, რაც მოისმინა და წაიკითხა (დისკუსია, პრეზენტაცია) – 70%, ასრულებს ლაბორატორიულ სამუშაოს, სავარჯიშოებს, მიმართავს სიმულაციებს და როლურ თამაშებს, ახალ ინფორმაციას უკავშირებს პირად გამოცდილებებს 90%.

მოსწავლეები ნაკლებ ინფორმაციასთან ერთად, უპირატესობას არ ანიჭებენ და მათთვის შედარებით მოსაწყენია სახლ-მუზეუმების მხოლოდ ინფორმაციული სტენდები, გრძელი და მონოტონური, სტანდარტული ლექციები ამა, თუ იმ მწერლის, ან პოეტის შესახებ ექსპონატებზე მხოლოდ თვალის ერთი შევლება. და როგორც უკვე აღვნიშნე, უკეთესად და სასიამოვნოდ ინფორმაციას მხოლოდ მაშინ ითვისებენ, როცა თავად მონაწილეობენ შემეცნებით პროცესში. რა თქმა უნდა საუკეთესო საშუალებაა, თუ მუზეუმები გააფართოებენ თავიანთი ზემოქმედების არეალს, ანუ გამოიყენებენ არა მარტო ექსპონატებს, რომლებიც მუზეუმებში ინახება, ასევე არქიტექტურულ შენობებს, ნაკრძალებს, არქეოლოგიური გათხრების ტერიტორიებს.

მუზეუმმა საგანმანათლებლო ფუნქცია მსოფლიო სივრცეში 1951 წლის იუნესკოს სემინარზე მიიღო. რამდენიმე წლის შემდეგ კლივლენდის ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შერმან ლიმ თქვა: „დღევანდელ სამყაროში, რომელიც სავსეა ვიზუალური გამოსახულებებით, მუზეუმი განათლების მიღების უმთავრესი წყარო ხდება. მხოლოდ თავისი არსითაც კი, ხელოვნების ნიმუშების შენახვითა და გამოფენით მუზეუმი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ამ სიტყვის საუკეთესო და ყველაზე ფართო გაგებით“.

სასურველია, მუზეუმში გაკვეთილის ჩასატარებლად შეირჩეს, ერთი კონკრეტული მიმართულება, რათა მოსწავლეებმა სრულად შეძლონ მხოლოდ იმ თემაზე ორიენტირება და სიღრმ-

ისეულად შესწავლა. გარდა ამისა, ამდენი ინფორმაციის ერთდროულად და თანაც დაწვრილებით მიღება ძალიან დამღლელი და მოსაწყენია ნებისმიერისთვის.

პედაგოგებისთვის საუკეთესო შედეგზე გასასვლელად, წარმატებული იქნება, თუკი საგაკვეთილო მასალას სამუზეუმო სივრცეებში დაგეგმავენ, მოსწავლეებსა და მშობლებს დააინტერესებენ სამუზეუმო სწავლების მეთოდოლოგიის უპირატესობაში. სასწავლო პროგრამას კი ისე გადაანაწილებენ, რომ შეიცავდეს სახალისო, შემეცნებით დეტალებს. მოსწავლეებს კი მუზეუმების ხილვის შემდეგ გაუჩნდეთ სურვილი და შესაძლებლობაც შექმნან შემოქმედებითი პროდუქტი, მაგ. ნახატი, გააფორმონ ძველი ქართული ორნამენტებით საგნები, ქსოვილები, თიხაზე იმუშაონ.

ვანის (და არა მარტო) მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის ცოდნისა და, ამავე დროს ესთეტიკური სიამოვნების მიღების ბრწყინვალე ცენტრი, ვანის არქეოლოგიური მუზეუმი საუკეთესო სამუზეუმო და საზოგადოებრივი სივრცეებით ელის ვიზიტორებს. არამხოლოდ სამუზეუმო სივრცეებში, ცხადია, უძველეს არტეფაქტებთან უშალო კონტაქტში, ასევე ანტიკური ქალაქის ნანგრევებში გაკვეთილის ჩატარება, მეტად ეფექტური იქნება, აღძრავს სწავლის მოტივაციას, სიღრმისეული გაგების და ანალიზის უნარს. სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამები მრავალფეროვანია და იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ მოსწავლეებმა და პედაგოგებმა დაგეგმონ და განახორციელონ უამრავი საინტერესო სასწავლო პროექტი.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არსებული მუზეუმები და სამუზეუმო სივრცეები, მაქსიმალურად ეფექტიანად და სიღრმისეულად უნდა იქნას ჩართული მასწავლებელთა და მშობელთა მიერ სასწავლო პროგრამების სწავლებისას. სწორედ მუზეუმის დარბაზებში უნდა შევქმნათ, ისეთი საკომუნიკაციო სივრცე, სადაც მოსწავლეები ხალისით ისწავლიან, შეხვდებიან ხელოვან ადამიანებს, გაიღრმავებენ ცოდნას, ნახავენ მეცნიერებს, მუზეუმის სივრცეების შემოქმედთ, უშუალოდ სამუშაო პროცესში, დაეკითხებიან აზრს, დააკვირდებიან, იმსჯელებენ, გაიღრმავებენ ცოდნას და ინტერესს.

ვფიქრობ მუზეუმები, სამუზეუმო სივრცეები, როგორც მრავალმხრივი ცოდნის ტაძრები, პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს: რადგან ის, რაც მემკვიდრეობით მიგვიღია, ამ მემკვიდრეობაზე ზრუნვას, მოვლა-პატრონობას, შენახვას, დაცვას და საზოგადოებისთვისაც ღირსეულად წარდგენას საჭიროებს.

ლიტერატურა:

1. მ. წერეთელი, ნ. ბაქანიძე: „იდეალური ადგილი სწავლებისთვის“, „მუზეუმი“, საქ. ეროვნული მუზეუმი, 2014 წ. №3.
2. „დამხმარე მასალა პედაგოგებისთვის“, (გაკვეთილი შუა საუკუნეების ხელოვნებასა და ისტორიაში), საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
3. თამარ კინაძე „მუზეუმი, როგორც უწყვეტი განათლების წყარო“, „მუზეუმი“, საქ. ეროვნული მუზეუმი, 2012 წ.
4. ნანა გოგელია „ეფექტიანი სწავლება სამუზეუმო სივრცეებში“. (საქ. ეროვნული მუზეუმი). 2021 წ. მარტი.

გია კვაშილავა – მათემატიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (საქართველო) აკადემიკოსი, ევროპის მათემატიკური საზოგადოების წევრი, ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, საერთაშორისო ლინგვისტიკური ასოციაციის (აშშ) წევრი, მედიტერანული კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

ეკონომიკის, მათემატიკისა და წერის ხელოვნების ჩასახვა-განვითარების შესახებ

შესავალი

ძვ.წ. IX–I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად, შრომაში პასუხი გაცემულია შემდეგ კითხვებზე: სად, როდის, რატომ და როგორ ჩაისახა და განვითარდა ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, მათემატიკა, წერის ხელოვნება და დამწერლობა, რამაც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია.

შრომაში განხილულია ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, რომელიც ნეოლითის ხანიდან გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთში. აღრიცხვა ხორციელდებოდა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, საანგარიშო კოჭების მეშვეობით, რომლებიც რიცხვებსა და სხვადასხვა ტიპის საქონელს აღნიშნავდა. გარკვეულ პერიოდში ფიგურა-სიმბოლოები თიხის გუნდაზე მატყლის ბაწარზე ასხმული მაგრდებოდა ან ბურთისებური ყულაბების შიგნით იყრებოდა და ილუქებოდა. ზოგ შემთხვევაში ისინი თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე იბეჭდებოდა, რაც ყულაბებში მოთავსებული კოჭების რაოდენობას აღრიცხავდა.

თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე ფიგურა-სიმბოლოების ბეჭდვის პროცესმა ჩამოაყალიბა ნახატ-ნიშნიანი, ხაზოვანი და ლურსმული დამწერლობები, რომლებიც ძვ.წ. 3500–2800 წლებში ჩნდება. ამ დამწერლობებითაა შესრულებული უამრავი თიხის ფირფიტა, რომელთა გაშიფრვით დასტურდება, რომ წერა საქონლის, ანუ შრომის პროდუქტის დათვლის პირდაპირი შედეგია და გამოიყენებოდა სამეურნეო-ადმინისტრაციული აღრიცხვა-ანგარიშგების შესაქმნელად.

სასაქონლო პროდუქციის აღრიცხვისა და წერითი სისტემების შესახებ

ეკონომიკის, მათემატიკის, წერის ხელოვნებისა და დამწერლობის ერთდროულად ჩასახვა-განვითარება დასტურდება ძვ.წ. 3500–2340 წლებით დათარიღებული 3709 ცალი თიხის ფირფიტით, რომლებიც 1928–1976 წლებში აღმოჩნდა შუმერულ ქალაქ ურუქში, ეანას კომპლექსის, ღვთაება ანისა და ქალღვთაება ინანას ტაძრების არქეოლოგიურ ადგილას. ურუქის არქეოლოგიური ადგილი, რომელიც დაახლოებით არის 250 ჰა, მდებარეობს შუამდინარეთში, ერაყის რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციაში, ქალაქ სამავასთან ახლოს, მდინარე ევფრატიდან აღმოსავლეთით, 35 კმ-ის დაშორებით (იხ. სურ. 1). ურუქი, რომელსაც უწოდებენ „პირველ ქალაქს მსოფლიო ისტორიაში“, დაარსდა დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლეულში. ის წერილობით ძეგლებში ცნობილია როგორც შუმერული „უნუგ“-ი, აქადუ-

სურ. 1. ახლო აღმოსავლეთი

რი „ურუქ“-ი, ებრაული „ერექ“-ი / „ერეხ“-ი, ბერძნული „ორექ“-ი და არაბული „ალ-ვარქა“. ვარაუდობენ, რომ სიტყვა „ერაყ“-ი მიღებულია „ერეყ“-ი („ერექ“-ი, „ერეხ“-ი) ფორმიდან (Mark 2011). შუმერები თავიანთ ქვეყანას „ქიენგი“-ს / „ქიენგირა“-ს უწოდებდნენ და თავიანთ ენას – „ემეგირ“-ს / „ემეგი“-ს. აქადელი სემიტები წერდნენ „შუმერი“-ს / „შუმერუ“-ს, ძველი აღთქმის წიგნების ჩამწერები – „შინყარ“-ს, „სენნაარ“-ს.

1929–1930 წლებში ურუქის ტაძრის გათხრებისას, გერმანელმა არქეოლოგმა, იულიუს იორდენმა აღმოაჩინა 1,25–3,25 სმ სიგრძის თიხის ფიგურა-სიმბოლოები. ამ პატარა სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების საშუალებით აბსტრაქტულად გამოისახებოდა გარკვეული ობიექტები, მაგ., „შინაური ფრინველი“, „თევზი“, „ლომი“, „ძაღლი“, „ძროხა“, „ხარი“, „ვირი“, „ღორი“, „თხა“, „ცხვარი“, „ცხვრის რძე“, „კრავი“, „მატყლი“, „ქსოვილი“, „პური“, „მარცვლეული“ („ქერი“, „ხორბალი“), „ზეთი“, „თაფლი“, „ლუდი“, „ჭურჭელი“ ან სხვა რამე. ფიგურა-სიმბოლოები არის სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული სხეულები, – „სამკუთხედი“, „ოთხკუთხედი“, „დისკო“, „ბირთვი“, „ნახევარბირთვი“, „ცილინდრი“, „ტეტრაედრი“, „ოვოიდი“, „კონუსი“, „ბიკონუსი“, „პარაბოლოიდი“, „ჰიპერბოლოიდი“, „პირამიდა“ და სხვა, რომელთა შორის ზოგს ხაზები და წერტილები აღენიშნება (იხ. სურ. 2).



სურ. 2. თიხის ფიგურა-სიმბოლოები, ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3500–3300 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (Jordan 1931:47, Abb. 41; 48)

1958 წელს ამერიკელმა არქეოლოგმა, ვივიან ბრომან-მორალესმა თავის სამაგისტრო შრომაში წარმოადგინა მასალა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, მაგ., „კონუსის“, „ტეტრაედრისა“ და „მინიატურული ჭურჭლის“ შესახებ, რომლებიც აღმოჩენილი იქნა ერაყში, ქალაქ ქირქუქის აღმოსავლეთით მდებარე ჯარმოში, ნეოლითური ხანის ნასოფლარის არქეოლოგიურ ადგილას (Broman Morales 1983:387, 388, 390, 396). აქ ნანახი იქნა სულ 2022 ცალი განსხვავებული ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლო (Schmandt-Besserat 1996:179). ამავე ხანის 114 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო აგრეთვე გამოვლინდა თეფე სარაბში, ირანში (Schmandt-Besserat 1996:140). ისინი უმეტესად ნაპოვნია თიხის ბურთისებურ, ღრუიან ყულაბებში, რომელთა დიამეტრი 2,5–6,9 სმ-ია.

შემდგომში თხუთმეტი ქვეყნის ოცდაათ მუზეუმსა და აგრეთვე კერძო კოლექციებში შეგროვდა ძვირფასი არქეოლოგიური ძეგლები: 8162 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო და 235 ცალი თიხის ყულაბა[1]. ამგვარი სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოები და ყულაბები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, – ირანის, ერაყის, სირიის, თურქეთის, იორდანიის, ისრაელისა და პალესტინის 116 არქეოლოგიურ ადგილას აღმოჩნდა, რომლებიც ძვ.წ. IX–III ათასწლეულებით დათარიღებულია. მსგავსი ფიგურა-სიმბოლოები გათხრების შედეგად აგრეთვე გამოვლინდა ჩინეთის, ევროპის, აფრიკისა და მესოამერიკის რეგიონებში (Schmandt-Besserat 2012; Schmandt-Besserat 1978; CA 2008; Budja 1998; Morter 1994; Manzanilla 2009:30). „მეცნიერებისათვის მათი დანიშნულება დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი რჩებოდა და ისინი თავდაპირველად რაღაც უმნიშვნელო საკულტო საგნებად მიიჩნეოდა“ (გამყრელიძე და სხვ. 2008:503).

1970–2020 წლებში ზემოხსენებული არქეოლოგიური მასალების სისტემური შესწავლის შედეგად, ფრანგ-ამერიკელმა, ხელოვნების ისტორიკოსმა, დენიზ შმანდტ-ბესერამ უახლესი მეცნიერული კონცეფცია შეიმუშავა და გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური შრომები, რომლებშიც სავსებით დამაჯერებლად და დასაბუთებულადაა გადმოცემული საკვლევი საკითხები,

1. 2008—2019 წლების სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციების დროს ჩვენ, ამ შრომის ავტორმა არქეოლოგიური ძეგლების ფოტომასალა მოვიპოვეთ ევროპის, ჩრდილოეთი ამერიკისა და აზიის ქვეყნების მუზეუმებიდან.

მაგ., ეკონომიკური ტრანსაქციების, ეკონომიკური აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სპეციალური სისტემების, მათემატიკის, წერისა და დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ (Schmandt-Besserat 1996:xi, xii, 37, 39, 81, 98, 101, 102, 111, 119–125). მისი კვლევის მიხედვით, მცირე ზომის თიხის ფიგურა-სიმბოლოები და ბურთისებური ყულაბები გამოიყენებოდა აუცილებელი ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სოციალური, რელიგიური, სატაძრო და სასახლის საქმიანობების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, საფეიქრო და სახელოსნო ნაწარმის აღრიცხვისათვის (Schmandt-Besserat 1996:1, 7, 30, 31, 44, 45, 53, 57, 83, 102, 105, 106, 108, 110, 115, 116, 123, 124). საქონლის, ანუ გასაცვლელი პროდუქტის თითოეული კატეგორიის დასათვლელად საჭირო იყო სხვადასხვა ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოების გამოყენება. ეს სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოები იყო საანგარიშო კოჭები, რომელთა დათვლით საქონლის რაოდენობა დგინდებოდა. მიწათმოქმედთა ადრეული საზოგადოებები, „ფერმერები“ მარცვლეულს ანგარიშობდნენ კონუსისა და ბირთვის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოების გამოყენებით. „ერთი კონუსი“, რომელიც „მცირე რაოდენობის მარცვლეულს ქერს“ გამოხატავდა, რიცხვს „ერთს“ აღნიშნავდა. „ერთი ბირთვი“, რომელიც „დიდი რაოდენობის მარცვლეულს ქერს“ გამოსახავდა და უდრიდა „ათ ცალ კონუსს“, რიცხვს „ათს“ აღნიშნავდა და ა.შ. (იხ. სურ. 3). შინაური ცხოველები აღირიცხებოდა ცილინდრისა და დისკოს ფორმის ფიგურა-სიმბოლოების მეშვეობით. „ერთი ცილინდრი“ გამოხატავდა „ერთ ცხოველს“. „ათი ცალი ცილინდრი“, რომელიც უდრიდა „ერთ დისკოს“, გამოსახავდა „ათ ცხოველს“ და ა.შ. (იხ. სურ. 6). ერთი ოვოიდის ფორმის ფიგურა-სიმბოლო აღნიშნავდა „ერთ ქილა ზეთს“, „ორი ცალი ოვოიდი“ – „ორ ქილა ზეთს“, „სამი ცალი ოვოიდი“ – „სამ ქილა ზეთს“ და ა.შ. ზემოაღწერილი თვლის სისტემის მიხედვით ჩანს, რომ თიხის ფიგურა-სიმბოლოში შერწყმული იყო აღნიშნული, აბსტრაქტული საქონელი და მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვი.

„კონუსი“ – „ერთი“ „ბირთვი“ – „ათი“

სურ. 3. თიხის ფიგურა-სიმბოლოები (MS 3120, MS 3122), ძვ.წ. 3700–3500 წწ. სკეიენის კოლექცია, ოსლო, ნორვეგია (SC 2020)

გია კვაშილავა, 2008–2020

ასე რომ, ამ ფიგურა-სიმბოლოების, ანუ საანგარიშო კოჭების რაოდენობა, დამატება ან გამოკლება შესაბამისი საქონლის რიცხვს აჩვენებდა. ამ აღრიცხვის ვიზუალურმა კოდურმა სისტემამ კომუნიკაციების, კორესპონდენციების, მონაცემების დამუშავების, ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის ფორმები გააუმჯობესა, რაც აუცილებელი იყო ოპტიმალური, საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც დ. შმანდტ-ბესერა ამბობს, თიხის საანგარიშო კოჭები „იყო ნეოლითის ფენომენის შემადგენელი ნაწილი, რამაც ე.წ. აგრიკულტურული რევოლუცია“ გამოიწვია (Schmandt-Besserat 1992, I:42, x).

ძვ.წ. IV ათასწლეულიდან შუამდინარეთში მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა ადრეულმა საზოგადოებებმა თანდათანობით გაამარტივეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პროდუქტების (მაგ., მარცვლეულის, საქონლის ხორცის, რძის, რძის ნაწარმის, ზეთისა და სხვა), მიწის ფართობებისა და შრომადღეების სააღრიცხვო სისტემები (მაგ., თვლის სამოცობითი სისტემები, თვლის ორსამოცობითი სისტემები და სხვა). ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალის დამუშავებისას გამოიყოფა შემდეგი ორი საფეხური:

I. შრომის პროდუქტების აღრიცხვა თიხის ფიგურა-სიმბოლოების საშუალებით;

II. შრომის პროდუქტების აღრიცხვა თიხის ფირფიტებზე ნახატ-ნიშნების გამოსახვის საშუალებით.

პირველ საფეხურზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა სახის საგანთა დასათვლელად სათანადო ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოები გამოიყენებოდა. ზოგ შემთხვევაში ფიგურა-სიმბოლოები იხვრიტებოდა, რათა მატყლის ბაწარზედ ასხმული თიხის გუნდაზე მიემაგრებინათ (იხ. სურ. 4). ისინი ხშირად იყრებოდა თიხის ბურთისებურ, ღრუიან ყულაბაში, კოჭების სათავსში, რომელიც იხურებოდა და ილუქებოდა (იხ. სურ. 5). დამღადასმული და დახურული ყულაბები, რომლებიც ურუქელმა „მოანგარიშეებმა“ გამოიგონეს, შემდგომ უნდა გახსნილიყო, რათა მასში მოცემული ფიგურა-სიმბოლოების რაოდენობა შეემოწმებინათ. თუ ყულაბა ნოტიო, გამოუმშრალი თიხისგან იყო დამზადებული, მაშინ მის გარეთა ზედაპირზე სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების მაგრად მიჭერით აღიბეჭდებოდა შესაბამისი გეომეტრიული გამოსახულებები – სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები, რაც გადმოსცემდა იმას, თუ რა რაოდენობის ფიგურა-სიმბოლო იყო მოთავსებული ყულაბაში (იხ. სურ. 6). ეს სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები შესაბამის საქონელს, ანუ შრომის პროდუქტსა და მის რაოდენობას აღრიცხავდა, რაც იყო წინგადადგმული ნაბიჯი წერის ხელოვნების გაჩენის მიმართულებით.



სურ. 4. დამღადასმული თიხის გუნდა (MS 4523) და თიხის ფიგურა-სიმბოლოები, ძვ.წ. 3500–3200 წწ. სირია (?) სკეიენის კოლექცია, ოსლო, ნორვეგია (SC 2020)



სურ. 5. თიხის ბურთისებური ყულაბა და თიხის ფიგურა-სიმბოლო (MS 4638), უმა (თელ ჯოხა), ერაყი, ძვ.წ. 3700–3500 წწ. სკეიენის კოლექცია, ოსლო, ნორვეგია (SC 2020; CDLI 2020)



სურ. 6. თიხის ბურთისებური ყულაბა და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, თიხის ფიგურა-სიმბოლოები (Sb 01940), სუზა, ირანი, ძვ.წ. 3700–3500 წწ. ლუვრის მუზეუმი, პარიზი, საფრანგეთი (CDLI 2020)

მეორე საფეხურზე სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების თიხის ყულაბებში ჩაყრა და შენახვა უმეტესწილად შეწყდა. სამაგიეროდ დაიწყო ნედლი თიხის გუნდებისა და ყულაბების გაბრტყელება და სათანადო ფორმის ფიგურა-სიმბოლოების ნოტიო თიხის ფირფიტის უკვე სწორ ზედაპირზე დაბეჭდვა, რითაც გამოისახებოდა შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები, რომლებიც აღრიცხავდა მიღებული ან გაცემული სხვადასხვა ტიპის საქონლის რაოდენობას. მაგ., კონუსისა და ბირთვის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოებს, რომელთა გამოყენებით მარცვლეული ითვლებოდა, ნელ-ნელა ჩაენაცვლა თიხის ფირფიტებზე დაბეჭდილი შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები: ⊃ „სოლი“ და ● „წრე“, რომლებსაც იგივე მნიშვნელობა მიენიჭა, რასაც „კონუსი“ და „ბირთვი“ აღნიშნავდა (იხ. სურ. 7).

სურ. 7. თიხის ფირფიტა (MW0188/113) და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, ძვ.წ. 3500–3350 წწ. (?) კერძო კოლექცია, ევროპა (CDLI 2020)

ასე რომ, თანდათანობით წინ წამოიწია

თიხის ფირფიტების დამზადებისა და ბეჭდვის ხელობები, რომლებიც გაუმჯობესდა და გავრცელდა ძველი შუამდინარეთის გარკვეულ ადგილებში.

ძვ.წ. 3500–3100 წლებში ურუქში გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო და სამშენებლო საქმიანობები, დაწინაურდა ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია და საფეიქრო ნაწარმის წარმოება, შეიქმნა ხელოვნების ნიმუშები. წარმოების რაციონალიზაციამ, შრომის ინტენსიფიკაციამ და კულტურულმა განვითარებამ გააჩინა პოლიტიკურ-ეკონომიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო და სოციალური ორგანიზაციები. ურბანული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის დაიწყო ინსტიტუციური სისტემებისა და ცენტრალური ორგანიზაციების გაუმჯობესება, სამუშაოთა შესრულების, დაგეგმვის, ვაჭრობისა და დაბეგვრის კონტროლის გაძლიერება, საქონლის შეგროვებისა და განაწილების, მიღებისა და გატანის, შემოსავლებისა და ხარჯების, გადასახადებისა და შესაწირავების აღრიცხვა, არქიტექტურული ცენტრების, ტაძრების, სასახლეების, საზოგადოებრივი შენობებისა და მიწის რეგისტრაციის, ფართობისა და აგების ღირებულების გამოთვლა და სხვა. ამ პერიოდში „მოანგარიშეებმა“ გაამარტივეს თიხის ფირფიტებზე დაბეჭდვა ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისთვის. ზოგიერთი ფიგურა-სიმბოლოს გამოყენება შეწყვიტეს, მაგრამ მარცვლეულის რაოდენობის გამომხატველი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები – ⊏ „სოლი“ და ● „წრე“ თიხის ფირფიტებზე ამ და მომდევნო პერიოდებშიც დასტურდება. მაგ., „თხუთმეტი ჭურჭელი მარცვლეული“ გამოისახეობდა როგორც „ერთი ბირთვისა“ და „ხუთი ცალი კონუსის“ შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურების – „ერთი წრისა“ და „ხუთი ცალი სოლის“ სახით (იხ. სურ. 8).



სურ. 8. თიხის ფირფიტა **(OIMA21310/Kh05338)** და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, თუთუბი, ერაყი, ძვ.წ. **3500 – 3350** წწ. ჩიკაგოს უნივერსიტეტი, აშშ **(CDLI 2020)**

დაახლოებით ძვ.წ. 3500 წლიდან „მოანგარიშეებმა“ თიხის რბილ ფირფიტებზე რამდენიმე ფიგურა-სიმბოლოს დაბჯენა-დაბეჭდვის ნაცვლად ნელ-ნელა დაიწყეს ლერწმის სტილოსის, წაწვეტებული წკირის გამოყენება. გეომეტრიული პრინციპის გამოყენებით, წკირის მეშვეობით თიხის ფირფიტებზე მათ გამოსახეს სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურების შესაბამისი ორგანზომილებიანი, ბრტყელი ფიგურები, ანუ პიქტოგრამები, ნახატ-ნიშნები, რომლებიც აღნიშნავდა „მარცვლეულს“, „შინაურ ცხოველებსა“ და „ფრინველებს“, „ზეთს“, „ქსოვილსა“ და სხვა სახის საგანს. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წერისა და დამწერლობის ნიშნების ჩასახვის მიმართულებით (Schmandt-Besserat 1996:54).

ძვ.წ. 3500–3200 წლებიდან იწყება საქონლისა და მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვის შერწყმული ნახატ-ნიშნების განცალკევება და თითოეული რიცხვის აღმნიშვნელი ნახატ-ნიშნების გაჩენა. თვლის სამოცობით სისტემაში აბსტრაქტული რიცხვები გამოიხატა როგორც ორგანზომილებიანი, ბრტყელი ფიგურების, – ⊏ „სოლისა“ და ● „წრის“ და მათი გარკვეული კომბინაციების სახით, რამაც რაოდენობის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირა საქონლის გამომსახველი ნახატ-ნიშნები, რომლებიც თიხის ზედაპირზე აღიბეჭდებოდა. ამ ბრტყელმა ფიგურებმა, რომლებიც ადრე აღნიშნავდა „ერთ ჭურჭელ მარცვლეულსა“ და „ათ ჭურჭელ მარცვლეულს“, შესაბამისად შეიძინა მეორე მნიშ-



სურ. 9. თვლის სამოცობითი სისტემის რიცხვები **(CDLI 2020)**

ვნელობაც, კერძოდ, „ერთი“ და „ათი“ რიცხვებისა (იხ. სურ. 9). „ეს არის უკვე რიცხვის როგორც დამოუკიდებელი, საგნისაგან [გამოყოფილი] კატეგორიის ჩამოყალიბება და მისი სათანადოდ გამოხატვა“ (გამყრელიძე და სხვ. 2008:503).



სურ.10. „... ერთი ქსოვილი, ერთი ნერბი, ერთი ვერძი“, თიხის ფირფიტის წარწერა (VAT14674/W09656,w), ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3350–3200 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (CDLI 2020)



სურ. 11. „36 ცალი ჭურჭელი “; თიხის ფირფიტის წარწერა (VAT 14906 / W 09311,c), ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3350–3200 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (CDLI 2020)

მრავალი თიხის ფირფიტის მიხედვით დასტურდება, რომ ურუქის ტაძრის სამეურნეო ანგარიშების აღმრიცხველები დათვლილი საქონლისა და მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვის აღმნიშვნელ ნახატ-ნიშნებს გვერდიგვერდ გამოსახვდნენ. მაგ., „ერთი ქსოვილი“ გადმოიცემოდა როგორც „ერთი სოლისა“ (ჩაზნექილი ფიგურა) და „ორქორდიანი წრის“ (ნახატ-ნიშანი) სახით (იხ. სურ. 10). „36 ცალი ჭურჭლის“ ჩანიშვნა ხდებოდა მხოლოდ ათი ფიგურის საშუალებით, კერძოდ, „სამი წრის“, „ექვსი სოლისა“ და „ერთი ჭურჭლის“ გამოსახულებათა მიმდევრობის სახით (იხ. სურ. 11). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიცხვი 36-ის აღმნიშვნელი ჩაზნექილი ფიგურების, ● „წრისა“ და ⊏ „სოლის“ გამოყენებამ ფაქტობრივად დაასრულა „ჭურჭლის“ ნახატ-ნიშნის 36-ჯერ გამეორებით გამოსახვა თიხის ფირფიტებზე. ეს ტექნიკური სიახლე თიხის ფირფიტის ზედაპირის მოხმარების მნიშვნელოვან ეკონომიას იძლეოდა.



სურ. 12. დამწერლობის ნიშნების განვითარების სქემა დროის მიხედვით

ძვ.წ. 3400–3000 წლებში შუამდინარეთის ნახატ-ნიშნიანი წერითი სისტემა მეზობელ რეგიონებშიც გავრცელდა. მაგ., ამ პერიოდში ჩნდება ეგვიპტური იეროგლიფები და პროტო-ელამური ნიშნები (იხ. სურ. 12).

დაახლოებით ძვ.წ. 3000 წლიდან თიხის რბილ ფირფიტაზე სტილოსით გამოყვანილი ნახატი და ხაზოვანი ნიშნები ნელ-ნელა გარდაიქმნა „ლურსმნის“ / „სოლის“ მსგავს ნიშნებად, რომლებსაც ფონეტიკური მნიშვნელობები მიენიჭა (იხ. სურ. 13). ამ წერით სისტემას ეწოდა „ლურსმული / სოლისებური დამწერლობა“, რომლის ნიშნებით შესრულებული თიხის ფირფიტების წარწერები „ემეგირულ“ – შუმერულ ენაზე დეშიფრატორებმა ამოიკითხეს.



სურ. 13. თიხის ფიგურა-სიმბოლოების შესაბამისი ნახატ-ნიშნების ლურსმნის მსგავს ნიშნებად გარდაქმნა (CDLI 2020)

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ლურსმული დამწერლობა მოქმედებდა დაახლოებით ძვ.წ. 2900 წლიდან ძვ.წ. 63 წლამდე. მას იყენებდნენ: შუმერები, ელამელები, ხურიტები, აქადელები (ასურელ-ბაბილონელები), ხეთები, ურარტუელები, ქანანელები, ძვე-

ლი სპარსელები და სხვა ხალხი. ლიტერატურის მიხედვით (CDLI 2020), ევროპის, ამერიკის, კანადის, ერაყის, ირანის, სირიის, თურქეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნის მუზეუმებში, უნივერსიტეტებში, ბიბლიოთეკებსა და აგრეთვე კერძო კოლექციებში დღევანდლამდე კატალოგიზირებულია ლურსმული დამწერლობით შესრულებული 263 659 ცალი თიხის ფირფიტა.

შუამდინარეთში „გადამწერთა სკოლებში“ ლურსმული დამწერლობის ნიშნებით თიხის ფირფიტებზე ჩაიწერა და შემოინახა, მაგ., ნატურალური რიცხვების გამრავლების ტაბულები თვლის სამოცობით სისტემაში (იხ. სურ. 14), „პითაგორას თეორემა“ (იხ. სურ. 15), ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა ცხრილი (იხ. სურ. 16–19), მიწისა და საქონლის აღრიცხვის, მიღების, განაწილებისა და გაცვლის, საირიგაციო გადასახადის, ბალანსის, გამოსასყიდი ფულის, პროცენტიანი სესხისა და ვალის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიებისა და საკვები რაციონის შესახებ ცნობები და სხვა.



გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 14. ლურსმული დამწერლობით წარმოდგენილი (5,15) რიცხვის კვადრატი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტა (CBS 07265), ნიფური, ერაყი, ძვ.წ. 1900–1600 წწ., პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმი, ფილადელფია, აშშ (CDLI 2020; Robson 2000:24)



გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 15. ლურსმული დამწერლობით შესრულებული „პითაგორას თეორემა“ თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის A მხარე (YBC 07289), ძვ.წ. 1900–1600 წწ., იელის უნივერსიტეტის ბაბილონური კოლექცია, ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტი, აშშ (CDLI 2020; Aaboe 1998:27)

გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 16. ლურსმული დამწერლობით შესრულებული $\mathbf{cosc^2\theta}$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტა (CULC 460, პლიმპტონის №322), ლარსა (?), ერაყი, ძვ.წ. 1900–1600 წწ., იშვიათი წიგნებისა და ხელნაწერთა ბიბლიოთეკა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ (CDLI 2020)



გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 17. ლურსმული დამწერლობით შესრულებული $\mathbf{cosc^2\theta}$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) მიხედვით (Robson 2008:111)

[*ta-ki*]-*il-ti ṣi-li-ip-tim* [*ša* 1 *in*]-*na-as-sa-ḫu-ma* SAG *i-il-lu-ú*	íB.SI$_8$ SAG	íB.SI$_8$*ṣi-li-ip-tim*	MU.BI.IM
[1 59] 15	1 59	2 49	KI 1
[1 56 56] 58 14 50 6 15	56 7	3 12 1	KI 2
[1 55 7] 41 15 33 45	1 16 41	1 50 49	KI 3
1 [53] 10 29 32 52 16	3 31 49	5 9 1	KI 4
1 48 54 1 40	1 5	1 37	KI [5]
1 47 6 41 40	5 19	[8] 1	[KI 6]
1 43 11 56 28 26 40	38 11	59 1	KI 7
1 41 33 45 14 3 45	13 19	20 49	KI 8
1 38 33 36 36	9 1	12 49	KI 9
1 35 10 2 28 27 24 26 40	1 22 41	2 16 1	KI 10
1 33 45	45	1 15	KI 11
1 29 21 54 2 15	27 59	48 49	KI 12
1 27 3 45	7 12 1	4 49	KI 13
1 25 48 51 35 6 40	29 31	53 49	KI 14
1 23 13 46 40	56	53	KI [15]

შეცდომების გასწორება			
		3 12 1 *1 *20 *25	KI 2
	-9- 1 *8 1		KI 9
	7 12 1 *2 *41		KI 13
		53 *1 *46	KI [15]

გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 18. $\mathbf{cosc^2\theta}$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) ლურსმული წარწერის მიხედვით (შდრ. Neugebauer and Sachs 1945:38)

$\cos c^2\theta = \frac{d^2}{b^2} = \frac{d^2}{d^2 - a^2}$	მართკუთხედის გვერდი a	მართკუთხედის დიაგონალი d	№
[1,983402(7)]	119	169	მიწა 1
[1,9491585520886...]	3367	*4825	მიწა 2
[1,918802126736(1)]	4601	6649	მიწა 3
[1,8862479067215...]	12709	18541	მიწა 4
1,81500771604938...	65	97	მიწა [5]
1,78519290123456...	319	[481]	[მიწა 6]
1,71998367626886...	2291	3541	მიწა 7
1,692709418402(7)	799	1249	მიწა 8
1,642669(4)	*481	769	მიწა 9
1,58612256611034...	4961	8161	მიწა 10
1,5625	45	75	მიწა 11
1,4894168402(7)	1679	2929	მიწა 12
1,45001736(1)	*161	289	მიწა 13
1,43023882030178...	1771	3229	მიწა 14
1,38716049382716...	56	*106	მიწა [15]



გია კვაშილავა, 2008–2020

სურ. 19. $\mathbf{cosc^2\theta}$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის ათობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) ლურსმული წარწერის მიხედვით

$\cos c^2\theta = \frac{d^2}{b^2} = \frac{d^2}{d^2 - a^2}$	მართკუთხედის გვერდი a	მართკუთხედის დიაგონალი d	№
[1,983402(7)]	119	169	მიწა 1
[1,9491585520886…]	3367	*4825	მიწა 2
[1,918802126736(1)]	4601	6649	მიწა 3
[1,8862479067215…]	12709	18541	მიწა 4
1,81500771604938…	65	97	მიწა [5]
1,78519290123456…	319	[481]	[მიწა 6]
1,71998367626886…	2291	3541	მიწა 7
1,692709418402(7)	799	1249	მიწა 8
1,642669(4)	*481	769	მიწა 9
1,58612256611034...	4961	8161	მიწა 10
1,5625	45	75	მიწა 11
1,4894168402(7)	1679	2929	მიწა 12
1,45001736(1)	*161	289	მიწა 13
1,43023882030178…	1771	3229	მიწა 14
1,38716049382716…	56	*106	მიწა [15]



სურ. 19. $\cos c^2\theta$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის ათობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) ლურსმული წარწერის მიხედვით

© გია კვაშილავა, 2008–2020

დასკვნა

ეკონომიკური აღრიცხვისა და წერითი სისტემების გამართვა ადამიანის გენიალური მიღწევაა, რომლის ჩამოყალიბებას შუამდინარეთში ნეოლითის ხანის დაწყებიდან დაახლეობით 5000 წელი დასჭირდა.

დ. შმანდტ-ბესერას კვლევის მიხედვით ნათელია, რომ წერა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის იმ სახეობიდან მომდინარეობს, რომელიც თავდაპირველად გაჩნდა მიწათმოქმედთა ადრეულ საზოგადოებაში ეკონომიკური საქმიანობის, მაგ., ჭარბი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო საქონლის დათვლისა და აღრიცხვის საჭიროების გამო.

ძვ.წ. 3500–2800 წლებში ურუქელი „მოანგარიშეების“ წრეებში წერის ხელოვნებისა და დამწერლობის გაჩენამ დაასრულა სიტყვიერი შეტყობინებებისა და ზეპირი არითმეტიკული მოქმედებების ხშირი სარგებლობა. ამ დროიდან მოყოლებული დაიწყო მათემატიკური მეთოდების გამოყენება და დამუშავება, ინფორმაციის მოძიება, ჩაწერა და ანალიზი პრობლემის შესახებ, პრობლემისთვის შესაძლო გეგმის შედგენა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რამაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია გამოიწვია და ცხოვრების დონე საგრძნობლად აამაღლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამყრელიძე და სხვ. 2008: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

Aaboe 1998: Aaboe, A., Episodes from the Early History of Mathematics, The Mathematical Association of America.

Broman Morales 1983: Broman Morales, V., Jarmo Figurines and Other Clay Objects, Prehistoric Archaeology Along the Zagros Flanks, L. S. Braidwood et al., Eds., The Oriental Institute Publications, Vol. 105, Chicago: University of Chicago Press, pp. 369–423.

Budja 1998: Budja, M., Clay Tokens – Accounting before Writing in Eurasia, Documenta Praehistorica, Vol. XXV, pp. 219–235.

CA 2008: The Neolithic Site at Shuangdun, Bengbu, Chinese Archaeology, Vol. 8, Issue 1, Anhui Provincial Institute of Cultural Relics and Archaeology, Anhui Bengbu Municipal Museum, De Gruyter, pp. 55–68.

CDLI 2020: Cuneiform Digital Library Initiative, https://cdli.ucla.edu

Jordan 1931: Jordan, J., Zweiter vorläufiger Bericht über die der Notgemeinschaft der deutschen Wissenschaft in Uruk unternommenen Ausgrabungen, aus den Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften, Jahrgang 1930, Philosophisch-historische Klasse, NR.4, Berlin: Verlag der Akademie der Wissenschaften, pp. 3−55.

Manzanilla 2009: Manzanilla, L. R., Corporate Life in Apartment and Barrio Compounds at Teotihuacan, Central Mesxico, Craft Specialization, Hierarchy, and Ethnicity, Domestic Life in Prehispanic Capitals, A Study of Specialization, Hierarchy, and Ethnicity, Vol. VII, Ed. by L. R. Manzanilla and C. Chapdelaine, Memoirs of the Museum of Anthropology, Ann Arbor: University of Michigan, pp. 21–42.

Mark 2011: Mark, J. J., Uruk, https://www.ancient.eu/uruk

Neugebauer and Sachs 1945: Neugebauer O. and Sachs A. (Ed.), Mathematical Cuneiform Texts, with a Chapter by A. Goetze, New Haven, Conn.: American Oriental Society and the American Schools of Oriental Research.

Robson 2000: Robson, E., Mathematical Cuneiform Tablets in Philadelphia, Part 1: Problems and Calculations, SCIAMVS, Vol.1, pp. 11–48.

Robson 2008: Robson, E., Mathematics in Ancient Iraq: A Social History, Princeton University Press.

SC 2020: The Schoyen Collection, https://www.schoyencollection.com

Schmandt-Besserat 1978: Schmandt-Besserat, D., An Early Recording System in Egypt and the Ancient Near East, Immortal Egypt, Ed.by Denise Schmandt-Besserat, Malibu: Undena Publications, pp. 5–12.

Schmandt-Besserat 1992, I: Schmandt-Besserat, D., Before Writing, Vol. I: From Counting to Cuneiform, Austin: University of Texas Press.

Schmandt-Besserat 1996: Schmandt-Besserat D., How Writing Came About, Austin: University of Texas Press.

Schmandt-Besserat 2012: Schmandt-Besserat, D., Tokens in China, Europe and Africa – The significance, https://sites.utexas.edu/dsb/files/2014/04/scripta12proofs.pdf

წინამდებარე ნომერში („მატიანე“ №20) ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ პედაგოგიკის დოქტორის, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატის ბატონ ზურაბ ცუცქირიძის უაღრესად აქტუალურ სტატიას „ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი“.

ეს სტატია დაიბეჭდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2021 წლის 19-25 მაისი ნომერში. იგი აქტუალურია ნებისმიერ დროს. ამდენად მსჯელობის პათოსიც მისაღები უნდა იყოს, რადგანაც ღრმად გვწამს, რომ ქვეყნის დღევანდელობაც და მომავალიც დგას განათლებულობაზე, მყარ განათლებაზე (რიგ სხვა პოსტულატებზე რომელზედაც ყურადღება მახვილდება სტატიაში) ესაა ფუნდამენტი, მრავალგანზომილებიანი ფენომენი და კომენტირებას არ საჭიროებს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დღევანდელი მსოფლიოს არც თუ დალაგებული განვითარების ფონზე ქართველობაში მრავლადაა ეროვნულ ღირებულებათა თაყვანისმცემელი და დამცველნი. ეს ადამიანები ალბათ შეძლებენ ქართველ გამორჩეულ მეცნიერებთან ერთად დაუბრუნდნენ განათლების მტკივნეულ საკითხებს და წინა პლანზე წამოსწევენ ეროვნულ საუკეთესო ფენომენს, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს, გადართავენ ეროვნულ ღირებულებათა აღზრდის ფუნდამენტის გასაძლიერებლად, რომ ეს ფენომენი შეუქცევადი გახდეს და შეერწყას საგანთა სწავლების აკადემიურობას.

სტატიის, კრებულ „მატიანეში“ გადმობეჭდვა შეთანხმებულია ავტორთან, ბატონ ზურაბ ცუცქირიძესთან, რისთვისაც მას უდიდეს მადლობას მოვახსენებთ და ვუსურვებთ დიდ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ზურაბ ცუცქირიძე – პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი.

ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი

აღზრდის სისტემის გაუქმებით დაიწყება ქვეყნის, ერის მომავალი თაობის გადაგვარება

ერთი ამბავი მახსენდება ისტორიიდან: იმპერატორი ნაპოლეონი მორიგი ლაშქრობიდან გამარჯვებული შედიოდა საფრანგეთის იმპერიის ერთ-ერთ ქალაქში. როგორც იმდროინდელი წესი(და ტრადიცია) მოითხოვდა, ქალაქი საზეიმო საარტილერიო ზალპით უნდა მისალმებოდა იმპერატორს, მაგრამ ქალაქის შესასვლელთან არანაირი საარტილერიო მისალმება არ ისმოდა. ნაპოლეონმა ჯარი შეაჩერა და ქალაქის კომენდანტის მიყვანა ბრძანა. მიუყვანეს!

- რატომ არ ისმის საარტილერიო მისალმება? – იკითხა იმპერატორმა.
- მაგისთვის სამი მიზეზი მაქვს, მოახსენა კომენდატმა.
- ჩამოთვალეო, უთხრა ნაპოლეონმა.
- პირველი არის ის, რომ დენთი არ გვაქვს, დაიწყო ჩამოთვლა კომენდატმა, მეორე კი...
- ნაპოლეონმა ხელის აწევით გააჩუმა კომენდატი:
- დენთი თუ არა გვაქვს, კიდევ რა მიზეზი უნდა დაასახელო შე სულელოო, უთხრა ნაპოლეონმა და ჯარი დაძრა.

მოვლენა რომ გააცნობიერო მისი გამომწვევი მიზეზთა მიზეზი უნდა დაინახო, მისი აღმოფხვრის გზებზე იფიქრო და გაუზიარო სხვებსაც. მეცხვარე თუ ხარ მგელმა ცხვარი რომ არ გაგინადგუროს მგლის სინდისზე შეგდება კი არ უნდა მოინდომო, არამედ მგელი მტრად უნდა ჩათვალო, ცხვარს საიმედო ფარეხი აუგო, იალაღზე კი ავი ძაღლები დაუყენო დარაჯად, თორემ ის დაგემართება, რაც ერთ ლიბერასტ (დემოკრატ) მეცხვარეს, მგლის თავზე სახარებას რომ კითხულობდა.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ მეთქვა: **ჩვენში უკვე წყლის ნაყვაა ლოკალურ თუ საერ-**

თო ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობა და მათი გადაწყვეტის მიზეზების ძიება საკადრო თუ ფინანსურ სფეროებში, ჩვენს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში და ა.შ. იმიტომ კი არა, რომ ამ ჩამოთვლილი თუ ჩამოუთვლელი მიმართულებებით ნაკლი არ მოგვეძებნება, არამედ იმიტომ, რომ ამ ნაკლოვანებების გამოსწორების ცდა „წყლის ნაყვად" იქცევა მაინც. ქვეყნის წინაშე აშკარად მდგომი საეჭვო პერსპექტივა არ შეიცვლება, არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ჩატარდება თუ პროპორციულით, პარლამენტის თავმჯდომარე ან პრემიერმინისტრი ან სულაც პრეზიდენტი მიშა იქნება, გრიშა ლეილა თუ კესარია. ჩვენი სახელმწიფო ისე მოძრაობდა გაურკვეველი მიმართულებით, როგორც ოკეანეში ის ხომალდი, რომლის მართვა ხელში ჩაიგდეს ადამიანებმა, რომელთაც კონკრეტული წარმოდგენაც არ ჰქონდათ ნავიგაციაზე, ამის მიუხედავად ეგონათ თავისუფლება მოვიპოვეთო. **რა იყო სინამდვილეში მათი თავისუფლება, ოკეანის პირველსავე აბობოქრებისას დაინახეს. ალბათ დადგა დრო, როდესაც ქვეყნის განვითარების სუმბერული ე.წ. „ნაციონალური ნიშნებიდან" გადავიდეთ მეცნიერთა ჩართულობით, წინასწარ დამუშავებულ განვითარების პროგრამულ მართვაზე. ამის მაგალითები მსოფლიოში უამრავია და მხოლოდ ორს გავიხსენებ, დიდი დეპრესიის წლებში ამერიკის დიდი პრეზიდენტის რუზველტის მიერ ფრიდმანის ეკონომიკური თეორიის დროებით გვერდზე გადადება და კეინსის თეორიაზე მიბრუნება. როგორ იქცა ჩინეთი ზესახელმწიფოდ მათემატიკური მოდელირებით შექმნილი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შედეგად, რომელიც უმკაცრესი კონტროლით ხორციელდებოდა, რომელსაც უძღვის პრეამბულა „არც კაპიტალიზმია პანაცეა და არც სოციალიზმია ტრაგედია". მითუმეტეს, მისასალმებელია, რომ დღეს ჩვენთან, ქვეყანაში გამოჩნდა განვითარების გრძელვადიანი სამთავრობო პროგრამები, რომელთა მოქმედებაში შეყვანა დაუყონებლივაა საჭირო თუ გვინდა რომ უშტურვალო გემს არ დაემსგავსოს ქვეყანა, ხოლო ასეთი გემის საბოლოო ბედი დიდი ძალისხმევის გარეშეც ცნობილია. ვისურვებდით უფრო გაბედულ და წინასწარ განჭვრეტილ მოქმედებას.**

ათეული წლებია საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს მკვიდრი მოსახლეობის (არამხოლოდ ეთნიკური ქართველების, არამედ ყველასი) ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი. ეჭვი მაქვს მსგავსი უბედურება ნახევარ მსოფლიოზე მეტს დაატყდა თავს, საამისო არგუმენტებიც მომეძევება, მაგრამ ჩემი საქმე არ არის სხვათა საქმეების გარჩევა. ჩვენი საქმე გვაქვს გასარჩევი და გასარკვევი. ისე თუ სიტყვამ მოიტანა შეიძლება ერთი-ორი სხვათა გაუკულმართებული საქმიდანაც მოვიხმო.

ამ კრებულის მკითხველს არ სჭირდება იმის ახსნა, რომ ხალხის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი ხალხის იმგვარ გადაგვარებას ნიშნავს, როდესაც სრულად აქვს დაკარგული მისი ეთნო ტიპისა და მეტიც, მისი ბიოლოგიური ჯიშისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ამის საფრთხე არა მხოლოდ სრულიად რეალურია, არამედ უკვე კარზეა მომდგარი. ამის დამადასტურებელი მაგალითის მოსაძიებლად ბრძენთა ხმობა არ დაგვჭირდება. ქართული ტელევიზიების დიდი უმრავლესობის გადაცემების ნახვაც სრულიად საკმარისია. მათ შორის განსაკუთრებით ავად გამორჩეულია სამი არხი...

ქართველებისათვის დედის გინება, რასაც ნიშნავს ნორმალური ფსიქიკისა და ზნეობის კაცისთვის ახსნა ალბათ საჭირო არ არის, რადგან საზოგადოება ჯერ კიდევ არ გადაგვარებულა სრულად. **არადა ოფიციალურ სახელმწიფოებრივ დონეზე დედის გინება (ნებისმიერი ფორმით) დანაშაულად არ ითვლება, რადგან დღევანდელი კანონი მასში რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას ვერ ხედავს. მართლა ხომ არ აღუსრულებია ან ხომ არ უცდია იმის აღსრულება, რისი მუქარაც დედის გინებაშიაო – ბრძანებს კანონმდებელი. დედის გინება თურმე ემოციის (აღშფოთების) გამოხატვა ყოფილა და გამოხატვის თავისუფლებას კი ვერავის აუკრძალავ, რადგან დემოკრატიის პრინციპების ფეხქვეშ გათელვად მიიჩნევა**. ამიტომ ჩვენ თვალწინ, პირდაპირ ეთერში, ტელეწამყვანები თუ ტელეარხის დირექტორები (ზოგიერთი იურისტობასაც რომ იბრალებს) უშვერი სიტყვებით დედას აგინებენ დამსახურებულ საზოგადოებისგან პატივცემულ ადამიანებს, ნამდვილ კაცებს, რომლებმაც სადღაც სხვა ტელეარხებზე მათი მახინჯი გონებისათვის აღუქმელი აზრები გამოთქვეს, მერე ის ჭეშმარიტი კაცები რომ აღშფოთდებიან და იტყვიან,

– დედაჩემის შემგინებელს თუ სადმე გადავეყარე ცხვირ-პირს დავუნაყავო, ტელეეკრანზე „გამობრწყინდება“ ვინმე მამალი ლიბერასტი (იგივე პედარასტი) და ქვეყანას იმის ქადაგებას დაუწყებს, რომ აგრესიული და დაუნდობელი ადამიანები კრიტიკულად განწყობილ ტელეჟურნალისტებს ფიზიკურად უსწორდებიანო. ამას მოჰყვება ის, რომ ლიბერასტი დეგენერატები პიკეტებს მოაწყობენ მათ წინააღმდეგ, ვინც ყიამყრალ ტელე ვიღაცებს ყური აუწია ან სილა გააწნა. მერე ტელე ეკრანზე გამოჰყავთ ის „გალახული“ ტელე ვიღაცა, რომელიც დაღვრემილი ყვება იმას, თუ როგორ გაუსწორდნენ „მართლის მთქმელ“ ვიღაცას „სიმართლის მოძულე“ ჰომოფობები. იმ „მართლის მთქმელს“ გალახვისა არაფერი ეტყობა და გულწრფელად გეტყვით: **დედაშეგინებულებმა იმ დედის მაგინებელს მეტი კვალი თუ ვერ დაამჩნიეს სახეზე, მართლა დედა შესაგინებელი ყოფილა და ეგ არის!**

ახლა იმ ლიბერასტ-ექსპერტსა თუ უფლება დამცველს ვეკითხები: კაცისთვის სახალხოდ დედის შეგინება მართლა გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების გამოძახილი გგონიათ (კაცისთვის მეთქი, თორემ თქვენნაირებისთვის არა), ახლა იმ ავადსახსენებელი ტელე არხების მესვეურებსა და მათ თანამშრომლებს ვეკითხები: დედის უშვერი სიტყვებით მაგინებლებზე გაჯავრებული კაცები (და ქალებიც) ჰომოფობები და წარსულის გადმონაშთები არიან და თქვენ პროგრესულები და თანამედროვენი ხართ? უფლისა და მშობლის დაფიცება ერთნაირად სარწმუნოდ მიაჩნდათ ქართველებს. თქვენ სად გაიზარდეთ, რომელ დამპალ თესლზე ხართ აღმოცენებულები, რომ წმინდა და ხელშეუხებელი აღარაფერია თქვენთვის? დათა თუთაშხიასი არ იყოს სეთურის მონებს რომ მიმართა ისე უნდა მოგმართოთ: რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ თქვენმა ლიბერასტმა აღმზრდელებმა, ვერ ხედავთ ამას? მამა რომ დაგავიწყეს და მამინაცვლის სულზე გალოცვინებენ იმიტომ აღარ გრცხვენიათ არაფრის ხომ? ზნეობა გამოგაცალეს თქვე უბედურებო და იმასაც ვეღარასოდეს ვეღარ გაიგებთ რომელი ჯიშის ცხოველებად იქეცით. ადამიანი მართლა „ჰომო საპიენსი“ კი არ არის, „ჰომო მორალესია“ როგორც კანტი იტყოდა. თითოეული თქვენგანი კი განა კაცია-ადამიანი?!

საზოგადოების ერთ დიდ ნაწილში ზნეობის გაქრობა მხოლოდ საჯაროდ დედის გინების თავისუფლებით როდი გამოიხატება. არა! **ქრისტიანულ მორალში (და არა მხოლოდ ქრისტიანულში) ერთ-ერთ უდიდეს ცოდვად ცილისწამებაა მიჩნეული, რომელიც დღეს დანაშაულად აღარ ითვლება და ცილისმწამებელი კანონით არის დაცული ე.ი. სახელმწიფო უჭერს მხარს. ბოროტსა და უზნეო კაცს შეუძლია რაც უნდა ის დააბრალოს პატიოსან კაცს, პასუხს არავინ მოსთხოვს. პატიოსანმა კაცმა კი თუ გულმა გაუძლო უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ის საზოგადოება განა საზოგადოებად ჩაითვლება, რომელშიც ცილისმწამებლები და ზნედაცემულები გაპარპაშებული არიან. პატიოსანი და ზნეობრივი ადამიანები კი დაბრიყვებული?**

დაბრიყვებული იქნებიან აბა რა, როდესაც სახელმწიფო თავისი კანონებით სახალხო დამცველის აპარატით მკბენარებივით მომრავლებული არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებით, უსირცხვილობის გაერთიანებებითა და ათასი ჯანდაბითა და ოხრობით ზნეობრივ ადამიანებსა და ადამიანურ ტრადიციებსა და ადათ წესებს ებრძვიან, წესიერები კი იმის მიუხედავად, რომ უმრავლესობა არიან გათითოკაცებულები ებრძვიან უზნეობის შემოტევას შიგნიდან თუ გარედან და რას გახდებიან ნეტავი?! რას იზამ, ასეა: პატიოსანი ადამიანები მეტწილად მარტონი არიან, სანამ ზნეობრივი გმირი არ მოევლინებათ ბელადად.

რა დიდი დაკვირვება უნდა იმის დანახვას, როგორ აქეზებენ ჩვენში ერთ-ერთ დიდი ცოდვას – **სიცრუეს**. ნებისმიერი რელიგია სიცრუეს დიდ ცოდვად მიიჩნევს ე.ი. სიმართლის თქმა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა, ამიტომაც გვეუბნება დიდი რუსთაველი: „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისაა“, ჩვენში კი სიცრუე უმაღლეს რანგშია აყვანილი და მოწონებული.

სრულიად საქართველომ ვისაც „თვალნი და ყურნი ასხია“ იხილა და მოისმინა როგორ დაიძრა საქართველოს ჯარი იმჟამინდელი პრეზიდენტის ბრძანებით ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად.მე ამ წესრიგის აღდგენის დიდად მონადირე ვარ, მაგრამ სეპარატისტულ რეგიონს თავს საქართველოს ჯარი დაესხა, უცხოელი ბიძებისაგან (და დეიდებისგანაც) წაქეზებულმა საქართველოს ხელისუფლებამ (?!) არაფრად ჩააგდო იმ

რეგიონში მდგარი რუსეთის მცირე სამშვიდობო კონტინგენტი, რადგან ეგონა, რომ რუსეთი თავისი „ჟანგიანი“ ტანკებით ომს ვერ გაბედავდა საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორების“ შიშით, ესეც ალბათ „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ ჩააგონეს, მერე რაც დაგვემართა ყველამ დაინახა.

2008 წლის ხუთ დღიანი „ომის“ შემდეგ ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის თავს მოხვეული პირველი სიცრუე იყო ის, რომ იმდროინდელმა საქართველოს მთავრობამ რუსთაველის პროსპექტზე გამარჯვება აზეიმებინა გაბითურებულ ქართველებს, ხოლო მეორე სიცრუე ახლაც თავს გვახვევია: თუ იტყვი ომი ცხინვალის რეგიონში ქართულმა მხარემ დაიწყოო, მოღალატედ და რუსეთის აგენტად გამოგაცხადებენ. ამის თქმისთვის პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს** კინაღამ იმპიჩმენტი მოუწყვეს.

ეს კი არა, **ერთმა სასულიერო პირმა (მისი რანგი არ მახსოვს) ტელევიზიის ეკრანიდან დაგვმოძღვრა: ვინც ამბობს, რომ საქართველოს ჯარი თავს დაესხა ცხინვალის რეგიონს, ქვეყნის მოღალატეაო, ეს მართალიც რომ იყოს მაგის თქმა მაინც დანაშაულიაო. სასულიერო პირი გვმოძღვრავს მართლის თქმა დანაშაულიაო. მეტი უზნეობა გაგონილა?! სიცრუის თქმა ზნეობრივია და სიმართლის თქმა – უზნეობა?! სწორედ ეს არის ზნეობრივი გენოციდის ერთობ საჩინო ნიშანი**.

ე.წ. პოლიტიკოსს **შალვა ნათელაშვილისაგან** გადადგმული ერთი სწორი პოლიტიკური ნაბიჯიც კი არ მინახავს და არც მართალი პოლიტიკური სიტყვა მომისმენია, მაგრამ მისი ნათქვამი ერთი ხუმრობა სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში: **„ჰიტლერს, რუსთავი 2 რომ ჰქონოდა, გერმანელებს ახლაც არ ეცოდინებოდათ, 1945 წელს ომი რომ წააგესო“**.

ჩვენი მმართველები გვარწმუნებენ ჩვენი მიზანი ევროპასთან ინტეგრაციაა. შეიძლება ასეც არის, მაგრამ ჩვენმა ხალხმა იცის რომელ ევროპასთან ჩასახუტებლად მივექანებით? ხომ არ ჰგონია ვინმეს, რომ იმ ევროპისკენ გვექაჩებიან ჩვენი „სტრატეგიული მეგობრები“, რომლის შვილებიც არიან **პლატონი და არისტოტელე, ციცერონი და დანტე, შექსპირი და სერვანტესი, მოცარტი და ჩაიკოვსკი, ტოლსტოი და პუშკინი, თუნდაც ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონი**.

ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ ლა მანშის სრუტის იქით **რიჩარდ ლომგულის** ინგლისი დახვდებათ ან სენის ნაპირზე **შარლ დე გოლის** პარიზი? არა ბატონებო! ინგლისში რაინდის წოდებასა და „სერ“-ის ტიტულს კაცზე გათხოვილ კაცს ანიჭებენ, პარიზში კი ეთნიკურ ფრანგებს ღამით გარეთ გამოსვლის ეშინიათ, რადგან მათი „ლიბერასტული დემოკრატიის“ ფლაგმანი ჟურნალი „შარლი ებდოა“.

დიდი ევროპული კულტურა წარსულში დარჩა თავისი **კარუზოთი და მარიო ლანცათი, დელ მონაკოთი და ლუჩანო პავაროტით**, ახლა ასპარეზზე კოლექტიური **ემინემია**, რომელიც ხალხით გაჭედილ საკონცერტო დარბაზში შარვალს ჩაიხდის, შიშველ უკანალზე მიკროფონს მიიდებს და შიგ ბუთქავს, მერე კი აღტაცებული მსმენელის ტაშის გრიალში ისე დატოვებს სცენას, რომ მადლობასაც არ გადაუხდის მისი უკანალის ბუთქით აღტაცებულ მაყურებელს.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოსცა დიდმა გერმანელმა მოაზროვნე ოსვალდ შპენგლერმა გენიალური წიგნი „ევროპის მზის ჩასვენება“ (ქართული თარგმანის მიხედვით „ევროპის დაისი“) თუ ასი წლის წინათ ევროპაში უკვე იყო კულტურის დაისი, ახლა იქ კუნაპეტი ღამეა. აი რის წინაშე დააყენა ევროპა (დასავლეთი საერთოდ) ზნეობრიობის ნეოლიბერალურმა გენოციდმა. აი საით მიერეკებიან საქართველოს. ორი კაცის ერთმანეთთან სქესობრივ კავშირში შესვლას მოსაწონად და მისაბაძად რომ დაგიდგენენ ზნეობრივი გენოციდია ეს, აბა რა ჯანდაბაა?! **ეს უბედურება არც ჩვენ და არც სხვებს თავს არ დაგვატყდებოა, საზოგადოების ინტელექტუალური გენოციდი რომ არ მომხდარიყო დასავლეთში, რომლის მცდელობაც ახლაც მიმდინარეობს ჩვენში**. კაცობრიობის მტერმა სატანისტებმა იციან, რომ განათლებულ კაცს ღირებულებით ორიენტირებს ვერ შეუცვლი, ვერ დაარწმუნებ იმაში, რომ დახეულ დაფლეთილი ტანსაცმელი ჯობია მთელსა და ახალს, ხოლო ემინემის უკანა ნალიდან ბუთქით გამოვარდნილი მყარი ჰაერი არაფრით ჯობია იმას, „ერთხელ დედაბერმა რომ ბუთქა ბალახვანში“ (თამაზ წივწივაძე), ამიტომ **ამ ღვთის ფეხის მკვნეტელებმა პირველი განათლების სიტემა ჩაიგდეს ხელში და**

მიზანმიმართულად აჩლუნგებენ ბავშვების ინტელექტს (ინტერნეტებითა და სხვა საშუალებებით), გონებაში უნერგავენ ცრუ პოსტულატებს, უცვლიან ღირებულებით ორიენტირებს. ვაჭარბებ? აბა ვნახოთ:

ვეკითხები განათლების (და სხვა რაღაცეების) ბოლო 25 წლის განმავლობაში ამ პოსტზე მყოფ მინისტრებსა და ადამიანებს: დიდად პატივცემულნო სკოლის მასწავლებლობა პროფესიულ საქმიანობად მიგაჩნიათ თუ არა? საერთოდ პედაგოგობა პროფესია არის თუ არა? ზოოვეტერინარი პროფესიაა, აგრონომი პროფესიაა, ასენიზატორი პროფესიაა და მოზარდი თაობის აღზრდა განათლება და სწავლება პროფესია არ არის?

დარწმუნებული ვარ ისინი ჯერჯერობით ვერ გაბედავენ არას თქმას და თუ ასეა, კანონში რატომ ჩაწერეს სკოლაში პედაგოგად შეიძლება დაინიშნოს ყველა ვისაც ბაკალავრის ხარისხი აქვსო (ე.ი. აგრონომი, ზოოვეტერინარი, სანტექნიკოსი და ა.შ.) აგრონომი რომ ერთ თვიან კურსებს გაივლის და მერე სკოლის მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ისტორიისა და ა.შ. საგნების სწავლებას დაუწყებს ინტელექტუალური გენოციდი სხვა კი არაფერია.

ამას გარდა განათლების დარგის ხელმძღვანელობო, იცით თუ არა, რომ პედაგოგს მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის სწავლება კი არ მოეთხოვება, იგი მოსწავლის სოციალური განვითარების იმ მთლიან პროცესში უნდა იყოს ჩართული, რომელსაც პედაგოგიკის მეცნიერებასა და ფსიქოლოგიაში „აღზრდა“ ეწოდება. როგორც ჩანს თქვენ დაიჯერეთ ლიბერასტების დოგმა – აღზრდა პიროვნებაზე ძალადობაა რომ ქადაგებენ და დაუჩემებიათ, სკოლამ უნარების განვითარება უნდა უზრუნველყოსო. ვისაც აღზრდა (ანუ სოციალური განვითარება) და საერთოდ განვითარება ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტა ჰგონია, პიტალო რეგვენია და ისე იცნობს პიროვნების სოციალური განვითარების ბუნებას, როგორც ვირმა იცის მის ზურგზე გადაკიდებული კურტნის შიგთავსი.

ინტელექტუალური გენოციდის უკვე მიღწეული შედეგები ისევე აშკარაა, როგორც ზნეობრივი გენოციდისა. ყველა ხედავს (თუ თვალხილულია რა თქმა უნდა) რომ ბავშვების (მოზრდილებისაც) დიდზე დიდი უმრავლესობა წიგნს არ კითხულობს, მარტო მხატვრულ ლიტერატურას კი არა, სამწუხაროდ სასწავლო ლიტერატურასაც. მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა კომპიუტერის ეკრანზეა მიჯაჭვული, ვირტუალურ სამყაროში თამაშობენ, ინფორმაციებს მოიპოვებენ, აშენებენ, ანგრევენ, ჩხუბობენ, ომობენ, მეგობრობენ და საერთოდ, ცხოვრობენ. აი ამ ჯადოსნურ ეკრანს თუ მოაცილებ მათ მაშინ სოციალურად სრულიად უმწეონი არინ და აკადემიურად აბსოლუტურად უმწიფარნი. ამ პრობლემის სერიოზული სოციოლოგიური კვლევის შეახებ ჩვენში არაფერი მსმენია. ამიტომაც არის საზოგადოება ასე მშვიდად. სამაგიეროდ, **ტელეჟურნალისტებისა და შოუმენების პროფესიულ საქმიანობაში ხშირად ძალიან კარგად ჩანს ახალგაზრდობის არამხოლოდ განათლების, არამედ გონებრივი განვითარების სავალალო დონე...** ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა პოპულარულმა ტელეარხმა ახალგაზრდობის ინტელექტუალური (ან ინფორმირებულობის) პოტენციური შესაძლებლობების შემოწმება განიზრახა. **რუსთაველის პროსპექტზე პირველი სკოლის (გიმნაზიის) წინ გამვლელ სტუდენტებს აჩერებდნენ და ეკითხებოდნენ, აგერ პოსტამენტზე ვისი ფიგურები დგასო. ასამდე სტუდენტიდან მესამედმაც კი ვერ უპასუხა: ილიასა და აკაკის ფიგურებიო, ხოლო „დინამოს“ სტადიონის მოპირდაპირე სკვერში მდგარი „მგოსნის“ ძეგლში ვერცერთმა ვერ ამოიცნო აკაკი წერეთელი**.

ერთ ქართველ მსახიობსა და შოუმენს ასეთი საინტერესო შოუ ჰქონდათ: „თავისუფლების მოედანთან“ ვაკისკენ წამსვლელ სტუდენტებს სვამდა „ტაქსიში“ და ვაკეში გაყვანას სთავაზობდა უფასოდ, თუ ისინი გზაში მის სამ-ოთხ კითხვაზე უპასუხებდნენ. არასწორი პასუხის შემთხვევაში „ტაქსის“ დატოვება ელოდათ. კითხვები ძალიან მარტივი იყო, მაგრამ ერთი კითხვა-პასუხი სამუდამოდ დამამახსოვრდა იმ ორი სტუდენტის სრული იდიოტიზმის გამო. ნახეთ: სამხატვრო გალერეასთან ორი ახალგაზრდა ჩაისვა „ტაქსიში“ **ჯაპანამ**.

სად სწავლობ? – ჰკითხა. მათ ერთ ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტი დაუსახელეს.

– რომელ კურსზე ხართო?

– ჯაპანამ.

– მეორეზეო, უპასუხეს.

ახლა მესამე კითხვას დაგისვამთო – ჯაპანამ. შოუმენია და იფიქრა ალბათ ჯერ გავეხუმრები და მერე დავუსვამ სერიოზულ კითხვებსო და აბა მიპასუხეთ: მტკვარი შავ ზღვაში ჩაედინება თუ კასპიის ზღვაშიო?

სტუდენტები ღრმად ჩაფიქრდნენ, მერე ერთმა უთხრა მეორეს შავ ზღვაში ჩაედინება ბიჭოო.

– არაო, გააპროტესტა მეორემ, მგონი კასპიის ზღვაში ჩაედინებაო.

– დარწმუნებული ხარო? ორჭოფულად იკითხა პირველმა.

– არა, მაგრამ ასე მგონიაო,

– მეორემ.

ასე იდავეს ზემელამდე. აქ ჯაპანამ მანქანა შეაჩერა...

– ბიჭებო, დიდი ხანია თბილისში ცხოვრობთო, ჰკითხა ფიქრებში ჩაძირულ ე.წ. სტუდენტებს. ერთი მათგანი თბილისელი აღმოჩნდა, მეორე კი რაიონიდან ჩამოსული.

– გააღეთ კარი და ახლავე გადადით მანქანიდანო, ისე უთხრა ჯაპანამ, რომ მეგონა დედისა და მამის სულს ამოუტრიალებდა.

ეს მაგალითი გამონაკლისი არ გეგონოთ. დღევანდელი სკოლის მოსწავლეთა ცოდნა (ყველაზე არ ითქმის, მაგრამ...) ისეთია ერთ ანეგდოტში რომ არის: მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება, რამდენია ხუთჯერ ხუთიო და მოსწავლე უპასუხებს – ხუთჯერ ხუთი ოცდაორიაო. არაო დაუწუნა პასუხი პედაგოგმა, იცოდე ხუთჯერ ხუთი ოცდასამია, დიდი-დიდი ოცდაოთხიაო. დღევანდელი მოსწავლეების სახუმარო თუ სერიოზულ გამოკითხვებში ცოდნის ისეთი დონე მჟღავნდება, რომ ორმოცდაათი წლის წინანდელი ოროსანი მოსწავლე ოქროს მედალოსნობის კანდიდატად მოგეჩვენებათ.

ზემოთ რომ ვთქვი თუ სიტყვამ მოიტანა-მეთქი, აი სწორედ ახლა მოიტანა სიტყვამ და ვიტყვი: აშშ პრეზიდენტის პრეს სპიკერმა ქალბატონმა ფსაკიმ რამდენიმე წლის წინათ საჯაროდ განაცხადა: თუ ბელარუსი უკრაინის საქმეში ჩარევას შეეცდება ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტი მის საზღვრებს მიადგებაო. **ჩემმა კლასელებმა უიმედო ოროსნებმაც კი იცოდნენ, რომ ვერანაირი საზღვაო ფლოტი ვერ მოადგებოდა ვერც ბელარუსის და ვერც უნგრეთის, ვერ ჩეხოსლოვაკიისა თუ სომხეთის საზღვრებს. იმხანად „ამდენი გეოგრაფია“ ამერიკელმა ოროსნებმაც იცოდნენ ალბათ**.

ასე, რომ ინტელექტუალური გენოციდი კარგა ხნის დაწყებულია.

გონიერი და პედაგოგიკის მეცნიერების მცოდნე ადამიანები იმთავითვე გრძნობდნენ, რომ ის რეფორმები, რომლებსაც შორეული „გულშემატკივრების“ კარნახით განათლების ყოველი ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე იწყებდა, სასიკეთო გზით არ წაიყვანდა მოზარდი თაობის სოციალური განვითარების საქმეს. მინისტრები კი 30 წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს იცვლებოდნენ. მერე და, **ვინ მოჰყავდათ ამ უმნიშვნელოვანესი სამინისტროს სათავეში, რომელზეც ქვეყნის მომავალია დამოკიდებული, ვინ და სანტექნიკოსები, ციხის ზედამხედველები, ნაპროკურორალები, ნაბუღალტრალები, ვაი მეცნიერები, ათასი ჯურის რაღაცისტები და აზრად არავის მოსდიოდა პედაგოგიური საქმიანობის ხელმძღვანელად სწავლული პედაგოგი, განათლების მეცნიერებათა მცოდნე დაენიშნათ.** ჰოდა ამ სანტექნიკოსმა თუ გამინისტრებულმა ციხის ზედამხედველმა ტერმინ „აღზრდის“ გამოყენება აკრძალა სასწავლო აღმზრდელობით დაწესებულებებში „სტრატეგიული პარტნიორების“ მითითებით, რა თქმა უნდა, თორემ პედაგოგიური მცნება ტერმინებისა მათ არაფერი გაეგებოდათ. აღზრდა ბავშვის პიროვნებაზე ძალადობაა. ბავშვი ისე უნდა მოიქცეს, როგორც უნდაო, პედაგოგი უნდა დაისაჯოს უსაქციელობისათვის მოსწავლეს თუ რამე დაუშალაო. **აღზრდის სიტემის გაუქმებით დაიწყო ქვეყნის, ერის მომავალი თაობის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი**.

მინდოდა თვით განათლების მინისტრების გონებრივი სიბეჩავის მაგალითები არ მომეტანა, რადგან ეს მთელი ერის სირცხვილია მაინც, მაგრამ **როდესაც ქვეყნის უმაღლესი ხელისფლება ამბობს, ესა და ეს განათლების მინისტრი სასწავლებლად გავგზავნეთ უცხო ქვეყანაშიო რისი**

უნდა გვრცხვენოდეს კიდევ? ჰოდა ასე: ერთმა დიდმა რეფორმატორმა (სინამდვილეში დეფორმატორმა) მინისტრმა ტელეკამერების წინ დაფაზე უშეცდომოდ ვერ დაწერა სიტყვა „ბავშვი“ რამდენიმე მცდელობის მიუხედავად. მეორემ სკოლაში ხუთი წლის ბავშვების მიღება ბრძანა, საამისოდ კი „ურყევი“ მეცნიერული „არგუმენტი“ წარმოგვიდგინა: ერთი წლით ადრე მიღებული ბავშვები ერთი წლით ადრე დაამთავრებენ და მშობლები გაიხარებენო (იმ „ჭკუის კოლოფს“ სწავლისათვის ბავშვის მზაობის ფსიქოლოგიაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა), მესამემ „გენიოსა“ მინისტრმა საბავშვო ზღაპრების შინაარსის გადაკეთება მოინდომა, რადგან ფოლკლორული ნიმუშები მავნე ზეგავლენას ახდენს ბავშვებზეო. აბა რას გავს ზღაპრის დასასრული „ჭირი იქა, ლხინი აქაო“ რომ წერია. რა დააშავეს იქაურებმა. ეს არ არის ჰუმანიზმი და ტოლერანტობაო, აქაც ლხინი იყოს და იქაც, განა ეს არ აჯობებსო? რაც შეეხება „კომბლეს“ პოპულარულ ზღაპარს რა მაგალითს აძლევს ჩვენს პატარებს ეს ზღაპარი? **მეცხვარეს რომ მხოლოდ ორი ცხვარი ეყოლება ის რა მენეჯერიაო. იმ გლახამ (მინისტრზე ვამბობ) ისიც არ იცოდა რომ კომბლე მეცხვარე არ იყო და ზღაპრის შინაარსის გადაკეთება კი უნდოდა.**

მომიტევეთ ბატონებო, ჩემი ზოგიერთი განსჯა თუ კორექტურობის საზღვარს გასცდა. დასკვნას კი ასეთს გავაკეთებ: ლოკალური თუ გლობალური საქვეყნო პრობლემების აღმოფხვრის ვერავითარი მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებს თუ იმ უკუღმართობის მიზეზთა მიზეზი არ აღმოიფხვრა, რომელიც საფუძვლად უდევს თაობათა ზნეობრივ ინტელექტუალურ გენოციდს.

კერძოდ:

- **აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს მოსწავლეთა აღზრდის სიტემა.**
- **პედაგოგის პროფესიას, რომელიც „ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მზის ქვეშ“ (იან კომენსკი) უნდა დაუბრუნდეს ძველი პრესტიჟი და ტრიუმფით დაბრუნდეს სკოლაში.**
- **დაუყონებლივ უნდა აღდგეს პედაგოგიური უნივერსიტეტი თელავში, თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში.**
- **დაუყონებლივ უნდა აღდგეს პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ისტიტუტები თბილისში.**
- **სკოლის დირექტორი კვლავაც უნდა იყოს „სკოლის პირველი პედაგოგი, მასწავლებელთა მასწავლებელი“.**
- **განათლების სისტემის სათავეში უნდა იდგეს უმაღლესი რანგის სწავლული პედაგოგი, სამინისტრო კი დარგის პროფესიონალი სპეციალისტებით დაკომპლექტდეს.**
- **კვლავაც სახელმწიფო დონეზე უნდა დამტკიცდეს „მოსწავლეთა ქცევის წესები,“ რომელსაც სამართლებრივი კოდექსის ძალა მიენიჭება.**
- **„ბავშვთა უფლებების დეკლარაცია“ უნდა შეიცვალოს „ბავშვთა უფლება-მოვალეობების დეკლარაციით“.**

აი, მაშინ დაიწყება როგორც განათლების, ისე ერისა და სახელმწიფოს აღორძინება. სხვა ყველაფერი ფსევდო დემოკრატიული და ფსევდო ლიბერალური სატყუარაა, რომელიც ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდის ხაფანგის კაუჭზეა წამოცმული.

უჩა დვალიშვილი – ხელოვნებადმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართული ცეკვა _ ეროვნული სულისა და ფენომენის გამოხატულება

სანამ კონკრეტულ საკითხზე საუბარს დავიწყებდეთ მინდა მოკრძალებით დავესესხო მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ერთ მნიშვნელოვან მოსაზრებას, რომელიც წინასიტყვაობად უძღვის საუკეთესო კოლექტიურ ნაშრომს „ჩვენი ღირსებანი:“

„ძალიან ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ საქართველო და ქართველი ერი მდიდარია თავისი ეროვნული ფასეულობით, სულიერი ფასეულობით. მოგეხსენებათ, ყოველი მონასტერი იყო არა მარტო მოღვაწეობის ადგილი, არამედ მეცნიერების ცენტრიც. ეს ახასიათებდა საქართველო და ქართულ მონასტრებს. როცა გვეკითხებიან მაინც რა ფასეულობა გაგვაჩნია ჩვენ? თითქმის ვერაფერს ვუპასუხებთ ხოლმე. ვიცით, რომ მდიდარია საქართველო თავისი სულიერებით, წმინდა მამებით, მოწამეებით. ვუწყით, რომ მდიდარია ხელოვნებით, თავისი ლიტერატურით თუ ისტორიით და კონკრეტულად ვერაფერს ვასახელებთ. და აი, ამ გლობალიზაციის პროცესში ყოველმა ქართველმა ადამიანმა უნდა იცოდეს რა გაგვაჩნია. ვფიქრობ, უნდა დაიწეროს სოლიდური წიგნი სადაც მიიღებენ მონაწილეობას მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, ჩვენი მეცნიერები. კონკრეტულად, ქართველმა ხალხმა და მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ საქართველო არის მნიშვნელოვანი არამარტო სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ უპირველეს ყოვლისა, სულიერი, ეროვნული და მატერიალური ფასეულობით.“

და კიდევ ერთიც:

„ნებისმიერი ერის კულტურა ერის სულის სარკეა. ქართული ცეკვა ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალმარგალიტია, რომელშიც ნათლად არის განცხადებული ჩვენი შინაგანი სამყარო. ქართული ცეკვა კდემამოსილების, ღირსების, ვაჟკაცობის, გაუტეხლობის, თავდადების, გონიერების, სიბრძნის, სიძლიერისა და ამაღლებული სიყვარულის საგალობელია. მის მრავალფეროვნებასა და მრავალსახეობაში ნათლად ჩანს ერთის მხრივ ერთიანი ქართული სულის გამოძახილი, მეორეს მხრივ კი კუთხეების განსხვავებულობა, რაც საოცარ მოზაიკურ პანოს ქმნის.

ქართული ცეკვა ჩვენი სიამაყეა და მსოფლიოს ნებისმიერ დონეზე ჩვენი ერის ღირსეულად წარმომჩენი.“

ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

* * *

ცეკვის, როგორც კულტურული ფენომენის შესწავლა სცენამდელ და სასცენო ფორმების ისტორიული ურთიერთობის გააზრებას გულისხმობს. ეროვნული ხასიათის ფენომენისა და მენტალიტეტის გააზრება „მსოფლიოს ხალხთა სურათის“ ფონზე უნდა მოხდეს.

ეროვნული ხასიათის კვლევის თანამედროვე მიმართულება დაკავშირებულია ფსიქოლინგვისტიკასთან, ეთნოლინგვისტიკასა და ლინგვოლინგვისტიკასთან. ეჭვს არ იწვევს ცეკვის თეორიისა და პრაქტიკისათვის ხელოვნების სინთეზის იდეის აქტუალობა.

ცეკვის თეორიაში მეტად საყურადღებოა ხელოვნების ენების პრობლემატიკა, რომელიც ცეკვაში სხეულისა და მოძრაობის სახით ვლინდება. ლექსიკა, როგორც გრამატიკა და სინტაქსის ენა, აზროვნების თავისებურებების, ხალხთა ეროვნული სურათის რეკონსტრუქციისა და

ეროვნული ხასიათის ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ჟესტი, მოძრაობა, ცეკვა, პლასტიკა არის პროტო ენა, რომელიც წერით მეტყველებამდე, მუსიკის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა. წარმოადგნდა კომუნიკაციის ენას, რომლის მეშვეობითაც ადამიანები საკუთარ თავთან, ერთმანეთთან და სამყაროსთან ურთიერთობდნენ. ბუნებრივმა გარემომ პლასტიკური ენის მთელი სისტემის ფორმირებაზე მოახდინა გავლენა.

ცეკვა, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე აღმოცენდა, წარმოშობიდანვე დაუკავშირდა ადამიანის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას და მისი ბუნებრივი მოთხოვნილება გახდა. ცეკვაში ადამიანი გამოხატავდა თავის შინაგან ემოციურ სტრუქტურას, გარემომცველი სამყაროს კუთვნილების შეგრძნებას, სამყაროს პლასტიკური ფორმით ასახვასა და სივრცის ორგანიზებას.

ცეკვაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, სპეციფიკიდან გამომდინარე მხატვრული ჭეშმარიტება თავის გამოხატულებას კონკრეტულად მისთვის დამახასიათებელ გრძობათა სახეებში პოულობს. როგორიც არის ადამიანის სხეულის პლასტიკა (მოძრაობები, პოზები, ჟესტები, მიმიკა), საცეკვაო ლექსიკა, ცეკვის ნახაზი მუსიკა და სხვ.

ცეკვაში **ეროვნული** ხასიათის გამოხატვის პრობლემას, მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეობაში ეხებიან. ხალხურ ცეკვებში **ეროვნული** მახასიათებლები მხოლოდ ცეკვის ერთ-ერთი მახასიათებელია და არა ერთადერთი. ცეკვის ხელოვნებაში **ეროვნული** ხასიათის გამოხატვის თავისებურებების ანალიზმა გვაჩვენა, რომ საცეკვაო ხელოვნების ყოველი სახეობა თავისებურად გამოხატავს ეროვნული ხასიათის თვისება-თავისებურებას და გარკვეულ იმიჯს ქმნის სხვადასხვა ხალხთა **ეროვნულ** კულტურაში. ეთნოსების სპეციფიკური ხასიათის ეთნო-**ეროვნული** დონე სრულად ვლინდება მის ქცევებში და ყველაზე ნათლად და რელიეფურად ტრადიციულ ხალხურ კულტურას რიტუალურ ქმედებებში განასახიერებს, სადაც ცეკვა სავალდებულო კომპონენტი იყო.

ქართული ხალხური ცეკვა ტრადიციული ხალხური რიტუალურ-სადღესასწაულო კულტურის ნაწილია და ქართველი ხალხის ეროვნულ პრინციპებს განასახიერებს. წინაპართა ტრადიციებსა და რიტუალებში, უძველეს ქართულ სიმღერებსა და ცეკვებში ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ძვირფასი საგანძურია ჩადებული, რომელშიც ჩაწერილია სამყაროს შეცნობისა და მასთან ჰარმონიული კავშირის ჭეშმარიტება, რაც განსაკუთრებით აისახება საფერხულო და საცეკვაო სიმღერების თემატიკაში, კოსტიუმებში, მუსიკის თავისებურებებში, ტემპსა და რიტმში, ცეკვის ნახაზში, საცეკვაო მოძრაობებსა და ჟესტებში.

ხალხური ცეკვა ეთნო-ეროვნული ხასიათის განსახიერებაა და ეროვნული ზეახლობა აქ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. ქართული ხალხური ცეკვა ავთენტურია, ადეკვატურად **განასახიერებს ქართულ ეროვნულ ხასიათს** ქალურ და მამაკაცაცურ ჰიპოსტასებში. ქართული ხასიათის ქალურმა (მდედრობითმა) ჰიპოსტასმა გამოხატულება ჰპოვა საფერხულო ცეკვებში – ქალთა ნელ ფერხულებსა და ცეკვებში, რომელიც დიდებულ ლირიულ მიმდინარეობას ქმნის. მამაკაცური (მამრობითი) ჰიპოსტალი – ვაჟკაცობა, რაინდობა, სიფართოვე განხორციელებულია, როგორც საფერხულო, ასევე საბრძოლო და შეჯიბრებითი ხასიათის ცეკვებში.

„ქართველი ქალისა და მამაკაცის სახე ყველაზე უკეთ ჩანს ჩვენს ეროვნულ ტანსაცმელში და ეროვნულ ცეკვებშია გამოხატული... ის სული, რომელიც ამ ჩაცმულობით არის გამოხატული, უნდა აღსდგეს ქართველ ქალში და ქართველ მამაკაცში.“ (ზვიად გამსახურდია-საქართველოს ექსპრეზიდენტი). „ქართული გენია როკვით განფენილი – მას ვერ იცეკვებს სხვა ვინმე, რასსა არ ეყოფა“. ბრძანებს დიდი მამულიშვილი გრიგოლ რობაქიძე. მწერლის ამ გამონათქვამში ნათლად ჩანს ქართული სულისა და გენის შეუქცევადობა.

ხშირად ხდება ეროვნული ტრადიციების, კულტურული ფასეულობების უგულებელყოფა, საკუთარი კულტურის დაჩრდილვა სხვა კულტურათა თავისუფალი შემოჭრითა და გაძლიერებით. ხდება მათი შერწყმა მასობრივ გლობალურ პროცესებთან, რაც თავისთავად უკარგავს ერს კულტურულ ინდივიდუალიზმსა და მხოლოდ ამ ერისთვის მახასიათებელ ცნობიერებას. „დაცემა იწყება იქიდან, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა“. გვითხრა ილიამ. „მხოლოდ პირუტყვი ივიწყებს წარსულს, არ ფიქრობს მომავალზე და მხოლოდ აწყმოთია კმაყოფილი“. ამბობდა აკაკი. მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.

კაცობრიობის წინაშე დგას მრავალი გლობალური გამოწვევა, ძალიან დიდია ეროვნული თვით-

მყოფადობის დაქვეითების საშიშროება, განსაკუთრებით საყურადღებოა კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლასა და ერთსახოვანი გლობალური კულტურის ფორმირებას.

გლობალური კულტურა და კოსმოპოლიტური იდეები ყოველთვის წინააღმდეგობაშია და შეუთავსებადია სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკასთან, თითოეული ქვეყნის კულტურულ მახასიათებლებთან. სხვადასხვა ქვეყნის კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, კოსმოპოლიტური კულტურის ტალღა, ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დონეს აღწევს და სხვადასხვაგვარად ვითარდება, რადგან თითოეული ერის კულტურა, იდეოლოგია განსხვავდება სხვა ერის, ქვეყნის კულტურული ცნობიერებისაგან.

კულტურის თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია თავად იმ ქვეყნის, ერის, მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე, თუ რამდენადაა ის ეროვნულად შეკრული და გაერთიანებული, რამდენად ძლიერი, ღრმაა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია ეს ტრადიციები, რამდენად მიიღებს მათი კულტურა გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს. მთელი კაცობრიობისათვის და შესაბამისად, ყველა კულტურისათვის მრავალია საერთო ფასეულობა, მრწამსი და ქცევა, მაგრამ, ასევე ბევრია კულტურის კერძო და სპეციფიკური ასპექტები, ის, რაც ერთ კულტურას მეორესაგან განასხვავებს.

აუცილებელია კულტურული ფენომენის შესწავლა. ურთიერთობების მნიშვნელოვანი პროცესების ეფექტიანობა გაიზრდება მაქსიმუამდე, თუ კულტურულ გამოწვევებსა და ქვეყნების მახასიათებელ კულტურულ სტერეოტიპებს შევისწავლით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული თავისებურებების გამოკვლევა და შესწავლა, რაც აუცილებელია თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში.

ახალი გლობალური კულტურა სულ უფრო ჰიბრიდულ და მრავალგვაროვან ხასიათს ატარებს, რადგანაც ინტერნაციონალური პროცესების ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიოში ეფუძნება გლობალური ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სუპერ გიგანტურ სისტემას.

„შენი მიწა-წყლის, შენი ხალხის რომ გესმოდეს, მასთან ჰარმონიაში უნდა იყო, მის ტალღაზე უნდა გადაეწყო, მის სუნთქვას უნდა გრძნობდე, ეს ეხება ყველაფერს – ჩვენს აზრებს, გრძნობებს, სიტყვებსა და საქმეებს. ადამიანი, რომელიც ჰარმონიაშია საკუთარ ხალხთან, წეს-ჩვეულებებთან, საბრძოლო ხელოვნების ტრადიციებთან, აძლიერებს და აცოცხლებს მას: უნაწილებს აზრებსა და სიყვარულს – მათ შორის ენერგოგაცვლა მიმდინარეობს“... „არ არსებობს უკეთესი შემოქმედება, ვიდრე შეხვიდე ჰარმონიაში შენს მიწა-წყალთან, ემსახურო მის აღორძინებასა და განვითარებას“. (იური ყეინაშვილი).

ქართული ხალხურ ცეკვას ახასიათებს იმპროვიზაციულობა. იმპროვიზაციაში ვლინდება ქართული ეროვნული ხასიათის შემოქმედებითი საწყისები, რომელსაც ჰარმონიულად ემატება ქართული მენტალობისა და ხასიათისათვის დამახასიათებელი მასობრივი შემსრულებლობა.

მნიშვნელოვანია ქართული ხალხური ცეკვის სამკურნალო დანიშნულება. ქორეოგრაფიული და მუსიკალური არტთერაპია საუკეთესო საშუალებაა დეპრესიის სამკურნალოდ. ადამიანის ემოციურ მდგომარეობას სასიამოვნო მელოდიის მოსმენა და ცეკვის ნახვაც აუმჯობესებს, მაგრამ უკეთესი ეფექტის მიღებაა შესაძლებელი, როდესაც ადამიანი თავად მღერის და ცეკვავს.

ქართულ ხალხურ ცეკვებში და სიმღერებში დაიდო ბინა საბრძოლო ხელოვნებამ. დინამიურ და ცეცხლოვან, მოქნილ მოძრაობებში და ულამაზეს მრავალხმიან ქართულ ჰანგებში ინახება ქართველთა საბრძოლო სული. ქართველი ხალხი განუწყვეტლივ იბრძოდა ფიზიკური გადარჩენისათვის და მუდმივ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო მტერთან შესახვედრად. ცხოვრების ასეთმა წესმა განსაზღვრა ქართული ცეკვების ფორმა და შინაარსი.

ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური და უძველესი ლიტერატურული ძეგლებით დასტურდება, რომ სხვა ქართულ ცეკვათა შორის, ცეკვა ხორუმს მრავალსაუკუნოვანი იტორია აქვს. ძვ.წ. V საუკუნის ძველი ბერძენი ათენელი ისტორიკოსი ქსენოფონტი, ანტიკური მწერ-

ლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რომელიც ქართველ ტომთა კულტურული ცხოვრებით იყო დაინტერესებული წერდა, თავის ნაწარმოებში „ანაბასისი“ (რომელიც მდიდარია გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობებით. აქედან, ქართველი მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ნაწარმოების V და IV თავები), ქსენოფონტი ქართველური ტომებისა და კოლხეთის შესახებ იძლევა ცნობებს – „რომ ქართველთა ტომები მოსინიკები ომს ცეკვითა და სიმღერით იწყებდნენ. ასეულებად ეწყობოდნენ და ომში რიტმულად მიაბიჯებდნენ:“

„... ამის შემდეგ მათ მისცეს [ერთიმეორის] ერთგულების ფიცი და [პირიქითელი მოსინიკები] წავიდნენ. მეორე დღეს ისინი მოვიდნენ ერთი მთლიანი ხისგან გამოთლილი სამასი ნავით; თითოეულ ნავში სამ-სამი კაცი იჯდა; ორი მათგანი გადმოდიოდა [ნაპირზე] და იარაღს ისხამდა, ერთი კი [ნავში] რჩებოდა. [ნავში დარჩენილები] უკანვე გაემგზავრენ, ხოლო [ნაპირზე გადმოსულები] დაირაზმნენ შემდეგნაირად: ისინი დანაწილდნენ დაახლოებით ასეულებად, მსგავსად გუნდებისა, სწორ მწყობრში ერთი მეორის პირდაპირ. ყოველ [მეომარს] ხელში ეკავა სუროს ფოთლის მსგავსი ფარი, ხარის თეთრბეწვიანი ტყავით დაფარული, ხოლო მარჯვენა ხელში – ექვსწყრთიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო. მათ ეცვვათ ტილოს სიმკვრივის მოკლე ქიტონები, რომელნიც მუხლებს [ვერ სწვდებოდა]; თავზე [ეხურათ] პაფლაგონურის მსგავსი ტყავის მუზარადები შუაში ჯიღით, რომელიც ძალიან ემსგავსებოდა ტიარას. მათ ჰქონდათ აგრეთვე რკინის ორლესული ცულები. როცა [დაირაზმნენ] ერთერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა [სიმღერის] რიტმს ფეხი აუწყეს და გაემართნენ. მათ გაიარეს ელინების რაზმებსა და ბანაკს შუა და მაშინვე გაეშურნენ მტრებისაკენ იმ სიმაგრის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი ეგონათ... ვიდრე ისინი უახლოვდებოდნენ მტერი არ იძროდა, მაგრამ როდესაც ისინი ახლო მივიდნენ სიმაგრესთან, [მტერი] გამოუხტა, უკუაქცია [მოიერიშენი], დახოცა მრავალი ბარბაროსი და მათთან ერთად იერიშზე წასული ელინები და სდია მათ მანამ, ვიდრე არ შეამჩნია საშველად წამოსული ელინები. მაშინ ისინი შეტრიალდნენ და წავიდნენ; [გზადაგზა] თავებს ჭრიდნენ მოკლულებს და [მოკვეთილ თავებს] უჩვენებდნენ ელინებსა და თავის მტრებს და თან რაღაც ჰანგზე როკავდნენ და მღეროდნენ.“ (ლიტ: მიქელაძე, თეიმურაზ. (1967). ქსენოფონტის „ანაბასისი“. თბილისი: „მეცნიერება“. გვ.100-101).

საბრძოლო შინაარსის მეომართა ცეკვა ხორუმში შემონახულია ქართველთა საბრძოლო სულის უდიადესი განძი. გადმოცემულია, მტერთან შერკინების აღმნიშვნელი საცეკვაო პასაჟები. წამოწეულია, როგორც თავდასხმითი, ასევე თავდაცვითი (ფანდები, შესვლები, გდების, ხტომების, დარტყმების, იარაღის ფლობის, შეძახილების) სხვადასხვა საბრძოლო ილეთები.

ცეკვა ხორუმის ძირითადი მოძრაობები:

1. შესასვლელი
2. სასვენო.
3. ჭდომსასვენო.
4. ფარულა ან მალულა.
5. ჩოქმალულა (სვლა მუხლის იატაკზე შეხებით).
6. საფრთხილო.
7. ჩოქით მუხლმოქნევი.
8. დაბალი გასმურა
9. ხტომგასმურა
10. გასმურა ტერფმოქნევით
11. ბუქნურა
12. ბუქნბრუნი
13. ხლართულა
14. წაწოლ-გასმურა
15. ქობულეთური ჩაკრული
16. ქობულეთური მაღალჩაკრული
17. წიხლურა
18. ჩაწოლა (ვარდნიდან მწოლიარე მდგომარეობაში გადასვლა)

19. ხლართულა ჭდომხტომი
20. ბრუნი
21. გარბენი
22. საზვერავი
23. შვილდსაკრავი
24. საჩურჩულო
25. სახოხავი
26. საკაფავი
27. საიერიშო

ცეკვა ხორუმის ფუნქციურ, შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი კიდევ მეტი მეცნიერული ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, მაგრამ ჩვენი ფორმატიდან გამომდინარე მხოლოდ იმფორმაციულობით შემოვიფარგლებით.

სამაგალითოდ მოგვყავს წყვილთა ცეკვა ქართულის შემსრულებლობის ტრადიციულად ჩამოყალიბებული (დადგენილი) წესების დაცვის ნიმუში:

1. ცეკვაში ვაჟი ქალს სამოსით ოდნავადაც კი არ უნდა შეეხოს.
2. ცეკვისას ვაჟი არ უნდა გაერთოს და სხვას არ უნდა დაელაპარაკოს.
3. წრის ერთად შემოვლისას ვაჟი ქალს არ უნდა ჩამორჩეს.
4. წრეზე სვლისას ვაჟი წრის შიგა მხარეს უნდა იყოს – უფრო ახლოს ცენტრისაკენ.
5. ვაჟს მხოლოდ ბოლო ნაწილში შეუძლია დაუხუროს ქალს გზა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ქალი აშკარად ცდილობს „გაექცეს“ მას და უკან ჩამოტოვოს. „ნახევრად დახუროს“ ნიშნავს არა გზაზე გადაეღობოს არამედ წინ გასწრებით მიახვედროს ქალი, რომ ის წინაა და თავისუფლად შეუძლია გზა შეუკრას, მაგრამ ამას არ სჩადის.
6. ქალის უკუსვლისას ვაჟს შეუძლია რამდენითაც სურს, იმდენად დაშორდეს ქალს, მაგრამ სახით ყოველთვის მისკენ უნდა იყოს, ხოლო უკუსვლის წინსვლით შეცვლის წინ კი სწრაფად დაეწიოს და მარცხენა მხრიდან გაჰყვეს მას.
7. ქალი იწყებს ცეკვას და მთელი ინიციატივაც მის ხელში გადადის – ვაჟი უნდა მიხვდეს ყველა მის „სურვილს“.
8. წინსვლისას ქალს ვაჟი უკან კი არ უნდა მისდევდეს, ახლოს, გვერდზე მიჰყვებოდეს.
9. ქალის კენტად ცეკვიდან გვერდით სვლაზე გადასვლისას, მის ნელა შებრუნებამდე, ვაჟი ერთ ადგილზე თავისუფლად დგას ან ტაშს უკრავს, მაგრამ ქალს თვალს არ აშორებს.
10. ქალის ცეკვის დასრულებამდე ვაჟს ნება არ აქვს, ცეკვა მიატოვოს.
11. ქალ-ვაჟის წინ წრეშემოვლით ერთად სვლისას (ან რკალგზით), ვაჟის განზე გაშლილი მარჯვენა მკლავი ზურგის სიმაღლეზე უნდა იყოს (და არა უფრო ზემოთ).
12. ქალის უკუსვლით საათის ისრის მიმართულებით მოძრაობისას, ვაჟი (დგას პირისპირ მისკენ) განზე შლის მარცხენა მკლავს ქალის გულ-მკერდის სიმაღლეზე დაბლა. თუ უკუსვლა საათის ისრის მოძრაობის საპირისპიროდ სრულდება – მაშინ პირიქით.
13. ვაჟს არ შეუძლია სახით ქალისკენ პირისპირ და ახლოს იდგეს, არამედ მისი მხარიდან ოდნავ მარჯვნივ ან მარცხნივ (საათის ისრის მიმართულებით ქალის უკუსვლით მოძრაობისას – უფრო მარცხნივ მარცხენა მხარიდან და პირიქით: ოდნავ მარჯვნივ ქალის მარჯვენა მხრიდან – საათის ისრის საწინააღმდეგოს უკუსვლით მოძრაობისას).
14. თუ ქალი დაიღალა, ამის გამო ცეკვა არ დაასრულა და წრიდან გავიდა, მიუღებელია ვაჟმა მაშინვესხვა ქალი გამოიპატიჟოს საცეკვაოდ.
15. ქალთან ცეკვისას ვაჟი უქუდოდ უნდა იყოს (შეიძლება ხელში ეჭიროს ან თავს უკან).
16. ვაჟმა ცერებზე შეიძლება მხოლოდ სოლოში იცეკვოს.
17. საათის ისრის მიმართულებით წინსვლა, ქალისა და ვაჟის კენტად ცეკვისას, მიუღებელია, ხოლო უკუსვლით ყველა მიმართულებით დასაშვებია.

არ არის სავალდებულო, ვაჟმა ცეკვის დაწყებისას მთელ წრეს შემოუაროს და შემდეგ ქალისკენ გაემართოს. შეიძლება, პირდაპირ ქალისკენ გაეშუროს ან შემოიაროს წრე ერთხელ, ორჯერ ან მეტადაც, შემდეგ წრის ცენტრში მივიდეს, იქ რამდენიმე გასმა შეასრულოს და შემდეგ უკვე ქალისკენ გაემართოს.

ქალს, ცეკვაში მიპატიჟების მიღების შემდეგ შეუძლია „საცდელ“ შემოვლაში რამდენიმეჯერ „გამოსცადოს“ ვაჟი სვლებისა და მიმართულების ცვლით, მოულოდნელი ბრუნვებით და სხვა.

არ არის სავალდებულო, ვაჟმა თავისი სოლოს შემდეგ, ქალი გააცილოს იქამდე, საიდანაც ცეკვა დაიწყო. შეუძლია დარჩეს ქალის სოლოს დაწყების ადგილზე. ასეთ შემთხვევაში ქალი ვაჟისკენ იმოძრავებს გვერდითი სვლით და ა.შ.

ქორეოლოგ ლილი გვარამაძეს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში (გვარამაძე, ლილი. ქართული ხალხური ქორეოგრაფია. (ძირითადი საკითხები). 1957. თბილისი: ხელოვნება). ქართული ხალხური ცეკვები კლასიფიცირებული აქვს შემდეგი ნიშნების მიხედვით:

თავი I

როკვა. ფერხული.

1. პატრიოტული ხასიათის „ფერხული“.
2. სამხედრო ხასიათის „ფერხული“.
3. ფერხული „ოსხაპუე“.
4. საყოფაცხოვრებო ხასიათის „ფერხული“.

თავი II

საწესჩვეულებო-რიტუალური ცეკვები და თამაშობანი საქართველოში

1. ცეკვები თეთრი გიორგის პატივსაცემად.
2. საცეკვაო-რიტუალური წესჩვეულებანი ავადმყოფობის დროს.
3. რიტუალურ სამგლოვიარო და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საცეკვაო წესჩვეულებანი.
4. რიტუალურ-საცეკვაო წესჩვეულება ბავშვის დაბადების დროს. ცეკვა ,,სამაია”.
5. რიტუალური საახალწლო ცეკვები.
6. გვალვასთან ბრძოლის რიტუალური წესჩვეულება „ლაზარობა“.
7. „ბერიკაობა“.
8. „ყეენობა“.
9. „ადრეკილაი“ და „მელია ტელეფპია“.
10. „საქმისაი“.
11. „მიზითხის“ დღესასწაული.

თავი III

გასამხედროებული ასპარეზობანი და ცეკვები

მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გასამხედროებული ასპარეზობისა და ცეკვების განვითარებას.

1. „ჩოგანბურთი“ ან „ცხენბურთი“
2. „რადრაბაგანი“.
3. „ლელო“.
4. „ისინდი“ ანუ წინათ „ჯირითობა“.
5. „ყაბახობა“.
6. „თარჩია“.
7. „მკერდაობა“.
8. „დოღი“ და „მარულა“.
9. „ჭიდაობა“.
10. „კრივი“.
11. „წრე -ლახტობა“.
12. მუშაითობა.
13. სახიობა.
14. ჯამბაზობა.
15. ხევსურული ფარიკაობა და კეჭნაობა.

16. აფხაზური ცეკვა „ბასტი“ და მეგრულ-აფხაზური თამაში „ხინთქირია“.
17. ცეკვა „ლაზური“.
18. „ფარცაკუკუ“.
19. „ხორუმი“.

თავი V

ქალთა ცეკვა. ვაჟთა ცეკვა.

ქალთა ცეკვა.

ვაჟთა ცეკვა

1. ცეკვა „ქართული“ ვაჟის შესრულებით
2. ცეკვა „ხანჯლური“.
3. „ცერული“.
4. „ქოლსარმა“.
5. ცეკვა „მხარული“.
6. ცეკვა „აფხაზური“.
7. „ბაღდადური“ ან „კინტოური“.

თავი V

წყვილთა ცეკვა. ცეკვა „ქართული“

ცეკვის როლი საქორწილო წესჩვეულების დროს.

წყვილად ცეკვა

1. ცეკვა „არირა“.
2. ცეკვა „შარათინი“.
3. ცეკვა „სიმდი“.
4. სვანური ცეკვა „შუშპარი“.
5. მოხევური ცეკვა.
6. „განდაგან“.
7. „ქართული“.

ქართულ ცეკვებზე გამოქვეყნებულია ქართველ ქორეოლოგ-ქორეოგრაფთა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის, მონოგრაფიები, ცალკეული პუბლიკაციები და სადისერტაციო ნაშრომები.

ქართული ხალხური ცეკვის სპეციალისტთა მომზადებას ანხორციელებენ სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები და სხვადასხვა კოლეჯები. არსებობობს სწავლების უწყვეტი რგოლი: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

ქართული ცეკვის პოპულარიზაციას ეწევიან ჩვენი ქვეყნის პროფესიული და თვითმოქმედი – ცეკვის, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. აღსანიშნავია ბავშვთა და მოზრდილთა ცეკვის ანსამბლები, სადაც ეროვნული სულით იზრდება ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობა.

შემთხვევითი არ არის, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (იუნესკო), ქართული ხალხური შემოქმედების ნუმუშები – სიმღერები და ცეკვები აღიარა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. ქართული მრავალხმიანობის ნიმუშს ჩაკრულოს დღეს კოსმოსიდან უსმენს მთელი მსოფლიო.

ეროვნულ დონეზე აღიარებულია ქართული ხალხური ცეკვები: ცეკვა ქართული, განდაგანა, ხორუმი, ზოგადად ქართული ფერხულები, მზადების პროცესშია ქართული სართულიანი ფერხულები, სამაია და სხვ.

დიდია ქართველ ქორეოგრაფთა წვლილი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. სამწუხაროდ ზოგიერთი ქორეოგრაფის მიერ არჩეული შემოქმედებითი გზა „ხელოვნების ტაძართან“ არ მიგვიყვანს. მოვუწოდებთ ჩვენს კოლეგებს: „დავიცვათ ქართული ცეკვის სიწმინდე და გავუფრთხილდეთ მის სილამაზეს“.

ინდირა გოგოძე – ჟურნალისტი

ვანის კულტურის სახლი საუკუნის გადასახედიდან

საქართველოს კულტურას საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა მძიმე, თუმცა მრავალფეროვანი ისტორია, ქართველთა მდიდარი ტრადიციები, ძლიერი ეროვნული თვითშეგნება, უძველესი დამწერლობითი ტენდენციები, ქრისტიანულ რელიგიური მრწამსი, რომელიც ტოლერანტობასა და ქცევის წესებსაც განსაზღვრავდა. სწორედ ეს უზრუნველყოფდა ძლიერ ეროვნულ კულტურასა და მის თვითმყოფადობას, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს განსაკუთრებულობის შენარჩუნებას, მიუხედავად დამპყრობელთა არაერთგზის ასიმილაციის მცდელობისა, რომელსაც თითქმის ყველა ბრუნვაში იყენებენ ეროვნულ ისტორიაში არცთუ ღრმად ჩახედული ადამიანები. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 70 წლიანი სოციალისტური საქართველოს ცხოვრებაში, დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, არა თუ განადგურდა, არამედ უდიდესი ყურადღება ექცეოდა ჭეშმარიტი ნიჭიერების ზეიმს და ცალკეულ ინდივიდებში მათ გამოვლენას, რაც უდავოდ იყო და არის ეროვნული კულტურის სრულქმნის საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრებისა და შენარჩუნების ხერხემალი. აქედან გამომდინარე, კაცობრიობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე დიდ მნიშვნელობას იძენდა კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარების დონე. ეს სფერო ერთგვარ კრიტერიუმადაც ითვლებოდა აღმავლობისა თუ დაცემისაკენ მიმავალი ქართული საზოგადოების ცხოვრებაში, რადგან, სწორედ, ეს მიმართულება ყველა თავისი სასიკეთო ნიუანსით ქმნიდა მტკიცე გარემოს ადამიანების მაღალ ზნეობრივად, ქართველთათვის შესამჩნევად გამოკვეთილი ჩამოყალიბების საქმეში. გენეტიკური, ეროვნული კოდის სიძლიერეს თუ გავზომავთ, იგი ჩვენი ქვეყნის მაგალითზეც, არათუ დიდ, არამედ ზეაღმატებულ შკალას მიაღწევს, რადგან აქ, ვერასოდეს მიაძინა ვერავითარმა ზეწოლამ გენიოსთა სისხლის ყივილი, ვერ შეაჩერა ჭეშმარიტი ნიჭიერების ზეიმი. თითქოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა სამყაროს ნიჭიერების ფენომენმა, რომ ჩვენი ერის უმაღლესი ნიჭის გენეტიკური კოდი უკვდავია და მას ვერასოდეს წაშლის ვერცერთი დროის ცივილიზაცია. გავლენა ამ ისტორიული ფაქტებისა, საქართველოს ყველა კუთხეში იგრძნობოდა, მათ შორის ვანის ძველ მიწაზეც.

კოლხური, ქართული მიწა, რომელმაც მსოფლიოს შემოუნახა უძველესი ცივილიზაციის საოცარი ნაშთები, ნაპოვნია აქ ჩვენთან, ვანის მიწაზე, დღეისათვის დავანებული ვანის უნიკალურ არქეოლოგიურ მუზეუმში და ცოცხალი მოწმეა იმისა, რომ ჩვენი წინაპრები კოლხები (ქართველები) იდგნენ მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან და არიან ამ ცივილიზაციის ერთ-ერთი მესაძირკვლენი. ამას ადასტურებს თქმულებაც ოქროს საწმისზე, რომელიც ცოდნის, სიბრძნისა და სიუხვის მატარებელი უმაღლესი გონის სიმბოლოა. სწორედ, ამიტომ იყო, რომ მაღალგანვითარებული კულტურის მქონე ერის შვილები - ძველი ელინები, კოლხეთში გაილაშქრებდნენ სიბრძნის ანუ ოქროს საწმისის წასაღებად და ეს კიდევ ერთი უტყუარი დასტურია იმისა, რომ ცივილიზაცია აქედან იღებდა სათავეს და არა პირიქით...

საამაყო და ღირსეული მხოლოდ წარსული არა აქვს ჩვენს რაიონს. გენი გრძელდება, თაობა ბრძენდება და ეს ყველაფერი დღემდე უწყვეტ ჯაჭვს ქმნის. იგი დღესაც მდიდარია კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობებით, რის ბაზაზეც არაერთი ნიჭიერი მომავალი თაობა აღზრდილა და არაერთ შემოქმედს უსახელებია მშობლიური მხარე მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენ ახლა ვისაუბრებთ ვანის კულტურის სახლზე(კულტურის ცენტრზე)- ტაძარზე, რომელსაც ვანის რაიონის საზოგადოების, ახალგაზრდობის, სოციალურ-კულტურულ-ესთეტიკური აღზრდის საკითხებში, დღიდან დაარსებისა, განუზომლად დიდი წვლილი აქვს შეტანილი და თუ გადავხედავთ მის მრავალგანზომილებიან მოღვაწეობას, განსაკუთრებით ღონისძიებათა ნუსხას, მხატვრული, ფაქიზი გემოვნების აღზრდასა და ჩამოყალიბებას, რაიონული მასშტაბის კულტურულ ქსელზე

გაწეულ დახმარებებს პრაქტიკულ-თეორიული სახით, ურთიერთობებს წამყვანი ქალაქებისა და რაიონების შემოქმედებით კოლექტივებთან, მისი საქმიანობა მომხიბლავ სიბრტყეზე დადგება. ჩვენ ამ შემთხვევაში გარკვეულწილად მიმოვიხილავთ ვანის კულტურული ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარეებს, რაც უდავოდ შეავსებს ჩვენი მკითხველის ინტერესის სფეროს.

ვიტყვით, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ვანში მხოლოდ 8 ქოხ-სამკითხველო ფუნქციონირებდა. თეატრალური ცხოვრება ათიანი წლებიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის არცერთი კერა არ არსებობდა, წარმოდგენა-საღამოები სოფლის ცენტრებში, კერძო ეზოებსა და საცხოვრებელი სახლების აივნებზე იმართებოდა. 1930 წელს, სოფელ ვანის ცენტრში(უკვე ვანის რაიონულ ცენტრში), კეთილმოწყობილი კლუბი „გლეხთა სახლი“ დაარსდა, სადაც მაშინდელმა შემოქმედებითმა დასმა გადაინაცვლა. 1933-1934 წლებში კი მაშინდელი პარტიის რაიკომის მდივნის ხარიტონ ჯინჭარაძისა და აღმასკომის თავმჯდომარის ლადო მანჯგალაძის მეთაურობით დაიწყო და თორმეტ თვეში დასრულდა კიდეც კულტურის სახლის მშენებლობა. მშენებლობის საშენი მასალებით მომარაგება ადგილობრივ საბჭოებსა და კოლმეურნეობებს ჰქონდათ დავალებული. კულტურის სახლი, თავისი ნაყოფიერი და დაუღალავი ენერგიის მქონე მოღვაწეებით, ათწლეულების მანძილზე ღირსეულად იყვნენ ჩაბმულნი როგორც ადგილობრივი, ასევე რაიონს გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში, რომელმაც მატერიალური ბაზის მომძლავრების შემდეგ, სრულიად ახალი დატვირთვა შეიძინა, რომელზედაც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

ცნობილია, რომ 1920–1930-იანი წლების ქართული კულტურა განვითარების ახალ ეტაპს იწყებდა და სცენაზე რეჟისორები კ. მარჯანიშვილი და ალ. ახმეტელი მხატვრებთან ერთად სპეკტაკლების დადგმასა და გაფორმებას საინტერესო ნოვატორული ხერხებით წყვეტდნენ (რაც მდიდარი მხატვრული დიაპაზონით გამოირჩეოდა). ამ დროს კლასიკური გაგებით ქართულ სცენოგრაფიას ეყრებოდა საფუძველი, რომელსაც თავიდანვე თვითმყოფადობა, შემოქმედებითი დამოუკიდებლობა ახასიათებდა. ეს ყველაფერი მომდევნო წლებში, თეატრთან ერთად, ახალი შემოქმედებითი ტენდენციებით უნდა განვითარებულიყო. ამ პერიოდმა მთელი საქართველოს მასშტაბით მოახდინა ზეგავლენა რეგიონების ცნობიერებაზეც და კულტურულ ცხოვრებაზეც, მათ შორის ჩვენი რაიონის თეატრალური თანაცხოვრების ამპლიტუდაც აამაღლა ღირსეული საფეხურების ასარბენად, რაც უთუოდ მყარი საფუძველი უნდა ყოფილიყო ღრუბლებთან მეოცნებე მომავალი ხელოვანი თაობისთვის.

დროის ამ მონაკვეთში ხელოვნებისათვის, განსაკუთრებით განვითარების ახალ სტადიაზე, კულტურა ფუნქციონირებდა, როგორც იმდროინდელი საზოგადოების, ახალი ეკონომიკურ-სოციალური ცხოვრების მაშენებელი საზოგადოების, სოციალური აქტივობის გამოხატულება. ამ პროცესში ქართული მხატვრული კულტურაც აქტიურად იყო ჩართული და დღეს საკმაოდ საინტერესო და მდიდარი მასალით წარმოგვიდგება. ხელოვნებათა შორის ყველაზე მასობრივ და მისაწვდომ სახედ თეატრი იქცა, რომლის წინაშე პირველი დღიდანვე დგება ახალი ამოცანების გადაწყვეტის, ახალი მხატვრული ხერხების ძიების საკითხი, რაც მას ცხოვრებისეულმა, არსებულმა სინამდვილემ მიზნად დაუსახა.

როგორც აღვნიშნეთ, იმ დროს ვანში არაერთი ნიჭიერი თაობა აღიზარდა. ჩამოყალიბდა და საქმიანობდა სხვადასხვა თვითშემოქმედებითი წრეები, რომელნიც უკვე უზრუნველყოფილნი იყვნენ საჭირო ინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებით. სასულე ორკესტრმა, რომელსაც არმიიდან დემობილიზებული სპეციალისტი დავით მაღლაკელიძე ხელმძღვანელობდა, აღზარდა მუსიკოსთა თაობა, რომელთა ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. პირველი მოხალისე მსახიობები ინტელიგენციიდან იყვნენ: დავით მაღლაკელიძე – სამხედრო კომისარიატის ყოფილი მუშაკი, ვლადიმერ ჟღერია – რაიონული გაზეთის ყოფილი მუშაკი, ცოლ-ქმარი თამარა და მიხეილ კალანდაძეები, სერგო გიორგაძე – შემდგომში კულტურის სახლის დირექტორის მოადგილე, რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და სხვები.

ახალმა კულტურულმა პოლიტიკამ 1940–1950-იან წლებში ქართველი ხელოვანების შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, რომელთა შორის საკითხი – ეროვნული ფორმი-

სა, შინაარსისა და სტილის შენარჩუნებისათვის, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. განსხვავებული მხატვრული მიდგომით სცენაზე განხორციელებული მხატვართა და რეჟისორთა ნამუშევრები, შინაგანად საკმაოდ საინტერესოდ გარდაისახებოდა და თითოეულისათვის ინდივიდუალური თვისებებით ხასიათდებოდა. მაგალითად, ვიტყვი, რომ მხატვრები და რეჟისორები თავისუფლად ფლობდნენ და იყენებდნენ თეატრალურ ხელოვნებაში მოპოვებულ ყველა ხერხს და ოსტატურად უქვემდებარებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს, რაც მათ აძლევდა საშუალებას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თვითმყოფადნი ყოფილიყვნენ.

ამ პერიოდის კულტურულმა ცხოვრებამ და მრავალმხრივმა სცენოგრაფიულმა გადაწყვეტამ, არა თუ შეანელა ქართული ხელოვნების განვითარება, არამედ გაამდიდრა და შეავსო კიდეც. იმ დროის მომუშავე ხელოვანთა შემოქმედების აღქმა, მათი მხატვრული და ესთეტიკური ღირებულებების შეფასება და კონკრეტიზაცია, დღეს იმ პერიოდში არსებული გარკვეული პირობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რაც მათი მხატვრულ ფასეულობათა განსაზღვრისას, დამატებით, ახალ წახნაგებს წარმოაჩენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წლებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ზოგადად ქართული თეატრალური ცხოვრების ისტორიაში და მას შემდგომი განვითარებისათვის მყარი საფუძველი ჩაუყარა.

ვანის კულტურის სახლის თვითშემოქმედებით შემადგენლობას, 40-50-იან წლებში შემოუერთდა ახალგაზრდა ნიჭიერი, შემდეგში ხელოვნებისა და კულტურის ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, ბატონი ლევან გერსამია (კულტურის სახლისა და სახალხო თეატრის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, მრავალი ფესტივალისა და ოლიმპიადის ლაურეატი, ურთულესი როლების არაჩვეულებრივად შემსრულებელი). მისი ხელმძღვანელობით მიიღეს პირველი სასცენო წრთობა ბატონებმა და ქალბატონებმა, ბატონმა კარლო საკანდელიძემ – შემდეგში საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა; ნინო საკანდელიძემ – ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა; ვლასი ტყეშელაშვილმა – ფოთის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა; ჟორა როხვაძე, ტურფა ლასხიშვილი – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა. ამ დროისათვის ვანის კულტურის სახლის საყრდენი, წამყვანი მსახიობები იყვნენ და სხვადასხვა დროს ვანში მოღვაწეობდნენ: ვასილ როხვაძე, პავლე თუთარაშვილი, აკაკი კორძაძე, ზებედა ჯაფარიძე, ნინა ხავთასი, გივი პაიკიძე, რეზო ლასხიშვილი, ოთარ ახვლედიანი, თამარ კორძაძე, ცუცა როხვაძე, თინა კალანდაძე, შემდეგ გზადაგზა მიმდინარეობდა შევსება ნიჭიერი ახალგაზრდებით – ზაურ სულაბერიძით, მიხეილ თეთროქალაშვილით, რომან შურაძით, თინა ჟვანიათი, დოდო სურგულაძით, მურთაზ პირველაშვილით და სხვა.

ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში, ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე 1946-1955 წლებში, როგორც ადგილზე, ასევე რაიონის სოფლებშიც კონცერტ-საღამოების გამართვამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. მათ უნდა შეეტანათ იმედის ნაპერწკალი, ესოდენ დრამატულ ვითარებაში, რაც დაკავშირებული იყო შემსრულებელთა ურთულეს შრომასთანაც. აქედან, მსახიობებს ნინა ხავთასს, ნათელა ტორონჯაძეს, ლევან გერსამიას, ჟორა როხვაძეს, დავით მაღლაკელიძეს, პავლე თუთარაშვილს და სხვებს ფეხით ჰქონდათ შემოვლილი რაიონის თითქმის ყველა სოფელი და მაშინდელი უტრანსპორტობის პერიოდში, სასცენო რეკვიზიტები ჩანთებითა და მხარზე შემოდებული გადაჰქონდათ სოფლიდან სოფელში. კონცერტებსა და სპექტაკლებს ძირითადად ზაფხულში და ღამის 11 საათზე ატარებდნენ, რადგან სოფლის მაცხოვრებელთ საოჯახო საქმეები უნდა დაესრულებინათ ღონისძიებებს რომ დასწრებოდნენ. ამიტომ იყო შემთხვევა, როცა წარმოდგენები ღამის 1-2 საათზე დაუმთავრებიათ და ღამე ან ადგილობრივ, ან შორეულ სოფლებში უნდა გაეთენებინათ კერძო ოჯახებში. მათ ყველგან დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მასპინძლობდნენ სრული ქართული ტრადიციული სტუმარ-მასპინძლობის დაცვით და რადგან ბევრი, იუმორით სავსე დასის წევრი ჰყავდათ, სახალისო და დაუვიწყარი იყო მათთვის თითოეული სტუმრობა (თითქმის მთელი რაიონისათვის დღემდეა ცნობილი ლევან გერსამიას თხებისა და ე. წ. შემწვარი გოჭის ამბავი, რატომ სწყუროდა ბატონ ლევანს სპექტაკლის ერთ-ერთი მოქმედი გმირის – გრიშა ადამიას სისხლი(ამ დროს გრიშა ადამია იყო, ვანის მაშინდელი უშიშროების სამსახურის უფროსი, უბრალო დამ-

თხვევა იყო გვარ-სახელში) და როგორ აღმოჩნდა ნინა ხავთასი და სარაიონო ბიბლიოთეკის გამგე ვენერა აბრამიძე შუაღამით უცხო პირის სატვირთო ავტომანქანაში, სადაც მძღოლმა მაშინვე იცნო ქალბატონები და დიდი პატივისცემით მიაცილა დანიშნულების ადგილზე და ა. შ.

რაიონის ეკონომიკის მომძლავრებასთან ერთად, რომელიც პარალელში გაჰყვა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ პერიოდებს, იცვლება დამოკიდებულება რაიონის კულტურის სფეროს მისამართით მთლიანობაში და დღის წესრიგში დგება საკითხი რაიონის დასახლებებში კულტურული ახალი კერების მშენებლობათა შესახებ. დაცული დოკუმენტები აშკარად მიუთითებენ სფეროში ხედვის შეტრიალებისა და ფუნქციონალური დატვირთვის გაზრდაზე. აქცენტი გადავიდა (გაკეთდა) ახალგაზრდობის განსაკუთრებულად და მოსახლეობის თავისუფალი დროის სწორად და მიზანმიმართულად გამოყენებაზე, ახალგაზრდობის სურვილის მიხედვით ჩართვაზე მხატვრულ თვითშემოქმედებით კოლექტივებში, რომელმაც სასწავლო დაწესებულებებთან ერთად განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა. საქმიანობის მიმდინარეობა განიხილებოდა რაიონის შესაბამის უმაღლეს ორგანოებში და ისახებოდა გზები მისი გაუმჯობესებისათვის. ამას ემთხვევა, როგორც ითქვა, რაიონის ეკონომიკის გაჯანსაღებაც და მთლიანი კულტურის სფეროს დაფინანსების თანმიმდევრული ზრდაც, რომელსაც რაიონის ბიუჯეტი სრულყოფილად უმკლავდებოდა. მასში შედიოდა მატერიალური ბაზის სრულყოფაც, შესაბამისი რეკვიზიტებით უზრუნველყოფა და ა. შ. ამ პირობებიდან გამომდინარე გაეზარდა ფუნქციური დატვირთვა ვანის კულტურის სახლსაც (შემდეგში კულტურის ცენტრსაც) და იგი იქცა მთლიანად ქსელის მეთოდური კოორდინაციის ცენტრად. ამ პრიზმაში განიხილებოდა მისი საქმიანობაც.

ვანის კულტურის სახლის საქმიანობის მიმართულებანი ჯეროვანი დაფინანსებით თითქმის მთლიანად შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1965 წელს აღდგენილ იქნა 1960-იანი წლების დასაწყისში გაუქმებული ვანის რაიონი და მისი პირველი ხელმძღვანელი გახდა გივი ყიფიანი -გამოცდილი, დაუზარელი, მრავალმხრივ ერუდირებული პიროვნება. აქედან მოყოლებული, ვანის კულტურის ცენტრის მოქმედებაც გადავიდა ახალ მოთხოვნათა საფეხურზე და სოციალურ-პოლიტიკურ სისტემათა ცვლამდე (1991 წლამდე) მას პრიორიტეტები არ დაუთმია და იგი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, აღმოჩნდა რაიონის ყველა სოფელში განლაგებული (არსებული) კლუბების, კულტურის სახლების, მათი თვითშემოქმედებითი კოლექტივების მეთოდური და შინაარსობრივი საქმიანობის მეთოდური ცენტრიც, სადაც მაშინდელ კულტურის განყოფილებასთან და მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ეწყობოდა მთლიანი ქსელის შემოქმედებითი კოორდინაცია, ახალგაზრდობის მოზიდვა და მათი ზიარება ხელოვნების სხვადასხვა დარგებისადმი. როდესაც ამ ორი მიმართულების ფენომენზე და მასთან დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, ხაზგასმა უნდა გაკეთდეს იმაზეც, რომ ამ მხრივ ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო აგრეთვე სასკოლო თვითშემოქმედებით კოლექტივებზეც, საიდანაც სათავეს იღებდა სცენის მოყვარულთა საქმიანობის უწყვეტობაც, დაინტერესებაც და სცენასთან წილნაყარობაც. ამ მომენტში ვანის კულტურის სახლის კოლექტივი, ყოველთვის იყო მოწოდების სიმაღლეზე თავისი კადრებით, დახმარების პათოსით ახალგაზრდების მისამართით და მიზანმიმართულებით. საქმიანობაც ამართლებდა – არაერთი სასკოლო კოლექტივი წარმოჩინდა ამ დროს და არა მარტო რაიონული მასშტაბით. გაბედულად უნდა ითქვას, რომ ეს იყო ეროვნული ღირსებებით აღზრდის, ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირების თვალსაჩინო მაგალითი. ეს საქმიანობა ყოველთვის ყურადღების ქვეშ მყოფი, ხელშეწყობილი იყო და სათანადოდ კონტროლდებოდა კიდევაც. აქვე საყურადღებოა კულტურის სახლის სასემინარო მუშაობის სტილი და საქმიანობაც, რომელიც სპეციალური განრიგით კულტურის სამინისტროდან მოწვეული სტუმრების ჩართულობითაც ტარდებოდა, რომელშიც აგრეთვე ჩართული იყო რაიონის ყველა სოფლის კლუბისა და ბიბლიოთეკის გამგე, კულტურის სახლების დირექტორები. ანალიზი უკეთდებოდა მათ მიერ გაწეულ საქმიანობას. აქვე ეწყობოდა საჩვენებელი ღონისძიებებიც და გაწეული მუშაობის შესახებ აზრთა გაცვლა და გაზიარება. ბევრი გახმაურებული და კლასიკური სახის სპექტაკლი დაიდგა იმდროინდელი კულტურის ცენტრის სცენაზე, რომელთაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ისაკი აბრამიძე, სოლომონ შარაშენიძე, სერგო გიორგაძე, შიო გიორგაძე, კაპიტო გიორგაძე, დავით ნიკოლეიშვილი, ნუცა გაბუნია. 1943 წლიდან კი

კულტურის სახლის უცვლელი დირექტორი და რეჟისორი გახლდათ ლევან გერსამია. მას ჯერ კიდევ 1936 წელს, კულტურის სახლის სპექტაკლში „სურამის ციხე“ განუსახიერებია ბატონის როლი (რეჟისორი ცნობილი ქართველი მსახიობის, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის იპოლიტე ხვიჩიას ძმა – საშა ხვიჩია) მაშინდელ დრამატულ დასში მონაწილეობდნენ: თამარ და მიშა კალანდაძეები, მარგო და ვლასი ტყეშელაშვილები, ბიჭიკო ყრუაშვილი, ნოდარ გიორგაძე, ლევან გერსამია, სიმონ (ბუჭუნა) ჩიჯავაძე, ვალოდია და ბორის ჟღერიები, ვასილ როხვაძე, იულია აბრამიძე, თამარ გიორგაძე, მარო სანადირაძე, შოთა კალაძე, ვალოდია ქვათელაძე, პეტრე და ოთარ ახვლედიანები, შალვა ტყეშელაშვილი. შემდეგ დაემატა თინა და ბუჭუტა კორძაძეები, დავით მაღლაკელიძე, ვახტანგ (ჭუტუია) შარაშენიძე, ტიტე ტყეშელაშვილი. პიესის მოკარნახე იყო თალიკო ლანჩავა (შემდეგში რაიონული აღმასკომის საერთო განყოფილების ხელმძღვანელი). მდიდარი იყო მაშინდელი თეატრალური დასის რეპერტუარიც: ალ. ყაზბეგის „არსენა“ და „ელეონორა“, ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, ვ. გუნიას „და-ძმა“ და დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და ა.შ.

1946 წლიდან თეატრალურ დასში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქალბატონები: ნინა ხავთასი, თამარ კორძაძე, ნათელა ტორონჯაძე, თამარ ილიას ასული კორძაძე, თამრიკო შარაშენიძე, ია გოგაბერაშვილი, დოდო ნიკოლეიშვილი, დოდო სურგულაძე, ნონა ბერიშვილი, ლუარა თათელიშვილი, ნათელა ქავზინაძე, ლეილა მიქელთაძე, ნატო ცხვარაძე, მაყვალა ფანცულაია. ბატონები: პავლე თუთარაშვილი, რეზო ლასხიშვილი, ანდრო აბრამიძე, მიშა თეთროქალაშვილი, ზებედა ჯაფარიძე, ვლასი შალამბერიძე, ჟორა როხვაძე, ჟორა ლასხიშვილი, თენგიზ გიორგაძე, აკაკი ღვინიანიძე, ჟორა ცინცაძე, იური კორძაძე, გივი ბოცვაძე, ზაურ და თორნიკე სულაბერიძეები, ანზორ გიორგაძე, მურთაზ პირველაშვილი, თემურ როხვაძე, უჩა მიქელთაძე, ბადრი მეფარიშვილი, ბადრი ტყეშელაშვილი, თამაზ დვალიშვილი, კუკური შენგელია, უმგერი როხვაძე, ვლადიმერ ადეიშვილი, ჯამლეთ ბელთაძე, ზაალ მინაშვილი, ამირან დვალიშვილი, ნუგზარ გურიელი, ალეკო ხურციძე, როდამ კაცაძე, გია ვერულაშვილი, პავლე ნამიჭეიშვილი, რუალდ ეფრემიძე, ხაჟო ჩახუნაშვილი და კობა მიხელაშვილი.

მას შემდეგ რაც ბატონი ლევან გერსამია გახდა ვანის კულტურის სახლის, შემდეგში კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ მსახიობთა მონაწილეობით, ლევან გერსამიას რეჟისორობით დაიდგა 60-მდე სრულტანიანი პიესა. მათ შორის: ალ. ყაზბეგის „არსენა“ და „ელეონორა“, შ. დადიანის „შურისძიება“ და „შენი ჭირიმე“, ა. წერეთლის „პატარა კახი“ და „ბაში-აჩუკი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, მ. გოგიაშვილის „გულსუნდა“, ქ. ხაფავას „მზექალა“, შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, ანანიაშვილის „მეგობრობა და სიყვარული“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ფორსის „დამნაშავენი“, ლ. მილორავას „კერპჯიუტა“, ე. ნინოშვილის „ქრისტინე“, ალ. ჩხაიძის „სამიდან ექვს საათამდე“, ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, მაკაონევის „ტრიბუნალი“. საესტრადო ჟანრის სპექტაკლები – ნ. ხუნწარიას და გ. ცაბაძის „ზოგი რამ ზოგიერთებზე“, „წკეპელა“, „ვიყოთ გულახდილები“, „ხუმრობას ნუ ეხუმრები“ და „სათქმელი უნდა ითქვას“. აგრეთვე, რეჟისორ ხაჟომია ჩახუნაშვილის მიერ განხორციელდა ალ. აფხაიძის „ბაყუჩიას ოინების“ დადგმა.

ვანის კულტურის სახლში ადგილობრივებთან ერთად მუშაობდნენ მოწვეული რეჟისორები: ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრიდან – მურმან ფურცხვანიძე, სამტრედიის კულტურის სახლიდან – ბიჭიკო ტორონჯაძე და მათ მიერ დაიდგა კიდეც სპექტაკლები – „საბრალდებო დასკვნა“ და „ყვარყვარე თუთაბერი“ და ა.შ..

კულტურის სახლის თეატრალურ დასს საუკეთესო რეპერტუართა მომზადებისა და მაყურებლამდე ღირსეულად მიტანის გამო, 1978 წელს სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა შემდეგი პიესების დადგმით: ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, როსტომაშვილის და ანანიაშვილის „მეგობრობა და სიყვარული“, ალ. ჩხაიძის „დაბრუნება“, ნ. ხუნწარიას და გ. ცაბაძის ლიტერატურულ-მუსიკალური ნაწარმოები „წკეპლა“.

სახალხო თეატრში მხატვრებად მუშაობდნენ: ალ. კოპალეიშვილი, თენგიზ კილაძე, ზაურ

სულაბერიძე, მამია დადუნაშვილი, ელგუჯა ჭაფოძე, მუსიკალური გამფორმებელი რომან ახობაძე. წლების მანძილზე ადმინისტრატორად მუშაობდა მურთაზ პირველაშვილი. თეატრში სცენის მოყვარულებიც იყვნენ გაერთიანებულნი, რომელნიც სხვადასხვა ადგილებზე მუშაობდნენ. ორად ორი ადამიანი, რომელთაც კულტურის სახლის გარდა არსად უმუშავიათ იყვნენ ბატონი ლევან გერსამია, რომელმაც 58 წელზე მეტი იმუშავა და ნინა ხავთასი, რომელმაც 50 წელზე მეტი იმუშავა მხოლოდ და მხოლოდ ერთ ადგილზე. ლევან გერსამია ავტორია ორი პიესისა – „დღენი წარსულისა“ და „გამოტოვებული დღე“. ასევე ავტორია რამდენიმე ერთმოქმედებიანი პიესისა, სკეტჩებისა და ოთხი სიმღერისა. ნიჭიერებასთან და საქმისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებასთან ერთად, მათ მოწესრიგებული ჰქონდათ სცენაზე ჩაცმის ეტიკეტი. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტირება საწყის ეტაპზე სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული, სამსახიობო დასის სავიზიტო ბარათს დაუსრულებელი იუმორი და ოხუნჯობანი წარმოადგენდა. მათთვის სულერთი იყო როგორი იყო განწყობილება. ჯანსაღი იუმორი მათ ენერგიას მატებდა და მაყურებლის წინაშე ყოველთვის სიცოცხლისუნარიანნი წარსდგებოდნენ, ბოლომდე დახარჯულან მიუხედავად დაღლისა... იშვიათობა იყო 1950-1955 წლებში რომელიმე საკლუბო დაწესებულება ალპურ საძოვრებზე წასულიყო მწყემსთათვის მხატვრული მომსახურეობის გასაწევად, რადგან ასეთ სიმაღლეზე ან ფეხით უნდა ასულიყვნენ, ან ცხენებით. ხოლო შემდეგ, რაც ვანის რაიკომის პირველი მდივნის ბატონ გივი ყიფიანის თაოსნობით – სოფელ უხუთიდან გაყვანილ იქნა გზა ალპური საძოვრებისაკენ, შესაძლებელი შეიქმნა სამანქანო გზის გავლით მომსახურებოდნენ არა მარტო ვანელ, არამედ აქვე კონცენტრირებულ სხვადასხვა რაიონის მწყემსებსაც.

თეატრალური ბაზის სრულყოფის გზაჯვარედინზე თანდათან გამოიკვეთა ახალი მიმართულებები. 1970 წელს კულტურის სახლში, ჩამოყალიბდა თოჯინების თეატრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქუთაისელი დიპლომანტი ნიკო გერაძე და დაიდგა ი. კალაძის საბავშვო სპექტაკლი „ყურშა ჩვენი ეზოს მშვენებაა“.

1960-იანი წლებიდან ფართო და პერმანენტული რეზონანსი მიიღო როგორც ადგილობრივმა რაიონულმა, ასევე ქვეყნის მასშტაბით მხატვრულმა შემოქმედებითმა ოლიმპიადებმა, რომლის ტრადიციად ქცევამ, უამრავი ნიჭიერი შემსრულებლის გამოვლენას შეუწყო ხელი. ეს იყო ერთ-ერთი (და ვფიქრობ, დღესაც აუცილებლობას წარმოადგენს ამ ტრადიციის აღდგენა) თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობდა მაშინდელი ხელისუფლება შეეკრიბა, წარმოეჩინა, შემოქმედებითი ნიჭით სავსე მიმოფანტული მარგალიტები საშემსრულებლო ნიჭისა და მონაცემების მიხედვით, წაეხალისებინა სხვადასხვა დაწესებული ჯილდოთი. მაშინ მაღალი შეფასების ღირსი ბევრი შემსრულებელი გახდა. მათ შორის, იყო კულტურის სახლთან არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი(შემდეგში კაპელა), რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ კომპოზიტორი შოთა მილორავა და მიხეილ ჩირინაშვილი. ასევე ცნობილმა ლოტბარები – პარმენ ბუხაიძე, გურამ ნამჩევაძე და პავლე თუთარაშვილი.

1979 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს ბრძანებით ვანის რაიონის მომღერალთა გუნდს – კაპელას „სახალხო გუნდის“ წოდება მიენიჭა. ამავე წლიდან გუნდს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი ლოტბარი გურამ ნამჩევაძე, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა საგუნდო რეპერტუარი და უფრო ღრმად აზიარა ქართული ხალხური ხელოვნების საიდუმლოებას. დაიხვეწა რეპერტუარი, ძირითადი ადგილი დაიკავა ეთნოგრაფიამ, მოხდა ხალხში გაბნეული სიმღერების შეკრება-აღდგენა, ამავე პერიოდს უკავშირდება „იმერული ნადურის“ სასიმღერო ნომრებში აღდგენა-ჩართვაც. წარმოჩინდა ვანის, სოფელ ყუმურის ეთნოგრაფიული გუნდი ასევე თავისი გახმაურებული „ნადურით“. ბოლო წლებში კი, ვანის მომღერალთა გუნდს ცნობილი ლოტბარი რობერტ გოგოლაშვილი ხელმძღვანელობდა. მათ მჭიდრო კულტურულ-შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ ლატვიის ქალაქებთან რიგასა და ცესისთან. ყოველწლიურად იღებდნენ მონაწილეობას სახალხო დღესასწაულში „სიმღერის ზეიმი“, სადაც ადგილობრივმა რადიოტელევიზიამ სრულად ჩაიწერა გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები. ასევე ლატვიის ქალაქების თვითმოქმედი ჯგუფებიც ხშირი სტუმრები იყვნენ ვანში და ძირითადად, ცენტრალურ

სტადიონზე მართავდნენ ერთობლივ კონცერტებს. 1980 წლიდან, ვანის მომღერალთა გუნდის საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწის შემდეგ, იწყება ამ გუნდის გასტროლები ევროპის ქვეყნებში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში. ვანის სახალხო გუნდის გასტროლები თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სიმღერებთან ერთად, პარიზის „საუკეთესო ჰანგების" რედაქციამ სიმღერის შექმნის ისტორიაც ჩაიწერა. სამადლობელი წერილები გამოქვეყნდა 1986 წლის 13 ივნისის „პრავდის" ნომერში, რომელმაც უფრო და უფრო გააფართოვა ანსამბლის ცნობადობის არეალი. ასეთი საქმიანობა და შედეგები იმდენად ცნობადი გახდა, ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრმა, უფრო მოგვიანებით მას შემაჯამებელი სტატია მიუძღვნა. ვთხოვეთ ეთნომუსიკოლოგს, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ მალხაზ ერქვანიძეს შეეფასებინა მიღწეული შედეგები სპეციალური სტატიით, რომელიც მალევე გამოაქვეყნა კრებულმა ,,მატიანემ" სათაურით ,,ვანის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები ზოგად ჭრილში". აქ ერთგან ვკითხულობთ:

„მრავალი გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზის გამო მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით კი, მის მეორე ნახევარში იმერული სიმღერა ჩრდილში მოექცა. ქალაქის ანსამბლების რეპერტუარში იყო მხოლოდ რამდენიმე იმერული სიმღერა. ძირითადად მღეროდნენ „ცხენოსნურსა" და „მგზავრულს". შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იმერლები ცხენზე ჯდომის და მგზავრულის მღერის მეტს არაფერს აკეთებდნენ. მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქართულ სინამდვილეში გამოჩნდა სამტრედიის უხუცესთა ანსამბლი „სანავარდო", ცოტა ხნის შემდეგ, კი ბორჯომის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულ ფოლკლორულ კონცერტებში გაიბრწყინა ავთენტიკურმა ფოლკლორულმა ჯგუფმა ვანის რაიონის სოფელ ყუმურიდან. მე წილად მხვდა ბედნიერება ძალიან ახლოს მედევნებინა თვალყური ამ ორი უნიკალური ჯგუფის მოღვაწეობისადმი. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ამ ორმა ანსამბლმა აღუდგინა დაკარგული ღირსება არა მარტო ქვემო იმერულ, არამედ ზოგადად იმერულ სიმღერას. „სანავარდო"-მ წარმოადგინა საზოგადოებისათვის სრულიად უცხო და მივიწყებული უნიკალური სიმღერები დახვეწილი გემოვნებითა და დარბაისლური საშემსრულებლო მანერით, ხოლო ყუმურის ფოლკლორული ჯგუფის მიერ შესრულებული „ნადური", რომელიც ფართო მსმენელმა პირველად ბორჯომში მოისმინა, იყო ნამდვილი „გლეხური" სიმღერისა და ხალხური საშემსრულებლო მანერის ფეიერვერკი. ეს ნადური უდაოდ ერთ-ერთი საუკეთესოა ზოგადად ქართულ ნადურებში. ყუმურის გუნდს ხელმძღვანელობდა შესანიშნავი ლოტბარი და მთქმელი გივი ჭაფოძე. სხვათა შორის, ეს გუნდი იყო საქართველოში ბოლო ვინც ცოცხლად ასრულებდა ნადურს ყოფაში – ყანის თოხნისას.

1850-იანი წლებიდან ქალაქ ქუთაისში წარმოიშვა და თანდათან თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა ქართული ქალაქური სიმღერების იმერულმა შტომ. მეტიც – ზოგან ისე გაბატონდა, რომ ტრადიციული გლეხური რეპერტუარიც კი დაჯაბნა. ეს ტენდენცია საერთოდ არ შეხებია ვანის რაიონის ფოლკლორს. ამ რაიონმა ბოლო დრომდე შეურყვნელად მოიტანა თავისი კუთხის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები. ვანის ტრადიციული სასიმღერო მუსიკალური ენა განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს გურულთან; თუმცა აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ რომ ქართულ ფოლკლორში იმერული სიმღერის ვანის კილოკავს გამორჩეული ადგილი აქვს: განუმეორებელი კოლორიტით, სიმღერების ორიგინალური ვარიანტებით, საშემსრულებლო ხერხებითა და მანერით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია სოფლები: დუცხუნი (ყუმური), ტობანიერი და სულორი. ეს სოფლები მუდამ სამართლიანად იწვევდნენ სპეციალისტთა ინტერესს. 1980-90-იან წლებში არაერთი ფოლკლორული ექსპედიცია მოეწყო, მათ შორის ჩემ მიერაც და გამოიცა კიდეც აქაური ფოლკლორული ჯგუფების აუდიოჩანაწერები. 2000-იან წლებში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდიით ჩაიწერა ყუმურის, სულორის, „სულორისა" და ტობანიერის „ადილას" რეპერტუარი. ამ ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში, ბუნებრივია შეიცვალნენ, შემსრულებლები თუმცა რეპერტუარი ძირითადად ტრადიციული, ადგილობრივი შენარჩუნდა".

მაღალი საშემსრულებლო დონით გამოირჩეოდა ვანის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „საჩინო“, კომპოზიტორ ლევან ტყაბლაძის ხელმძღვანელობით. ისინი წარმატებით მოგზაურობდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც – საფრანგეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, იტალიაში. რაიონში ჩატარებულ ღონისძიებებში წამყვანი ადგილი ეჭირა ზემოთ ხსენებული სამეულის ტანდემს – სახალხო თეატრს, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლსა და ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „საჩინოს“. გალაკტიონის და კორნელი კეკელიძის საიუბილეო, ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების ჩატარება, პოეზიის საღამოები, პოეზიის დღესასწაულების სახით, ახალი დროის „არგონავტებთან“ შეხვედრა 1984 წლის 24 ივლისს და სხვა უამრავ ღონისძიებას, ისინი თავისებურად, ესთეტიურად ალამაზებდნენ და სანახაობრივს ხდიდნენ. 1960-იანი წლებიდან კი, ვანის კულტურის სახლს შეუერთდა, ვანის მუსიკალურ სკოლაში ჩამოყალიბებული (ალვინა გოგოძის მიერ) საესტრადო ხელოვნების ჯგუფი, რომელიც სულ მალე ქვეყნის მასშტაბით გახდა პოპულარული დახვეწილი რეპერტუარითა და შემსრულებლებით. ამ ანსამბლს ჯერ კიდევ ადრე, 1966 წელს ჩაეყარა საფუძველი. ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „საჩინოს“ მხატვრული ხელმძღვანელი იყო მიშა თეთროქალაშვილი, მუსიკალური ხელმძღვანელი ჯემალ მიმინოშვილი. ანსამბლის წევრები იყვნენ ვიოლეტა ნიკოლეიშვილი, ლონდა ძიძიგური, ნანა ნუგზარიშვილი, ნოდარ ბაღდავაძე, როდამ ლილუაშვილი, არჩილ გერსამია. შემდეგ დაემატა: ინეზა სოსელია, თამრიკო შარაშენიძე, ნინო ლობჟანიძე, ბადრი მეფარიშვილი, თამაზ და ანზორ დვალიშვილები, ანზორ მოშიაშვილი, აკაკი თეთროქალაშვილი, გრამიტონ ნემსაძე, უჩა მიქელთაძე და ნინო ჩახუნაშვილი. ანსამბლს ექვსი წელი ლეო ტყაბლაძე ხელმძღვანელობდა. მხატვრული ხელმძღვანელები იყვნენ იური კორძაძე და ბადრი მეფარიშვილი. დროის ამ მონაკვეთში მათ პირველ საკავშირო ფესტივალში მეორე ხარისხის დიპლომი მიიღეს. ერთი წლის შემდეგ კი საკავშირო მიღწევათა გამოფენის მონაწილე და დიმპლომანტი გახდა. ანსამბლი ხშირად იმყოფებოდა საგასტროლო მოგზაურობაშიც. „საჩინოს“ ძლიერი შემსრულებლები ჰყავდა: დოდო სურგულაძე, თემურ როხვაძე, ბადრი მეფარიშვილი, ირინე სიმონეიშვილი, პავლე ნამიჭეიშვილი, უშანგი ხურციძე და პავლე დიასამიძე. საუკეთესო ინსტრუმენტალისტები იყვნენ: გენო კილაძე, თომა კარანაძე, თამაზ ნემსაძე, ზაზა კვინიკაძე, მარგალიტა ბათაშვილი, გია ვერულაშვილი, ზამირ შალამბერიძე, ანზორ დვალიშვილი, მალხაზ აბრამიძე და სხვები. ყველაზე დიდი წარმატების მომტანი კი 1989-1990 წლები იყო, როდესაც ანსამბლ „საჩინოს“ მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება. ისინი იმათ რიგს მიეკუთვნებოდნენ, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს ეს წოდება. ისინი მიწვეულნი იყვნენ პოლონური სიმღერების ფესტივალში (ამ დროს ანსამბლის დირიჟორი იყო თემურ როხვაძე, კონსულტანტი, კომპოზიტორი ნუგზარ ედილაშვილი), სადაც ისინი ლაურეატები გახდნენ, ხოლო ცოტა ხანში „საჩინო“ მიიწვიეს მობილური საკავშირო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ქალაქ ვიტებსკში გაიმართა და როგორც ყოველთვის, აქაც დიდი წარმატება მოიპოვა. აღსანიშნავია, მათი შთამბეჭდავი დიდებული რეპერტუარით დახუნძლული გასტროლები, მაშინდელი რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში, მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელიც უმაღლესი შეფასებებით მთავრდებოდა. მათზე იწერებოდა ოფიციალურ პრესაშიც და რაც არ უნდა იშვიათად მოგვეჩვენოთ, მათზე მასალა გააშუქა გაზეთმა „პრავდამაც“.

1960 წლიდან კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივიდან იქმნება საესტრადო ჯგუფი შემდეგი წევრებით: ნინა ხავთასი, თინა და თამარ კორძაძეები, ლევან გერსამია, ვასილ როხვაძე, პავლე თუთარაშვილი, რეზო ლასხიშვილი, ზაურ და თორნიკე სულაბერიძეები, ანზორ ჭვალაძე. აკომპანიატორები: ლიანა ნიკურაძე, იზიდა ჯანელიძე და ვასილ როხვაძე. გარკვეული დროის შემდეგ დაემატა დოდო სურგულაძე, მურთაზ პირველაშვილი, ლუარა თათელიშვილი, ნონა ბერიშვილი და ჯამლეთ ბელთაძე. მათი მდიდარი და მრავალფეროვანი პროგრამებით კონცერტები არა მარტო ვანში, არამედ ისეთ ქალაქებში იმართებოდა როგორიცაა ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ხობი, მარტვილი, აბაშა, საჩხერე, სამტრედია, ჩოხატაური, ბაღდათი, ონი, სენაკი, ხონი და ენგურჰესი. გასვლითი კონცერტები ეწყობო-

და აგრეთვე კურორტებზე: საირმე, წყალტუბო, სულორი, ამაღლება, ბახმარო, უწერა, შოვი, ცაიში, მენჯი და ა.შ. დასავლეთ საქართველოს თითქმის არცერთი ქალაქი და სოფელი არ დარჩენილა საესტრადო ჯგუფის კონცერტის ჩატარების გარეშე. მოწონება და პატივისცემა კი ყოველთვის თან ახლდა მათ.

1977 წლის 18 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში რესპუბლიკური კურსების მსმენელთათვის, კულტურის სახლის მხატვრული კოლექტივის ძალებით, გაიმართა საჩვენებელი კონცერტები. **აღსანიშნავი და დღესაც გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კონცერტი მაღალ მხატვრულ-იდეურ დონეზე ჩატარდა. ეს კი, იმაზე მეტყველებს, რომ კულტურისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში მოთხოვნადი იყო მაღალი დონე და ყველაფერი უმაღლესი კლასის კრიტერიუმებით ფასდებოდა. ამ შესანიშნავი ინიციატივის გამოჩენისა და კონცერტის მაღალმხატვრულ დონეზე ჩატარებისათვის, კულტურის სამინისტროს მიერ მადლობა გამოეცხადა ვანის კულტურის განყოფილების სრულ შემადგენლობას მონაწილეებთან ერთად, რაც დღესაც მაგალითი უნდა იყოს კულტურის სახლის მოღვაწეთათვის**.

ვანის კულტურის სახლის შემოქმედებით სრულყოფაში მნიშვნელოვანი წილი დადო ქართულმა ქორეოგრაფიამ. იგი წლების მანძილზე მიემართებოდა აღმავალი ხაზით. 1957 წელს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს მიენიჭა პირველი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება. ისინი ყველა რესპუბლიკურ ოლიმპიადასა და ფესტივალში იღებდნენ მონაწილეობას. მრავალჯერ არიან დაჯილდოებული პირველი ხარისხის დიპლომითა და სიგელით. ამასთან ორგზის საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატებიც გახდნენ. მათ შემოქმედებაში ახალი სიტყვა იყო 1967 წელს მათ მიერ წარდგენილი გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, სადაც მთავარ როლს კულტურის სახლის დირექტორი ლევან გერსამია ასრულებდა და წარმოჩინდა როგორც ღირსეული სიახლე ვანის კულტურის სახლის შემოქმედებაში. ასევე აღსანიშნავია, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სურათი „უკვდავების თასი“ (ლიბრეტო თამაზ ფერაძის, მუსიკა-მიხეილ ჩირინაშვილის, ქორეოგრაფიული დუეტი აზა დვალიშვილისა და მამუკა აბრამიძის შესრულებით). ვანის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, ჯერ კიდევ ადრე, 1936 წლიდან შექმნის პირველი დღეებიდანვე დაიმსახურა უანგარო სიყვარული და პატივისცემა. 1938 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა თბილისში ჩატარებული მხატვრული კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაში და საკმაო პოპულარობაც მოიპოვა. ამ პერიოდში ანსამბლს სათავეში ედგნენ: ლოტბარი – ანესტი იმერიდი, ქორეოგრაფი გურამ პიპინაშვილი. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ მიმართულებით განუსაზღვრელი სამუშაო შეასრულეს ქორეოგრაფებმა გრილიონ ტუღუშმა, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა უჩა დვალიშვილმა. მოწვეული კონსულტანტები იყვნენ: ავთანდილ თათარაძე, მიხეილ შუბაშუკელი, ზაურ ასათიანი, ალექსანდრე ჯიჯეიშვილი და ზაურ ლაზიშვილი. პროფესიონალთა ძალისხმევით თანდათანობით გაცოცხლდა ძველი კოლხური და თანამედროვე ქართული ცეკვები, ქორეოგრაფების – მიშა ნამიჭეიშვილის, სულიკო კორძაძის, რეზო ნიკოლეიშვილის, იონა ნამიჭეიშვილის, ქეთო კორძაძის, კოკი ნაფეტვარიძის, ინგა თოდრიას, ინგა უჯმაჯურიძის, ჯონი თუთარაშვილის, ანზორ ჭვალაძის, გია გრიშაშვილის მიერ. აგრეთვე, მოწვეული ქორეოგრაფების – ზაურ ასათიანის, გრილიონ ტუღუშის და ქორეოგრაფიული კონსულტანტის პროფესორ ავთო თათარაძის ძალისხმევით მომზადებულმა ცეკვებმა ბევრს შეაყვარა ქორეოგრაფია და ზოგიერთი გამოჩენილი ქორეოგრაფიც კი გახადა. ვანის კულტურის სახლის სცენაზე აიდგა ფეხი ქორეოგრაფიაში დიხაშხოელმა უჩა დვალიშვილმა. იგი დღეს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის გამგე, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ანსამბლ „როკვას“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია(სახელმწიფო ფილარმონიის წინ მისი ვარსკვლავიცაა გახსნილი)

როგორც აღვნიშნეთ, კულტურის სახლში წლების მანძილზე ფუნქციონირებდა ქორეოგრაფიული სტუდია გრილეონ ტუღუშის ხელმძღვანელობით. ნორჩ მოცეკვავეებს დიდი

წარმატება ხვდა წილად სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ქალაქ მოსკოვში. ბრწყინვალე შესრულებისთვის ანსამბლის ყველა წევრი გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომითა და სამკერდე ნიშნებით დააჯილდოვეს. არაჩვეულებრივი წარმოდგენები აჩვენეს ასევე ქალაქებში – რუსო, როდოპი და სოფია. 1984 წელს, როდესაც ვანს ცნობილი მოგზაური და მეცნიერი ტიმ სევერინი ეწვია რიონის სანაპიროებიდან, სწორედ სახალხო გუნდი მიეგება მას ქართული ტრადიციული მრავალჟამიერით – ბატონი ლევან გერსამია ეროვნულ სამოსში შემოსილი, ღვინით სავსე დოქით და ყანწით ხელში, მოცეკვავე მამუკა აბრამიძე, ქართული კაბით შემოსილი უმშვენიერესი მარიკა ლასხიშვილი და ნინო თუთარაშვილი. ქართული ხალხური სიმღერის ქალთა და მამაკაცთა ანსამბლის გამოსვლები, რესპუბლიკური დონის ღონისძიებებზე არაერთხელ აღნიშნულა საპრიზო ადგილებითა და შესაბამისი ჯილდოებით. ბოლოს კი, ამ ბაზაზე ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის კაპელა, რომელმაც წარმატებული გასტროლებით მოიარა არა მარტო მაშინდელი მოკავშირე რესპუბლიკების სცენები, არამედ აღმოსავლეთ ევროპის არაერთი ქვეყანაც. ხოლო 1989-90-იან წლებში სპეციალური მოწვევით გამოვიდა იტალიისა და საფრანგეთის სცენებზე ხალხური ფოლკლორის დღესასწაულებზე. **ეს იყო მძლავრი პროპაგანდა ქართული ხალხური შემოქმედებისა, მისი ფუძისა და ძირის დაცვისა**.

კულტურის სახლში წლების მანძილზე ფუნქციონირებდა ფოლკლორის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოეტი, ბატონი აკაკი თევზაძე.

როგორც ზემოთ აღინიშნა საშემსრულებლო რეპერტუარში უპირატესი აქცენტი გადატანილი იყო ხალხურ შემოქმედებაზე, რომ შენარჩუნებულიყო მისი ფუძე და ეს ხდებოდა ხალხურ შემოქმედთა ძალების რაიონული დათვალიერების სახით. ამ მიმართულებით კულტურის სახლის დირექციის ძალისხმევით სისტემატურად ეწყობოდა ხალხური პოეზიის საღამოები, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ ხალხურ-მთქმელები, საოჯახო ანსამბლები და ცალკეული მომღერლები. ამავდროულად მონაწილეობდნენ კიდეც ზონალურ დათვალიერებაში დევიზით „გული მღერის“, ქუთაისის, ზესტაფონის, ლენტეხის, წყალტუბოს, ხონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერისა და ბაღდათის საოჯახო ანსამბლებთან ერთად. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფოლკლორული ანსამბლების საერთაშორისო დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო აშშ-ის მიჩიგანის შტატის ანსამბლმაც. ასევე სულორის, ტობანიერის, დუცხუნისა და ვანის ფოლკლორულმა ანსამბლებმა. როგორც ითქვა, „დუცხუნის ნადური“, ქართული ხალხური ფოლკლორის ისტორიაში ჩაიწერა, როგორც ერთ-ერთი უნიკალური, ორიგინალური ნიმუში.

ვანის კულტურის სახლის დამსახურებაა შუამთის პროფსასწავლებლის თეატრალური კოლექტივის შემოქმედებითი სრულყოფაც. 80-იან წლებში ვანის რაიონული კულტურის სახლის სცენაზე, შუამთის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის თეატრალურმა დასმა წარმოადგინა თავისი პირველი სპექტაკლი, ორმოქმედებიანი პიესა „დედის ვარამი“, რომელიც მურთაზ პირველაშვილის რეჟისორობითა და ლევან გერსამიას კონსულტაციით დაიდგა. პროფტექსასწავლებლის მოსწავლეთა თვითშემოქმედებით დათვალიერებაზე სპექტაკლი გამარჯვებულად სცნეს და პირველი ადგილიც მიაკუთვნეს. ეს სპექტაკლი გახდა გზამკვლევი, რომ შემდეგში ამ დასის ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მუშების თეატრი – პირველი ამ სახის სასწავლებელთა შორის. მისი არაერთი დადგმა ნაჩვენები იქნა ქალაქ თბილისში და ჰქონდა უზარმაზარი მხარდაჭერა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სახელმწიფო კომიტეტისგან, რომელსაც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდა ბატონი იპოკრატე შევარდნაძე. შემდეგი კომედიური ჟანრის სპექტაკლი მ. პირველაშვილის რეჟისორობით – „ამბავი ორი ბიჭისა“, ორჯერ დაიდგა კულტურის სახლის სცენაზე, ხოლო ერთხელ თბილისში, თვითშემოქმედებით დათვალიერებაზე, სადაც პირველი ადგილი დაიმსახურეს. 1983 წელს, თეატრის პოპულარობა რაიონის ფარგლებს გასცდა, როდესაც დასმა (რომლის შემადგენლობაშიც უკვე პედაგოგებიც იყვნენ), ორჯერ წარადგინა მ. პირველაშვილის მიერ ინსცენირებული პიესა „ღირსების მსხვერპლი“. თავის პროფესიონალიზმში დარწმუნებულებმა, მომდევნო ჩვენებაზე, ვანის კულტურის სახლში მოიწვიეს მაღალი დონის სტუმრები კულტურის სამინისტროდან, საქართველოს ტელე-რადიო და პროფ-ტექ-განათლების სახელმწიფო კომიტეტებიდან. აგრეთვე ცნობილი

მსახიობები და ჟურნალისტები. „ამ დღეს ჩვენ ფურორი მოვახდინეთ. არ დამავიწყდება მათი ემოციები და ფრაზები: ნუგზარ ფოფხაძის – „მე ვნახე საოცრება“ და გოგი ხარაბაძის ინგლისის გასტროლებზე ჩვენი დასის გამგზავრების სურვილი“ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სადაც სპექტაკლის დასრულების შემდეგ, აღფრთოვანებულმა სესილია თაყაიშვილმა (ყველას სათაყვანებელმა ოლღა ბებიამ), ერთი წინადადება თქვა მხოლოდ – „დედაა, ეს რა ვნახე“... სპექტაკლი საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტმა ჩაიწერა. მოსწავლეთა შემოქმედებით ჯგუფს მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე ოთხგზის რესპუბლიკური და ორგზის საკავშირო ფესტივალების ლაურეატობა, ოქროს მედლები და სხვადასხვა ჯილდოები.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ იმ დროისათვის ხშირად ტარდებოდა შემოქმედებითი მხატვრული ღონისძიებების როგორც ადგილობრივი, ისე ზონალური და რესპუბლიკური დათვალიერებები. სწორედ რესპუბლიკურ დათვალიერებებში მოიპოვა ვანის კულტსაზოგადოებამ ბევრი წარმატება და დაჯილდოვებულ იქნენ პირველი ხარისხის დიპლომებითა და სხვადასხვა ხასიათის სიგელებით, რაც სტიმულისა და ენერგიის უპირობო მაგალითი იყო მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების საქმეში. სწორედ ამ ღონისძიებათა სიმრავლემ, მაღალხარისხოვნებამ, მრავალფეროვნებამ, პროფესიულმა დონემ უბიძგა რაიონის მაშინდელ ხელისუფლებას ვანის კულტურის სახლის სრული რეკონსტრუქციის შესახებ და განახორციელა კიდევაც. პრაქტიკულად აგებული იქნა ახალი, თანამდეროვე სტანდარტების კულტურის სახლი გაზრდილი დარბაზის ტევადობით, სარეპეტიციო ოთახებით, ქორეოგრაფიული სტუდიით და ა.შ. მშენებლობის თანხები მთლიანად დაფარა რაიონულმა ბიუჯეტმა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, არაკომუნისტურ პერიოდში, დარბაზის შიგა ხედი რამდენადმე შეიცვალა მურად ახვლედიანის გამგებლობისას. აქვე უნდა ითქვას 1980-1990-იანი წლების კულტურის სფეროს მატერიალური ბაზის გამტკიცებაზე – ამ პერიოდში აშენდა შუამთის, ზეინდრის და რიგი სოფლების კულტურის სფეროს ახალი ობიექტები და ა.შ.

კულტურულ-ესთეტიკური ჩამოყალიბების ფარგლებში ჯდებოდა და გეგმიურ ხასიათს ატარებდა შეხვედრები ქვეყნის პროფესიულ აკადემიური თეატრების კოლექტივებთან, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებთან, თბილისის რუსთაველის, მარჯანიშვილის, ქუთაისის აჭარისა და აფხაზეთის თეატრალურ კოლექტივებთან, მსოფლიოში ცნობილ სუხიშვილების მოცეკვავეებთან და ა.შ. მათი თეატრალური ქორეოგრაფიული დადგმები წარმოადგენდა ე.წ. მასტერკლასებსაც რაიონის ახალგაზრდობისა და საზოგადოებისათვის. ჩვენ აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ არა მხოლოდ ვანში, არამედ ქვეყნის სხვა რაიონებშიც ქალაქებში მეტ ნაკლები ფორმით მოწესრიგებული იყო კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა და მასში ასაკობრივ ჯგუფებთან ერთად ახალგაზრდობის მოზიდვა, ამ მხრივ ესტაფეტის გადაცემა და ამ საქმეს რამდენადმე ურთიერთ შეჯიბრის ფორმაც ქონდა მიცებული. დავას არ უნდა იწვევდეს, რომ იმდროისათვის რაიონში კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალი იყო დ ისიც უდავოა, რომ მომხიბვლელობას მაღალი საშემსრულებლო დონე განსაზღვრავდა. ამჟამად აქ ჩვენ საუბარი არ მიგვყავს საწრეო მუშაობებზე. და აქვე უნდა ითქვას იმაზეც, რომ კულტურის სფერო რაიონში და კულტურის სახლიც, მუდმივი ყურადღების ქვეშ იყო ადგილობრივი ხელისუფლების იმ სამსახურიდან, ვისაც სხვა მიმართულებებთან ერთად, ამ სფეროს კურაციაც ევალებოდა და ნებისმიერ შემთხვევაში მისგან დახმარება და მხარდაჭერაც არ აყოვნებდა.

ვანის კულტურის ცენტრს 1994 წლიდან 2017 წლის 2 თებერვლამდე ხელმძღვანელობდა მურთაზ პირველაშვილი. 1994 წლიდან 2001 წლებში სამხატვრო ხელმძღვანელი იყო მაია მსხილაძე. 1994-1999 წლებში რეჟისორი გახლდათ ზაალ მინაშვილი. ამ წლებში ვანის სახალხო თეატრის სცენაზე დაიდგა შემდეგი სპექტაკლები: ნ. დუმბაძის „კუკარაჩა“ და „მზიანი ღამე“, ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“ და „მაგრამ უფლება არ მოუცია“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ქართული ფოლკლორის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „წუთისოფელი“, და მურთაზ პირველაშვილის ინსცენირებული პიესა „სიკვდილის შემდეგ გასაგზავნი ბარათები“. ამ წლებში თეატრალურ დადგმებში მონაწილე მსახიობები იყვნენ: რეზო ლასხიშვილი, თინა

კორძაძე, თინა ჯიმუტია, ქეთევან ადეიშვილი, მურთაზ პირველაშვილი, ზაალ მინაშვილი, ია თურაზაშვილი, პავლე ნამიჭეიშვილი, ზაალ ბურკაძე და უჩა მიქელთაძე. 2001-2002 წწ. სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ლელა ბარაქაძე, ხოლო 2010 წლიდან დღემდე ამ მოვალეობას გიგა ბუბუტეიშვილი ასრულებს. 2006 წელს დაიდგა ანა მხეიძის მოთხრობის მიხედვით შექმნილი პიესა„არჩევანი მე“, რომლის ინსცენირება ეკუთვნის მაია მსხილაძეს. 2015 წელს დაიდგა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ კოტე აბაშიძის რეჟისორობით, სადაც, იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც ტრადიციულად ყოველწლიურად ტარდებოდა, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვებულ იქნა აბელ სოსელია. 2016 წელს დაიდგა ლ. თაბუკაშვილის „მაგრამ უფლება არ მოუცია“ გიორგი სიხარულიძის რეჟისორობით და სპექტაკლის საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის დაჯილდოვდა ჯგუფი „არგო“. 2017 წელს დაიდგა პიესა შტეფან ცვაიგის მოთხრობის – „უცნობი ქალის წერილის“ მიხედვით (რეჟისორი აბელ სოსელია, ინსცენირება მაია მსხილაძის მიერ,), რომელიც საუკეთესო რეჟისორობისთვის დაჯილდოვდა. 2018 წელს ლაშა ლომჯარიას ინსცენირებითა და რეჟისორობით დაიდგა მარკ ტვენის „მკვდარია თუ ცოცხალიას“ მიხედვით შექმნილი პიესა, სადაც საუკეთესო მხატვრობისთვის დაჯილდოვდა თამაზ ნიკოლეიშვილი, ხოლო მამაკაცის საუკეთესო როლისთვის-ამირან შარაშენიძე.

2008 წელს კულტურის სახლში შეიქმნა ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფი „არგო“ გიგა ბუბუტეიშვილის ხელმძღვანელობით. ათკაციანმა ახალგაზრდულმა ჯგუფმა იმთავითვე მოიპოვა პოპულარობა და მსმენელის პატივისცემა. უდავოა, რომ ისინი განსაკუთრებული, განსხვავებული სტილით შემოვიდნენ ქართული საესტრადო მუსიკის სივრცეში და საქართველოს თითქმის ყველა რადიომაუწყებლობის მოთხოვნადი და ხშირი სტუმრები არიან. 2015 წელს გასტროლებზე იმყოფებოდნენ ჩეხეთში, გერმანიასა და საბერძნეთში. გერმანიაში - ბერლინში, ხოლო საბერძნეთში ემიგრანტებისთვის გამართეს კონცერტი. პრაღაში კი მონაწილეობა მიიღეს ფესტივალში ,,კავკასიის არწივები“, სადაც დაჯილდოვდნენ პრიზით ,,საუკეთესო გამოსვლისთვის“.

მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, ისიც რომ ვანის კულტურის სახლში შეიქმნა ტრიო ,,სავანე“ მალხაზ აბრამიძის, ლადო კახიანისა და გოჩა მარგველაშვილის შემადგენლობით(ხელმძღვანელი მალხაზ აბრამიძე) 2018 წლის ოქტომბერში, ზესტაფონში გამართულ ფესტივალზე ,,სულიკო-2018“, ტრიო დაჯილდოვდა პრიზით ,,საუკეთესო ჯგუფი“. (სამწუხაროდ, ბატონი გოჩა რამდენიმე ხნის უკან გარდაიცვალა და ტრიო დღესდღეობით აღარ ფუნქციონირებს).

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 2016 წელს ვანის ფოლკლორული გუნდის 80 წლის იუბილე აღინიშნა და ღონისძიების ინფორმაციული სრულყოფილების მიზნით დაიბეჭდა ბროშურა „ამღერებული ვანი“, გუნდის არსებობის მოკლე ისტორიითა და ინტელიგენციის გულთბილი მილოცვებით. ამ საქმის ინიცირება ეკუთვნის მურთაზ პირველაშვილს: „ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვანში პირველად გაჩნდა უჩვეულო სახის აფიშა, რომელიც იუწყებოდა, რომ ვანში ჩამოყალიბდა თეატრალური კოლექტივი „სხივი“ და გაიმართებოდა პირველი სპექტაკლი. ხელმძღვანელებად მოხსენიებული იყვნენ, იმხანად თბილისში მცხოვრები, წარმოშობით ვანელი და-ძმა ლორთქიფანიძეები.

ჟამთასვლამ ბევრი რამ შეცვალა ჩვენს ირგვლივ. შეიცვალა რა პოლიტიკური წყობა და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობაც, მალევე დატოვა თავისი კვალი განვითარების თითქმის ყველა სფეროში. ეს კულტურასაც შეეხო. მოგონებას მიეცა პერიფერიებში ანუ მუნიციპალიტეტთა ცალკეულ სოფლებში კულტურის ცენტრების არსებობა, რომლის შემადგენლობაშიც მრავალი ბიბლიოთეკა, კლუბი, კულტურის სახლი თუ სამკითხველო დარბაზი შედიოდა. კომპიუტერულმა ერამ, თითქმის მთლიანად მოსწყვიტა მომავალი თაობა უშუალო ურთიერთობებს, რეალურად (და არა ვირტუალურად) ესთეტიურ-კულტურული სიამოვნების მიღებას დინამიკაში, ცხოვრების მენიუდან ნელ-ნელა ამოვარდა საკუთარი თვალით ნანახითა თუ წაკითხულით მიღებული სიამოვნების განცდის შეგრძნება... ფეხაკრებით, ნაბიჯ-ნაბიჯ გამეფდა ირგვლივ ვირტუალური სამყარო, რაც ინტერნეტიზაციის უდიდესმა მიზიდულობის ძალამ გამოიწვია. ეს უდავოა, რადგან

სოციალურ ქსელებთან მარტოსულობამ და კარჩაკეტილობამ (ნატურალური, ბუნებრივი ადამიანური ურთიერთობების დავიწყებამ), თითქოს განცალკევებულ კუნძულზე გადაასახლა ძირითადი მასა, რამაც ადამიანთა ურთიერთობა ძალიან გააცივა და რობოტულ რეჟიმში გადაიყვანა. ეს დღესდღეობით მეტნაკლებად ეტყობათ, როგორც დიდ ქალაქებს, ასევე რიგ მუნიციპალიტეტებსაც. აქედან გამომდინარე, რამდენად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ პროცესებმა სოფლები თითქმის ულექს-უსიმღეროდ, უკლუბოდ, კულტურის სახლების გარეშე ანუ მასთან იავნანასავით შეზრდილი, პერიფერიებში წლების განმავლობაში არსებული კულტურული ცხოვრების გარეშე დატოვა...

ქართველები ყოველთვის ამაყობენ თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციებით და თუმცა საქართველო პატარა ქვეყანაა, იგი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესში. ინებოს უფალმა, რომ ვანს და სრულიად საქართველოს, ისტორიის წერის დროს არ დასჭირდეს თავის მართლება იმ საკითხში, რომ მსოფლიო კულტურის საძირკვლების შექმნის პროცესში, ქართველებს უდიდესი განზომილების წვლილი აქვთ შეტანილი და რომ ეს საქმე ღირსეულად უნდა გაგრძელდეს. აღორძინებას, წინსვლასა და გენიალური შედევრებით დახუნძლულ შემოქმედებით რეპერტუარს ვუსურვებთ საუკუნეს მიტანებულ ვანის კულტურის სახლს თავის თეატრალურ დასთან და მაყურებელთან ერთად. იმასაც ვისურვებთ, რომ აქ დადგმული ყოველი წარმოდგენა სავსე დარბაზითა და ანშლაგით დასრულდეს – ეს ხომ ყველა შემოქმედის ოცნებაა...

* * *

ფორმატი არ იძლევა საშუალებას განვლილი მუშაობის სრული ანალიზი წარმოვადგინოთ, თუმცა რაც ითქვა დამადასტურებელია იმისა, რომ საქმიანობა მიმდინარეობდა აღმავალი ხაზით და მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული და გათვლილი რაც კეთდებოდა და რისთვისაც კეთდებოდა. რა და როგორი მასშტაბით უნდა ჩამდგარიყო ახალგაზრდობის სულიერი, ესთეტიკური ზნეობრივი აღზრდის სამსახურში და ყოველივე ამას პარალელში მოჰყვებოდა მატერიალური ბაზის სრულყოფა რაიონული ბიუჯეტიდან და სათანადო ფინანსური დახმარებაც. არაა დასამალი შესაბამისი კონტროლიც, რომელიც გამორიცხავდა საქმიანობის შეფერხებას.

სამწუხაროდ 1990-იანი წლებიდან ქვეყანაში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან ამ პოსტულატებს მიება დინამიური განვითარების ჯერ შეფერხება, შემდეგ სტაგნაცია, საქმიანობის რამდენადმე გაუფერულება, ნიჭიერი მონაცემების მქონე ახალგაზრდების რაიონიდან გადინება, რის გამოც საქმიანობა გახდა ეპიზოდური და იგი ჩააღრმავა შეუსაბამო გადაწყვეტილებებმა, რასაც შედეგად მოჰყვა კულტურის მთლიანი სფეროს ნაწილობრივი მოშლა და ამას დაერქვა ე.წ. ოპტიმიზაციის პროცესი, რაც კულტურის ცენტრისა და საერთოდ კულტურის სფეროს მთლიანად, მითუმეტეს, ამ პანდემიის პირობებში გაჰყვა. დარწმუნებული ვართ სათანადო პირობების მომწიფების შედეგად იმ ძალებითაც კი რაც ეხლა კულტურის ცენტრს გააჩნია, სწორი კორდინაციიდან გამომდინარე ამ ტაძარს, ვანის კულტურის ცენტრს, შეუძლია დაიბრუნოს ძველი დიდება, შექმნას კიდევ უფრო საინტერესო და მომხიბლავი საყრდენები და გამოიტანოს მუნიციპალიტეტის და საერთოდ ქვეყნის წინაშე. კვლავ იქცეს მუნიციპალიტეტის კულტურულ-შემოქმედებითი სფეროს ახალგაზრდობასთან მუშაობის კოორდინატორად. ამის თანმდები შეიძლება იყვნენ საკმაო დიაპაზონის მქონე ადამიანები, თავიანთ მომხრეებთან და იმ ნიჭიერ ახალგაზრდობასთან ერთად, რაც საბედნიეროდ ჯერჯერობით შემორჩა, მუნიციპალიტეტისა და ვანის კულტურის ცენტრს, რომელთაც აქვთ უნარი უპირველესად შეკრან კოლექტივი, შემდეგში კი ყველაფერი გზადაგზა გამოჩნდება.

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲫᲔ – ჟურნალისტი

ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

საქართველოს გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა საბედისწერო ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში

„ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს.... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“ (ილია).

„მწარე სიმართლე“ – ამ რუბრიკით ჩვენს მკითხველს უკვე შევთავაზეთ ინტერვიუ, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარ სამარცხვინო პერიოდს – ტყვეთა სყიდვას შევეხეთ და აღვნიშნეთ, რომ ამგვარ სამარცხვინო ფაქტებს რატომღაც უგულებელვყოფთ და მტერსა თუ მოყვარეს მხოლოდ თავმოსაწონებელ ამბებს შევახსენებთ. ალბათ, ასე ფიქრობდა სულმნათი ილიაც თავის დროზე, როცა ამბობდა: „ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს....აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“; „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაასწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, – სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცაა? რაცა მქონდა, ის მოგართვი. როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე, თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან!“

არც ჩვენ გვეშინია ვისამე გულისწყრომის და თანამედროვეთ იმ „მრუდე სარკეს“ გთავაზობთ, რომელშიც კარგს ვერაფერს დაინახავთ, მაგრამ „ურიგობა რომ გაასწორო და ხალხში არ შერცხვე“, ამისთვის გამოგადგებათ.

სწორედ ესაა ჩვენი მიზანი – მუდამ გვახსოვდეს, რომ დაუსრულებელი შინაომების, ქიშპობის, ურთიერთმტრობის კვალდაკვალ საქართველოში შეირყა სარწმუნოება, მოიშალა მეურნეობა, მოსახლეობა კი გაჩანაგდა.

ნათქვამია, შეცდომებზე სწავლობენო...

ჩვენი სტუმარი – ისტორიკოსი, სოციოლოგი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი ავთანდილ დიასამიძე ამჯერად იმ მწარე სიმართლეზე მოგვითხრობს, რომელმაც თავის დროზე საქართველოს მესხეთი მოსწყვიტა.

– ბატონო ავთანდილ, 1578 წლის აგვისტოში ოსმალეთმა, ფაქტობრივად, დაასრულა სრულიად მესხეთის დაპყრობა. ეს იყო ეროვნული ტრაგედია – საქართველოს გამაერთიანებელი და გამთიშველი ძალების საბედისწერო ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში. ოსმალ დამპყრობთა და მოღალატე ფეოდალთა ძალისხმევით ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ძირძველი ქართული მხარე – მესხეთი, რითაც დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. როგორ ეცემოდა მესხეთი, რამ განაპირობა ოსმალობა რუსთაველის სამშობლოში?

– 1453 წლის 29 მაისს ოსმალეთის ჯარმა სულთან მეჰმედ II-ის სარდლობით აიღო კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის იმპერია დაეცა. ეს მოვლენა საქართველოსათვის საბედისწერო გამოდგა. ბიზანტიის მოსპობა და ოსმალთა გაბატონება კონსტანტინოპოლში საქართველოს დასავლეთისკენ მიმავალ მთავარ გზას უკრავდა და მაჰმადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალს არტყამდა.

1461 წელს კი ოსმალებმა ტრაპიზონის იმპერიაც დაიპყრეს. ასე რომ, საქართველოს სამხრეთით გაუმეზობლდა უბოროტესი ოსმალეთი, რომელიც განაგრძნობდა სხვადასხვა ქვეყნის დაპყრობას აღმოსავლეთ-დასავლეთით. მის ერთ-ერთ მიზანს ამიერკავკასიაში გაბატონება და, კერძოდ, საქართველოს დაპყრობა შეადგენდა და მას გამუდმებით ესხმოდა თავს. ,,დაიპყრა ხონთქარმან ტრაპიზონ-აზრუმი და ეკირთებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა", – წერს ვახუშტი ბაგრატიონი. XVI საუკუნის დასაწყისში კი საქართველოს მოადგა. ხშირი შემოსევების შედეგად საუკუნის ბოლოსთვის დაასრულა ოსმალთა მიერ მესხეთის ანუ ზემო ქართლის დაპყრობა.

ისტორიული წყაროები აქაც ბევრ ჩვენდა სამარცხვინო ფაქტს ინახავს. მესხეთშიც ეროვნული სულით ისევე დაშრეტილი თავადობა აღმოჩნდა, როგორიც იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში, კახეთსა თუ ქართლში, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ: **რომ არა შინაურთა ღალატი და ურთიერთგაუტანლობა ოსმალო ვარაფერს დაგვაკლებდა.**

– კონკრეტულად რას გულისხმობთ შინაურთა ღალატსა და ურთიერთგაუტანლობაში?

– იმის ნაცვლად, რომ კარსმომდგარ მტრებს – ოსმალეთსა და ირანს საქართველოს სამეფო კარი და სამთავროები ერთად შეკრული, გაერთიანებული ძალებით დახვედროდნენ, კარგად გაეთვალათ, გაეანალიზებინათ მოსალოდნელი საშიშროება, ფაქტობრივად, ცალ-ცალკე მოქმედებდნენ ქვეყნის, ხალხისა და საკუთარი თავის საზიანოდ... სწორედ ოსმალთაგან კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ საქართველო დაიშალა**: 1466 წელს კახეთის ცალკე სახელმწიფო წარმოიქმნა; ქართლი და იმერეთი ერთმანეთს 1489 წელს დაშორდნენ. ასე რომ, XV საუკუნის ბოლოსთვის საქართველო დაშლილი იყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და 5 სამთავროდ – სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის), გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის.** ამ მდგომარეობას ივანე ჯავახიშვილი ასე აფასებდა: „სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა საქართველოსათვის პოლიტიკურად დამღუპველი, კულტურულად დამაქვეითებელი და დამაკნინებელი იყოო".

სამარცხვინო იყო და ქვეყნის განადგურებას უწყობდა ხელს ის, რომ, მეტად რთული პერიოდის მიუხედავად, სამეფო-სამთავროები თანადგომისა და მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების ნაცვლად ერთმანეთს მტრობდნენ, ხშირად არბევდნენ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ხელნაწერი, რომელიც გვაუწყებს: **„საქართველოს დარბაისელნი ერთმანეთის მტერნი და ქიშპნი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ, თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ ვერცარას ურუმელი, ვერცარას სხვა მტერი აწყენდათ. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა".**

– რა ხერხს მიმართავდა ოსმალო ქართველთა შორის თანამოაზრეებისა და მხარდამჭერების საპოვნელად...

– ოსმალეთი თავისი ვერაგული მიზნის მისაღწევად ყველა ხერხს, ყველა ზომასა და ყველანაირ მეთოდს მიმართავდა მესხეთის მისატაცებლად: დაწყებული მესხი თავადაზნაურობის, ათაბაგების, სამღვდელოების მოსყიდვა-გადაბირებით, ცრუ დაპირებებით, დასრულებული მუქარით – თავის მოკვეთით თუ სხვ. ამ მხრივ მრავალ საინტერესო ცნობასა და ფაქტს შეიცავს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში ივანე გვარამაძის პირად არქივში დაცული ხელნაწერი წერილი „სამესხეთოს დაქცევა".

ივანე გვარამაძე გახლდათ XIX საუკუნის II ნახევრის სამცხე-ჯავახეთის ქართველთა პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და მრავალმხრივი მოღვაწე. მან წარუშლელი კვალი დატოვა მხარისა და მთელი საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებაში. ეთნოლოგი და პუბლიცისტი აღნიშნულ წერილში მიუთითებს: **„თუ ათაბეგს (ასე წერია დედანში – ა.დ.) ქართლისა და იმერეთის მეფეებსა და გურიელსა და დადიანისა ჰქონოდათ საზოგადო სარგებლობა და არა თავიანთი საკუთარი სარგებლობა, ოსმალო ვერასოდეს შემოადგამდა ფეხს ჩვენს ქვყანასა. სამწუხარო ის იყო უმწეობითა სამესხეთო ჰქრებოდა...**

ოსმალებმა, ბრძოლით რომ უძნელდებოდათ შემოსვლა სამესხეთოს დასარბევად, ადგი-

ლობრივ თავადაზნაურობას უწყეს მოსყიდვა მრავლის საჩუქრებით, უგზავნიდნენ კეკლუც ქალებს, არაბულ ცხენებს, ძვირფას თვალ-მარგალიტებს და მდიდრულ ტანისამოსს. უმისოთაც გარყვნილნი და დაცემული, ზნეობითაც ჰყიდებდნენ თავიანთ სამშობლოს მაჰმადიანებზედ, რომ იმათ ხელქვეშ მყოფთ მუდამ წელს ჰქონოდათ მათგან ძვირფასი საჩუქრები მოუკლებლად... მღვდლებსაც თავიანთი ვალდებულება დაევიწყნათ და სულით, გულით ვერცხლის მოყვარულობას შესდგომოდნენ ვაჭრობით, მათ დღე-ღამე მოსვენება აღარ ჰქონდათ". მესხეთის ათაბაგთა, თავადაზნაურთა და სამღვდელოების ასეთმა ქმედებებმა ეს მხარე პოლიტიკურად მოადუნა, დააუძლურა და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო მტერს მის დაპყრობაში.

– ვინ იყვნენ მაინც ის მესხი მთავრები და თავადები, რომლებიც გვერდით დაუდგნენ ოსმალ დამპყრობლებს, მათი სახელები ისტორიამ შემოგვინახა?

– სამწუხაროდ, ასეთი ცოტანი როდი იყვნენ.

მესხი თავადები ოსმალებს ხმლის მოუქნევლად აბარებდნენ ქართულ ციხე-ქალაქებს. **ქოია ამილახორისშვილმა** არტაანში 2 ციხე დაუთმო ოსმალებს, ხოლო **არფაქსათ ამატიკიშვილმა** ხერთვისი და მისი მეზობელი 5 ციხე მიართვა მტერს; ხახულიც უომრად ჩაბარდა ოსმალოს.

1510 წელს ოსმალთა დიდი ლაშქარი, რომელსაც სულთნის მემკვიდრე სელიმ ფაშა ედგა სათავეში, საქართველოს დასალაშქრავად გამოემართა. როცა ახალციხეს მიადგნენ ოსმალონი, მათ გამოეგებნენ სამცხის მთავარნი **დედისიმედი** და **ყვარყვარე** ათაბაგი და მოართვეს ქალაქის კლიტენი.

მზეჭაბუკ ათაბაგმა მტერს უბრძოლველად მორჩილება გამოუცხადა და თავისი სამსახურიც შესთავაზა. წარუძღვა მტრის ლაშქარს ათაბაგი და იმერეთს ჩაიყვანა. შემოდგომა იყო, ქვეყანა ამ მხრიდან შემოტევას არ ელოდებოდა, ამიტომ იმერეთის ახალგაზრდა მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს (1510-1556 წწ.), რომელიც ტახტზე ახალი ასული იყო, სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. მოსახლეობამ ძლივს მოასწრო გახიზვნა. ოსმალებმა გადაწვეს ქუთაისი, დაარბიეს ახლომახლო სოფლები და დაბები, დაწვეს ეკლესიები. მტრის მსახვრალ ხელს ამჯერად ვერ გადაურჩა დიდებული ბაგრატისა და გელათის ტაძრები. ზამთარი კარს იყო მომდგარი და მალე თოვლი ზეკარის გადასასვლელს გაუვალს გახდიდა. საქართველოში ჩარჩენილ ოსმალთა ჯარს კი დიდი საფრთხე ელოდა, ამიტომ სელიმ ფაშამ გადაწყვიტა, ნაალაფევითა და ტყვეებით ქვეყანას გასცლოდა...

ასე რომ, თუ მღვდელმა თევდორემ მტერს გზა აუბნია და მეგზურობა არ გაუწია, მესხეთის ათაბაგმა მზეჭაბუკმა მტერის ლაშქარს უწინამძღვრა და ოსმალებს ქუთაისი გადააწვევინა, მის სინდისზეა ბაგრატისა და გელათის ტაძრების იავარქმნაც...

მზეჭაბუკ ათაბაგი „დამოუკიდებლად" ყოფნას არ იშლიდა, მეტიც: ისარგებლა ანტიოქიის პატრიარქის, ასევე ოსმალეთის ფარული მხარდაჭერით და მესხეთი ეკლესიურადაც ჩამოაშორა ქართლის საკათალიკოსოს. ათაბაგებმა სამცხე-საათაბაგოს ეკლესიაში მოაშთეს მეფისა და კათალიკოსის ხსენებაც კი.

სამარცხვნო ქართველთა შორისაა მესხეთის **თავადი ოთარ შალიკაშვილი** და **ათაბაგ ყვარყვარეს ვაჟი ქაიხოსრო** ოსმალეთის ხონთქარს სთხოვდნენ, კვლავ გამოეგზავნა ჯარი ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. ქართლის ცხოვრებაში აღნიშნულია ასეთი დეტალი: **„ოთარ შალიკაშვილმა თანა წაიყვანა ძე ათაბაგის ყუარყუარესი ქაიხოსრო. მივიდეს სტამბოლს და მოაჯე ექმნეს ხვანთქარს და შეიწყალა ხვანთქარმან, და მისცა ჯარი მრავალი, და თოფი და ზარბაზნები დიდ-დიდნი, და უჩინა ამირსპასალარად მუსტაფ ფაშა, და წარმოგზავნა იგინი ბრძოლად ბაგრატსა"**.

მსგავს ცნობებს იძლევა ვახუშტი ბაგრატიონიც. ბრძოლა მოხდა ქარაღაქის ველზე 1543 წელს, ოსმალა რიცხვი 22 ათასამდე იყო. ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოფ-ზარბაზნებით იყვნენ შეიარაღებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანი ამ ბრძოლაში ბაგრატს გვერდით არ დაუდგა, ქარაღაქის ომი მაინც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. თვით ოსმალეთის მთავარსარდალი მუსტაფა ფაშა ამ ბრძოლაში დაიღუპა.

იმერეთ-ქართლისა და გურიის გაერთიანებული ლაშქარი ბასიანისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალეთის ჯარი.

ბრძოლა გაიმართა სოხოისტასთან.

– სოხოისტას ბრძოლაში მესხთა განდგომას ქართველთა მარცხი მოჰყოლია...

– უეჭველია, ამ ომშიც ქართველები გაიმარჯვებდნენ, ბრძოლის ბედი რომ არ გადაეწყვიტა თვითონ ქართველთა ბანაკში მომხდარ ჟინიანობას. მესხებმა დაიჩემეს: „ძუელთაგანვე მეწინავეობად მისვლა მესხეთთათვის განწესებულ არს და აწცა ჯერ არს ჩუენდა მისვლაო“, რაზეც დანარჩენები არ დათანხმებულან, ამის გამო „აღეგზნა შური დიდი“. იმ დროს, როცა ქართველები და იმერლები „ლომ-ვეფხებრ“ იბრძოდნენ, „მაშინ შურითა და ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება, და არღარა მიჰყვნენ ომსა შინა“.

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ ამის შემდეგაც **„უფროსად განიწირნეს თავნი თვისნი ქართველთა და იმერელთა“ და მრავალი ურუმის მოკვეთილი თავი გააგორეს მიწაზე, მაგრამ მესხთა ღალატს მაინც თვისი შედეგი მოჰყვა. ომი დილიდან მწუხარებამდე გაგრძელდა. ქართველთა ამ დამარცხების შემდეგ ოსმალებმა სამცხის ციხეები დაიჭირეს... მაშინ მისცეს ოსმალთა ათბაგობა ქაიხოსროს და თვით წავიდნენ“.**

– დაყოფილ და მტრებით გარშემორტყმულ ქვეყანაში ასეთ მძიმე ჟამს თუ იყო მცდელობა ქართველთა გაერთიანებისა და მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა?

– დიახ, XVI საუკუნეში იყო მსგავსი მცდელობები, მაგრამ განსაკუთრებით განდგომა-„დამოუკიდებლობას“ მესხეთის ათაბაგი იჩენდა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ გადაწყვიტა მისი მორჯულება. 1535 წელს „შემოკრიბნა ბაგრატ მეფემან სრულიად სპანი იმერთანი დადიან გურიელითა.. და წარვიდა დაპყრობად სამცხისა“.

გადამწყვეტი ბრძოლა 1535 წლის 12 აგვისტოს, ახალქალაქის მახლობლად სოფელ მურჯახეთის ველზე მოხდა. ამ ბრძოლაში ყვარყვარე ათაბაგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ბაგრატ მეფემ მთელი სამცხე დაიკავა და იგი ათი წლის განმავლობაში იმერეთის სამეფოსთან იყო გაერთიანებული, თუმცა ოთარ შალიკაშვილისა და ქაიხოსრო ყვარყვარეს ძის მიერ სულთნის კარზე არაერთგზის დასმენით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ოსმალეთის ძალისხმევითა და ახალი დალაშქვრის შედეგად სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი კვლავ საქართველოსგან გამოყოფილი აღმოჩნდა.

1578 წლის აგვისტოში ოსმალეთ-ირანის ომში ოსმალეთმა მიღწეული გამარჯვების შედეგად, ფაქტობრივად, დაასრულა მთელი მესხეთის დაპყრობა. სწორედ ეს იყო ეროვნული ტრაგედია – საქართველოს გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა საბედისწერო ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში, როცა ოსმალ დამპყრობთა და ფეოდალ-მოღალატეთა ქმედებით ძალმომრეობამ გაიმარჯვა, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ძირძველი მესხეთი, რომელშიც შედიოდა სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, თორთუმი, ისპირი, ტაო, კლარჯეთი და ჭანეთი, რომლის ფართობი 58 815 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა და საქართველო შაგრენის ტყავივით დაპატარავდა.

„ოსმალთა წესისა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა“. ათაბაგ ქაიხოსრო მეორის (1545-1573) შვილები – ყვარყვარე V (1573-1582), მანუჩარ II (1558-1614), ამ უკანასკნელის შვილი მანუჩარ III (1614-1625) იძულებული იყვნენ, დამორჩილებოდნენ ოსმალებს და ისე დარჩენილიყვნენ მმართველებად ამა თუ იმ საათაბაგოს ნაწილებისა, თუმცა ჯერ კიდევ ქრისტიანობა შეინარჩუნეს. მაგრამ კვლავაც იჩინა თავი ურთიერთის მიმართ ბოროტებამ: **ყვარყვარე V-მ მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი მანუჩარ III, წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსლიმანობა და ახალი სახელით – საფარ-ფაშა გახდა ახალციხის ფაშა.**

ოსმალები თანდათან აუტანელს ხდიდნენ სამცხე-საათაბაგოში (მესხეთში) თავიანთ ბატონობას, მათ გააძლიერეს ბრძოლა ყოველივე ქართულის წინააღმდეგ, ქართული ენის, ზნე-ჩვეულებების, ქრისტიანობის ამოსაძირკვად, დააწესეს კაბალური გადასახადები, რომლებსაც ველარ ეგუებოდნენ ვერც მესხეთის რიგითი მოსახლეობა, ვერც თავადაზნაურობა და ვერც

ათაბაგი. ისინი აწყობდნენ ანტიოსმალურ გამოსვლებს, მაგრამ მარცხდებოდნენ. გვიანღა იყო თითზე კბენანი...

– ბატონო ავთანდილ, თქვენი აზრით, რბილად რომ ვთქვათ, ეს შეცდომები შეიძლება ისტორიის გაკვეთილად ჩაითვალოს?

– ისტორია სარკეა, რომელშიც ხშირად უნდა ჩავიხედოთ. დადებითი თუ უარყოფითი მაგალითები ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ქართველი ხალხისა და მისი ხელისუფლებისთვის. წარსულის მოვლენებიდან სწორი პოლიტიკური დასკვნები უნდა გავაკეთოთ; ოსმალეთმა სამთვიანი შეტევის შედეგად დასცა დიდი ბიზანტიის იმპერია 1453 წელს, ასევე მოკლე პერიოდში დაიპყრო არაერთი დიდი სახელმწიფო (ბულგარეთი, რუმინეთი და სხვ.), **საქართველოს ძირძველი ნაწილის – მესხეთის დაპყრობას კი თითქმის საუკუნე მოანდომა, რაც ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგი იყო; არაერთმა მამულიშვილმა გამოიჩინა გმირობა მტერთან შერკინებისას, მაგრამ ცხადია ისიც, რომ საქართველო ერთ სახელმწიფოდ, ერთ მუშტად შეკრული, ერთიანი ძალით რომ შებმოდა მტერს, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და ბრძოლის შედეგებიც სხვანაირი – საქართველოსათვის სასიკეთო იქნებოდა. სამართლიანად ამბობდა XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე: „ქართველებს ჯერ იქით ურუმნი (ოსმალნი) არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდ სახელმწიფოს შუაში ბევრს ეცადნენ, აქეთ იქნიეს ხმალი, იქით იქნიეს, მაგრამ არ იქნა და ვერც რა თავს გაუვიდნენ“.. მეორეც – „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად – დაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი, მტერნი, ერთმანეთის მარბევნი და მაწყინარნი“**.

სამწუხაროდ, მაშინდელი „ავი ზნენი“ ჯერ კიდევ ახასიათებთ ქართველებს – მოწამვლა, მკვლელობა (მაგ. ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილის, გურამ შარაძის და სხვათა), განდგომა, სხვადასხვა პოლიტიკოსთა უშედეგო სირბილი უცხოეთში... ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური, მძიმე სოციალური მდგომარეობა გვიკარნახებს, სერიოზული დასკვნები, სწორი პოლიტიკური ანალიზი გავაკეთოთ და საქართველოს გაძლიერებისთვის ერთად ვიღვაწოთ, რადგან ერი **„როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, – აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მათხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი“ (ილია).**

ესაუბრა ***დარეჯან ანდრიაძე,***
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, №37, გვ.18-19, 2019 წ.

სტატიის „ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრის კრებულ მატიანეში გადმობეჭდვა შეთანხმებულია ავტორთან. (რედ)

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, აკადემიკოსი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

სტალინი და საქართველო, 100 წლის სახელოვანი მეცნიერის, პროფესორ სიმონ არველაძის თვალთახედვით

მრავალ სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერს მიუღწევია და გადაუბიჯებია 100 წლისათვის. ნაყოფიერად უმოღვაწია და დიდი წვლილიც შეუტანია ქართული მეცნიერების განვითარებისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

მათგან მხოლოდ სამს დავასახელებ: აკადემიკოსი აკაკი შანიძე (100 წელი). აკადემიკოსი ბენედიქტე ბალავაძე (102 წელი) და პროფესორი სიმონ არველაძე (ახლახან გახდა 100 წლის). ამათგან ა. შანიძეს პირადად არ ვიცნობდი და მასზე შეხედულება ძირითადად ნაშრომებით ჩამომიყალიბდა. თუმცა უნივერსიტეტში სწავლის დროს შემთხვევით არაერთხელ შემხვედრია. ამიტომ მისი შეხედულებების შესახებ ი. სტალინზე ბევრი არაფერი მსმენია.

ბატონი ბენედიქტე (ბენი) ბალავაძე გამოჩენილი ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და წლების განმავლობაში აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი და თსუ-ს გეოფიზიკის კათედრის გამგე, ჩემი მასწავლებელი გახლდათ. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვანის რაიონის სოფელ ყუმურში კოსმოფიზიკური ობსერვატორიის დაარსებაში და კერძოდ, მეტეოსადგურის აგებაში. სტუდენტებს ხშირად მოგვითხრობდა ხოლმე ამ ომში გამარჯვებაზე, იოსებ სტალინის დამსახურების შესახებ.

რაც შეეხება ბატონ სიმონ არველაძეს, რომელიც სულ ახლახან შეუერთდა ასწლიანთა პლეადას, თავს ჭარმაგად გრძნობს და ნაყოფიერად მოღვაწეობს. ის ჩემი უფროსი მეგობარი და მასწავლებელია და მის აზრს ი. სტალინზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის და პირადად ჩემთვის.

ამიტომ შევეცდები წარმოგიდგინოთ მისი ნააზრევი ამ მართლაც მსოფლიო დონის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, გენერალსიმუსის – იოსებ სტალინის შესახებ. ამით გარკვეულწილად შეივსება ის ხარვეზიც, რომელიც სტალინის პიროვნების შესახებ დაწერილ ნარკვევებში მაქვს დაშვებული და ერთგვარად უფრო სრულყოფილი აზრი შეგვექმნება მასზე, როგორც ქართველზე-ალბათ მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ქართველზე.

დავიწყოთ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი სიტყვებით. „მხოლოდ დიდი პიროვნებები ადგამენ ერს უკვდავების გვირგვინს“.

მეოცე საუკუნის მოღვაწეთა შორის გენიოსის ტიტული დამსახურებულად მიეკუთვნა არაერთ ქართველს. ბატონი სიმონ არველაძის აზრით მათ შორის პოლიტიკური და მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის მასშტაბით უნდა გამოიკვეთოს სამი პიროვნება: მსოფლიო დონის პოლიტიკოსი, მეცნიერი და სამხედრო მოღვაწე **იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი)**, გამოჩენილი ფილოსოფოსი და მთარგმნელი **შალვა ნუცუბიძე** და სიტყვაკაზმული პოეზიი**ს მეფე გალაკტიონ ტაბიძე**. გენიოსთა ეს სამკუთხედი მარადიულად იბრწყინებს კაცობრიობის საასპარეზო თაღზე და გაანათებს უშორეს მომავალსაც კი.

გენიოს მოაზროვნეთა უდიდესი თვისებაა ახალი მოაზროვნეების აღმოჩენა, მათი სწორ გზაზე დაყენება და ასპარეზზე გამოყვანა. XIX საუკუნეში ეს როლი წილად ხვდა დიდ ილიას, რომელმაც პირველმა შეამჩნია ვაჟას გენიის მოვლინება და მანვე აღმოაჩინა ჭაბუკი იოსებ ჯუღაშვილიც (სოსელო), რომელიც ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე წარმოჩენით წაახალისა და მომავალი დაულოცა. ბრძენმა ილიამ, ახალგაზრდა გორელის დარცხვენით მოტანილი პირველი ლექსი ყურადღებით წაიკითხა, მერე მხარზე ხელი დაადო და ჭაბუკ სოსოს უთხრა: „მშვენიერი ლექსია, იმეცადინე, წერე და კარგი მწერალი იქნებიო. მალე მკითხველმა „ივერიის“

მოწინავე გვერდზე წაიკითხა სოსელოს „დილა," რომლის ოპტიმიზმით აღსავსე სტრიქონები: „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო და შენც ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო", შეურყეველი სიდიადით გადაეცემა თაობიდან თაობას, მომავლის იმედს გვაძლევს და იმ გზაზეც მიუთითებს, რამაც უნდა გადაარჩინოს ჩვენი „ობოლი", მაგრამ უნიჭიერესი ერი. ამის დასტურია, რამდენიმე წლის წინათ, ქართული შედევრების კრებულში ლექსის „დილას" წარმოდგენა **შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა** და სიტყვის სხვა ცნობილ ქართველ ხელოვანთა ნაწარმოებებს შორის.

საქართველოს ბულბულად წოდებულმა დიდმა **აკაკიმ** პირუთვნელად აღიარა სოსოს ლექსი „დილა" (იმ პერიოდში ხომ არ ყოფილა-საერთოდ თუ იყო – სტალინის კულტი) ლირიკულ შედევრად. ასევე აღმოაჩინა თავისებურად მან ჭაბუკი გალაკტიონი და იგი თავის მომავალ დიდ მემკვიდრედ ცნო. თავად ი. სტალინმა ცნობილ ფილოსოფოსს, ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე უბადლო მთარგმნელს (აქ რამდენიმე სტროფი სტალინის თარგმნილიცაა) და აღიარებულ გენიოსს – შალვა ნუცუბიძეს გზა გაუხსნა დიდებისაკენ.

სტალინის ცხოვრებაშიც იყო პერიოდი, როცა შეიძლებოდა და ქართული ეროვნული მოღვაწეობის გზას დადგომოდა. ეს იყო სწორედ მისი ჭაბუკობის წლები („სოსელოს ხანა), როცა პატრიოტულ ლექსებს წერდა და დიდმა ილიამ რამდენიმე მათგანი დაუბეჭდა კიდეც მისი ეს ქმნილებები აკაკის პოეტური სკოლის მკაფიო ნიმუშია. რა იქნებოდა შემდეგ სტალინი, რომ ამ გზას დადგომოდა, ცხადია ამისი წინასწარმეტყველება ძალზე ძნელია, მაგრამ ქართული ეროვნული პოეზიისადმი და ლიტერატურისადმი მისი მისწრაფება და შემოქმედებითი პოტენციალი, მთელი მისი ცხოვრების მანძილზე არ შენელებულა. ამან არა ერთხელ იჩინა თავი ქართული კულტურის მოღვაწეთა ნიჭისა და შედევრების შეფასებისას.

ამ კონტექსტში შეიძლება დავიმოწმოთ ი. სტალინის დამოკიდებულება ბატონი **შალვას** მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობისა და **შოთა რუსთაველის** პოემის თარგმნაზე მუშაობისადმი. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ამ ორი სახელის დაწყვილება. მათი ურთიერთობის კონტექსტიდან ჩვენ გამოვყოფთ სამ ასპექტს: სტალინის მიერ ნუცუბიძის პატიმრობიდან განთავისუფლება და „ვეფხისტყაოსანზე" ინტენსიური მუშაობისათვის ხელშეწყობა; 2. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" იდეალურ-მსოფლმხედველობრივი წყაროების დაძებნა და მეცნიერული დამუშავება; 3. დიდი დაინტერესება შალვა ნუცუბიძის რენესანსული ჩანაფიქრისადმი.

მასობრივი რეპრესიების ხანაში, ვერც შალვა ნუცუბიძე გადაურჩა დაპატიმრებას. თბილისის საპატიმროდან მალე მოსკოვში გადაუყვანიათ, ლუბიანკის ციხეში. აქ იგი განაგრძობდა „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობას, რაც სტალინისათვის გახდა ცნობილი. იგი ციხიდან გაათავისუფლეს, შიდა პატიმრობაში გადაიყვანეს და ნორმალური პირობები შეუქმნეს პოემის თარგმნაზე მუშაობისათვის.

„ვეფხისტყაოსნის" თარგმნა შედარებით მოკლე დროში დაასრულა ბატონმა შალვამ. მალე შედგა მისი და ბელადის შეხვედრა. სტალინმა საუბრისას აღნიშნა: ის რაც თქვან გააკეთეთ არის უდიდესი საქმე, თქვენი თარგმნის გაცნობისას დავრწმუნდი, რომ ეს იყო ერთ-ერთი სრულყოფილი თარგმანი. „უკანასკნელ ხანამდე, – თქვა სტალინმა, – მე ვთვლიდი, რომ რუსთაველის საუკეთესო თარგმანი არის პეტრენკოსი, მაგრამ თქვენი თარგმანის გაცნობის შემდეგ, ვთვლი, რომ ის არა თუ უკეთესია პეტრენკოს თარგმანზე, არამედ თავისთავად თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენაა". ასევე მაღალ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსნის" ნუცუბიძისეულ თარგმანს დიდი რუსი მწერალი **ალექსეი ტოლსტოი**. მისი აზრით, „ეს თარგმანი არაა მხოლოდ მეცნიერული შრომა, არამედ ის პოეტური შემოქმედებაცაა".

ი. სტალინი გრძნობდა რუსთაველის ლექსის მუსიკალურობას, სიტყვათა წყობის ჟღერადობას, რომელიც მოვლენის შინაარსს შეეფერებოდა. ახალგაზრდობაში და შემდეგაც მან ხომ შესანიშნავი ლექსები შექმნა. ვინ არ იცის მისი ქმნილება „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი", იაკობ გოგებაშვილის „დედაენას რომ ამშვენებდა? ახლაც ამ ახალგაზრდული განწყობილებით იღიმებოდა, უბის წიგნაკი ამოიღო და შალვას უთხრა: „მეც ვთარგმნე რამდენიმე სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან" და ერთ-ერთს წაგიკითხავთ, თუ მოგეწონებათ. ჯერ ქართულად წავი-

კითხოთ. ეს არის ქაჯეთის ციხის აღების გამომხატველი სტროფი. ამას წინათ, ჩემს რუს კოლეგებს წავუკითხე ქართულ ენაზე ქაჯეთის ციხის აღების სტროფი, ჩვეულებრივი დინჯი ტონით თქვა სტალინმა და შეეკითხე: „აბა რა გაიგეთ, მითხარით-მეთქი. **ვოროშილოვმა** მიპასუხა, გაგებით ვერაფერი გავიგე, მაგრამ ვიგრძენი, რომ მანდ ბრძოლის შესახებ უნდა იყოს საუბარიო. სტალინის ეს სტროფი უცვლელად შევიდა თარგმნაში.

სტალინმა შემდეგ შალვა ნუცუბიძეს ჰკითხა: რატომ გადაწყვიტეთ რუსთაველის თარგმნა?

როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის საზეიმო თარიღისათვის შრომებს გამოსაცემად ვამზადებთ, – ამბობდა ბატონი შალვა, დავინახე, რომ შეუძლებელი იყო არსებული რუსული თარგმანების მიხედვით, მომეხდინა პოემიდან ციტირება, იმდენად გაშორებული იყვნენ ორიგინალიდან და გადავწყვიტე, თავად მეთარგმნა ჩემთვის საჭირო სტროფები. კოლეგებმა მომიწონეს, შემაქეს და გათამამებულმა გადავწყვიტე პოემის მთლიანად თარგმნა. გადავწყვიტე იმიტომაც, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის პრობლემა არა მხოლოდ ქართული კულტურის პრობლემით, იგი კაცობრიობის განვითარების და, კერძოდ, აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურული ურთიერთობის კომპლექსშია მოცემული. პოეტი გამოხატავს თავის მიზანს, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეას. ფილოსოფიური მოძღვრება კი, რომელიც ასაბუთებს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას – ნეოპლატონიზმია, რომელიც ქართულ აზროვნებაში შუა საუკუნეებში შემოდის, მისი პირველ გადამამუშავებლის – ფსევდოდიონისე არეოპაგელის მეშვეობით და შემდგომ განვითარებას პოულობს **იოანე პეტრიწის** ფილოსოფიაში. რუსთაველთან კი დასახელებულია მოღვაწე, რომლის მოძღვრებასაც ის ემყარება: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“. და მე ვამტკიცებ, რომ ეს **დივნოსი** (დიონისე) V საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი **პეტრე იბერია**, რომელიც მანამდე ფსევდო დიონისე არეოპაგელის სახელით იყო ცნობილი. ის გახლდათ არეოპაგიტული შრომების ავტორი, რომელმაც ანტიკური აზროვნების მემკვიდრეობა მიიღო და იგი შუა საუკუნეებს გადასცა“.

იოსებ სტალინი კმაყოფილი დარჩა საკითხის არსის ასეთი სიღრმისეული ინტერპრეტაციით და სავსებით შესაძლებლად მიიჩნია მისი აზრი, რომ პეტრე იბერი უნდა იყოს დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნება. ამდენად, აქ წამოიჭრა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი წყაროების მოძებნის, კერძოდ, დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა შემდგომ უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენად იქნა აღიარებული. ცნობილია, რომ შალვა ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, 10 წლის შემდეგ, 1952 წელს, ბულგარელმა მეცნიერმა **ერნესტ ჰონიგმანმა** ანალოგიური დასკვნები შეიმუშავა ამ პრობლემის ირგვლივ და ამის შემდეგ ეს საკითხი ცნობილი გახდა როგორც **ნუცუბიძე ჰონიგმანის** თეორია.

ამგვარად **ი. სტალინთან** საუბრებით **შ. ნუცუბიძემ** გარკვეული სტიმული შეიძინა, ენერგიის მოზღვავება და „გაახალგაზრდავება იგრძნო. ამის გამო იგი შემდგომში სიამაყით წერდა: „ახლა ვიწყებ ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერ ნაწილს. ჩემი ვარსკვლავი არ ჩამქრალა, ღრუბლებმა გადაიარა, მზე ისევ ცის კამარაზე ავიდა და შუბის ტარს უახლოვდება. ვაი მას, ვისაც იგი შუბი თვალს უბნელებს. მზე შუბის ტარზე, ხოლო ჩემი მტრები შუბის წვერზე. ცხოვრების ქვესკნელიდან მწვერვალზე ავარდნილმა, სტალინის ნაამბორევი შუბლით 15 საუკუნოვანი კედელი გავარღვიე და დიონისე არეოპაგელის პიროვნების ბნელით მოცული საიდუმლოება გავაცხადეთ.“

ცნობილია, რომ ი სტალინმა დიდი დაინტერესება გამოიჩინა შალვა ნუცუბიძის რენესანსული ჩანაფიქრისადმი. საუბრისას, შალვას მიერ ამ საკითხის ვრცელი განმარტების შემდეგ ბელადმა მას განუცხადა: „ამის შესახებ უნდა დაიწეროს მონოგრაფია უმოკლეს ვადაში. განაგრძეთ ამ მიმართულებით მუშაობა და ნაშრომი გამომიგზავნეთ“. თან ჩაიცინა და თქვა: „ამდენი რამის გაკეთება თუ შეგეძლოთ, პოლიტიკაში რა გინდოდაო“.

ბატონმა შალვამ შესანიშნავად შეასრულა უდიდესი პოლიტიკოსისა და ლიტერატურაზე ფანატიურად შეყვარებული ბელადის თხოვნა და 1947 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“. რომელმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა და საქართ-

ველოში დიდი სადისკუსიო საგანიც გახდა. თუმცა მასაც გამოუჩნდა მრავალი ოპონენტი და ვაიკრიტიკოსი.

იოსებ სტალინთან საუბარში ისიც გახდა ცნობილი, რომ ახალგაზრდობაში ისინი სადღაც შეხვედრიან ერთმანეთს. კერძოდ, ეს მომხდარა ხონში ალ. წულუკიძის დასაფლავებაზე, სადაც ორივეს წარმოუთქვამს სიტყვა. სტალინი ერთობ დაინტერესდა თავისი სიტყვით, რომელიც შ. ნუცუბიძემ სრულიად და მთელი სიზუსტით აღიდგინა. ამან ძალიან განაცვიფრა უჭკვიანესი პოლიტიკოსი, მივიდა მასთან და უთხრა: „ფენომენალურ ნიჭს ფენომენალური მეხსიერება ახლავსო“ და შალვას შუბლზე აკოცა.

ბატონი შალვას ქალიშვილის პროფესორ თამარ ნუცუბიძის მოგონებით ი. სტალინს სწორედ მაშინ უნდა ჰქონდეს ნათქვამი: „ჩემო შალვა მე ვგრძნობ, რომ ჩემი რუსი მეგობრები სიკვდილის შემდეგ არაფერს დამიფასებენ და ჩემს სახელს ლაფში ამოსვრიან. ჩემს ხსოვნას ალბათ მშობელი ქართველი ხალხი თუ შეინახავს, რომელსაც ბევრი ვერაფერი გავუკეთე“.

„სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ახალგაზრდობის წლებში სტალინისათვის მიმეძღვნა პატარა ლექსი, რომელიც 1973 წელსაა დაწერილი აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მუშაობის დროს, რომლის დამაარსებელი და 60 წლის განმავლობაში უცვლელი დირექტორი, შემდგომში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი ევგენი ხარაძეც ი. სტალინის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ“.

ი. სტალინი მართალია არ ყოფილა ე,წ, ეროვნული გენია, იგი მსოფლიო დონის პოლიტიკოსი და საერთაშორისო რანგის მოღვაწე გახლდათ. ამიტომაც ცდილობენ მის მითვისებას სხვა ერები (სომხები, რუსები, ოსები), მაგრამ ქართველის თუ არაქართველის გასაგონად დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ იგი არასოდეს წყვეტდა კავშირს ეროვნულ ფესვებთან, მუდამ ახსოვდა საქართველო, მისი დიდი კულტურა და შეძლებისამებრ ეხმარებოდა და ექომაგებოდა მას.

გარდა იმისა, რაც უკვე ჩვენს მიერაა დაბეჭდილი ი. სტალინის შესახებ, კიდევ მინდა წარმოვადგინო რამდენიმე ეპიზოდი ბატონ სიმონ არველაძის მონათხრობიდან.

ბელადის განკარგულებით რუსეთის საცავებში დაცული ქართული სამუზეუმო ექსპონატები 1922 წელს საქართველოს დაუბრუნდა. იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთიდან, მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი განძის შესახებაც, რომელიც ფაქტიურად მთლიანად იყო დაკარგული (ბევრი ეგზემპლარი დაიკარგა კიდევაც) ი. სტალინის თაოსნობითა და ღვთისკაცის ექვთიმე თაყაიშვილის მეცადინეობით საქართველოს დაუბრუნდა.

სტალინს რომ ახსოვდა საქართველო და მასზე ფიქრობდა, ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი. ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ი. სტალინის თბილისში დედის სანახავად ჩამოსვლა 1935 წ. მან ისარგებლა ამ შემთხვევით, გაისეირნა თბილისის ქუჩებსა და შემოგარენში, შემდეგ შეხვდა საქართველოს ხელმძღვანელობას და ესაუბრა მათ ქალაქის კეთილმოწყობაზე, სხვადასხვა ადგილების რეკონსტრუქციაზე.

მხცოვან ადამიანებს (მათ შორის ბატონ სიმონსაც) ახსოვს, ამის შემდეგ თუ როგორ გარდაიქმნა დანგრეული თბილისი ცივილიზებულ თანამედროვე ქალაქად.

ი. სტალინის „ინიციატივით სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სოფლის მეურნეობის და სუბტროპიკული კულტურების წარმოებისათვის გადაუდებელი დახმარების ზომების შესახებ“.

ამაგი, რომელიც ბელადს საქართველოს განვითარებაში მიუძღვის გაცილებით დიდია, მაგრამ ის ყველაფერს ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა და ამიტომაც არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის საზეიმო დღეები მთელი კავშირის მასშტაბით, დიდი ილიას დაბადების 100 წლისთავის იუბილე ქართული ლიტერატურისა და კულტურის დღეები და სხვა განა საქართველოზე დიდი მზრუნველობის გამოვლინებად არ უნდა მივიჩნიოთ?

კინორეჟისორ **მიხეილ ჭიაურელის** აზრით ილიასა და სტალინის მოსაზრება **გიორგი სააკაძის** შესახებ ერთმანეთს დაემთხვა. **ი. სტალინმა** სააკაძის პოლიტიკას საქართველოს მომა-

ვალი პერსპექტივის თვალსაზრისით პროგრესული უწოდა. **ი. ჭავჭავაძე** გვასწავლის, რომ დიდი მოურავი ყოველნაირად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო მოღვაწე, წარჩინებული მეომარი და სარდალი. იგი გულისტკივილი აღნიშნავს ქართველ დიდებულთა შურს, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნიათ, ვიდრე ნიჭიერთა დიდბუნებრიობა, რის გამოც დიდ მოურავს მრავალი მტერი გამოუჩნდა.

ამგვარად ილიამ და იოსებმა თავიანთი ობიექტურობით, ღრმად არგუმენტირებული დებულებებით საქართველოს ისტორიაში კუთვნილი ადგილი მიუჩინეს გიორგი სააკაძეს.

განა ქართული ეროვნული სიამაყის გრძნობა არ გამოხატა ი. სტალინმა თეირანის კონფერენციაზე ყოფნისას, როცა სპეციალურად მისი მოთხოვნით მიხეილ ჭიაურელის მიერ ომის წლებში გადაღებული ორსერიანი მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე“ უჩვენა პრეზიდენტ რუზველტის, პრემიერ ჩერჩილსა და ირანის შაჰს ფეჰლევის?

სოჭში ქართულ დელეგაციასთან შეხვედრისას, როგორც ამას თავის მოგონებებში გადმოგვცემს სსრკ-ს სახალხო არტისტი **აკაკი ვასაძე**, სტალინს უთქვამს, რომ მათ დიდად მოსწონებიათ ეს სურათი, საერთოდ სააკაძეც და შაჰ-აბასიც. მაგრამ ირანელები განსაკუთრებით „შაჰ-აბასით მოხიბლულთან. აი, შაჰიც ასეთი უნდა, მოგვეცით ეს შაჰი ჩვენიაო! გურულო, რამე რომ იყოს, წახვიდოდი შაჰად ირანში? გაეხუმრა მას სტალინი. არა, ამხანაგო სტალინი, რა მინდა ირანში, როცა საკუთარ სახლში შაჰიც ვარ და შაჰინშაჰიცო!.

სოჭში რამდენიმედღიან შეხვედრა-საუბრებში ი. სტალინმა ბევრი რამ გაიხსენა წარსულიდან მრავალ კარდინალურ საკითხზე გაუზიარა თავისი მოსაზრებანი თანამემამულეებს და ფრიად კმაყოფილი დარჩა მათი სტუმრობით.

ქართველ მეგობრებთან საუბრისას სტალინი ყოველთვის ცდილობდა ყურადღების ორბიტაში მოექცია სოციალური და ეროვნული პრობლემატიკა. რა საკითხსაც მოაქცევდა თავის ინტერესთა სფეროში, განაგრძობს აკაკი ვასაძე, სრულიად გასაგებად, რკინის ლოგიკით გამართავდა და საკუთარ შეხედულებას დებულების სახით ჩამოაყალიბებდა ამასთანავე, მისი მსჯელობა იყო თავისუფალი და გულწიფელი, ამბობდა იმას, რაც სწამდა და როგორც ხედავდა. მაგალითად, პეტრე შარიამ (საქართველოს ცეკას მაშინდელი პროპაგანდის მდივანი) აკადემიკოს **ივანე ორბელის** (წარმოშობით ქართველი-სომეხი) ურარტუს შესახებ წაკითხული ლექციების მისამართით კითხა: „ხომ არ არის საჭირო, რომ ავტორის ზოგიერთი მცდარი მოსაზრების წინააღმდეგ ქართველი მეცნიერები გამოსულიყვნენ, ამის მოთხოვნილება არსებობს ქართველ ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებშიო. ი. სტალინმა მკაფიოდ მიუგო: რატომაც არა, კამათი და საპირისპირო დებულებების გამოთქმა მეცნიერების საქმეაო და ღიმილით დასძინა: **მიხაკო წერეთელს** წააკითხეთ ლექციები ურარტუზე და ორბელისათვის ყველაფერი ცხადი გახდება, თუ მართლა ცდება რამეშიო“.

პეტრე შარიასა და სხვებს ეხამუშებათ **მიხაკო წერეთლის**, ამ სახელგანთქმული ისტორიკოსის, მაგრამ სამშობლოდან ემიგრირებულის ხსენება და ბოდიშის მოხდით ჩაეკითხნენ: „ვისზე ამბობთ, ამხანაგო სტალინ! – მიხაკო წერეთელს! რა არ გსმენიათ ვინც არის?

რომ გაგვიგია, იმიტომ გაგვიკვირდა, ის ხომ ფაშისტია და ლექციების წასაკითხად აქ როგორ დავპატიჟოთ?“ სტალინმა ხელი ჩაიქნია: „მისი ფაშიზმის ვისღა ეშინია, ფაშისტი რომ არ გამხდარიყო, ისე ვინ მიასუნიებდა გერმანიის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში დაცულ ხელნაწერებთან, ვინ მიუშვებდა აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის დოკუმენტურ მასალებთან, ვინ გაუღებდა ფართოდ კარს იმ ცოდნის სფეროში, რომელიც გერმანელმა მეცნიერებმა საუკუნეების მანძილზე შექმნეს“.

ბელადის ამგვარ პასუხში გამოიკვეთა პოლიტიკური მოწინააღმდეგისადმი მომთმენობა, რომ იგი ჭეშმარიტებას, სიმართლეს, დოგმებზე მაღლა აყენებს. მას არ ეშინია სინამდვილეს თვალი გაუსწოროს და მის სიღრმეში ჩაიხედოს. ასეთი გულღია საუბრები და სჯა-ბაასი ჰქონდა ბელადს ქართველ თანამემამულეებთან.

ცალკე აღნიშვნის ღირსი ი. სტალინის შეხვედრა ასევე სოჭში ცნობილ ქართველ ისტორიკოსებთან და საქართველოს ისტორიის უნიკალური სახელმძღვანელოს შექმნაზე და საერთოდ ისტორიაზე და ენათმეცნიერებაზე მსჯელობა, მაგრამ ამის შესახებ არაერთხელ გვისაუბრია ჟურნალ „მატიანეს“ ფურცლებზე და აღარ განვმეორდებით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სტალინს ეამაყებოდა (ამაში გასაკვირიც არაფერია) ის, რომ უძველესი ისტორიისა და კულტურის მატარებელი ქვეყნის წარმომადგენელი იყო.

თუ არა სიძულვილი, როგორც შოვინიზმის გამოვლინება და უმადურობა, აბა სხვას რას უნდა ნიშნავდეს ზოგიერთი პოლიტიკოსის და მათ შორის ქართველის უნდობლობა და დაუფასებლობა სტალინის პიროვნებისა და მოღვაწეობისა. აქ მხოლოდ ორი გამოჩენილი ქართველის **მერაბ მამარდაშვილისა** და **გრიგოლ რობაქიძის** შეხედულებებს წარმოვადგენთ სტალინის პიროვნების შესახებ.

მ. მამარდაშვილი აღნიშნავს: „სტალინი უფრო რუსული ფენომენია, ვიდრე ქართული. იგი ჩემში სიძულვილის ობიექტს წარმოადგენდა. ეს იყო ძალაუფლებისადმი ჩემი სიძულვილის პერსონიფიკაცია, რომელიც ამ პიროვნების მიმართ გამოვლინდა. ამდენად ჩემთვის ეს პრობლემა დიდი ხანია გადაჭრილია? ეს არის აბსოლუტური ნეგატიური დახასიათება სტალინის პიროვნებისა, მის მოღვაწეობაში რაიმე პოზიტიური მომენტის არსებობის პოვნისა, რაც აბსურდამდე მიდის. ასეთ პოზიციაზე მდგარი ხალხი, რა თქმა უნდა, არ ან ვერ დაინახავს იმას რაც ქართული ფენომენის არსისეული ნიშან-თვისებაა. სიძულვილიცა და უმადურობაც სწორედ აქედან იღებს სათავეს.

ჩვენ, რასაკვირველია გვახსოვს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ „ყველანი ცოდვის შვილები ვართ“, რომ ცოდვა ჩადებულია თვით ადამიანის სულში, მაგრამ არსებობს მადლიც, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს. აქ ნიშანდობლივია გავიხსენოთ ნაწყვეტი პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსიდან – „დამელოდეთ ბერლინში“.

„გაქრა ფაშიზმი, როგორც ნისლი, როგორც გზის მტვერი,
შევიდა ბერლინს და გააქრო ადოლფ ჰიტლერი,
მეც ქართველი ვარ, ისიც ვიცი, ლექსს ვინაც მიწყენს,
გვახსოვდეს ცოდვა, მაგრამ მადლსაც ნუ დავივიწყებთ.“

„ეს რა სასწაულის მონაწილე გაგვხადა ამ გორელმა კაცმაო“ სიამაყითა და აღტაცებით უთქვამს დიდ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. მართლაც ვერაგ ფაშიზმზე გამარჯვება ნამდვილი სასწაული იყო, რომლის მოხდენაც მხოლოდ სტალინის სადარ გენიოსებს შეეძლო ეს შემდეგში კიდევაც იქცა მსოფლიოს ხალხთა მარადიულ დღესასწაულად და ამიტომ, მიუხედავად ყოველივე იმისა, რა ხდებოდა სტალინის ეპოქაში, კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს იმ მადლსა და სიკეთეს, რომელიც ბელადმა განახორციელა მსოფლიო მასშტაბით ფაშიზმის განადგურებაში.

იოსებ სტალინი და გრიგოლ რობაქიძე თითქმის ერთი ასაკისანი არიან. როგორც თანამედროვენი ისინი მეტოქეებიც იყვნენ და ერთმანეთთან დაპირისპირებულებიც პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციების მიხედვით. ამ გარემოებამ იმთავითვე განაპირობა მათ შორის უნდობლობაც და სიძულვილიც. ეს ურთიერთუნდობლობის ტენდენცია მკაფიოდ გამოვლინდა მწერლის ემიგრაციაში (გერმანიაში) წასვლის შემდეგ. რომანი „ჩაკლული სული“, რომელიც 1933 გამოიცა მიუნხენში, სწორედ ამის დასტურია.

XX საუკუნის 80-იან წლებში გულისტკივილით წერდა ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტი ლიტერატორი **კარლო ინასარიძე** (წარმოშობით ვანის რაიონის სოფელ კუშუბოურიდანაა) იმის შესახებ, რომ გრიგოლ რობაქიძე, მაგალითად, არ იბეჭდება საქართველოში, ვინაიდან მას ნაცისტად თვლიან იმ ორი ბროშურის გამო, რომელიც მან **ჰიტლერსა** და **მუსოლინს** მიუძღვნა და გადაჭარბებით დადებით მოღვაწეებად დაახასიათა ისინი. მაგრამ მას კომუნისტადაც და მენშევიკადაც არავინ თვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 20-იან

წლებში მან საქებარი ესეები მიუძღვნა ვლადიმერ ლენინსა და ნოე ჟორდანიას.

გრიგოლ რობაქიძემ თავის „ჩაკლულ სულში“ სოსო ჯუღაშვილი-სტალინი ამ რომანის მთავარ პერსონაჟად გამოიყვანა, თუმცა რეალურად, როგორც მოქმედი პერსონაჟი, არ ჩანს, იგულისხმება კი ყველაფერში. მწერალი „ამხელს“ სტალინს. მის „ნეგატიურ“ მხარეებს, ტოტალური რეჟიმის შექმნას, თითქოსდა ღმერთის უარყოფას.

გრიგოლ რობაქიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ეროვნულ ფესვებს, მის კუთვნილებასა და ძირებს. თუ საკუთარ ხალხთან კავშირში წყდება, მაშინ ადამიანი მარტო რჩება სამყაროს წინაშე. ასეთი კაცი ტრაგიკული პიროვნება ხდება. მწერლის აზრით ი. სტალინი თითქოს მთლიანად იყო მოწყვეტილი საკუთარ ეროვნულ ფესვებს და ამიტომაც მის სულში უზარმაზარი სიცარიელე სუფევდა. მან ფაქტიურად გაწყვიტა კავშირი სამშობლოსთან, სულიერებასთან და აბსტრაქტულად აზროვნებდა.

რასაკვირველია ძნელია დაეთანხმო მართლაც და გამოჩენილი მწერლის გ. რობაქიძის ასეთ მკვეთრ, აბსოლუტურად უარყოფით მიდგომას სტალინის პიროვნების შეფასებისას. განსაკუთრებით მიუღებელია და ანტიესთეტიკური მისი ბელადის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი ეპითეტები – „ცივსისხლიანი“, „პრეისტორიული ხვლიკი“ და სხვ.

გასული საუკუნის 30-იან წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე თვითონ არ ცხოვრობდა საქართველოში, თავად იყო განდგომილი ქართული სინამდვილიდან, საზრდოობდა მწირი, კანტიკუნტად მიწოდებული ინფორმაციით და ვერ წარმოედგინა, ის რომ იოსებ სტალინი როგორც უზარმაზარი საბჭოთა კავშირის პირველი პირი სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოსაც მართავდა, მაგრამ ახსოვდა და ეამაყებოდა საქართველო, დროდადრო ობიექტურად აფასებდა ქართული კულტურის თვალსაჩინო მიღწევებს, ჯეროვნად ეხმაურებოდა ეროვნული კულტურისა და მეცნიერების ღირსეულ წარმომადგენელთა მიღწევებს.

უნებურად ასეთი კითხვაც გებადება: როდის იყოს საკუთარ თავთან მართალი გრიგოლ რობაქიძე, როცა ჰიტლერს მუსოლინს, ლენინს, ჟორდანიას და მისთანებს ხოტბას ასხამდა თუ სტალინს როცა ასე უარყოფითად მოიხსენიებდა.

ასეთი ორი გამოჩენილი მოაზროვნის (გ. რობაქიძე, მ. მამარდაშვილი) სტალინის შესახებ წარმოდგენილი უარყოფითი დახასიათებების სისწორეში ეჭვის შეტანის შემდეგ ზედმეტი იქნებოდა სხვა უფრო ნაკლებად ცნობილი თუ ნიჭიერი ქართველი (თუ არაქართველი) პიროვნების ნეგატიური მოსაზრებების განხილვა სტალინის როგორც ქართველისა და საქართველოს მოამაგის შესახებ. ის იყო, არის და დარჩება მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ქართველად.

თუ **უინსტონ ჩერჩილის** სიტყვებს გავიხსენებთ: „არა, რაც უნდა თქვას სტალინზე, ასეთებს ისტორია და ხალხი არასოდეს დაივიწყებს“.

გრიგოლ ტყეშელაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის ამაღლების, გორას, ზეინდრის, დიხაშხოსა და შუამთის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე მცხოვრებთა გვარების მონაცემები XX საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის

ტექსტის მოცულობის გაზრდის თავიდან აცილების მიზნით სასოფლო საბჭოების მაგივრად მითითებულია პირობითი ციფრული ნიშნები: 1 – ამაღლება, 2 – გორა, 3 – ზეინდარი, 4 – დიხაშხო, 5 – შუამთა.

მონაცები აღებული და დამუშავებულია ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ზემოაღნიშნული სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნებიდან და მას დოკუმენტური მასალის ძალა აქვს. ამჟამად ვაქვეყნებთ გვარებს, როგორც ეს მოწოდებულ მასალაშიცაა მითითებული. გავრცელებულ სახელებს ვიხილავთ მომდევნო ნომერში.

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
1	აბაშიძე	4, 5
2	აბზიანიძე	4
3	აბჟანდაძე	5
4	აბრამალაძე	1, 2
5	აბრამენკო	3
6	აბრამიშვილი	5
7	აბრამიძე	4, 5
8	აბუთიძე	4, 5
9	აბულაძე	4
10	აბუსერიძე	2, 4
11	ადეიშვილი	2, 4, 3, 5
12	ავალიანი	5
13	ავეტისიანი	3
14	ალფაიძე	4, 3, 5
15	ალხაზაშვილი	5
16	ამაღლობელი	1, 5
17	ანასაშვილი	2
18	ანდრიაძე	5
19	ანდღულაძე	1, 5
20	ანთაძე	4
21	ანთიძე	5
22	არაბიძე	4, 5
23	არაშვილი	4
24	არველაძე	2, 3, 5
25	ართმელაძე	4
26	არსენიძე	1
27	არქანია	2
28	ასათიანი	1, 2, 4, 3

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
29	აფრიდონიძე	3
30	ახალაძე	3, 5
31	ახვლედიანი	1, 4, 3
32	ახობაძე	5
33	ბაბლუანი	5
34	ბაბუნაშვილი	1
35	ბაზაძე	2
36	ბათაძე	3
37	ბათილაშვილი	4
38	ბალანჩივაძე	2
39	ბალაძე	3
40	ბანაძე	5
41	ბარამიძე	4, 3, 5
42	ბარანიკოვი	1, 2
43	ბარაქაძე	4
44	ბარბაქაძე	2, 4
45	ბარიხაშვილი	5
46	ბარნოვი	5
47	ბასილაძე	1, 2
48	ბასმანოვა	3
49	ბასმანოვი	5
50	ბაქრაძე	1
51	ბაღდავაძე	1, 2, 4, 3, 5
52	ბახტაძე	5
53	ბაჯაძე	1, 2, 3
54	ბედენაშვილი	1, 2, 5
55	ბელექანია	1
56	ბელთაძე	2, 4, 5

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
57	ბელქანია	1
58	ბენდელიანი	2
59	ბენიაშვილი	5
60	ბეჟანიძე	2
61	ბეჟნიძე	2
62	ბეჟუაშვილი	2
63	ბერაძე	1, 2, 3
64	ბერეკაშვილი	3
65	ბერიძე	1, 2, 4, 3, 5
66	ბერუჩაშვილი	4
67	ბექაია	4, 5
68	ბექელაძე	3
69	ბიბილეიშვილი	1, 5
70	ბიბილური	1
71	ბიბიჩაძე	1, 2, 4, 3
72	ბილვანიძე	5
73	ბიჭაშვილი	1, 2
74	ბლუაშვილი	1
75	ბოგვერაძე	3
76	ბოდოკია	3
77	ბოლქვაძე	1, 3, 5
78	ბოჭოიძე	2
79	ბოჭორიშვილი	1, 4, 5
80	ბრეგაძე	1, 3, 5
81	ბრეგვაძე	1, 3, 5
82	ბუაძე	4, 5
83	ბუბუტეივილი	5
84	ბუბუტეიშვილი	3, 5
85	ბუთხუზი	1
86	ბურკაძე	1, 3, 5
87	ბურჭულაძე	3
88	ბურჯალიანი	1
89	ბურჯანაძე	1, 4
90	ბურჯენაძე	4, 3
91	ბუსკივაძე	3
92	ბუხაიძე	1, 2, 3
93	ბუხრაშვილი	3
94	ბუხულეიშვილი	3
95	გაბადაძე	1
96	გაბაიძე	5
97	გაბრიჩიძე	3
98	გაბუნია	1, 2, 4, 3, 5
99	გაგოშიძე	4

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
100	გაგუა	5
101	გადელია	5
102	გავაშელი	4, 5
103	გაზდელიანი	4
104	გალდავა	4
105	გალუსტაშვილი	4
106	გამეზარდაშვილი	1
107	გამრეკლიძე	2
108	გამსახურდია	5
109	გამყრელიძე	3, 5
110	გაჩეჩილაძე	1, 2, 3
111	გეგენავა	2
112	გეთია	5
113	გელაშვილი	1
114	გელენიძე	1
115	გენელიძე	1, 3
116	გერაძე	1
117	გერსამია	4
118	გეფერიძე	5
119	გვალია	1, 4
120	გვანცელაძე	2, 3
121	გვარძელაშვილი	5
122	გველესიანი	4, 3
123	გვენეტაძე	5
124	გიგინეიშვილი	5
125	გიორგაძე	1, 2, 4, 3, 5
126	გლუნჩაძე	2
127	გოგაბერიშვილი	1, 2, 3
128	გოგაბერიძე	1
129	გოგატიშვილი	2
130	გოგატიძე	1
131	გოგაძე	2, 5
132	გოგბერაშვილი	3
133	გოგიაძე	3
134	გოგიბერიძე	1, 4, 3, 5,
135	გოგიტიშვილი	3
136	გოგიტიძე	1, 2, 3
137	გოგლიჩიძე	2
138	გოგნაძე	2, 3
139	გოგოლაშვილი	4
140	გოგოლაძე	1, 4, 3
141	გოგორიშვილი	4, 3, 5
142	გოგოძე	5

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
143	გოგსაძე	1, 2, 5
144	გოგუაძე	1, 5
145	გოდუაძე	2
146	გოთონელია	5
147	გოლეთიანი	3
148	გორგილაძე	3
149	გორგოძე	1, 2, 3, 5,
150	გოფუაძე	1
151	გოქსაძე	5
152	გოშხეთელიანი	1
153	გოჩალეიშვილი	5
154	გოჩელაშვილი	5
155	გოცირიძე	2
156	გრიგოლაშვილი	2
157	გროზა	2
158	გრძელიძე	2
159	გუბელაძე	3
160	გუგავა	4
161	გუგუციძე	4
162	გულდაშვილი	1
163	გულუა	5
164	გუმბერიძე	5
165	გურგენიძე	3, 5
166	გურიელიძე	5
167	დადუნაშვილი	1, 3
168	დათუაძე	5
169	დათუნაშვილი	1
170	დანელია	4
171	დარსაველიძე	4
172	დარცმელია	5
173	დახუნდარიძე	3
174	დევიძე	1, 2, 3
175	დეკანაძე	5
176	დეკანოია	1, 4
177	დეკანოიძე	5
178	დემეტრაძე	1
179	დვალი	5
180	დვალიშვილი	1, 2, 4, 3, 5
181	დიაკონიძე	1, 2, 4, 3,
182	დიასამიძე	2, 3, 5
183	დიდია	5
184	დიმიტრაძე	5
185	დიმიტრი	1

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
186	დიხამიძე	1, 2
187	დოლიძე	5
188	დოღონაძე	1, 2
189	დოხოიანი	2
190	დოხტურაშვილი	1
191	დუდკო	3
192	დუმბაძე	3
193	დურგლიშვილი	4
194	ედბერიძე	4
195	ედიბერიძე	4
196	ეზეიშვილი	5
197	ელიავა	3
198	ენდელაძე	2
199	ენუქიძე	1, 2, 3
200	ერემეიშვილი	1, 4, 5
201	ერემეშვილი	4
202	ერისთავი	1, 3, 5
203	ესაძე	5
204	ესკვანჯია	1
205	ეფრემიძე	5
206	ვარდოსანიძე	3
207	ვარენკაშვილი	1
208	ვართანოვი	5
209	ვარსიმაშვილი	5
210	ვარშანიძე	3
211	ვასაძე	1
212	ვაშაკიძე	2, 5
213	ვაშაყმაძე	1, 2, 4, 3, 5
214	ვაშვაშვილი	1
215	ვერულაშვილი	4
216	ვოლინეცი	5
217	ვორობიოვა	4
218	ზაზაშვილი	5
219	ზალიკიანი	3
220	ზარნაძე	1
221	ზაქარეიშვილი	5
222	ზაქრაძე	2
223	ზვიადაძე	1, 2
224	ზიბზიბაძე	3
225	ზივზივაძე	3
226	ზოიძე	2, 3
227	ზუმბურიძე	4

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
228	თაბაგარი	4, 3
229	თადუმაძე	5
230	თავართქილაძე	4, 5
231	თავაძე	1, 2, 4, 3, 5
232	თავდგირიძე	5
233	თათელიშვილი	2, 3
234	თათვიძე	1, 2, 4
235	თამლიანი	4
236	თარგამაძე	5
237	თაფლაძე	5
238	თევდორაძე	1, 5
239	თევზაძე	1, 4, 5
240	თვალაბეიშვილი	4, 5
241	თვალავაძე	5
242	თვზაძე	4
243	თოდუა	4
244	თომეიშვილი	5
245	თუთაშვილი	2, 4, 5
246	თუთბერიძე	2, 3
247	თუთისანი	3
248	თურმანიძე	2
249	თურქაძე	1, 3
250	იაკობიძე	2
251	იამანიძე	4
252	იაშვილი	1, 2, 4
253	ივანიაძე	4, 5
254	ივანიძე	4
255	ინაკავაძე	2
256	ინასარიძე	5
257	იორამაშვილი	4
258	იოსელიანი	4
259	ირემაძე	2
260	კავთელაძე	1
261	კაზაზიშვილი	4
262	კაკაბაძე	5
263	კაკაურიძე	1, 4
264	კაკუბავა	5
265	კაკულია	3
266	კაკუტაძე	1
267	კალანდაძე	5
268	კალაძე	5
269	კამლაძე	1, 2, 3
270	კანდელაკი	1

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
271	კანკაძე	1, 5
272	კანკია	2
273	კაპანაძე	1, 2, 4, 3, 5
274	კაპატაძე	1, 4, 3, 5,
275	კაპილოვა	5
276	კარდენახლიშვილი	5
277	კარკაძე	5
278	კასია	2
279	კაშია	2, 4, 3
280	კაშმაძე	4, 5
281	კაცაძე	1, 2, 3, 5,
282	კახაძე	2, 4, 3, 5,
283	კახიანი	5
284	კახიძე	3
285	კბილაშვილი	2
286	კეკელიძე	5
287	კელენჯერიძე	2, 3
288	კერძევაძე	2
289	კვარაცხელია	1, 2
290	კვაჩიძე	1, 3
291	კვერეხაძე	5
292	კვერნაძე	3, 5
293	კვესტაძე	1, 3
294	კვინიკაძე	2
295	კვიჟინაძე	3
296	კვირიკაძე	1, 2, 4, 3, 5
297	კიკაბიძე	2, 5
298	კიკალეიშვილი	5
299	კიკაჩეიშვილი	1
300	კიკვაძე	1, 4
301	კიკნაველიძე	5
302	კიკნაძე	2, 3
303	კიკუტაძე	1, 4
304	კირკიტაძე	1
305	კირტავა	2
306	კლარჯეიშვილი	5
307	კლდიაშვილი	1, 2, 3
308	კობახიძე	1
309	კობელაშვილი	4
310	კობელინცკი	5
311	კობელნიცკი	5
312	კობეშავიძე	5
313	კომლაძე	1

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
314	კონცელიძე	1, 5
315	კოპალაძე	3
316	კოპალეიშვილი	2, 5
317	კოპილოვა	5
318	კორძაძე	4, 3, 5
319	კოსტავა	3
320	კოტრიკაძე	5
321	კოჩალაძე	5
322	კოჩალიძე	5
323	კოჩაძე	2
324	კოხია	4
325	კოხოძე	4
326	კუბლაშვილი	1, 3
327	კუპატაძე	1, 3
328	კუპრაშვილი	3
329	კუპრაძე	2
330	კურტანიძე	2
331	კუტალაძე	2, 3, 5
332	კუცია	1, 5
333	კუჭუხიძე	5
334	კუხიანიძე	1
335	ლაღაძე	4
336	ლაჭყეპიანი	1, 3
337	ლებედევი	5
338	ლეკვეიშვილი	5
339	ლეკიშვილი	3
340	ლელაძე	1
341	ლეჟავა	2, 4, 3, 5,
342	ლიკლიკაძე	2
343	ლილუაშვილი	3
344	ლიპარტელიანი	3, 5
345	ლომაშვილი	3, 5
346	ლომაძე	2
347	ლომთაძე	2, 3
348	ლომინაძე	1, 2, 4, 3,
349	ლომინეიშვილი	5
350	ლომიძე	1, 2, 4, 3, 5
351	ლორთქიფანიძე	1, 2, 4, 3, 5
352	ლოსაბერიძე	5
353	ლურსმანაშვილი	4, 5
354	მაისურაძე	3
355	მაკარაძე	1, 2, 3
356	მაკარიძე	1, 2

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
357	მამაგეიშვილი	4
358	მამასახლისი	1, 2, 4, 3, 5
359	მამუკაძე	4
360	მამულაძე	1, 5
361	მამფორია	4, 5
362	მანაგაძე	1, 5
363	მანდარია	4, 5
364	მანველიძე	3
365	მანჯგალაძე	5
366	მარგველაშვილი	2
367	მარგიანი	1
368	მარგიშვილი	4
369	მარგოშვილი	2
370	მარკოიძე	2
371	მარტიაშვილი	4
372	მარქარიანი	1
373	მატარაძე	4, 5
374	მატრაძე	5
375	მაღლაკელიძე	2, 4, 3, 5,
376	მაღლაფერიძე	1, 3
377	მაღლაქველიძე	2
378	მაჩიტაძე	3
379	მაჩიტიძე	2, 4, 3
380	მაჭავარიანი	2
381	მაჭარაშვილი	3, 5
382	მაჭარაძე	1, 5
383	მაჭარეიშვილი	5
384	მაჭუტაძე	5
385	მახათაძე	5
386	მახარაშვილი	2, 4
387	მახარაძე	4, 3, 5
388	მახარეიშვილი	1, 3
389	მახვილაძე	1
390	მახუაშვილი	1, 5
391	მგელაძე	2, 5
392	მდინარაძე	1
393	მებურიშვილი	2, 3
394	მეგენეიშვილი	4, 5
395	მეგრელიშვილი	2, 3
396	მელაშვილი	1, 5
397	მელაძე	1, 5
398	მელია	5
399	მელიტონიანი	3

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
400	მელქაძე	4
401	მემანიშვილი	4
402	მენაბდე	5
403	მესირიძე	4
404	მესხი	1, 2, 4, 3, 5
405	მეტრეველი	3
406	მეფარიშვილი	1, 2, 4, 3, 5
407	მეყანწიშვილი	5
408	მეძველია	3
409	მეძმარიაშვილი	1
410	მეხეშიძე	4
411	მიგინეიშვილი	4
412	მილორავა	1, 5
413	მიმინოშვილი	5
414	მინაშვილი	1, 4, 3, 5,
415	მინდელი	1, 2, 3
416	მისაბისაბიშვილი	4
417	მიქავა	3
418	მიქაძე	3, 5
419	მიქელაძე	5
420	მიქელთაძე	2
421	მიხეილი	4
422	მოდებაძე	1, 2, 4, 3,
423	მორალიშვილი	5
424	მოსავლიძე	5
425	მოსიავა	1
426	მოსულიშვილი	4
427	მჟავანაძე	1, 2, 4, 3, 5
428	მჟავია	1, 2
429	მსხილაძე	1, 4, 3
430	მუზაშვილი	2, 4
431	მუკუტაძე	3, 5
432	მუშკუდიანი	5
433	მშვენიერაძე	5
434	მშვიდობაძე	1
435	მწყერაშვილი	5
436	მხეიძე	1, 4, 3, 5,
437	მხეცაძე	1
438	ნადირაძე	5
439	ნაკაიძე	4, 3
440	ნაკაშიძე	1, 3
441	ნალბანდიანი	5
442	ნამიჭეიშვილი	1, 2, 4, 3, 5

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
443	ნანაძე	5
444	ნანობაშვილი	4
445	ნარეშელაშვილი	4
446	ნარიაშვილი	5
447	ნარსია	5
448	ნარჩომაშვილი	4, 5
449	ნაფეტვარიძე	2, 3, 5
450	ნაცვალაძე	1, 4, 5
451	ნაცვლიშვილი	5
452	ნებიერიძე	1
453	ნეფარიშვილი	3
454	ნიკაჭაძე	5
455	ნიკოლაძე	2
456	ნიკოლეიშვილი	1, 2, 3, 5,
457	ნიკურაძე	3, 5
458	ნინიკაშვილი	3
459	ნიორაძე	2
460	ნიჟარაძე	5
461	ნიშნიანიძე	5
462	ნოდია	5
463	ნოზაძე	4
464	ნონიკაშვილი	2
465	ნუცუბიძე	5
466	ონიანი	2
467	ორმოცაძე	1, 2, 3, 5,
468	ოქროპილაშვილი	1, 2, 4, 3,
469	ოქროპირაშვილი	2
470	ოჩხიკიძე	5
471	პაიკიძე	1, 4, 5
472	პაიჭაძე	5
473	პაპავა	1, 2
474	პაპიძე	1
475	პაქსაძე	5
476	პეტრენკო	4
477	პირველაშვილი	2
478	ჟვანია	5
479	ჟოლიძე	2
480	ჟორჟოლიანი	5
481	ჟღენტი	5
482	ჟღერია	1, 4, 5
483	რაზმაძე	1, 2
484	რაინაული	4
485	რამიშვილი	5

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
486	რატიანი	1
487	რევიშვილი	2, 3
488	რიჟამაძე	1, 4
489	რობაქიძე	1, 3
490	როინიშვილი	2
491	როხვაძე	1, 2, 4, 3, 5
492	საბაშვილი	5
493	საზანდრიშვილი	5
494	საკანდელიძე	1, 2, 3
495	სალაძე	2
496	სამსიანი	3
497	სამულია	1
498	სამხარაძე	3
499	სანებლიძე	4
500	სანიკიანი	1, 2, 3
501	სანიკიძე	4, 3, 5
502	სარალიძე	2, 3
503	სართანია	5
504	საღირაშვილი	2
505	საღრიშვილი	1, 2, 4
506	სედოვა	4
507	სვანაძე	1, 2, 4, 3, 5
508	სვანიძე	1, 4
509	სვიანაძე	1, 5
510	სიმონია	1, 2
511	სინაურიძე	1
512	სირაძე	3, 5
513	სიჭინავა	3
514	სიხარულიძე	4
515	სოლომონიძე	1, 5
516	სოსელია	1, 3, 5
517	სოფრომაძე	1, 2, 3, 5,
518	სოხანეიშვილი	1, 2, 4
519	სოხაძე	1, 2, 3
520	სტურუა	5
521	სულაბერიძე	4, 3, 5
522	სულამანიძე	1, 3
523	სულაქველიძე	5
524	სუპატაშვილი	1, 4, 5
525	სურგულაძე	4
526	სურმანიძე	5
527	სხვედიანი	1, 2, 3, 5,
528	სხილაძე	3

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
529	ტაბეშაძე	2
530	ტაბიძე	5
531	ტაკიძე	4, 5
532	ტალახაძე	2, 3
533	ტერტერაშვილი	2
534	ტვილდიანი	4
535	ტოფაძე	2, 3
536	ტრაპაიძე	2, 4, 5
537	ტუკვაძე	1
538	ტურძელაძე	4
539	ტყემალაძე	3
540	ტყეშელაშვილი	1, 2, 4, 5,
541	უკლება	1
542	უღრელიძე	2
543	ფაიქიძე	1, 2, 3
544	ფანქველაშვილი	3
545	ფანჩულია	5
546	ფანჩულიძე	1
547	ფანცულაია	1, 5
548	ფანჯავიძე	1
549	ფარტენაძე	1, 2
550	ფარტუნიძე	1
551	ფარცხალაძე	5
552	ფასანიძე	5
553	ფაჩულია	5
554	ფახურიძე	5
555	ფერაძე	3
556	ფირანაშვილი	4
557	ფირცხალავა	4
558	ფირცხალაშვილი	5
559	ფიცხელაური	2
560	ფორჩხიძე	1
561	ფოფხაძე	4, 5
562	ფურცელაძე	1
563	ფუტკარაძე	1, 4, 5
564	ფხალაძე	3
565	ქადაგაძე	5
566	ქადამაძე	5
567	ქავთარაძე	4, 3
568	ქავთარია	4
569	ქამადაძე	4, 5
570	ქანთარია	2, 3
571	ქარაზანაშვილი	4

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
572	ქარელიძე	5
573	ქართველიშვილი	1, 2, 4, 3, 5
574	ქარჩხაძე	1, 2, 3
575	ქარცივაძე	4
576	ქარციძე	1, 3, 5
577	ქასრაშვილი	5
578	ქაფიანიძე	5
579	ქაშაკაშვილი	4
580	ქედელიძე	4
581	ქემანიშვილი	1
582	ქიმუცაძე	1, 2, 4, 3, 5
583	ქობალია	1
584	ქორიძე	1, 5
585	ქორქაშვილი	5
586	ქოქოსაძე	4
587	ქუთათელაძე	5
588	ქუნთელია	5
589	ქურხაშვილი	2
590	ქუქალია	5
591	ღვაბერიძე	2
592	ღვინერია	1, 4
593	ღვინიანიძე	1, 2, 5
594	ღვინტიძე	4
595	ღვიტიძე	4, 3
596	ღიბრაძე	1
597	ღრუბელაშვილი	5
598	ყალიჩავა	2
599	ყაჭეიშვილი	5
600	ყვავაძე	3

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
601	ყიფიანი	1, 2
602	ყობანეიშვილი	1, 3
603	ყუბანეიშვილი	4, 3, 5
604	ყურაშვილი	1, 4
605	შავაძე	2, 5
606	შათირიშვილი	2, 3
607	შაინიძე	3
608	შალამბერიძე	1, 2, 4
609	შალიკაშვილი	4
610	შანიძე	4, 5
611	შაპოვალოვა	4
612	შარაშენიძე	1, 2, 4, 3, 5
613	შარვაშიძე	4, 3
614	შეკლაშვილი	3
615	შენგელია	2, 4, 3, 5,
616	შველიძე	2, 3
617	შვველიძე	3
618	შუბითიძე	2
619	შუბლაძე	1
620	შუკაკიძე	4
621	შუღლაძე	5
622	ჩალაძე	2
623	ჩანდილიშვილი	2
624	ჩანდიშვილი	2
625	ჩანქსელიანი	1
626	ჩარკვიანი	2
627	ჩარქსელიანი	1
628	ჩაფიჩაძე	5
629	ჩაფიძე	5
630	ჩაჩავა	5

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
631	ჩაჩუა	1, 3, 5
632	ჩახავა	1, 4
633	ჩახუნაშვილი	1, 2, 4, 5,
634	ჩიგოგიძე	4
635	ჩივაძე	2
636	ჩიკაიძე	5
637	ჩიკვაიძე	3
638	ჩირგაძე	2
639	ჩიტავა	4
640	ჩიტაძე	1
641	ჩიტორელიძე	1, 2, 3
642	ჩიქოვანი	5
643	ჩიჩაბაძე	2, 4
644	ჩიჩუა	1
645	ჩიხლაძე	2, 4, 3
646	ჩიჯავაძე	1, 4
647	ჩლარჩიძე	5
648	ჩობაძე	1
649	ჩოგაძე	1, 2, 4, 5,
650	ჩოგოვაძე	4
651	ჩომახიძე	5
652	ჩუბინიძე	1, 2, 3
653	ჩუბუნიძე	3
654	ჩუგუნაძე	5
655	ჩხეიძე	2, 4
656	ჩხენკელი	1
657	ჩხეტიანი	1, 3
658	ჩხიკვაძე	1, 2, 4
659	ჩხიკვიშვილი	4
660	ჩხიროძე	2, 4
661	ჩხობაძე	1, 2, 3

#	გვარი / სახელი	სასოფლო საბჭო
662	ჩხუნაშვილი	5
663	ცაბაძე	5
664	ცაგარეიშვილი	1, 2, 3, 5,
665	ცაია	3
666	ცარციძე	3
667	ცენდერაძე	5
668	ცერცვაძე	1, 2, 3
669	ცეცხლაძე	2
670	ციკოლია	5
671	ცინცაძე	1, 3, 5
672	ცირეკიძე	2, 3
673	ცუხიშვილი	5
674	ცქიტიშვილი	4
675	ცხადაშვილი	1, 5
676	ცხადაძე	4
677	ცხვარაძე	5
678	ძაგანია	1
679	ძაგნიძე	4, 3, 5
680	ძაძაშვილი	5
681	ძგნიძე	5
682	ძიგვაშვილი	4
683	ძიგრაშვილი	4
684	ძიმისტარიშვილი	4, 3
685	ძირკვაძე	5
686	ძნელაძე	2, 3, 5
687	ძოძუაშვილი	5
688	წერეთელი	1, 3
689	წითელაშვილი	5
690	წიკლაური	4
691	წიქარიშვილი	1
692	წიქვაძე	5
693	წიწავა	2

„ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

– ვანის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ **ალექსანდრე გოგორიშვილს**, მუდმივი ყურადღების, დახმარებისა და კრებულ „მატიანეს“ მე-20 ნომრის გამოცემის დაფინანსებისათვის.

– უდიდესი მადლობა ბატონ **ბიჭიკო პაიკიძეს**, ახალგაზრდა წარმატებულ ბიზნესმენს კრებულ „მატიანეს“ მე-20 ნომრის წილობრივი დაფინანსებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ლილუაშვილს კრებულ „მატიანესადმი“ გულისხმიერი და საქმიანი დამოკიდებულებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსს ბატონ ივანე მამფორიას, გვერდით დგომისა და თანამშრომლობისათვის.

– ბატონებს: **ბეჟან წაქაძეს** – საქართველოს პარლამენტის წევრს.

ზაურ თათვიძეს – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ბიზნესმენს.

ბიჭიკო პაიკიძეს – ბიზნესმენს.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი – ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უჩა დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალიშვილი – პროფესორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

დავით შავიანიძე – ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეთნოლოგი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

პასუხისმგებელი მდივანი: **თამილა მჟავანაძე.**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**.

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძის**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

კრებული გამოდის 2014 წლიდან

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54